კვირის პალიტრა

გზა

N46 (2 ... ლი 60 თ.

1168
2006

„ბზის" ჩეადუჩი ზოუ

ზურას ნატალისთან ცოლმა მიუსწრო

მედიცინიდან ქალების კლუბში —

„სტრიპტიზიორობით ბევრ ფულს ვშოულობ"...

პაემანი ვერაზე

ექსკლუზიური რეპორტაჟი

ვინ უყვარს ნინას და რისთვის გადადო თავი გიორგი კანდელაკმა

ცხინვალის რეგიონიდან

ნინაკა გელაშვილს ღამის ცხოვრება ხიბლავს

რა საიდუმლოს ინახავს ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე სახლის მიწისქვეშეთი

გიმნაზიიდან გარიცხულები, აპირებული გალაკტიონი და „ოთხი ლეგენდა"

როგორ დავიკლოთ წონაში სწრაფად, შიმშილის გარეშე...

ახდენილი ნატვრა



მკითხველის ოცნებებს მკითხველები ასრულებენ!

კვირის პალიტრა
ყოველკვირეული გაზეთი

ყველა სიახლე

თქვენ შეგიძლიათ, ინატროთ და ნატვრა აიხდინოთ!
თქვენ შეგიძლიათ, ნატვრა აუხდინოთ ადამიანებს!

ამისთვის კი საჭიროა, მონაწილეობა მიიღოთ
„კვირის პალიტრისა“ და „ყველა სიახლის“
ერთობლივ ახალ პროექტში

„ახდენილი ნატვრა“

ქვირის პალიტრა
ეზა
№46 (336)
16 - 23 ნოემბერი.
2006
ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები
საკადრო ცვლილებები
მთავრობაში ანუ „ბასტი-ბუბუ“
— მინისტრების მხიარული კარუსელი 3
■ ერთი კითხვა 4
■ ხელისუფლება
„ეფექრობ, მთავრობაში ახალ საკადრო
ცვლილებებს საახალწლოდ უნდა ველოდეთ...“ 5
■ რეპორტაჟი
არჩევნების დღე ანუ ის,
რაც კამერებს მიღმა დარჩა 6
უცხოური პრესა
ოქრუაშვილი, ცხინვალი
და „ოსურად“ ნაცემი რუსი ჟურნალისტი 7
■ ჟურნალისტის როლში
რისთვის გადადო თავი გიორგი
კანდელაკმა და ვინ უყვარს ნინა წარიალაშვილს 8
■ პრობლემა
პაციენტის უფლებები და შეღავათები
სამედიცინო მომსახურების სფეროში 12
■ კრიმინალი
„...მარცხენა ხელი თმაში ჩავავლე,
მარჯვენათი დანა მუცელში ჩავარტყი“ 14
■ გულშემატკივარი
„ნატალიმ მეც ნამართვა ქმარი“ 16
■ რეალური
ქსელში გახვეული წყვილის
სასიყვარულო ამბავი გაგრძელებებით 17
■ თეთრი ლაქები
რა საიდუმლოს ინახავს ინგოროყვას
ქუჩაზე მდებარე სახლის მინისქვეშეთი 20
■ შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 22
■ ვინ
გია თორთლაძე
„პოლიტიკურ საგიქეთს“ მთაში გაურბის 23
■ ნამდვილი ამბავი
სიდედრის ბიზნესი 25
■ გზავნილები
თავისუფალი თემა 26
■ ანტიდეპრესანტი 30
■ ავტოფანები
„ვაკის პარკის“ ლიდერი
თავის მანქანაზე ეჭვიანობს 30

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი

უცხო ნომერი იყო. ქალის ხმამ მკითხა – ნატალი ხარ? – დიახ-მეთქი. – შე გათახსირებულო, უსაქმურო ბოზო, გგონია, შეგრჩება ჩემი გამწარება? შენისთანა ბოზს არ მივცემ უფლებას, რომ ცხოვრება დამინგრიოსო!..

17

არჩევნების დღე ანუ ის, რაც კამერებს მიღმა დარჩა

ყოველ 500 მეტრში ქართული პოლიცია იდგა და გზას იცავდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საშიშროება

იმისა, რომ ცხინვალის მხრიდან ჩვენი მიმართულებით ცეცხლი გაეხსნათ, საკმაოდ რეალური იყო: დიდი ლიახვის ხეობის სიმაღლეებზე ოსური შეიარაღებული ფორმირებები იყო განლაგებული.

6

რა საიდუმლოს ინახავს ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე სახლის მინისქვეშეთი?

მე ამ სახლს „წამებულთა სახლი“ დავარქვი. იგი სულ 115 წლისაა. რუსული ასო П-ს



მოყვანილობა ჰქონდა. ოჯახების შესახლება სამამულო ომის წლებში დაიწყეს.

20

შეღავათები სამედიცინო მომსახურების სფეროში

15 წლამდე ბავშვებს და 65 წელზე მეტი ასაკის პაციენტებს, აგრეთვე მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობას უფლება აქვთ, უფასოდ მიიღონ ლაბორატორიული გამოკვლევები.

12

ნინაკა გელაშვილის სილამაზის რეცეპტი

რომელ ქალს არ უყვარს შოპინგი?! გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც მე ვარ. შოპინგი ჩემთვის დეპრესიიდან გამოსვლის ერთ-ერთი კარგი გამოსავალია.

49

ჯანმრთელობა
✓ ბოსტნეულის დედოფალი 32
✓ „უცხოები" ცხვირში ანუ პოლიპები 33
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ჯობია, ქმარს უღალატო, ვიდრე საკუთარ სტილისტს... 34
✓ მაკიაჟის ფსიქოლოგია 35
✓ როგორ დავიკლოთ წონაში სწრაფად 35
■ ტაიმ-აუტი 36
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე.
ველური ნაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38
■ შთამომავლობა
გიმნაზიიდან გარიცხულები, ატირებული
გალაკტიონი და „ოთხი ლეგენდა"... 42
■ თინეიჯერული პონტები
გამოხმაურება 44
■ ვარსკვლავი
ვანესა რედგრეივის ურჩი შვილი,
რომელმაც „საგვარეულო ცხვირი" ვერ იგუა 45
■ შოუ
„სოფიას ერთი და
იგივე ბიჭი მალე აბეზრდება"... 48
■ იმიჯი
ნინაკა გელაშვილის სილამაზის რეცეპტი 49
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50
■ ტაძარი
...წმინდა ნანილების სავანე
— გელათის მონასტერი 54
■ ასპარეზი
შოთა არველაძე
— „აიაქსის" აქციონერი მისტერ ბინი 56
■ პროფესია
სტრიპტიზიორი ექიმი
— ბედის ნებიერა თუ კლუბის ვირთხა? 59
■ მესიჯომანია
მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ... 61
■ კრიმინალი
სამ არასრულწლოვანს ძარცვასა
და ქურდობაში ედება ბრალი 62
■ ბომონდური მოზაიკა 64
■ პოროსკოპი
კვირის (16-22 ნოემბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 66
■ ავტო 67
■ კადრს მიღმა
„დაბლოკილ" კლიპში მოწყობილი ორგია
და შოუბიზნესური სკანდალი 68
■ ტესტი 70
■ სკანვორდი 71
■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა"
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

გიმნაზიიდან გარიცხულები

ბებიას შვიდი ქალიშვილი და სამი ვაჟი ჰყავდა. ყველა მღეროდა, ყველას ზღაპრული, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა. ვანიჩკა ბიძია და ვალოდია ბიძია კაპელაშიც მღეროდნენ.

42

მოკრივისა და მომღერლის შეხვატკბილება

ცოტა მძიმე სპორტია, გართობა და კრივი ერთმანეთთან არ თავსდება. ამიტომ, ყველაფერი უნდა გადადო, თუ გინდა, რომ წარმატებას მიაღწიო.

— კრივმა რა მოგიტანა?

— საკუთარი თავის რწმენა განმიმტკიცა. მჯერა ჩემი თავის!

8

ჯობია, ქმარს შღალატო, ვიდრე საკუთარ სტილისტს...

ჩემთან დადის ერთ-ერთი ცნობილი სახე — მამაკაცი, რომელიც იმიჯისთვის თმას სისტემატურად იღებავს...

34

თეთრი სიკვდილი

სად წაიყვანეს? საკანში? — არ დაასრულებინა ნანამ.

— საკანში, არა!.. — ჩაიბურტყუნა ზედამხედველმა. — მაგას არაფერი ესაქმება ადამიანებთან. ნადირივით გალიაში უნდა გამოაწყვდიონ!

— სად წაიყვანეს? — კითხვა გაუმეორა ნანამ.

— კარცერში! — ბრაზით დაასრულა ზედამხედველმა და ადვოკატს ზურგი შეაქცია.

50

საყოველთო ცვლილებები მთავრობაში
ანუ „ბასკი-ბუბუ" – მინისტრების მხიარული კარუსელი

რომელ ქვეყანაში არ გვიცხოვრია ქართველებს: საბჭოთა კავშირში ვიყავით, უფრო ადრე — რუსეთის იმპერიაში, კიდევ უფრო შორეულ წარსულს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ოსმალთა, სპარსთა, არაბთა თუ მონღოლთა იმპერიებიც არ გვაკლდა, მაგრამ ისეთი მთავრობა, ახლა რომ გვყავს, არასოდეს გვყოლია. სამი წელიც არ გასულა, რაც ეს ხელისუფლება მოვიდა და აბა, შეადარე ზემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერს ან თუნდაც, ქართველ მეფეებს! რომელი მათგანის დროს ყოფილა ასეთი მოასფალტებული გზები?! აღარაფერს ვამბობ გაზრდილ პენსია-ხელფასებსა და უფასო „03"-ზე, ექიმ-ბაშებისა და მჩხიბავების იმედზე იყო ავადმყოფი...

დღევანდელი მთავრობა კიდევ, სოციალური პრობლემების მოგვარებასთან ერთად, საჩუქრებითაც ხშირად გვახარებს. აგერ ახლა, ვარდების რევოლუციის სამი წლის იუბილე მოგვადგა კარს და არც ამჯერად დავიწყებია საჩუქრის მომზადება: ჯერ უფიქრია, მოდი, ხელფასებსა და პენსიებს კიდევ გავზრდიო, მაგრამ ახალი გაზრდილია და კიდევ უფრო მომატება სულ დააბნევდა ხალხს; მერე, თავისუფლების მოედანზე აღმართული მონუმენტის ჩუქება უნდოდა ხალხისთვის, მაგრამ თვითონ მთავრობასაც სხვამ აჩუქა და ნაჩუქარის გაჩუქება ხომ არ შეიძლება... ბოლოს, ადგა და ბათუმში, ურეკში, ქობულეთში, ქუთაისში, გლდანსა და ვარკეთილში გაკეთებული ატრაქციონების შემდეგ, მინისტრთა კაბინეტში საკადრო ცვლილებები განახორციელა — უყვარს ამ კაცს „კარუსელები" და რა ქნას?!.

ესეც არ იყოს, ასეთი საკადრო გადაადგილებები იმაზე მეტყველებს, რომ მთავრობა გუნდური პრინციპით მუშაობს და მის ნებისმიერ წევრს, ნებისმიერი მინისტრის მოვალეობის შესრულება შეუძლია, თანაც, იმაზე კარგად, ვიდრე თავის მოვალეობას ასრულებს. როდის და სად მოასწრეს ამდენის სწავლა, არ ვიცი, მაგრამ თუ ასეა, ბარემ პირდაპირ იმ თანამდებობაზე დანიშნე... მაგრამ უყვარს ამ კაცს ეს „კარუსელები" და რა ქნას?!

აბა, ნახეთ, რა ჭკვიანურად მოხდა გადაადგილებები: თავდაცვის მინისტრი არ იყო ეკონომიკის მინისტრი, მაგრამ მაინც, ფეხდაფეხ შემოირბინა ევროპა და აზია ქართული ღვინის ახალი ბაზრების საპოვნელად. ახლა, ეკონომიკის მინისტრი გახდა და მით უმეტეს, რას იზამს (იმ ანეკდოტისა არ იყოს, ტროლეიბუსი დაბმულია და ასე დარბის, რომ აუშვა, რას იზამსო). დაენიშნათ ეს კაცი პირდაპირ ეკონომიკის მინისტრად, ათას საფეხურზე რომ გაატარეს და აძახებინეს, 1-ელ იანვარს ცხინვალში შევხვდებითო. ან თუ ამ ნათქვამის ასრულება გვინდა, აუცილებლად ვაღიაროთ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მერე ეს კაცი საქართველოს ელჩად დავნიშნოთ იმ ქვეყანაში და ახალ წელსაც, უნდა — არ უნდა, იქ შეხვდება და სიყვარულის დღესაც...

სოფლის მეურნეობის მინისტრი გურიის გუბერნატორად დანიშნეს. იცოცხლე, ააყვავებს გურიას კახელი კაცი: აჩეხავს, რაც გადამხმარი ჩაი და ციტრუსებია, მერე სულ რქაწითელს გააშენებს; გურული „იზაბელასავით" ხეზე საზამთროს აუშვებს, უფრო დიდიც გაიზრდება და მიწასაც არ გააცდენს. ოღონდ, ერთი კია, იმ ხის ძირას გავლასა და წამოწოლას უნდა ერიდო, თორემ, ნიუტონს ვაშლი რომ დაეცა, მსოფლიო მეცნიერება გადაატრიალა და შენ რომ 15-კილოგრამიანი საზამთრო დაგეცეს, ხომ სასწაულებს მოახდენ!..

მოკლედ, მთავრობის გუნდში, როგორც ერთიან ორგანიზმში, ყველა მინისტრს შესაბამისი ორგანოს ფუნქცია აკისრია და რადგან ითქვა, რომ ეს საკადრო გადაადგილება წარმატებულია, ე.ი. ყველა „ორგანო" თავის ადგილას დადგა, თორემ აქამდე, ალბათ, „ფილტვით ჭამდა და ბრმა ნაწლავით იხედებოდა"... ეგ კიდე არაფერი, განახორციელეთ საკადრო ცვლილებები და ატრიალეთ „კარუსელი" როგორც გინდათ, თუნდაც, „იდაყვებით ვისუნთქოთ და ყურებით ვჭამოთ", მაგრამ ერთხელაც, „ტვინის" ადგილზე რომ... „კუჭი" მოვიდეს, მერე, რა ვქნათ?!

P.S. დიალოგი მინისტრთა კაბინეტში:

— მომილოცე, გოკა, დამაწინაურეს!

— გილოცავ, მაგრამ როგორ დაგაწინაურეს?

— ადრე „თავდაცვის მინისტრი" ვიყავი, ახლა „საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი" ვარ. ხედავ, ორსიტყვიანი თანამდებობიდან ეგრევე ოთხსიტყვიან თანამდებობაზე გადამიყვანეს.

— ეგრე, მე უფრო მაღლა ვდგავარ. ნახე, „კულტურა, სპორტი და ძეგლთა დაცვა".

— ეგეც ოთხი სიტყვაა.

— ჰო, მაგრამ კიდევ, „და" ხომ ურევია?!.

— ვა!!! მართალი ხარ. შევალ პრეზიდენტთან და ვთხოვ, ერთი კავშირი ჩამიმატოს — „საქართველოს რომ ეკონომიკური განვითარების მინისტრი" გავხდები...

პროვოკატორი

„ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ მთავრობაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს“

— როგორ შეაფასებდით ევროპარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას?

რამაზ კლიმიაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— ევროპა ყოველთვის ითხოვს, რომ რუსეთი რაც შეიძლება ნაკლებად გავაღიზიანოთ. საქართველოს ინტერესების დაცვა, კრემლთან ურთიერთობის გამწვავების პარალელურად, ევროპისთვისაც რთული იქნება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილმა ევროპარლამენტში კარგად ილაპარაკა. ის შეეცადა დაერწმუნებინა მსოფლიო საზოგადოება, რომ ძალისმიერი მეთოდებით პრობლემების მოგვარებას არ აპირებს. თუმცა, სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის იყო განცხადება, რომელიც ბრიუსელში გიორგი ბარამიძემ, სააკაშვილის მოხსენების პარალელურად გააკეთა. მან მოსკოვში ქართველებისადმი დამოკიდებულება ფაშისტების მიერ ჩადენილ ებრაელების გენოციდს შეადარა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ მთავრობაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, რატომ იყო ბრიუსელსა და სტრასბურგში აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო გამოსვლები. როცა სააკაშვილი ევროპარლამენტში ტაშის ფონზე, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ცდილობს, ყველა ოფიციალური პირის გამოსვლა შესაბამისად, ნაკლებად აგრესიული უნდა იყოს.

■

„მოსკოვს დეპორტირებულთათვის სოლიდური ჯარიმების გადახდა მოუწევს“

— სპეციალურმა კომისიამ რუსეთიდან დეპორტირებულების საკითხი შეისწავლა. ეს მასალები საკმარისი თუ იქნება სტრასბურგში პროცესის მოსაგებად და რას მიიღებენ დაზარალებულები?

ნიკა გვარამია, *დეპორტირებულთა საკითხებზე მომუშავე კომისიის თავმჯდომარე:*

— ჩვენი კომისიის მიზანია, შეისწავლოს და გააანალიზოს საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაციის ფაქტები და მათ სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მისცეს. იუსტიციის სამინისტრომ ათობით დაზარალებული პირისგან მიიღო ახსნა-განმარტებები. საპარლამენტო კომისიაშიც გავეცანით უკანონოდ გამოძევებულ ადამიანთა თავგადასავალს. მართალია, ყველამ არ ისურვა საკუთარი პრობლემების სამზეოზე გამოტანა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ქართულმა მხარემ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი შეიტანოს. რუსეთში საქართველოს მოქალაქეებთან მოპყრობა, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, წამებად კვალიფიცირდება. ელექტროშოკის გამოყენება, ხელკეტებით ცემა, არასრულწლოვანებისთვის მშობლებთან დაკავშირების უფლების წართმევა, შიმშილი და შეურაცხყოფა — ეს და კიდევ უამრავი სხვა უბედურება, ამ ადამიანებმა მხოლოდ იმიტომ გადაიტანეს, რომ ქართველები არიან. XX საუკუნეში ქვეყანა, რომელიც ეთნიკური ნიშნით ასეთ წმენდას ატარებს, პოლიტიკურ რუკაზე საერთოდ არ უნდა არსებობდეს. ჩვენი ხელისუფლება მორალური და ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის, დეპორტირებულებს ყოველმხრივ შეუწყობს ხელს. სტრასბურგში საქმის მოგების შემდეგ კი, რუსეთს ამ ადამიანების სასარგებლოდ, სოლიდური ჯარიმების გადახდა მოუწევს.

■

„მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე პროცესები რუსეთს კარგს არაფერს უქადის“

— საგარეო საქმეთა სამინისტრო, პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრის მომზადებაზე მუშაობს. თქვენი ვარაუდით, რამდენად შედეგიანი იქნება ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის დიალოგი?

სოსო ცინცაძე, *პოლიტოლოგი:*

— ამ შეხვედრაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, მოიხსნება თუ არა რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ბლოკადა. სამიტზე პუტინი და სააკაშვილი მაინც შეხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ უმჯობესია, მათი საუბარი ერთი ერთზე, კონფიდენციალურად წარიმართოს. გელა ბეჟუაშვილმა რუსეთში ვიზიტისას, ამ მხრივ, გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწია. მისი ახალი ვიზიტი პარიზშიც ამ მიზანს ემსახურებოდა. ჩემი აზრით, ევროპიდანაც იქნება სერიოზული ზეწოლა პუტინზე — რომ სააკაშვილს შეხვდეს და სადავო საკითხები მშვიდობიანად გადაწყდეს. თუმცა, ეს შეხვედრა წინასწარ არ არის „დაპროგრამებული“. შედეგის თვალსაზრისით, ამიტომ, რაზე შეთანხმდებიან ლიდერები, ძნელი სათქმელია. ჩვენ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: პუტინი სააკაშვილისგან კომპრომისს ითხოვს. თუ შეხვედრა შედეგიანად დამთავრდა, ე.ი. სააკაშვილმა რაღაც დათმო. რუსეთს საქართველოს დასავლური ორიენტაცია არ მოსწონს, ნატოში საქართველოს ინტეგრაცია კოშმარულ სიზმრად ეჩვენება. სააკაშვილი კი ამ საკითხში კომპრომისზე ცოცხალი თავით არ წავა. პირიქით, ამერიკაში დემოკრატების გამარჯვებისა და მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე პროცესების ფონზე, რომელიც რუსეთს კარგს არაფერს უქადის, შესაძლებელია, პუტინი თავად წავიდეს დათმობაზე. რუსეთი გარკვეული პერიოდის შემდეგ მაინც შეარბილებს თავის სანქციებს, თვითმფრინავებიც იფრენენ, ჩვენი ღვინო და „ბორჯომიც“ რუსულ ბაზარზე გაიყიდება...

■

„ჩვენი პრეზიდენტის გარდა, ასეთი აზრი არავის მოუვიდოდა“...

— როგორ შეაფასებდით მორიგ სამთავრობო ცვლილებებს? შეიცვლება თუ არა შიდა პოლიტიკური კურსი ამ გადაადგილებებით?

დავით ზურაბიშვილი,
„დემოკრატიული ფრონტის“ წევრი:

— ეკონომიკის სამინისტროში ირაკლი ოქრუაშვილის გადაყვანა, რუსეთის მხრიდან აღქმული იქნება, როგორც მისგან განხორციელებული ზეწოლის შედეგი: იტყვიან — სანქციებით და ქართველთა დეპორტაციით, სააკაშვილს ჩვენთვის მიუღებელი მინისტრი გავაშვებინეთო. დღეს მისი გათავისუფლება არასწორი ამიტომ იყო, თორემ, ოქრუაშვილი უფრო ადრე უნდა გაეშვათ — მაშინ, როცა ცხინვალთან დაკავშირებით, ცნობილი განცხადება გააკეთა. რაც შეეხება თავდაცვის მინისტრის პოსტზე კეზერაშვილის დანიშვნას — ჩვენი პრეზიდენტის გარდა, ასეთი აზრი თავში არავის მოუვიდოდა. სააკაშვილი მხოლოდ პარტიული და პირადი ერთგულების მიხედვით არჩევს კადრებს. თუ ოქრუაშვილს მაღალი რეიტინგი ჰქონდა საზოგადოებაში, კეზერაშვილისგან მსგავსი „საფრთხე“ არ არსებობს. ამიტომ ვერ ელევა მერაბიშვილსაც. ის შს მინისტრის სავარძლის გარეშე არაფერს წარმოადგენს, სააკაშვილის ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელია და ყველაფერზე მოაწერს ხელს, ოღონდ თანამდებობა შეინარჩუნოს. ეს სააკაშვილისთვის იდეალური ვარიანტია — ისევე, როგორც კეზერაშვილის მორჩილება. პრეზიდენტისთვის გარშემო რეიტინგული ხალხის გაჩერება მიუღებელია, მას ასეთი ადამიანების შიში აქვს. საქართველოში პროფესიონალი კადრების დეფიციტი არასდროს ყოფილა, მაგრამ მესხიშვილსა და კეზერაშვილზე ერთგულ ხალხს სად იშოვის?! მოაწყო ქვეყანა თავისი კანონებითა და კონსტიტუციით, ახლა დგას და „კარუსელებით“ ერთობა. პრეზიდენტს „დალაგებული“ ხალხი არ სჭირდება, ამიტომ რა სამთავრობო გადაადგილებებიც არ უნდა განახორციელოს, პოლიტიკური კლიმატი ვერ გამოსწორდება. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები უმეტესობისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ბუნებრივია, ხელისუფლების წარმომადგენლები მხარს უჭერენ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას. აი, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს კი მიაჩნიათ, რომ მთავრობაში დატრიალებული „კარუსელი“ „დსთ-ის სამიტის წინ რუსეთის მისამართით გაგორებული კოჭია“...

როგორ აფასებენ მომხდარს გამოცდილი პოლიტოლოგები? კომენტარისა და პოლიტიკური პროგნოზის მოსასმენად, ერთ-ერთ მათგანს — ბატონ რამაზ საყვარელიძეს მივმართეთ.

„ვფიქრობ, მთავრობაში ახალ საკადრო ცვლილებებს საახალწლოდ უნდა ველოდეთ...“

თამარ როსტიაშვილი

— ჯობდა, საკადრო ცვლილებები მთავრობაში უფრო ადრე განხორციელებულიყო — მანამდე, ვიდრე „ფეკალურ მასებს“ ვახსენებდით. ამით, თავიდან ავიცილებდით როგორც რუსეთის, აგრეთვე დასავლეთის ქვეყნების მხრიდან გამოთქმულ მწვავე კრიტიკას. თანამდებობის პირთაგან საომარი რიტორიკით ირაკლი ოქრუაშვილი გამოირჩეოდა. ოქრუაშვილის მხრიდან გაკეთებული განცხადებების გამო, პრეზიდენტი სააკაშვილი ხშირად ვარდებოდა არასასიამოვნო მდგომარეობაში: მას ან უნდა ეღიარებინა, რომ ოქრუაშვილის რიტორიკას იზიარებდა, ან თანამდებობიდან მოეხსნა იგი... პრეზიდენტმა ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღო და ოქრუაშვილი ძალოვან სტრუქტურას მთლიანად ჩამოაშორა. რაც შეეხება დანარჩენ ცვლილებებს, — ვისურვებდი, რომ მთავრობაში „კარუსელი“ კი არ დატრიალებულიყო, არამედ ახალი სახეები გამოჩენილიყო.

— როგორ ფიქრობთ — განხორციელებული საკადრო გადაადგილების შედეგად, თანამდებობები რამდენად ოპტიმალურად გადანაწილდა?

— რამდენად შესაფერისნი არიან კეზერაშვილი — თავდაცვის მინისტრის, ხოლო ოქრუაშვილი — ეკონომიკის მინისტრის პოსტებისთვის, ამაზე მსჯელობა ნამდვილად ძნელია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქართულ სინამდვილეში პროფესიონალებით განებივრებულნი არა ვართ. ზოგადად, ქართული პოლიტიკური სინამდვილიდან გამომდინარე, პროფესიონალიზმის საკითხის მიმართ ტოლერანტობა უნდა გამოვიჩინოთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მთავრობაში მინისტრები დიდი პროფესიონალიზმით არ გამოირჩევიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ავად თუ კარგად, მაინც მართავენ უწყებას, მაშინ, თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილის არაპროფესიონალიზმზეც უნდა დავხუჭოთ თვალი. ამასთანავე, მიმაჩნია, რომ კეზერაშვილი ოქრუაშვილზე უკეთ გაუძღვება სამინისტროს საქმიანობას. ოქრუაშვილს უფრო ინიციატივებით მოქმედება სჩვევია, ამ თვისებით თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრი არ გამოირჩევა. კეზერაშვილს ხელისუფლებასთან კოორდინირებულად მოქმედება სჩვევია. რაც შეეხება გურიის გუბერნატორად — სვიმონიშვილის, ხოლო სოფლის მეურნეობის მინისტრად — ცისკარიშვილის დანიშვნას, მათი ბიოგრაფიებიდან გამომდინარე, არა მგონია, სოფლის მეურნეობაში ცისკარიშვილი უფრო კომპეტენტური იყოს, ვიდრე სვიმონიშვილი. სავარაუდოა, რომ პრეზიდენტმა მთავრობაში თანამდებობების გადანაწილებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა კანდიდატების ნაციონალურ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირს მიანიჭა. მხოლოდ ერთ ჯგუფზე კონცენტრირება ქართული საკადრო პოლიტიკის აქილევსის ქუსლია.

— ოპოზიციის გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ამ ცვლილებებით „სააკაშვილმა დსთ-ის სამიტის წინ რუსეთს კოჭი გაუგორა“...

— პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება ამგვარად, არა მარტო ქართველმა ოპოზიციორებმა, არამედ დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ელიტის ნაწილმაც შეაფასა. რუსეთისადმი კოჭის გაგორება დიდ ცოდვად სულაც არ მიმაჩნია. სააკაშვილი დასავლეთსაც უგორებს კოჭს და რუსეთის მისამართით ამგვარი ნაბიჯის გადადგმა რა დასაძრახია?!. ვფიქრობ, საომარი რიტორიკა ქართული მხრიდან, შეცდომა იყო და ამ შეცდომის აღიარება კარგი ტენდენციის მომასწავებელია. ჩემი ვარაუდით, პრეზიდენტმა იცოდა კიდეც, რომ მის ამ ნაბიჯს დასავლეთი, რუსეთის მიმართ „კოჭის გაგორებად“ შეაფასებდა, მაგრამ ეს ნაბიჯი მაინც გადადგა და მიმაჩნია, რომ ვაჟკაცურად მოიქცა... მთავრობაში ჩატარებული საკადრო გადაადგილებების შემდეგ, რუსეთის რეაქციაზე მეტად, დასავლეთის შემდგომი პოლიტიკა მაღელვებს. საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამშვიდობო პოლიტიკას, მხოლოდ დეკლარაციის დონეზე არ ატარებს.

— კულუარული ინფორმაციით, საკადრო გადაადგილებები კვლავაც იგეგმება. თქვენი პროგნოზით, რამდენად განსხვავებული იქნება „განახლებული“ მთავრობის შემდგომი პოლიტიკა?

— თუ ისევ სამთავრობო „კარუსელი“ არ დატრიალდა, საკადრო ცვლილებებს მივესალმები. ვფიქრობ, მთავრობაში ახალ საკადრო ცვლილებებს საახალწლოდ უნდა ველოდეთ. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ენერგომატარებლებით მოსახლეობის მომარაგება... რაც შეეხება კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დავით ტყეშელაშვილის შესაძლო დანიშვნას: უნდა ვივარაუდოთ, რომ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ობიექტურად გაკონტროლება ხელისუფლების გუნდის წევრს გაუჭირდება. ვისურვებდი, რომ ამ თანამდებობაზე, არა კონკრეტული გუნდის წევრი, არამედ ნეიტრალური პოზიციის მქონე პიროვნება დაინიშნოს. ჩვენი ხელისუფლება ექსპერიმენტულ ცვლილებას ხშირად მიმართავს და ვფიქრობ, რომ ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება... ■

ცხინვალის რეგიონში ჩატარებული არჩევნებისა და კონფლიქტის ზონაში ალტერნატიული არჩევნების შედეგებიცა და შინ თუ გარეთ გამოთქმული შეფასებები კარგადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, ამიტომ ამაზე მკითხველთა ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. ამჯერად ჩვენი ჟურნალისტების მიერ არჩევნების დღეს ნანახსა და გაგონილს გადმოგცემთ და კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ორი ხალხის წარმომადგენელთა პოზიციას გაგაცნობთ.

თავდაპირველად — რეპორტაჟი კონფლიქტის ზონიდან, რომელიც 12 ნოემბერს მომზადდა.

არჩევნების დღე

ანუ ის, რაც კამერებს მიღმა დარჩა

ირაკლი მანაგაძე
ლალი პაპასკირი

ალტერნატიული არჩევნები დიდი და პატარა ლიახვის ხეობასა და ფრონის ხეობაში. ალტერნატიული ცესკო პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ერედვში იყო განთავსებული.

დილით, რვის ნახევარზე, თბილისიდან წასული ჟურნალისტები უკვე ერედვში ვიმყოფებოდით. საარჩევნო უბანი 8 საათზე გაიხსნა და პირველი ამომრჩეველებიც გამოჩნდნენ: დამაიმედებელი დასაწყისის მომსწრენი გავხდით — წითელ და შავ ჩოხებში გამოწყობილი ოსი და ქართველი ახალგაზრდები ერთად მოვიდნენ(!)...

„დღეს იმედი მომეცა, რომ საქართველოს ერთიანობა აღდგება და მჯერა — ეს იქნება დასაწყისი საქართველოს გაერთიანებისა. რაც პირველ რიგში მინდა — ეს არის მშვიდობა, რომელიც ჩვენს ხეობას დიდი ხანია, არ ღირსებია. ერთი რამ ვიცი: ქართველებსა და ოსებს გასაყოფი არაფერი გვაქვს“, — მითხრა ეროვნებით ოსმა ახალგაზრდა კაცმა.

ცესკო ე.წ. ბელეტაჟის ტიპის აგურით ნაშენ სახლში იყო განთავსებული და სულ სამი მომცრო ოთახი ეკავა. აქვე დავძენ — როცა ბრიფინგზე ჟურნალისტები ცესკოს თავმჯდომარის კაბინეტში ვიკრიბებოდით, იქ სუნთქვაც კი ჭირდა... თავმჯდომარე, ურუზმაგ ქარქუსოვი დროდადრო ერედვს ტოვებდა და საარჩევნო უბნებზე გადიოდა. საგანგებო ბრიფინგს ორ საათში ერთხელ მართავდა...

ცესკოს გარეთ ჩვენი კოლეგები ტელევიზიებიდან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: 4 არხის ჯგუფი ყოველი საათის ბოლოს პირდაპირ ეთერში ერთვებოდა, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა მაყურებლისთვის...

პირველი ავტობუსებიც დილიდანვე გამოჩნდა — ჩამოდიოდნენ დევნილი ამომრჩევლები: ბორჯომიდან, თბილისიდან, გორიდან, ხაშურიდან... ერთ-ერთ ქალბატონს პირადობის მოწმობების მთელი დასტა ეჭირა ხელში და ვკითხე — საიდან გაქვთ ამდენი „პირადობა“-მეთქი?!. არ დაბნეულა, სხარტად მიპასუხა — შვილო, ბორჯომიდან ჩამოვედი, 8 სული ვართ ოჯახში და ყველას აქეთ ხომ ვერ წამოვიყვანდი? მე მივცემ მათ მაგივრად ხმასო, — თან დასძინა: — ეს კიდევ, შვილო, მეზობლებმა გამომატანეს, მათ მაგივრადაც უნდა მივცე ხმაო...

რამდენიმე ჟურნალისტი დიდი ლიახვის ხეობაში უნდა წავსულიყავით. ეს თავისთავად, საკმაო რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან ცხინვალის თავზე შემოვლითი გზით გვიწევდა თამარაშენამდე, ქურთამდე და აჩაბეთამდე მგზავრობა... თან, კრიმინალური პოლიციის ესკორტი გამოგვყვა: ვინძლო რამე მოხდეს, თქვენ გვერდით მაინც ვიქნებითო. შემოვლითი გზა საკამაოდ ცუდ მდგომარეობაშია, თან, ნაწვიმარი იყო და ჩვენი „ნივით“ ისე ვიჯაყჯაყეთ, რომ დანიშნულების ადგილამდე მისულები, მანქანიდან კარგა ხანს ვერ გადმოვდიოდით... შემოვლითი გზით მგზავრობისას შევნიშნე, რომ ყოველ 500 მეტრში ქართული პოლიცია იდგა და გზას იცავდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საშიშროება იმისა, რომ ცხინვალის მხრიდან ჩვენი მიმართულებით ცეცხლი გაეხსნათ, საკმაოდ რეალური იყო: დიდი ლიახვის ხეობის სიმაღლეებზე ოსური შეიარაღებული ფორმირებები იყო განლაგებული. ეს მაღლობები ზემოდან დაჰყურებს სოფლებს — თამარაშენს, ქურთასა და აჩაბეთს. თამარაშენიდან კარგად ჩანდა, რომ აღნიშნულ ფორმირებათა მებრძოლები საფუძვლიანად იყვნენ შეიარაღებული და მთელ პერიმეტრზე გამუდმებით გადაადგილდებოდნენ.

თამარაშენის მაღლობზე მათ 400 მ სიგრძის სანგარი აქვთ გათხრილი. იქვეა „მაგთიკომის“ ანძა, რომელიც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ იმ დღეებში, სპეციალური დანადგარის მეშვეობით ჩაახშო... გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე ზემოდან დაკყურებდით ცხინვალს. ქალაქის ქუჩები და იქ მოსიარულე ხალხიც კი, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანდნენ...

თამარაშენში ყოფნისას, ცხინვალიდან მალულად ჩამოსულ რამდენიმე ადამიანსაც შეხვდით, რომლებმაც ალტერნატიულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს. ბუნებრივია, მათ საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვეს, მაგრამ გასაუბრებაზე დაგვთანხმდნენ.

„მოგვბეზრდა კოკოითის მაფიოზური ხელისუფლება და მუდამ შიშის ქვეშ ცხოვრება. ვიყოთ ერთად — ისე, როგორც წინათ ვიყავით. რატომ უნდა შეგვიქმნას ვინმემ პრობლემა ერთად ყოფნაში, არ მესმის“, — მითხრა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც არც საკუთარ ვინაობას მალავენ და არც შეხედულებების გამოთქმას უფრთხიან.

დემურ ჩიგიროვი, *ცხინვალის მცხოვრები:*

— დიდი ხანი არაა, რაც სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ არენაზე, ედუარდ კოკოითის ერთადერთ რეალურ მეტოქედ დიმიტრი სანაკოევი გამოჩნდა. საკმაოდ ენერგიული და ჭკვიანი ახალგაზრდაა, თუმცა დარწმუნებული ვართ — მას ქართული მხარე მართავს. ცხინვალში ყველამ კარგად იცის: 90-იან წლებში ის ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ ამას მისი „საპრეზიდენტო“ კარიერისთვის ხელი არ შეუშლია. არც ქართულ მხარეს უთაკილია მისი წარსული, რადგან თბილისში შესანიშნავად იციან, რომ მოქმედ პრეზიდენტთან მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ სანაკოევს ქართული მხარე მართავს?

— ცხინვალში ეს ყველამ იცის. ვერ გეტყვით, რომ ცუდია, მაგრამ ვერც იმაზე დავდებ თავს, რომ სანაკოევის ხელისუფლებაში მოსვლით საქმეს ეშველება. ეჭვს იწვევს მისი წარსული. თავის დროზე ის ოსეთის თავდაცვის მინისტრი იყო, მაგრამ უფრო მეტი მოინდომა, ვინაიდან მხარდაჭერას ქართული მხარე დაჰპირდა. როდის ამბობდა სიმართლეს ეს ახალგაზრდა პოლიტიკოსი — მაშინ, როცა სამშობლოს პატრიოტობას იბრალებდა და ქართველებს ესროდა, თუ დღეს, როცა აცხადებს, რომ ქართველ და ოს ხალხებს ომმა ვერაფერი სიკეთე ვერ მოუტანაო?..

— ცხინვალში თუ ჰყავს მომხრეები სანაკოევს?

— მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ჰყავს. უფრო ის ხალხი, ვისაც მუდმივად შიშის ქვეშ ცხოვრება მოჰბეზრდა. თუმცა, არიან ისეთებიც, ვისაც ახალ ჭირს, შეჩვეული ჭირი ურჩევნია. მართალი გითხრათ, სანაკოევი თავიდანვე ქართველ ხალხთან მშვიდობის მომხრე რომ ყოფილიყო, მერწმუნეთ, მას უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლებოდა, ვიდრე ახლა. დავუშვათ, მოვიდა ქვეყნის სათავეში და სიტუაცია ისე შეიცვალა, რომ რუსეთი უფრო მეტს შეჰპირდა, არავის აქვს გარანტია, რომ თავის პრინციპებს კვლავაც არ უაღალატებს...

— არჩევნებში მონაწილეობა მიიღეთ?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ხმა არავისთვის მიმიცია... თავიდანვე, ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ ცხინვალში კოკოითი გაიმარჯვებდა, ქართველების მიერ კონტროლებად ტერიტორიებზე კი — სანაკოევი. წინასაარჩევნოდ, კოკოითი ქართველების მიმართ ისეთი ლმობიერი იყო, როგორიც არასდროს. თუ ერთჯერად ფულად დახმარებასაც გავითვალისწინებთ, ზოგიერთმა მას გულწრფელად დაუჭირა მხარი, თან — რამდენიმე საარჩევნო უბანში... გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთი პატარაა და ყველამ ყველაფერი იცის, ამიტომ, აქ მცხოვრები ქართველები ხვალინდელ დღეზეც ფიქრობენ და არც ნეიტრალური პოზიცია აძლევდა ხელს. ცხინვალში მთელი ღამე მოძრაობა არ შეწყვეტილა. გარდა ამისა, არჩევნებს, სადაც კომისიის წევრი რუსი სამხედრო იყო, როგორ შეიძლება დემოკრატიული უწოდო?!.

გაგრძელება იხ. გვ. 10

ოქრუაშვილი, ცხინვალი და „ოსურად“ ნაცვლი რუსი ჟურნალისტი

ეს არის იმ პუბლიკაციების ძირითადი თემები, რომლებსაც მკითხველს ამჯერად ვთავაზობთ. ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა არა მარტო დროში დაემთხვა ერთმანეთს, არამედ მიზეზშედეგობრივადაც იმდენად „გადაიხლართა“, რომ მათზე ცალკ-ცალკე, თვით ყველაზე მრავალნაცადი პოლიტიკოსები და ექსპერტებიც აღარ მსჯელობენ. ამასობაში, ოქრუაშვილი ქართული ეკონომიკის პრობლემებს უღრმავდება, ცხინვალში, ოსი „ხალხის ნების აღსრულებისადმი“ მიძღვნილ ზეიმზე „სახეგასწორებული“ რუსი ჟურნალისტი კი, მისთვის მიყენებული ფიზიკური, მორალური და მატერიალური ზარალის დათვლასთან ერთად, ცხინვალსა და ერედვში ჩატარებული არჩევნების შორსმიმავალი შედეგების ამოცნობასაც ცდილობს...

რუსუდან ლეგანიძე

ოქრუაშვილი „სტრატეგიულ რეზერვში“ რჩება“

(REGNUM.RU. **რუსეთი**)

საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ ზურაბ ჟვანიას საიდუმლოებით მოცული სიკვდილის შემდეგ, ყველაზე თავბრუდამხვევი საკადრო „კარუსელი“ დაატრიალა. მთავარი სენსაცია კი, თბილისელი „ქორის“ — ირაკლი ოქრუაშვილის ეკონომიკის მინისტრად „ჩამოქვეითება“ გახდა. ეს მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვისთვისაც კი, სრულ მოულოდნელობად იქცა. მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილი დაბეჯითებით განმარტავდა, რომ „სახელისუფლებო გუნდი ისეთი ერთიანია, როგორიც არასდროს!“ ხოლო ოქრუაშვილი — შერისხული კი არა, სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოსტზეა გადაყვანილი. ანუ, პრეზიდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფრონტის ხაზი ახლა სწორედ ეკონომიკაზე გადის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ქორი“ ოქრუაშვილი, რომელმაც რუსეთის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მისამართით გამოთქმული აგრესიული განცხადებებით გაითქვა სახელი, უწინდებურად წინა ხაზზეა.

როცა სააკაშვილი ეკონომიკის ახალი მინისტრის ახალ ფუნქციებზე ლაპარაკობდა, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის „მოღრუბლული“ სახის შეხედვა, მართლაც რომ ერთ რამედ ღირდა: პრეზიდენტი ხომ მთავრობის მეთაურს უფლებამოსილებას პირდაპირ ეთერში ართმევდა. ცერემონიაზე კაბინეტის დანარჩენი წევრებიც საკმაოდ დაღვრემილები ჩანდნენ. და მაინც, რატომ „გადართეს“ ეკონომიკაზე ოქრუაშვილი? — ამასთან დაკავშირებით თბილისში, სულ მცირე, სამი ვერსია მაინც არსებობს.

პირველის თანახმად, „ომის პარტიამ“ მარცხი განიცადა. სააკაშვილმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომის დაწყება ვერ გადაწყვიტა. თავდაცვის მინისტრმა კი, როგორც ცნობილია, დაიფიცა, რომ ახალ წელს „გათავისუფლებულ ცხინვალში“ შეხვდებოდა. როგორც ჩანს, პრეზიდენტი თავისი მთავარი „ქორის“ დაპირებების მძევალი ხდება.

მეორე ვერსიით, სააკაშვილმა თავდაცვის მინისტრი ვაშინგტონის მითითებებით მოიშორა, რომელსაც თბილისის საომარი რიტორიკის გამო, მოსკოვთან უსასრულო კამათი მოჰბეზრდა. აშშ-სთვის ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რუსეთთან ირანისა და ჩრდილოეთ კორეის საკითხებზე მოლაპარაკებაა და „ქართული გამღიზიანებლის“ გარეშე ცხოვრება ურჩევნია.

დაბოლოს, არსებობს მესამე ვერსიაც, რომლის მომხრეებიც, თბილისის პოლიტიკაში არანაირ სერიოზულ ცვლილებებს არ ელიან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სააკაშვილმა მხოლოდ და მხოლოდ ეშმაკური, ტაქტიკური მანევრი ჩაატარა. ოქრუაშვილის გადაყენებით საქართველოს პრეზიდენტმა კრემლს დაუსიგნალა, რომ დათმობებზე წასასვლელად მზად ვარო. ამასთან, მთელი მსოფლიოს წინაშე იმის დემონსტრირებაც მოახდინა, რომ სეპარატისტებთან კონფლიქტების საომარი გზით გადაწყვეტას არ აპირებს. მაგრამ ოქრუაშვილი მაინც „სტრატეგიულ რეზერვში“ რჩება და ადრე თუ გვიან, კვლავ დიდ პოლიტიკაში დაბრუნდება. მაგალითად — პრემიერის პოსტს დაიკავებს... თუ ასე მოხდა, მაშინ ისიც გასაგები გახდება, თუ ზურაბ ნოღაიდელი და მისი მინისტრები ასე რატომ ნერვიულობდნენ...

საქართველოს პოლიტიკა არ შეიცვლება

(REGNUM.RU **რუსეთი**)

...ძალოვანი ბლოკისთვის ოქრუაშვილის ჩამოცილება თითქოსდა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო უარს ამბობს აგრესიულ პოლიტიკაზე, რომლის მომხრეც თავდაცვის ყოფილი მინისტრი იყო. ალაპარაკდნენ „მშვიდობის პარტიის“ გამარჯვებაზეც, მაგრამ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, გივი თარგამაძემ თავდაცვის მინისტრის პოსტზე დავით კეზერაშვილის დანიშვნა სწორედ იმიტომ მოიწონა, რომ „ის თავდაცვის სამინისტროს იმ ტრადიციების შესაბამისად გაუძღვება, რომლებიც იქ ირაკლი ოქრუაშვილმა დატოვა“ — ანუ აქ არანაირ მშვიდობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი საქართველოს პოლიტიკა იგივე რჩება, ოღონდ ახლა, ძალისმიერს ეკონომიკური ასპექტიც დაემატება. ამიტომაც იმაზე ლაპარაკი, რომ ოქრუაშვილი საკუთარი განცხადებების მიუხედავად, ახალ წელს თბილისში დარჩება, არა მარტო ნაადრევი, არამედ უაზროცაა. თავის დროზე, თავდაცვის მინისტრის პოსტზე ოქრუაშვილის წარდგენისას, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის ამ პოსტზე მანამ დარჩებოდა, სანამ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს იურისდიქციას არ დაექვემდებარებოდნენ. საეჭვოა, სახელმწიფოს მეთაურს ამ აზრზე უარი ეთქვა. უფრო სავარაუდოა, რომ შექმნილ გარემოებებში, ქართული ეკონომიკის სათავეში ოქრუაშვილის ყოფნა უფრო მომგებიანია.

აშკარაა, რომ „მეამბოხე რეგიონები“ საქართველოზე ბევრად უფრო არიან დამოკიდებული, ვიდრე რუსეთზე, რომელსაც ისინი თითქოს მიეკუთვნებიან. მათზე ძალისმიერ ზეწოლას სრულიად უსარგებლო კონფლიქტი და კიდევ უფრო უსარგებლო ფინანსური დაბანდებები მოჰყვება. საქართველოს კი, ჯერ მასშტაბური ხარჯებისთვის არ სცალია. მისი მუდმივი საფიქრალი ახლა რუსული გაზისა და ელექტროენერგიის დაკარგვის შესაძლო პერსპექტივა და შესაბამისად, ახალი მიმწოდებლების ძებნაა.

არის კიდევ ერთი, წმინდა პოლიტიკური მომენტიც. საქართველოს შტატების იმედი უკვე აღარ აქვს. ახლა, როცა ბუშმა კონგრესში არჩევნები წააგო, რამსფელდი გადაყენებულია, ერაყი კი ამერიკის საგარეო პოლიტიკის აქილევსის ქუსლად რჩება, ამერიკელები შორეულ რეგიონებში წამოწყებულ ახალ ოპერაციებში ჩაბმას არ მოისურვებენ. მეტიც — ბოლო ხანებში ისინი სულ უფრო და უფრო ხშირად აცხადებენ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების საომარი გზით გადაწყვეტა მათთვის მიუღებელია.

ამრიგად, ამერიკელები საქართველოს მხარდაჭერას წყვეტენ და სააკაშვილის რადიკალურ მისწრაფებებსაც საყრდენი ეცლება. არაა გამორიცხული, რომ მოგვიანებით, შტატებში ამ საკითხს ისევ მიუბრუნდნენ და მაშინ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ სამხედრო აქტიურობაც ახალი ძალით იფეთქებს...

გაგრძელება იხ. გვ. 11

მოკრივისა და მომღერლის შესმატკბილება

ლალი ფაცია

ურიგო საუბარი არ გამოსვლია-ათ, კარგად შეჭუკჭუკდნენ, გაიხსენეს წარსული, მშობლიური კუთხე. ისინი ხომ გორიდან არიან, ერთი მიწა-წყლის ხალხი შეხვდა ჩვენს რუბრიკაში ერთმანეთს. პროფესიონალი მოკრივე გიორგი კანდელაკი და მომღერალი ნინა წკრიალაშვილი დღესდღეობით დედაქალაქის ცხოვრების ფერხულში აქტიურად არიან ჩაბმულები. თუ რას და როგორ აკეთებენ, რას ფიქრობენ ერთმანეთზე და საკუთარ საქმეზე, ეს მათ დიალოგში კარგად გამოჩნდა. შეხვედრა-პაემანი ვერაზე, გიორგის რეზიდენციაში შედგა.

რისთვის მაღალი თავი გიორგი კანდელაკმა და ვინ უყვარს ნინა წკრიალაშვილს

ქურნალისტი — ნინა წკრიალაშვილი
რესპონდენტი — გიორგი კანდელაკი

— გიორგი, ვარიანში კი გაქვს კრივის დარბაზი გახსნილი, მაგრამ ასეთი სპორტული კომპლექსი, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, ვფიქრობ, თბილისშიც იყო საჭირო და გახსენი კიდეც. გილოცავ! არაჩვეულებრივი სპორტულ-გასართობი ცენტრია. შენი წარმატება ყოველთვის მახარებდა მეც და მთელ ჩემს ოჯახსაც, რადგან ერთი კუთხის, მიწა-წყლის ხალხი ვართ. ჩემს ოჯახში ყველას განსაკუთრებულად უყვარხარ. რაც მთავარია, წარმატებას იმსახურებ. როდის დაიწყე ამ ყველაფრის თბილისში კეთება?

— დიდი მადლობა თბილი სიტყვებისთვის! მიხარია, რომ ერთი კუთხის შვილები შევხვდით ერთმანეთს. მეამაყება, რომ ვარიანელი ვარ. ძალიან მიყვარს ჩემი კუთხე. პატივს ვცემ შენს ოჯახს და ყველანი მიყვარხართ. ახლა სპორტულ კომპლექსზე გეტყვი: ეს შენობა 2004 წელს შევისყიდე, თითქმის დანგრეული იყო. სხვათა შორის, უწინ აქ კრივის დარბაზი გახლდათ. ასე რომ, კრივის დარბაზი კრივს დაუბრუნდა. მიმდებარე ტერიტორია ნაგვისგან გავწმინდეთ. თავიდან ჯერ ერთი სართული გავარემონტეთ, მერე — მეორე. ამ შენობის სარდაფში ძველი ქართული აგურით ნაშენი კედლები და თაღები აღმოვაჩინეთ, რომლებიც მთლიანად მიწით იყო ამოვსებული. მთელი ექვსი თვის განმავლობაში, ხელით ვთხრიდით, რადგან მანქანა ვერ უდგებოდა. ულამაზესი, ძველი ქართული ნაგებობა გამოჩნდა. როგორც ჩანს, ადრე აქ ღვინის სარდაფისა თუ მარნის გაკეთება უნდოდათ. აღმოჩენილი დარბაზი გავარემონტეთ, ცოტა ხანში მას საზეიმო ვითარებაში გავხსნით. ამ სპორტულ კომპლექსში სკოლაც არის, საბავშვო ბაღიც. ბავშვები კრივის მიმართ დიდ დაინტერესებას იჩენენ. მსურველებს ვეღარ ვიტევთ. საბავშვო ბაღიდანაც ჩამოჰყავთ პატარები კრივის დარბაზში და აქ თამაშობენ.

— ისე, რა ასაკიდან შეიძლება უკვე კრივში სერიოზული ვარჯიშის დაწყება?

— 7 წლის ასაკიდან. წინათ ამ დარბაზში ვერაზე მცხოვრები ბავშვები დადიოდნენ და ვარჯიშობდნენ. აქ აღიზარდნენ. ჩვენი საქმიანობა ცოტა ხნის წინ გავაფართოეთ და პროფესიული ორთაბრძოლები დავიწყეთ. გლდანში ერთ-ერთი კლუბი ავიღეთ, რინგი გავმართეთ, იქ ხუთშაბათობით სარეიტინგო ბრძოლები ჩატარდება. იქ სარეიტინგო ქულებს დაგროვებენ ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი მოკრივეები, რომ ამ „ჩხუბებით“ მსოფლიო რეიტინგში შევიდნენ.

— ესე იგი, კრივი საქართველოში გამოცოცხლდა, არა?

— კი, ასეა. ისე მოხდა, რომ ქართველმა გოგონებმაც მოინდომეს და კრივის ფანკლუბი შექმნეს. მათ შორის, ცნობილი ქალბატონებიც არიან...

— მეც შემოგიერთდებით. კარგია, ქართულ სპორტს ქომაგობა სჭირდება.

— ქართველ ბავშვებს, ახალგაზრდებს უნდა ვუჩვენოთ, რომ მიუღწეველი არაფერია; რომ აქ, ისევე, როგორც ბრაზილიაში, ამერიკაში, იაპონიაში, შეიძლება ოცნების ახდენა — გახდნენ ამა თუ იმ სპორტის სახეობაში ჩემპიონები.

— თავად როდის მიხვდი, რომ კრივში დიდი წარმატების მიღწევა შეგეძლო?

— თავიდან, კრივზე რომ მივედი, გორში, ერთადერთი ბიჭი იყო, საქართველოს მესამე პრიზიორი. გორელებს მეტი წარმატება არ ჰქონდათ. ისეთ სურათს გვისახავდნენ, რომ აქ მეტის მიღწევა — ჩემპიონობა წარმოუდგენელი იყო. მაგრამ საქართველოს ჩემპიონობას მივაღწიე, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში უცხოელებს რომ შევხვდი, მივხვდი — უფრო მეტიც შემეძლო. მთავარი — იდეოლოგიაა: ბავშვს თავში უნდა ჩაუდო, რომ მას შეუძლია. არადა, ქართველი ბავშვები „ჟილკიანები“ არიან, ეს დღესდღეობით განსაკუთრებით იგრძნობა. მეც ვცდილობ, მათ ყველანაირი პირობა შევუქმნა, რომ მიზანს მიაღწიონ.

— გიორგი, მახსოვს, ერთი პერიოდი, კრივს თავი დაანებე: აღარ ასპარეზობდი...

— კრივს თავი ორჯერ დავანებე...

— ისიც მახსოვს, შენი გულშემატკივრები, ვარიანელები, ჩვენც როგორ განვიცდიდით ამას. ყველანი კრივში დაბრუნებას გირჩევდნენ და გთხოვდნენ... და სანამ მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდი, ორი თვით ადრე ისევ დაიწყე ვარჯიში...

— კი *(იცინის)*, ასე იყო...

— მამაჩემი და ჩემი ძმა შენს სანახავად და საგულშემატკივროდ ამერიკაში წავიდნენ... ჩემპიონი რომ გახდი, ყველა შენით ამაყობდა. პატარებს რომ ეკითხებოდნენ — ვინ უნდა გამოხვიდეთო? — პასუხობდნენ — გიორგი კანდელაკიო *(იცინის)*. შენი შვილი — თარაში ჩემს შვილთან მეგობრობს და ვიცი, რომ მას მოკრივეობა აქვს გადაწყვეტილი. ის კი არა და, მოკრივეობა გოგონასაც უნდოდა...

— *(იცინის)* გოგონა ჯერ 4 წლის არის. მასაც ჰქონდა ასეთი სურვილი... ბიჭსაც უნდა, მოკრივე გახდეს. არ ვეწინააღმდეგები. არ ვფიქრობ იმაზე, რომ მას ვიღაცა ცხვირს გაუტეხს. რა მოხდა მერე?! ნაზი კაცი ხომ არ იქნება... მინდა მოკრივე გამოვიდეს, მით უფრო, რომ ამაზე თვითონ ოცნებობს. მთავარია, მოინდომოს, შინაგანად შეუყვარდეს. ჯერ 8 წლისაა. ხვალ შეჯიბრება აქვს და ვარიანელებთან შესახვედრად ემზადება.

— მოკლედ, ვარიანშიც ზრდი მოკრივეებს და თბილისშიც. ქართული კრივის „მამა“ ხარ. აუცილებელი არ არის, შენი აღსაზრდელებიდან ყველა ჩემპიონი გამოვიდეს. მთავარია, რომ თავისუფალ დროს ბავშვები უქმად არ ხარჯავენ და კრივით არიან დაკავებულები... პირადად ვიცნობ და პატივს ვცემ პეტრე ცისკარიშვილს, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ ის საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა. შეიძლება, მას

კრივი თეორიულად კარგად ესმის, მაგრამ ვფიქრობ, ის პრაქტიკოსი არ არის. შენ რას ფიქრობ ამაზე?

— კრივის ფედერაცია მე თვითონ დავტოვე, რადგან შესაბამის ფინანსებს არ მირიცხავდნენ. ამიტომაც წამოვედი. მივიდა პეტრე.

— ახლა პეტრე დაგეხმარება?

— ჩვენ ახლა კონკურენტები ვართ: მე საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაციის პრეზიდენტი ვარ, ის — საქართველოს სამოყვარულო კრივის ფედერაციის პრეზიდენტი.

— გიყურებ და მეჩვენება, რომ წონაში საგრძნობლად მომატებული ხარ. ალარ ვარჯიშობ?

— ორი წელია, აქტიურ სპორტს ჩამოვშორდი და ბავშვების, კრივში ახალი თაობის აღზრდით ვარ დაკავებული.

— ისე, ვფიქრობ, რომ აქტიური კრივიდან ადრე წახვედი...

— ჯერ წასვლის დრო არ იყო, მართალია. მაგრამ ბავშვობაში თვალის ტრავმა მქონდა მიღებული, რომელიც აქტიურმა სპორტმა გამიმწვავა. ახლა იშვიათად ვიცლი ვარჯიშისთვის. მენატრება რინგი, სხვანაირად არც შეიძლება: 7-8 წლის ასაკიდან კრივით ვიყავი დაკავებული. თუ ძალიან მომინდება ჩხუბი, ვიცვამ და დარბაზში გავდივარ. ხან მე მომარტყამენ, ხან მე მივარტყამ ვიღაცას...

— მოკრივისთვის მთავარი რა არის?

— ჭკვიანი უნდა იყოს და მიზანდასახული...

— ძალა საჭირო არ არის?

— იმდენი — არა, ჭკუაა მთავარი. ცოტა მძიმე სპორტია, გართობა და კრივი ერთმანეთთან არ თავსდება. ამიტომ, ყველაფერი უნდა გადადო, თუ გინდა, რომ წარმატებას მიაღწიო.

— კრივმა რა მოგიტანა?

— საკუთარი თავის რწმენა განმიმტკიცა. მჯერა ჩემი თავის!

— ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი ხარ, ბავშვობიდან საქმიანი, პოპულარული ბიჭი იყავი. მახსოვს, ბევრი გოგო იყო შენზე შეყვარებული. მამაჩემისთვისაც სამაგალითო ბავშვი იყავი. ძალიან უყვარდი, უნდოდა, რომ სულ რაღაცაში დაგხმარებოდა.

— კი, მართალია. მამაშენისგან ბევრი სიკეთე მახსოვს... განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გორის მერი იყო.

— მინდა, წარმატებები, ბედნიერება და ჯანმრთელობა გისურვო.

— დიდი მადლობა!

ჟურნალისტი – გიორგი კანდელაკი
რესპონდენტი – ნინა წკრიალაშვილი

— ბევრი რომ ამბობს — ნინა ახლა გამოჩნდაო, — ეგ ტყუილია: შენ ბავშვობიდან, ყოველთვის ყველგან ჩანდი და საკმაოდ აქტიური ადამიანი იყავი და ხარ. თავიდანვე გგულშემატკივრობდი. მოდი, ახლა გაიხსენე, ვინ შეგაყვარა სიმღერა, როდის და როგორ დაიწყე?

— გორში ბავშვობიდან ანსამბლში ვუკრავდი და ვმღეროდი. იქ, სადაც გამოდიოდნენ ანსამბლები: „მზიური“, „ნერგები“, „ლახტი“, ჩვენც ვიყავით. სიმღერასთან ერთად, „კლავიშებზე“ ვუკრავდი, ფლეიტაზეც. არაერთ საახალწლო გადაცემაში მიმიღია მონაწილეობა, ლევან ლაზარიშვილთან, ირმა სოხაძესთან, ეკა მამალაძესთან, ნუგზარ ერგემლიძესთან ერთად. მოსკოვში, ცენტრალურ ტელევიზიაშიც გამოვსულვარ გადაცემაში „Шире Круг“. ჩანაწერებიც არსებობს. მერე დრო შეიცვალა, ყველამ შეაჩერა აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა, მეც გავჩერდი. შემდეგ გავთხოვდი, ბავშვი გავაჩინე. მოგვიანებით კი მივხვდი, რომ მუსიკის გარეშე აღარ შემეძლო. ნოსტალგია განსაკუთრებით მაშინ მომეძალა, როცა ქმარს გავცილდი. მამაჩემმა მითხრა — რაც გინდა, ის ქენიო. სტუდია გავხსენი და მუსიკას მივუბრუნდი.

— მას მერე რამდენი ხანი გავიდა?

— უკვე მეოთხე წელია; 25 წლის ვიყავი, ჩემი „პოპულარული“ ბავშვობის შემდეგ პირველი სიმღერა რომ ჩავწერე. კი ვფიქრობდი, გვიანია-მეთქი, მაგრამ მაინც მომაჩნია, რომ გვიანი არასდროს არ არის... პირველი სიმღერის ჩაწერას, რომელსაც „მატირე“ ერქვა, კლიპიც მოჰყვა. ამ ნამუშევარმა პოპულარობა მომიტანა. იმ სიმღერით დღემდე ვახსოვარ ხალხს. კრებით (სხვადასხვა) კონცერტში, რომელიც თბილისსა თუ რეგიონში ტარდება, ყოველთვის მიწვევენ და ვმონაწილეობ. ცოტა ზარმაცი კი ვარ, მეტის გაკეთება შემიძლია.

— ისე, შენი „მატირე“ ჰიტი იყო, მეც კარგად მახსოვს. ალბომს როდის გამოუშვებ?

— დაახლოებით ერთ თვეში. ხომ ვთქვი, ვზარმაცობ-მეთქი. იმის გამო, რომ ჩემი სტუდია დაკავებულია და ჩემი სიმღერებისთვის არ სცალიათ, დიდად თავს არ ვიწუხებ...

— ესე იგი, საკუთარ შემოქმედებას ღალატობ და ბიზნესს — არა?..

— არა, არა; ისე, ბოლოს მივხვდი, რომ ასე არ შეიძლება. გადავწყვიტე, საკუთარ თავს მივხედო, თორემ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ერთ ადგილას გავიყინე.

— იცოდე, რომ გულშემატკივარი მუდმივად შენგან სიახლეს ელის..

— ვიცი და მალე ბევრი ახალი სიმღერა მექნება. ორ ალბომზე ერთდროულად ვიწყებ მუშაობას. გაზაფხულზე ბენდის აყვანას ვგეგმავ. ამ საკითხზე ანრი ჯოხაძესთანაც მილაპარაკია. ცოცხალი კონცერტის ჩატარება გვინდა, როგორც გავიგე, ზოგიერთებს ჩემში, ჩემს მუსიკალურ მონაცემებში ეჭვი ეპარებათ. პირველ რიგში, ისინი უნდა მოვიწვიო კონცერტზე და დავუმტკიცო, რომ ცდებიან. თან, უნდა დავუკრა კიდეც...

— ჩემთვის პატივსაცემი ადამიანი — მამაშენი ზურა როგორ შეხვდა შენს გაპოპულარულებას? რომ ვაკვირდები, ხშირად ხარ ამა თუ იმ ჟურნალის გარეკანზე. მამა რას გეუბნება ხოლმე?

— ვერ ვიტყვი, რომ არ სიამოვნებს, როდესაც ეკითხებიან, თქვენ ნინას მამა ხართო? ამბობს, ამას რას მოვესწარიო!.. ამას წინათ, ვიღაც ქალს რაღაც საქმეთან დაკავშირებით, მისი პასპორტი უნახავს, უკითხავს — ნინა წკრიალაშვილი თქვენი ვინ არისო? — დიდი ვინმეც ეგ არის, ნეტავ, რა მომღერალიაო?! — უპასუხია. — რას კადრულობთო! აღშფოთებულა ის ქალი. კინაღამ მცემა და პასპორტი თავზე დამახიაო, — მითხრა მამამ. ჩემს ზოგიერთ სურათს, რომელიც ჟურნალის გარეკანზე იბეჭდება, იწუნებს. მეტყვის ხოლმე: ან როგორ ზიხარ, ან რა გაცვიაო?.. ახლა კომპრომისს მივაღწიეთ: სცენაზე, გადაცემებში ჟურნალების ყდებზე „თამამი“ ჩაცმულობა მეპატიება, ცხოვრებაში — ნაკლებად. თუმცა, არასდროს ჩავიდენ ისეთ რამეს, რაც მამას გულს ატკენს. ის მართლა ძალიან მიყვარს. ამას რომ ვეუბნები ან ვეფერები, მპასუხობს — აფერისტი ხარ, რაღაც გინდა, რომ მოგცე და ასე იმიტომ იქცევიო, — მაგრამ მართლა ძალიან მიყვარს მამა და მეამაყება, მისი შვილი რომ ვარ (ზოგჯერ ვფიქრობ, რომელი უფრო მეტად მიყვარს — შვილი თუ მამა?..). ყველა ცივილიზებული ადამიანი უნდა შეეგუოს იმას, რომ მომღერალი სცენაზე, უმეტეს შემთხვევაში, „თამამად“ ჩაცმული გამოვა.

— ესე იგი, მამასთან ხელშეკრულება ამასთან დაკავშირებით, დადებული გაქვს?

— კი. ისე, დღევანდელ შოუბიზნესში იმდენად ცოტა რამ ხდება, იმდენად გაიყინა ყველაფერი, ვიღაცებმა თუ თამამი ნაბიჯები არ გადადგეს, წინ ვერ წავალთ, ვერ განვვითარდებით. თუმცა, ყველაფერი ნორმის ფარგლებში, ორიგინალურად და

ნინა: ქართულ კრივს ქომაგობა სჭირდება

ესთეტიკურად უნდა იყოს მაყურებლისთვის მიწოდებული.

— დრო შეიცვალა, წავიდა ის პერიოდი, როცა ჩვენი მშობლების თაობის მომღერლები სცენაზე კოსტიუმებით გამოდიოდნენ. შოუბიზნესს ახლა სხვა მოთხოვნები აქვს.

— ისე, ახალი სკანდალური კლიპის გადაღებას ვაპირებ.

— უნდა გაიხადო?..

— არა, არა ანრისავით გაშიშვლებას არ ვაპირებ *(იცინის)*. თუმცა, მისი კლიპი ძალიან მომეწონა.

— ანრი მშვენიერი მომღერალია, კარგი ხმა აქვს.

— გეთანხმები.

— ბავშვზე მინდა გკითხო: ვიცი, რომ ის ფეხბურთზეა შეყვარებული.

გიორგი: თუ ჯერ რომ წარმაგებას მიაღწიო, ყველაფერი გვერდზე უნდა გადადო

გინდა, რომ ფეხბურთელი გამოვიდეს?

— ბავშვს მოსწონს სპორტის ეს სახეობა. მივიყვანე ფეხბურთზე. მწვრთნელმა მითხრა, ნორმალური მონაცემები აქვსო. ჯერ 8 წლის არის. თუ არაფერი გამოუვა, ჯანმრთელი მაინც გაიზრდება. ვნახოთ. „მილანში“ თამაშზე ოცნებობს. შეჭენკო მოსწონს. სკოლაში კარგი მოსწავლეა, დადის ცურვაზე, ცეკვაზე, ინტერნეტი იზიდავს, კითხულობს...

— სიმღერა არ უნდა?

— კარგად მღერის, მაგრამ გამომიცხადა — მომღერალი ბიჭები არ მიყვარსო. მეც ზოგჯერ მიწუნებს საქმიანობას, — რა შეჭამე გული შენი კონცერტებითო!.. თუმცა, როცა ტელეეკრანზე მხედავს, სიამოვნებს. ველარ გავიგე, რა უნდა... ისე, ჯერჯერობით კარგად ვუგებთ ერთმანეთს. თუ ველარ გავუგებთ, მეც ავდგები და აღარ ვიმღერებ. მპირდება — დედიკო, მე რომ „მილანში“ ვითამაშებ, მაგარ მანქანას გიყიდიო. ვნახოთ... ■

არჩევნების დღე

ანუ ის, რაც კამერებს მიღმა დარჩა

დასაწყისი იხ. გვ. 6

— გამოდის, არც რუსების მიმართ ხართ სიმპათიით განწყობილი?

— ლოგიკურია. რუსეთს, ისევე, როგორც საქართველოს, თავისი მიზნები ამოძრავებს. მთავარი ალბათ, სამშვიდობო ჯარის აქ ყოფნა და კონტრაბანდის წარმოებაა...

— რამდენადაც ვიცი, ცხინვალის მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობაა...

— იცით, ხალხს არსებობა უნდა და იმისათვის, რომ ოჯახის წევრები შიმშილით არ დაეხოცოს, რაღაც უნდა გააკეთოს. როცა შვილს მოშივდება, უკანონობაზე არავინ ფიქრობს. ჯავაშიც მაქვს სახლი, სადაც ჩემი ქალიშვილის საფლავია. იქ ხშირად მიწევს ჩასვლა. ქართველები იქ დღემდე შიშის ქვეშ ცხოვრობენ, მაგრამ სახლ-კარს ვერ ტოვებენ, რადგან იციან, რომ საქართველოში ათასობით დევნილის ბედი უნდა გაიზიარონ.

— ადგილობრივ ქართველებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— არასდროს მიბრძოლია და მათთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ორ ხალხს შორის სიტუაციის დაძაბვა ისევ პოლიტიკოსთა ზეგავლენით ხდება. როდესაც ერთ-ერთ ქართულ ტელეარხზე სანაკოევის წინასაარჩევნო კამპანიას უჩვენებდნენ, მან „ქართულად“ იცეკვა. მახსოვს, ჩემი ქართველი მეზობლების აღფრთოვანებული სახეები, ისეთი ამაყები იყვნენ, თითქოს სამხრეთ ოსეთი უკვე მათი იყო და ამ მიწაზე ქართული დროშა ფრიალებდა. მართალია, ეთნიკური ნიშნით არასდროს გამირჩევია მეზობლები, მაგრამ იმ დღეს ეჭვი შემეპარა — თუ აქ ქართული იურისდიქცია აღდგა, დაგვიცავენ თუ არა ისინი ისე, როგორც ჩვენ მათ ვიცავთ წლების განმავლობაში?.. რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, — ჩვენთან დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როგორიც დანარჩენ საქართველოში იყო შევარდნაძის დროს: კოკოითის კლანი ვითარებას აკონტროლებს და მთავარი, შავი ფული მის ხელში ტრიალებს; ჯართის ბიზნესი, დოლარების გადამცვლელი პუნქტები, სიგარეტისა და ცემენტის ბიზნესი აქვთ, ისინი, ვისაც „კრიშა“ ჰყავს, იარაღით ვაჭრობასაც არ ერიდებიან და მართალი გითხრათ, არც უჭირთ. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ნაწილი კოკოითის რეჟიმს ვერ თმობს, კერძო ბიზნესის დაკარგვის შიშია. რა თქმა უნდა, 15 წლის წინ მომხდარი ომის გამო, შიშის ფაქტორიც ძალიან დიდია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდება, თავიდან შესაძლოა, ჩვენი უფლებები არ შეილახოს, მაგრამ ეს მდგომარეობა მცირე ხანს გასტანს, მერე კი, ისევ ძველი პრობლემები წამოიჭრება, რადგან ნებსმიერი სახელმწიფო ამ პრინციპით მოქმედებს.

— მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარე კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე ლაპარაკობს, თქვენ აღნიშნეთ — ცხინვალის რეგიონი ახალი წლის დადგომას შიშით ელოდებაო...

— ვერ გეტყვით, რომ შიშით, მაგრამ ვგრძნობთ, რომ საფრთხე არსებობს. ამ შემთხვევაში კი, გვინდა თუ არ გვინდა, კვლავ რუსეთის დახმარების იმედი გვექნება. ჩვენ არ გვჭირდება ფართო კულტურული ავტონომია, საქართველოს ფარგლებში, რადგან გაცილებით მეტი ინფორმაცია გვაქვს თბილისის გეგმებზე, ვიდრე ეს ქართულ მხარეს ჰგონია. მე, როგორც სამხრეთ ოსეთის მოქალაქეს, არც რუსეთის მოქალაქეობა მინდა, არც საქართველოსი. სამწუხაროდ, ახალგაზრდა თაობაში გარუსების სურვილი დიდია...

— მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის ინიციატივით, ცხინვალში შემოსულ ჰუმანიტარულ დახმარებაზე რას იტყვით?

— თუკი ქართულ მხარეს ჰგონია, რომ ამ მანქანებით იარაღი შემოვიდა, ძალიან ცდება — ეს სასაცილოა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სამხრეთ ოსეთი რუსული იარაღით გაძეძგილია. არ არსებობს ერთი ოჯახიც კი, სადაც იარაღი არ ინახება და ამას თავისი მიზეზი აქვს: ხალხი საკუთარ უსაფრთხოებაზე თავად ზრუნავს. გარდა ამისა, რუსული იარაღი სხვა გზებითაც შემოდის ცხინვალის რეგიონში და თუკი ლუჟკოვს კიდევ ერთი ასეთი საჩუქრის გაკეთება მოუნდებოდა, ამას ასე, ზარ-ზეიმით კი არ გააკეთებდა, საერთაშორისო საზოგადოებაში კითხვები რომ გაჩენილიყო, არამედ ღამით ჩუმად შემოიტანდა და მერწმუნეთ, ამაში ხელს ვერავინ შეუშლიდა.

ილია ჩიტიშვილი, *ერედვის მცხოვრები:*

— ტყუილია, როდესაც ოსური მხარე აცხადებს, რომ ცხინვალის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ხმა კოკოითს მისცა, რადგან მთელი დღის განმავლობაში, შემოვლითი გზებით, ცხენითა და სახედრებით, როგორც ქართველი, ისე ოსი ადამიანები ჩამოდიოდნენ, რათა საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინათ. მართალია, ეს არჩევნები საქართველოს ხელისუფლებამაც არ ცნო, მაგრამ მთავარია, რომ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. დღეს კოკოითის ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ დიდი დღე აღარ უწერია და ერთადერთ იმედად, რუსეთის მხარდაჭერა რჩება. ოს ხალხსაც მოჰბეზრდა 15 წლის განმავლობაში გაურკვეველ ვითარებაში ცხოვრება. გარდა ამისა, „გარუსების ფაქტორი“ ცხინვალის რეგიონშიც სერიოზულ საფრთხედ მიაჩნიათ.

— თუმცა, როგორც ირკვევა, ისინი ქართული მხარისგან კვლავ შეიარაღებულ შეტევას ელიან...

— ეს რუსეთის პროპაგანდის ზეგავლენის შედეგია. სინამდვილეში, ამას ის ხალხი ამბობს, ვინც დღემდე შავი ბიზნესით ცხოვრობს და მისი დაკარგვის ეშინია. კოკოითის ხალხი იმასაც ამბობს, ცხინვალში ვინც სანაკოევს ხმა მისცა, ქართული მხარის მიერ არის დაფინანსებულიო. ერედვში ვცხოვრობ და ჩემი თვალით ვხედავდი, თუ როგორ საგულდაგულოდ აკონტროლებდნენ არჩევნების დღემდე ე.წ. ქართულ-ოსურ საზღვარს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ორმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა. ცნობს თუ არა მას საერთაშორისო საზოგადოება, — ეს უკვე სხვა საკითხია. ■

ოქროუბაშვილი, ცხინვალი და „ოსეთად“ ნაცემი ჩუსი ჟურნალისტი

დასაწყისი იხ. გვ. 7

სადღესასწაულო ძარცვა

(Время новостей, *რუსეთი*)

გაზეთ Время новостей-ს კორესპონდენტი — ივან სუხოვი ცხინვალის ცენტრში მაშინ გაძარცვეს და სცემეს, როცა აუღიარებელი რესპუბლიკის დედაქალაქში „შემდგარ“ საპრეზიდენტო არჩევნებსა და რეფერენდუმს ზეიმობდნენ. ამის მიუხედავად, სუხოვმა საკუთარ რედაქციას მაინც მიაწოდა მასალა, რომელშიც როგორც არჩევნების შედეგებზე, ისე თავს გადახდენილ სამწუხარო ინციდენტზეც მოუთხრო.

საზეიმო ღონისძიებები ცენტრალურ მოედანზე საღამოს 8 საათზე, საარჩევნო უბნების დახურვისთანავე დაიწყო. ამ მომენტისთვის ქალაქის ქუჩებში უკვე ეროვნულდროშებიანი ავტომობილები დაქროდნენ. კაპოტებზე მოკალათებულ ახალგაზრდებს კი, ხელში შამპანურის ბოთლები ეჭირათ. საქმეში ჩაუხედავ ადამიანს შეიძლება, ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეჰქმნოდა, რომ სამხრეთ ოსეთმა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. საღამოს ცხრის ნახევარზე, მოედნის ესტრადაზე სიტყვით გამოვიდა ედუარდ კოკოითი, რომლის მეორე ვადით არჩევას, როგორც ახლა უკვე ცნობილია, სამხრეთ ოსეთის ამომრჩეველთა 96%-მა მისცა ხმა. კოკოითის აზრით, ეს შემდგარი არჩევნები არის რესპუბლიკის პასუხი „ყველასთვის, ვინც დემოკრატიას გვასწავლის“. პრეზიდენტის სიტყვებს ხალხი ოვაციით შეხვდა. მოედანზე ოსეთისა და რატომღაც, კრემლის მომხრე რუსული მოძრაობა Наши-ს თეთრწითელი დროშებიც ფრიალებდა.

შეკრებილთა შორის ჩემი ძველი ნაცნობი, ჩრდილოეთ ოსეთის ახალგაზრდული პოლიტიკის მინისტრის მოადგილე — ალან ბაგიევი შევნიშნე, რომელიც დღესასწაულზე ვლადიკავკაზის დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა. გარშემო მყოფთა სადღესასწაულო განწყობილების შესაბამისად, ჩვენც თითო ქილა ლუდი ვიყიდეთ, სცენის უკან დავდექით და ამ ისტორიული დღის შედეგებზე მსჯელობა დავიწყეთ. მასობრივი დღესასწაულების ცხინვალელმა ორგანიზატორებმა მოსკოვის დონეს ჯერ ვერ მიაღწიეს და ხალხი გადასატანი ტუალეტებით ვერ უზრუნველყვეს, ამიტომაც, რაღაც მომენტში იძულებული გავხდი, იმ სანახევროდ მორღვეულ ღობეს მოვფარებოდი, რომელიც დამწვარ დრამატულ თეატრს ერტყა გარს. თუმცა, მოფარებული ადგილით სარგებლობა ვერ მოვასწარი, რადგან ვიღაცამ მხრიდან ზურგჩანთა მომგლიჯა, რაზეც ინსტინქტურად შემოვბრუნდი და სწორედ იმ მომენტში, სახეში ისეთი ძლიერი დარტყმა მივიღე, რომ უმალ დავეცი...

ჩემს საშველად მოსული ადამიანები თავიანთი დამნაშავე თანამემამულეების ნაცვლად მიხდიდნენ ბოდიშს. შემთხვევის ადგილიდან ორმოცდაათ მეტრში მდებარე შინაგან საქმეთა სამმართველოს მილიციელებმა ჩემი განცხადება ხალისით ჩაიბარეს, მედდაც გამოიძახეს და დილისთვის დამნაშავეთა დაკავებასა და ზურგჩანთის დაბრუნებასაც დამპირდნენ. ქალაქის საავადმყოფოს ექიმები, რომლებმაც მეორე დღეს მარჯვენა თვალის ბუდის არეში ბზარის არსებობის დიაგნოზი დამისვეს, აღშფოთებას ვერ ფარავდნენ „უგვანო“ ადამიანების საქციელის გამო.

ხელისუფლების წარმომადგენელთა რეაქცია ბევრად უფრო მრავალფეროვანი აღმოჩნდა. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის კომიტეტის ხელმძღვანელმა, ირინა გაგლოევამ ნაშუადღევს, დაინტერესებულ კოლეგებს აუხსნა, რომ ჩემი უსიამოვნებები ძირითადად, ჩემ მიერ შესმულ ალკოჰოლურ სასმელებთან იყო დაკავშრებული. მინდა, მჯეროდეს, რომ ხულიგნებს, რომელთაც დამოუკიდებლობის დღესასწაულის კულისებში გადავეყარე, მართლაც, მხოლოდ ჩემი ზურგჩანთა და ის მატერიალური ფასეულობანი აინტერესებდათ, რომლებიც იქ, საზღვარგარეთის პასპორტის, მართვის მოწმობის და ციფრული დიქტოფონის გარდა ეგულებოდათ. მაგრამ კვირას, ქართულ სოფელ ავნევში სტუმრობა, რომელიც არც სამხრეთ ოსეთის და არც საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებული არ იყო და მთლიანობაში, ორი საათი თუ გასტანა, ცხინვალში თავს გადახდენილ უსიამოვნებამდე ხუთი საათით ადრე, სრულიად მშვიდობიანად დასრულდა. თუმცა, იქ მე და ჩემი რამდენიმე კოლეგა-ფოტოგრაფი ქართული ტელევიზიის ჟურნალისტებმა ფართო პლანით გადაგვიღეს, ხოლო ცხინვალში დაბრუნებიდან 15 წუთის შემდეგ, სამხრეთ ოსეთის ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის კომიტეტის თანამშრომელმა ქალებმა პრესცენტრში მომაკითხეს და მკითხეს — შაბათს ან კვირას რომელიმე ქართულ პოსტზე ხომ არ დაუკავებიხართო? მე პატიოსნად ვუპასუხე, რომ ავნევში მხოლოდ კვირას, ნასადილევს ვიყავი, შაბათს კი, სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი წამითაც არ დამიტოვებია.

ორშაბათს დილით, ინციდენტის კრიმინალურ არსში ჩემი საბოლოო დარწმუნება პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა სცადა. პრესკონფერენციაზე ჩემს ერთ-ერთ აღელვებულ კოლეგას მან განუცხადა: გონებაში ვერც კი გავივლებ იმ აზრს, რომ სამხრეთ ოსეთის სპეცსამსახურები ჟურნალისტებს მათი პროფესიული საქმიანობისთვის უსწორდებიან... ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ჟურნალისტები აქ იყვნენ და იმუშაონ, რაც საქართველოს ძალიან არ მოსწონს, — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა: — ყველას გთხოვთ, რომ რთული ვითარების გათვალისწინებით, ხალხმრავალი ადგილებიდან შორს არ გახვიდეთო... ორი დღის მანძილზე, კოკოითმა უკვე მეორედ სცადა რუსული ჟურნალისტური საზოგადოების წინაშე ახსნა-განმარტებით გამოსვლა (როგორც Время новостей უკვე წერდა, უშუალოდ არჩევნების წინ, უცნობმა შეიარაღებულმა ფორმიანებმა „პირველი არხის“ გადამღებ ჯგუფს გენერატორი წაართვეს). პრეზიდენტი ორივე ინციდენტს სამხრეთ ოსეთის დისკრედიტების ცდად მიიჩნევს(!).

ალბათ, ისიც საინტერესოა, რომ არჩევნებამდე ორი თუ სამი დღით ადრე, ცხინვალში გავრცელდა ცნობა — ქართული მხარე მზადაა, ყოველ ნაცემ უცხოელ ჟურნალისტში 500 დოლარი გადაიხადოსო. სავსებით შესაძლებელია, სანამ სამხრეთ ოსეთის მამაცი მილიცია ჩემს თავდამსხმელებს შეიპყრობს, ამ უკანასკნელთ სადღაც თავიანთი 500 დოლარის მიღებაც მოასწრონ და ერთი ამდენი ჩემს ზურგჩანთაში აღმოჩენილ აღჭურვილობასა და დოკუმენტებშიც „გამოიმუშაონ“. მე კი ისღა დამრჩენია, ორად ორი ზედაპირული შთაბეჭდილება გაგიზიაროთ. ჯერ ერთი, ჩემი თავდამსხმელები ერთმანეთს ოსურად უყვიროდნენ და მეორე: ქართულ სოფელ ავნევში, რომელსაც სამხრეთ ოსეთის ხელისუფალნი „დროებით ოკუპირებულად“ აცხადებენ, აშკარად მეტი სიმშვიდეა, ვიდრე თეატრის ნანგრევებით დამშვენებული ცხინვალის ცენტრალურ პარკში.

ისე, ახლა სამხრეთ ოსეთში ისეთი ადამიანებიც გაჩნდნენ, ვინც შეიძლება, ცხინვალი მიიჩნიოს „დროებით ოკუპირებულად“. ერედვში განლაგებული ალტერნატიული საარჩევნო კომისიის მონაცემებით, რეალურ არჩევნებსა და საქართველოსთან მოლაპარაკებების დასაწყებად გამართულ რეფერენდუმში 40 ათასზე მეტმა — ანუ სულ რაღაც 10 ათასით ნაკლებმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, ვიდრე ძირითად, ოფიციალური „ნების გამოხატვაში“. მათმა 80%-მა კი ისიც განაცხადა, რომ თავის პრეზიდენტად დიმიტრი სანაკოევის ხილვა სურს.

ისე, ორმოცათასიანი შედეგი ცოტა გადამეტებული კი ჩანს: კვირას, დაახლოებით 3 საათისთვის ერედვის კომისია აცხადებდა, რომ უკვე დაახლოებით 6 ათასმა კაცმა მისცა ხმა. ამიტომაცაა, რომ საღამოს 5 საათისთვის ხმის მიმცემთა რაოდენობის ექვსგზის გაზრდა გარკვეულ ეჭვს ბადებს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ ქართული ანკლავების მიერ დაკავებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ერთ მესამედზე ახლა, არჩეული ალტერნატიული ხელისუფლება გაჩნდა, რომელიც მზადაა საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად. მართალია, რამდენიმე ათეულმა უცხოელმა დამკვირვებელმა გამოაცხადა — ოფიციალურ არჩევნებზე არც ერთი დარღვევა არ გვინახავსო, — დიდია იმის ალბათობა, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში უფრო დამაჯერებლად მაინც ერედვის საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული შედეგები გამოჩნდეს.

ცხინვალში ჯერჯერობით ფრთხილად ხუმრობენ, რომ დიმიტრი სანაკოევმა შეუძლებელი შეძლო და ქართულ სოფლებს, რომლებიც ქართულ ჯვრებიან დროშებს 3 წელი აფრიალებდნენ, თავი სამხრეთ ოსეთის ნაწილად გამოაცხადებინა: ყველა ალტერნატიულ ბიულეტენზე ხომ ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე სწორედ ეს დასახელება იყო დაბეჭდილი. ■

მოქალაქეები სამედიცინო მომსახურების სფეროში, კანონით გათვალისწინებული გარკვეული უფლებებით სარგებლობენ. სამწუხაროდ, ამ უფლებების შესახებ მათ ნაკლებად იციან. შერჩეულია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას სახელმწიფო კისრულობს. აგრეთვე შერჩეულია გარკვეული დაავადებები, რომელთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარჯები ასევე სახელმწიფოს მხრიდან იფარება. ვის და როგორ უნდა მიმართონ მოქალაქეებმა აღნიშნული მომსახურების დაუბრკოლებლად მისაღებად? რომელ სამედიცინო დაწესებულებებზე ვრცელდება სახელმწიფოს მიერ დაკანონებული შეღავათები? რა სახის სახელმწიფო პროგრამები მოქმედებს წელს საქართველოში? ამ და სხვა კითხვებზე ჯანდაცვის ომბუდსმენი ნაირა ჟუთათელაძე გვიპასუხებს:

პაციენტის უფლებები და შეღავათები სამედიცინო მომსახურების სფეროში

თამუნა კვინიკაძე

— ჯანდაცვის ომბუდსმენის სამსახური 2001 წლიდან, დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“ ფინანსური მხარდაჭერით არსებობს. დღემდე ჩვენ 6000-ზე მეტმა მოქალაქემ მოგვმართა. მომართვების 90% სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემას შეეხებოდა. ბევრჯერ გაგვირკვევია, რომ პიროვნებას, რომელიც ოპერაციას უფულობის გამო ვერ იკეთებდა, კანონით ხარჯის მხოლოდ 25%-ის გადახდა ეკუთვნოდა. ერთხელ კახეთიდან მომმართა პაციენტმა, რომელიც ონკოლოგიური ავადმყოფი იყო, მაგრამ უფულობის გამო ოპერაციას ვერ იკეთებდა. მას დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი და აღმოჩნდა, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სიაში შედიოდა. მერე გაახსენდა — რაღაც ფურცელი მოგვიტანეს, მაგრამ არ უთქვამთ, რაში უნდა გამოგვეყენებინა და კარადაში შევინახეთ. იმ მოქალაქემ ოპერაცია უფასოდ გაიკეთა. ჩვენამდე რომ არ მოსულიყო, ამას ვერ შეძლებდა.

— აგენტი ვალდებულია თუ არა, აუხსნას მოქალაქეს „იმ ფურცლის“ მნიშვნელობა, რა პრივილეგიას ანიჭებს იგი?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ხშირად ეს ახსნაც გასაგებ ენაზე არ ხდება.

— რა სახის სახელმწიფო პროგრამები მოქმედებს წელს საქართველოში?

— წელს ქვეყანაში რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს. ამ პროგრამებიდან უმნიშვნელოვანესია 1. მოსახლეობის (მათ შორის, მაღალმთიანი რეგიონების) ამბულატორიული დახმარება; 2. სხვადასხვა სპეციფიკური პროგრამები (ფთიზიატრიული, ფსიქიატრიული, ონკოლოგიური და ორსულთა პატრონაჟი); 3. მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა; 4. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სამედიცინო დაზღვევის პროგრამა; 5. „სასწრაფო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამა; 6. ქალაქ თბილისის მერიის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა.

— რა მომსახურებას ითვალისწინებს ეს პროგრამები? იხდის თუ არა მოქალაქე მომსახურების საფასურს და თუ იხდის, რამდენ პროცენტს?

— ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტს, თუ ის სოფლის ამბულატორიაში ან პოლიკლინიკაშია რეგისტრირებული, შეუძლია, მიიღოს ოჯახის ექიმის, უბნის თერაპევტის ან პედიატრის უფასო კონსულტაცია. უფასოა ბინაზე ვიზიტიც და ბავშვთა აცრებიც. თუ პაციენტი სპეციალიზებულ ამბულატორიაშია (როგორიცაა: ქალთა კონსულტაცია, დისპანსერი) — უფლება აქვს, მიიღოს ორსულთა პატრონაჟი (ქალთა კონსულტაციები), ფსიქიატრიული დახმარება (ფსიქიატრიული დისპანსერი), ფთიზიატრიული დახმარება (ტუბდისპანსერი) და ონკოლოგიური დახმარება. 15 წლამდე ბავშვებს და 65 წელზე მეტი ასაკის პაციენტებს, აგრეთვე მაღლამთიანი რეგიონების მოსახლეობას უფლება აქვთ, უფასოდ მიიღონ ლაბორატორიული გამოკვლევები: სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, სისხლში გლუკოზის განსაზღვრა, შარდში ცილის განსაზღვრა, ელექტროკარდიოგრაფია.

— თუ არის დაწესებული რაიმე შეღავათი 15-დან 65 წლამდე ასაკის მოქალაქეებისთვის?

— მათთვის უფასოა ისეთი გამოკვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს, მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადებების მკურნალობას და პრევენციას. ესენია: გულის იშემიური დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სიმსივნეები (მეოთხე კლინიკური ჯგუფი). ეს ყველაფერი უფასოა.

— როგორ უნდა მოვიქცეთ ან ვის უნდა მივმართოთ, რომ სპეციალისტთა კონსულტაციები და ლაბორატორიული გამოკვლევები უფასოდ ჩაგვიტარდეს?

— იმისათვის, რომ კანონით მონიჭებული შეღავათი მიიღოს პროგრამით გათვალისწინებულმა კონტინგენტმა (მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობა 15 წლამდე და 65 წელზე მეტი ასაკის პირები), უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს ან უბნის თერაპევტს და მისგან მიღებული მიმართვის საფუძველზე ჩაიტაროს კონსულტაცია, ან გამოკვლევა.

— რას ითვალისწინებს ორსულთა პატრონაჟი და როგორია სამშობიარო ვაუჩერის აღების წესი?

— ორსულთა პატრონაჟი ამბულატორიული დახმარების კომპონენტს წარმოადგენს და ითვალისწინებს უფასო კონსულტაციებსა და გამოკვლევებს. სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ორსულებისთვის, რომლებსაც, სამედიცინო დაზღვევის პროგრამით აქვთ პოლისი, მშობიარობა და სტაციონარული მომსახურება უფასოა. მაგრამ დამეთანხმებით, რომ არსებობენ ისეთი ორსულები, რომლებიც ვერ მოხვდნენ სიღატაკის პროგრამაში, არა აქვთ პოლისი. ამავე დროს, მათ არ შეუძლიათ, გადაიხადონ მშობიარობის ხარჯები. სახელმწიფოსგან შეღავათის მისაღებად, მათ უნდა მიმართონ ქალთა კონსულტაციებს, სადაც უფასოდ მისცემენ ფორმა №27-ს, ამ ცნობას წარადგენენ იმ პოლიკლინიკაში, რომელშიც აღრიცხვაზე იმყოფებიან და შეავსებენ სპეციალური განცხადების ბლანკს; შემდეგ პოლიკლინიკა ფორმა №27-ს დაურთავს ამ დოკუმენტს და ორსულის პირადობის მოწმობის ასლთან ერთად, გადაგზავნის სადაზღვევო ფონდში. ამის საფუძველზე ფონდი ორსულს აძლევს უფასო მშობიარობის ბარათს ანუ ვაუჩერს. ბარათი გადაიგზავნება ქალთა კონსულტაციაში. თუ ორსული ჩაერთვება სახელმწიფო პროგრამაში, მას არ ეძლევა უფლება, წინასწარ აირჩიოს ექიმი და პალატა განსაკუთრებული პირობებით.

— ვაუჩერის მქონე ორსულებს ნებისმიერი სამშობიარო სახლი მოემსახურება?

— არა. მათ მოემსახურებიან: ჩაჩავას სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქალაქის №1 და №4 სამშობიარო სახლები.

— როგორც ვიცი, ტუბერკულოზის მკურნალობაც უფასოა.

— დიახ, ამ დაავადების მკურნალობა უფასოა, როგორც ბავშვებისთვის, ასევე ზრდასრულთათვის. ეს ხანგრძლივი პროცესია და კურსის სრულად ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. პაციენტმა უნდა იცოდეს, რომ მას მკურნალობის დროს, მედიკამენტები უფასოდ ეკუთვნის.

— რა შეღავათებს უწევს სახელმწიფო ონკოლოგიური დაავადების მქონე ადამიანებს?

— საავადმყოფოში მათი მკურნალობის ხარჯების 80%-ს ფარავს სახელმწიფო, ხოლო თუ ავადმყოფს ქიმიოთერაპიის კურსი ესაჭიროება — 50%-ს. ბავშვებისთვის ქიმიოთერაპია უფასოა. ონკოლოგიურ ავადმყოფთა დიაგნოსტიკური ხარჯები სახელმწიფოს მხრიდან იფარება არა უმეტეს 100 ლარისა, კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარების შემთხვევაში — არა უმეტეს 160 ლარისა.

— რას ითვალისწინებს მოსახლეობის ურგენტული მომსახურების პროგრამა?

— გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევას. 3 წლამდე ბავშვებისთვის მწვავე დაავადებათა მკურნალობა სტაციონარში უფასოა, 3-დან 14 წლამდე მოქმედებს თანაგადახდის პრინციპი: სახელმწიფო ფარავს 80%-ს, ხოლო მოქალაქე — 20%-ს; 14 წელზე მეტი ასაკის ავადმყოფთათვის სახელმწიფო ფარავს ხარჯის 75%-ს, ასევე — კრიტიკული მდგომარეობის დროს, რეანიმაციაში პირველი 6 დღის მანძილზე სამედიცინო მოსახურება უფასოა. იმ პირებისთვის, რომლებიც სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან, ურგენტული მომსახურება მთლიანად უფასოა. მოქალაქეებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება შეუძლიათ მიიღონ თბილისის 19 საავადმყოფოში. ამ დაწესებულებათა ჩამონათვალს წერილის ბოლოში გთავაზობთ.

2006 წელს გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერების“ პროექტის განხორციელება დაიწყო და სხვა სპეციალიზებულ ცენტრებთან ერთად, პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრი შეიქმნა. „ფაქტია, ადამიანებმა საქართველოში ძალზე ცუდად იციან, თუ რა უნდა გააკეთონ, როცა მათი, როგორც პაციენტების უფლებები ირღვევა, რა გზით უნდა აღუდგნენ წინ ამ დარღვევებს. იგივე ითქმის ექიმებზეც, არადა, პაციენტთა უფლებების დაცვა თვით ექიმებსაც დაიცავს პრობლემებისგან“, — მითხრა საუბრის დასაწყისში პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის მთავარმა ექსპერტმა ***ირმა მანჯავიძემ.***

— ჩვენი ცენტრის მიზანია, განისაზღვროს პაციენტთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების ფორმატი და ხელი შეეწყოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქტივობის გაზრდას. პაციენტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ჩვენში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენთან შემოსული განცხადების და სატელეფონო ზარების უმრავლესობა, საჩივრის ტიპის არის — ითხოვენ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. ასევე ხშირად შემოდის ანონიმური სატელეფონო ზარები. ასეთ შემთხვევაში, სამწუხაროდ, რეაგირებას ვერ ვახდენთ, მაგრამ თვითონ მათი შინაარსი, ძალზე შთამბეჭდავია.

— მაგალითად?

— ერთ-ერთმა ქალბატონმა დაგვისახელა პრესტიჟული სამედიცინო დაწესებულება, ყველასთვის ცნობილი ექიმის სახელი და გვარი და მას პაციენტის მიმართ კონფიდენციალურობის დარღვევაში დასდო ბრალი, კერძოდ, გვითხრა — ექიმმა ჩემი ავადმყოფობის შესახებ ჩემს მეზობელთან ილაპარაკაო. ეს ექიმს, არსებული კანონის მიხედვით, მართლაც, დანაშაულად ეთვლება. გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როცა მოქალაქე ექიმებს იმის გამო უჩიოდა, რომ მისი ავადმყოფობის, შესაძლო გართულებების და ა.შ. შესახებ არასრული ინფორმაცია მიიღო. ერთმა ქალბატონმა დაგვირეკა და ირწმუნებოდა — დაავადებული ორგანო, რომლის გამოც ოპერაცია გამიკეთეს, არ ამოუკვეთავთო...

— როგორ იქცევით თქვენ ასეთ შემთხვევაში?

— ჩვენ, ბუნებრივია, ვსწავლობთ მდგომარეობას. ხშირად პაციენტს ექიმი სამედიცინო ტერმინოლოგიით ელაპარაკება და ავიწყდება, რომ ის ტერმინები მისთვის გაუგებარია. ამის გამო წარმოქმნილ პრობლემას არაერთხელ წავწყდომივართ. ექიმი ვალდებულია, პაციენტს მისთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკოს, რათა შემდგომ მას აღარ შეექმნას მცდარი წარმოდგენა საკუთარ მდგომარეობაზე. ძალიან კარგია, რომ სამედიცინო დაწესებულებებში მოქმედებს „ინორმირებული თანხმობის“ ფორმა.

— რას ითვალისწინებს ეს ფორმა?

— ექიმი ავადმყოფს უხსნის იმ შესაძლო გართულებების არსს, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ სამედიცინო მანიპულაციას მოჰყვეს და მხოლოდ პაციენტის თანხმობის შემდეგ, იწყებს მოქმედებას. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, რომელიც მოითხოვს პაციენტის ინფორმირებას ნებისმიერი ოპერაციული ჩარევისას. ჩვენ მოგვმართა ერთმა ქალბატონმა, რომელიც წლების განმავლობაში საფრანგეთში ცხოვრობდა. იგი აღშფოთებული იყო ექიმის საქციელით: როდესაც მას ჩემი დაავადების შესახებ კითხვები დავუსვი, ძალიან გაღიზიანდაო... პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრში შემოსული მიმართვების რაოდენობა ჯერჯერობით არცთუ ისე დიდია, მაგრამ თითოეულ მომართვაზე რეაგირებას აუცილებლად ვახდენთ.

სამედიცინო დაწესებულებები, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ, მიიღონ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება:

№5 ს/პ გაერთიანება, ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი; პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის ინსტიტუტი; ბავშვთა №1 კლინიკური საავადმყოფო; ძმები ზუბალაშვილების სახ. პედიატრიული კლინიკა; ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი; ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკა; ჯავახიშვილის სახელობის კლინიკური საავადმყოფო; თბილისის №2 სამშობიარო სახლი; მ. გურამიშვილის სახ. პედიატრიული კლინიკა; თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ცენტრი; ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი; ნეიროქირურგიის ცენტრი; გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა; ალადაშვილის სახ. №1 კლინიკა; №4 კლინიკური საავადმყოფო; სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკა; კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ცენტრი; №5 სამშობიარო სახლი, თვალის სნეულებათა კლინიკა „მზერა“.

პატიმარ პაციენტთა უფლებებსა და ამ უფლებების დარღვევის ფაქტებზე წერილის მეორე ნაწილში — „გზის“ №47-ში მოგითხრობთ.

■

„...მარცხენა ხელი ცმაში ჩავავლე, მარჯვენაში დანა მუცელში ჩავარტყი"

„ვიფიქრე, სახლში სულით ავადმყოფი მანიაკი შემოძვრა-მეთქი"...

ამ საშინელი ტრაგედიის ამბავი თავის დროზე საერთაშორისო ორგანიზაციების, ექსპერტების, ადამიანის უფლებების დამცველებისა და სტატისტიკოსების ყურამდე რომ მისულიყო, ის მსოფლიო კრიმინალისტიკის ისტორიაში უთუოდ ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი დანაშაულის სახელით შევიდოდა... ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, მსგავსი სტატისტიკა ჯერ არავის შეუდგენია, თუმცა ამის გარეშეც შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის საქართველოს ყველაზე მძიმე და სისხლიან დანაშაულთა სიაში, ეს ფაქტი პირველ ადგილს დაიკავებდა. მის სულისშემძვრელ დეტალებს უზენაესი სასამართლოს არქივში არსებული სისხლის სამართლის საქმის ოქმები დაწვრილებით აღწერს. მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ ფაქტმა, რომელიც თერჯოლის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, 1971 წლის დეკემბრის მიწურულს, წინასაახალწლო პერიოდში მოხდა, ყველა გააოგნა. მკვლელის მიერ ჩადენილი წარმოუდგენელი სისასტიკე არა მარტო მშვიდობიან მოსახლეობას, არამედ თვით დანაშაულებრივი სამყაროს ყველაზე საშიშ წევრებს, რეციდივისტებსაც კი შეაშფოთებდა...

მეგი ცანავა

დამნაშავემ — 38 წლის მამაკაცმა ვანდალური აქტი საკუთარ ოჯახში განახორციელა. მან დანაშაული პურის საჭრელი დანით ჩაიდინა. 17,5 სანტიმეტრის სიგრძის, კუსტარული წესით დამზადებული, მაგრამ საკმაოდ კარგად ალესილი და წვერწამახული დანა, ჯერ საკუთარ მეუღლეს გაუყარა მუცელში, შემდეგ, იმავე დანით თავის ორ მცირეწლოვან შვილს გამოღადრა ყელი. საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ მკვლელობა წინასწარი განზრახვით, დამამძიმებელ გარემოებებში, შურისძიებისა და სხვა დანაშაულის დაფარვის მოტივით ჩაიდინა. დამნაშავე, ჩადენილი მკვლელობიდან სამ დღეში დააკავეს. მან ყველაფერი აღიარა. გამოძიებისთვის მიცემულ, საკუთარი ხელით დაწერილ ჩვენებაში აღნიშნა, რომ ყველა მომენტი კარგად არ ახსოვს. როგორც წერს, ჭკუიდან გადასულმა, საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა და ზუსტად არ ახსოვს, რამდენჯერ ჩაარტყა ცოლს დანა სხეულში... მაგრამ ახსოვს ბავშვების ტირილი. სწორედ მათი ხმის ჩასახშობად მივარდა ჯერ უმცროს შვილს — 4 წლის გოგონას და გამხეცებულმა მას დანა ყელში გამოუსვა. ბავშვის ხრიალმა რამდენიმე წამს გასტანა. ამასობაში, მეორეს — უფროსს, 5 წლის ბიჭს მიუახლოვდა და ატირებულს კისერი დაუფიქრებლად გამოღადრა...

„რას ვაკეთებდი, არ ვიცოდი. ვერაფერს ვგრძნობდი. თითქოს ჩემში სხვა არსება იჯდა და ის მოქმედებდა. მახსოვს, რომ თავი საშინლად მიხურდა და არაფერზე ვფიქრობდი, ემოცია არ გამაჩნდა...“ — ეს სიტყვები დამნაშავემ უკვე სასამართლო პროცესზე წარმოთქვა. გარდა იმისა, რომ სასამართლოს ჩადენილი დანაშაულის შესახებ დეტალური ჩვენება მისცა, განაჩენის გამოტანის წინ მას საშუალება მისცეს, დამატებით კიდევ ეთქვა რამე. ეს განსასჯელის — ჯონდო მახვილაძის საბოლოო სიტყვა იყო. მან იცოდა, რომ ჩადენილი სადიზმისთვის უთუოდ სასჯელის უმაღლესი ზომით — სიკვდილით დაისჯებოდა. არ შემცდარა. სასიკვდილო განაჩენი სასამართლომ მეორე დღეს გამოაცხადა.

„სადიზმამდე ის ვალებმა მიიყვანა"

შემთხვევის ადგილზე მისულ მილიციას დამნაშავე გაქცეული დახვდა, დანაშაულის იარაღი — პურის საჭრელი დანა კი, საგულდაგულოდ გაწმენდილი. თუმცა, ექსპერტებმა მასზე სისხლის კვალი მაინც დააფიქსირეს. ცოლ-შვილი სიცოცხლეს სწორედ იმ დანით რომ გამოასალმა, ეს მოგვიანებით თავად დამნაშავემაც დაადასტურა. ბრალის წარდგენის დადგენილებიდან ცნობილი ხდება, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მკვლელი მოწესრიგდა, სისხლიანი ტანსაცმელიც გამოიცვალა და იქიდან პირდაპირ ქალაქ ფოთში გაემგზავრა. *„ფოთში მას საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი“*, — წერს ჩვენებაში მოწმე, ჯონდო მახვილაძის მეგობარი **მელიტონ მამფორია**.

„საქმეები“ მახვილაძის სამასახურს უკავშირდებოდა. ის ქუთაისში, საცდელ-მექანიკურ ქარხანაში, საწყობში მუშაობდა. ჩვენებების მიხედვით, ბოლო დროს, ქარხნის ხელმძღვანელობასთან პრობლემები შეექმნა, რადგან საწყობში დანაკლისი აღმოაჩინეს. დირექციამ მას ვალის გადახდა მოსთხოვა და ისიც აუწყა, რომ საქმის კურსში სამართალდამცავ ორგანოებსაც ჩააყენებდნენ. ყოველივე ამის შესახებ, დამატებითი დაკითხვის დროს, თავად მახვილაძემ განაცხადა. მისი სიტყვები მელიტონ მამფორიამაც დაადასტურა. მისი თქმით, ფოთში მასთან სტუმრად ჩასულმა მახვილაძემ ეს ყველაფერი თავად უამბო.

ახლობლების ჩვენებების მიხედვით, ჯონდო მახვილაძეს სხვა მევალეებიც ჰყავდა. ისინი კერძო პირები იყვნენ და ბოლო პერიოდში, სახლში თითქმის ყოველდღე აკითხავდნენ და ფულს სთხოვდნენ. *„ჯონი (ჯონდო მახვილაძე) ძირითადი ფულის დაბრუნებას კი არა, პროცენტების გადახდასაც ვერ აუდიოდა. რისთვის ან როდის ისესხა ამდენი ფული, ჩემთვის გაუგებარია. როცა ვკითხე, მიპასუხა: ბინა რომ შევიძინეთ, მაშინ დამჭირდა, ვისესხე და მას შემდეგ, ხელს ვინაცვლებო. ერთხელ დახმარება მეც მთხოვა, მაგრამ არ მქონდა და ვერ დავეხმარე. ამის გამო, გამინაწყენდა. ცოლს ჩემთან ურთიერთობას უშლიდა“*, — წერს ჩვენებაში დაზარალებული, ჯონდო მახვილაძის სიმამრი.

წინასაახალწლო პერიოდში, მევალეებისგან შეწუხებულმა თუ სამსახურში აწეწილი საქმეების გამო საგონებელში ჩავარდნილმა ჯონდო მახვილაძემ ცოლ-შვილს ბარგი ჩაალაგებინა და სოფელში, თერჯოლის რაიონში წაიყვანა. მათი გამგზავრების შესახებ არც ერთმა ნათესავმა, არც მისი ცოლის — ნინო ქავთარაძის მშობლებმა არ იცოდნენ. სოფელში ჩასვლიდან მეორე დღეს კი, ეს ტრაგედიაც დატრიალდა...

ნოდარ ქავთარაძის ჩვენებიდან (სტილი დაცულია): *„...26 დეკემბრის საღამოს, უფროსმა ქალიშვილმა დამირეკა და მითხრა, ნინო ცუდად გამხდარა, საავადმყოფოში წაუყვანიათ, გამოგიცილით, შენ და დედა გაემზადეთო. თურმე არც თავად სცოდნია სიმართლე, სინამდვილეში რა უბედურებაც დაგვატყდა თავს. საავადმყოფოს ჭიშკართან თერჯოლელი ნათესავები დაგვხვდნენ. ფტყუილად მოდიხართ, სოფელში უნდა წამოხვიდეთო. მივხვდით, რომ არ იყო საქმე კარგად. მაშინ ჩემი ბიძაშვილის შვილი — რამაზი გვერდზე გავიყვანე, ჭიშკართან მივიმწყვდიე და დავუყვირე — ნუ მაწვალებ, მითხარი, რაც მოხდა-მეთქი. იმან მითხრა ყველაფერი... სახლში რომ მივედით, მილიციის მუშაკები დაგვხვდნენ, მუშაობდნენ. ჩემი ქალიშვილის და შვილიშვილების გვამები მე არ მინახავს, ისინი უკვე პროზექტურაში ჰყავდათ გადასვენებულები. სახლის პირველი სართულის „ზალაში“ შემიყვანეს. მთელი ოთახი სისხლში იყო ამოსვრილი... იქაურობას თვალი რომ მოვავლე, ვიფიქრე, როგორც ჩანს, სახლში ვინმე სულით ავადმყოფი მანიაკი შემოძვრა და ასეთი სისასტიკე მან ჩაიდინა-მეთქი. რას ვიფიქრებდი, თუ ეს უბედურება ჩემმა სიძემ დაატრიალა?“*

სასამართლო პროცესზე დაზარალებულმა (როგორც სასამართლო ოქმიდან ჩანს) თქვა, რომ მკვლელობამდე

დაახლოებით ერთი თვით ადრე, მან ქალიშვილის ოჯახთან კონტაქტი დაკარგა. დაზარალებულის სასამართლო ჩვენებიდან: *„...ეს ჩემი სიძის მიზეზით მოხდა. ვატყობდი, რომ ბოლო დროს ჩვენთან ურთიერთობას თავს არიდებდა. ჩემი მეუღლე და უფროსი ქალიშვილი ნინოზეც ბრაზობდნენ — როგორ ვერ ახერხებს ათასში ერთხელ მაინც დაგვირეკოს და იკითხოს ჩვენი ამბავიო? მათ ასეთ საქციელს ისინი ეჭვის თვალით უყურებდნენ. ხშირად აღნიშნავდნენ — არ მოგვწონს ეს ამბავი, ნინო ბოლოს რომ ვნახეთ, ძალიან დადარდიანებული გვეჩვენაო. მე კი, პირიქით, მაინცდამაინც არ ვნერვიულობდი. მეუღლეს ვამშვიდებდი და ვსაყვედურობდი კიდეც, ყველაფრის გაზვიადება გიყვარს-მეთქი. ის კი ვიცოდი, რომ სიძეს პრობლემები მართლაც ჰქონდა, მაგრამ სამსახურში და არა ოჯახში... ჩვენსა და ქალიშვილის ოჯახს შორის კონტაქტი თვეების მანძილზე, ნელ-ნელა იკარგებოდა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში საერთოდ არ გამოჩნდნენ, სულ დაიკარგნენ. ჯერ ვრეკავდით, მაგრამ ტელეფონს არავინ პასუხობდა... ჩემი უფროსი ქალიშვილი მათთან ბინაშიც მივიდა. ბინა დაკეტილი დახვდა... კარის მეზობელს ჰკითხა ამბავი, მან კი უთხრა, არც მე ვიცი არაფერი, რამდენიმე დღეა გაუჩინარდნენ, ფანჯრებში შუქი არ ანთიაო... ეს რომ გავიგე, ძალიან ავღელდი. მაშინ ვიფიქრე, ნამდვილად რაღაც გასაჭირში ჩავარდნენ-მეთქი. იმას კი მაინც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ის და ბავშვები ასეთი საშინელი საფრთხის ქვეშ იყვნენ...“*

მარიამ ძავთარაძის ჩვენებიდან: *„...ბოლოს, და და დისშვილები მკვლელობამდე ორი კვირით ადრე ვნახე. აღარ მირეკავდა. საერთოდ, თავს მარიდებდა და ვეჭვობდი, რომ ოჯახში, ქმართან გაურთულდა ურთიერთობა. ვფიქრობდი, რომ ახლობლებს ამ ამბავს გვიმალავდა. გადავწყვიტე, მათთვის ბინაში მიმეკითხა, მოულოდნელად, გაფრთხილების გარეშე. მაშინ შინ სამნი დამხვდნენ, მხოლოდ სიძე არ იყო. ნინო გაფითრებული, უხასიათოდ მეჩვენა. ვთხოვე, აეხსნა ჩემთვის, რა ხდებოდა. მითხრა — ხომ იცი ჯონის ხასიათი, ვერაფრით აპატია მამაჩემს, ფული რომ არ ასესხაო. ვკითხე, თავად რატომ არ გვეკონტაქტებოდა? მან კარგად იცოდა მამის უარის მიზეზი და განაწყენების საფუძველი არ ჰქონდა. ნინომ მიპასუხა — ჯონი ისედაც ძალიან ანერვიულებულია, არ მინდა, ახლა კიდევ უფრო გავაღიზიანო, ძალიან გთხოვთ, თქვენც გამიგეთო... ნინომ მითხრა, რომ ქმარი პირადად მას არ ეჩხუბებოდა, რომ სხვა მხრივ ყველაფერი რიგზე ჰქონდა...“*

ნოდარ ძავთარაძის ჩვენებიდან: *„...არ მახსოვს შემთხვევა, რომ ჩემს სიძეს ცოლთან ეჩხუბოს, ან რაიმე უხეშად ეთქვას მისთვის. ხმა მასზე არასდროს აუწევია... ბავშვებსაც გაგიჟებით უყვარდათ მამა...“*

მალვინა ძავთარაძე — მოკლულების დედა და ბებია სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მის სიძეს ცუდი სიმთვრალე ახასიათებდა. *„...მაგრამ ამას სხვებთან არასდროს ავლენდა. რამდენიმე ასეთი ფაქტის მოწმე შემთხვევით გავხდი... ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ბავშვები მამას არ ეკარებოდნენ და გაუჩერებლად ტიროდნენ...“* თუმცა, დაზარალებული ოჯახის წევრები თავიანთ ჩვენებებში ჯონდო მახვილაძის მიერ ცოლის ან ბავშვების ცემის, ან სხვა სახის ძალადობის ფაქტს არ ადასტურებენ. ისინი თავიანთ ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ ასეთი ფაქტის შესახებ არაფერი იციან, რადგან არც ცემის კვალი შეუნიშნავთ ნინოსა და მისი შვილებისთვის, არც თავად ნინოსგან სმენიათ რაიმე ამის შესახებ.

თავად განსასჯელმა კი სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ შემთხვევის დღეს ის ნასვამი იყო. ეს მოწმე **მელიტონ მამფორიამაც** დაადასტურა. *„...ჩემთან რომ მოვიდა, თავიდან სიმთვრალე ვერც შევატყვე. თვითონ მითხრა: ნასვამი ვარო. მერე მეც შევამჩნიე...“*

ბრალის წარდგენის დადგენილებიდან ისევე, როგორც საბრალდებო დასკვნითა და განაჩენით ირკვევა, სადისტურ მკვლელობამდე — მანამ, ვიდრე ის ხელში სამზარეულო დანას აიღებდა, ჯერ ცოლს ეჩხუბა. ეს ფაქტი განსასჯელმაც დაადასტურა. ბოლო პერიოდში, შელაპარაკება ცოლ-ქმარს შორის ოჯახში შექმნილმა დაძაბულობამ გამოიწვია. ნინომ ქმარს უსაყვედურა, რომ მას არასდროს ახედებდა თავის საქმეებში და მის რჩევებს არასდროს ითვალისწინებდა. ამას ქმრისგან უსაფუძვლო გინება და სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განსასჯელის თქმით, დანა პირველად ხელში აყვირებულმა და მოთმინებადაკარგულმა ცოლმა აიღო. *„პირველად თვითონ მომიქნია, მე გაბრაზებული მივვარდი და დანა ხელიდან გამოვტაცე. შემდეგ, მარცხენა ხელი თმაში ჩავავლე, მარჯვენათი დანა მუცელში ჩავარტყი...“* — წერს ჩვენებაში **ჯონდო მახვილაძე**.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რაიონულ ცენტრამდე მანძილი ფეხით გაიარა. ჩვენების მიხედვით, ცოლ-შვილის მკვლელი იმ მომენტში არაფერს ფიქრობდა, ვერც ვერაფერს გრძნობდა. როგორც ჩანს, მაშინ მხოლოდ ერთზე ზრუნავდა — იქაურობას რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა და ჩადენილი დანაშაულის გამო მოსალოდნელი პასუხისმგებლობაც როგორმე თავიდან აეცილებინა. ავტოსადგურში მისვლა და ქალაქ ფოთისკენ მიმავალ ავტობუსში ადგილის დაკავებაც სწორედ ამით აიხსნება. მილიციის განყოფილებაში გამოცხადება და დანაშაულის საკუთარი ნებით აღიარება ალბათ, აზრადაც არ მოსვლია. მართალია, ჩვენებაში აღნიშნა, რომ სამართალდამცველები თუ არ დააკავებდნენ, მილიციაში თავისი ფეხით მაინც მივიდოდა, მაგრამ ამ სიტყვებს მკვლელობის მომდევნო დღეებში, ძიების მიერ დაფიქსირებული მისივე საქციელი და გუნება-განწყობილება ეწინააღმდეგება.

ქალაქ ფოთში, ჯონდო მახვილაძეს ძველი, ინსტიტუტელი მეგობარი — მელიტონ მამფორია ეგულებოდა. მის ოჯახში თითქმის სამი დღე დაყო. მთელი ამ დროის განმავლობაში მომხდარის შესახებ არაფერი უთქვამს. როცა მასპინძლებმა მისი ცოლ-შვილი მოიკითხეს, უპასუხა, რომ ისინი თავს კარგად გრძნობდნენ... მოგვიანებით, მოწმის სახით დაკითხულმა მასპინძელმა თქვა, რომ მოულოდნელი სტუმრისთვის რაიმე მღელვარება ან უცნაურობა არ შეუმჩნევია...

მელიტონ მამფორიას ჩვენებიდან:

„...ჯონი წლების მანძილზე არ მყავდა ნანახი. ყველაზე მეტად მისმა მოულოდნელმა სტუმრობამ გამაკვირვა. ნამდვილად არ ველოდი მას. მაგრამ საეჭვო მის საქციელში არაფერი შემინიშნავს. ისევე გამოიყურებოდა, როგორც უწინ, მხოლოდ ასაკი მეტად ეტყობოდა... მის ცოლ-შვილს არ ვიცნობდი, მაგრამ როცა მოვიკითხე ისინი, მიპასუხა — კარგად არიანო. ისიც მითხრა, აქ სამსახურის საქმეებზე ვარ ჩამოსული, რაღაც გაუგებრობაში მოვყევი და ფული მჭირდება, უნდა ვიშოვო სასწრაფოდო. სად ან რა გზით აპირებდა ფულის შოვნას, არ უთქვამს... იმ საღამოს ვივახშმეთ. მეორე დღეს მეზობლები გადმოვიპატიჟე და მათთან ერთად დავლიეთ. მესამე დილით — 28 დეკემბერს, ახალი წელი ახლოვდებოდა და ოჯახისთვის საჭირო პროდუქტების მოსამარაგებლად ადრიანად წავედი ბაზარში. ჯონი არსად გასულა. შინ რომ დავბრუნდი, ეზოსთან ერთმა მეზობელმა მითხრა — შენთან ეს წუთია მილიცია მოვიდა, მე მომერიდა, არ შევედი სახლში, მაგრამ ვიცი, რომ შენთან მშვიდობაა, არ შეგეშინდესო... სახლში რომ შევედი, მილიცია მართლაც დამხვდა. ჯონის ხელებზე ბორკილები ედო. მაშინ გავიგე პირველად ამ დანაშაულის შესახებ...“

„...ვერც მოსამართლე შეძლებს მშვიდად ძილს...“

სასამართლო პროცესზე განსასჯელის ფსიქიკური ჯანმრთელობის შემოწმების საკითხიც დაისვა. ოფიციალური მონაცემებით, წარსულში ჯონდო მახვილაძეს რაიმე ფსიქიკური, ნერვული დაავადება არ ჰქონია. მსგავსი ჩივილით ექიმისთვის არც თავად და არც მისი ოჯახის წევრებს არასოდეს მიუმართავთ. სასამართლომ ექსპერტიზა დანიშნა. გამოკვლევის

გაგრძელება იხ. გვ. 62

„ნატალიამ მეც წამართვა ქმარი“

ჩვენი წყვილის ცხოვრებაში სიახლეა, რომელსაც ამ ნომერში შეიტყობთ და იმედია, არც მას დატოვებთ გამოხმაურების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ნატალი და ზურა ნეგატიურ გამოხმაურებებსაც უხვად იღებენ, ერთ-ერთი მკითხველი ხალხის აზრს არ უშინდება და სურვილს გამოთქვამს, რომ თავისი ცხოვრებაც ასეთსავე ონლაინ-რეჟიმში გაგვაცნოს. ირონეს შევპირდი, რომ ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით და თუ მისი ცხოვრება მართლაც ისეთივე საინტერესოა, როგორიც ჩვენი ახლანდელი წყვილის, მაშინ მკითხველს საშუალება ექნება, კიდევ ერთ რეალურ ამბავს გაეცნოს. ახლა კი დღევანდელ გამოხმაურებებს გავეცნოთ.

მარი ჯაფარიძე

„ნატალი და ზურა, თქვენ ორივე ძალიან კარგი ადამიანები ხართ და დარწმუნებული ვარ, თქვენი ამბავი კარგად დამთავრდება. თუ ეს ასე არ მოხდა, იცოდეთ, რომ სერიოზული დეპრესია დამემართება, რადგან მთელი გულით და სულით გგულშემატკივრობთ. ძალიან მინდა, გაგიცნოთ და თქვენი დიდი სიყვარულის შემყურე ვიყო“.

„ძნელია ნატალისა და ზურას განსჯა. ჩვენ ხომ მხოლოდ მათი ონლაინ-ურთიერთობა ვიცით. არადა, ყველაზე საინტერესო, ალბათ ის პირადი შეხვედრები იქნება, როდესაც ყველასგან და ყველაფრისგან შორს არიან; როცა ნატალი ზურას მხარზე ტირის, ზურა კი ცრემლიან თვალებს უკოცნის... მხოლოდ ერთს გირჩევთ: მიენდეთ უფალს და გჯეროდეთ თქვენი სიყვარულის. სონაც მაგარი საყვარელია. გაიხაროს შორეულ ამერიკაში. ჯონდუკა“.

„საქართველოში ნომერ პირველი ჟურნალის, ნომერ პირველი რუბრიკის ავტორს — მარის! მარი, ზურას რა მაგარი ლექსები სცოდნია! თითოეულ მათგანს ბლოკნოტში ვიწერ. ნატალი და ზურა, მსოფლიოში უმაგრესი წყვილი ხართ“.

„როცა წავიკითხე, როგორ ეუბნებოდა ზურა ნატალის, — ეს ბოლო გულისტკენაო და თან თვალებს უკოცნიდა, ჟურნალი ჩავიხუტე და დიდხანს ვტიროდი. გამახსენდა, რამდენს ვიბრძვი ჩემი სიყვარულის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამაოდ. წარმატებას და ღვთის მფარველობას ვუსურვებ მათ. კისკა“.

„ნატა, ყველას აზრიანი თუ უაზრო ნათქვამის გულთან ახლოს მიტანა არ ღირს. ნუ იგრძნობ თავს დამნაშავედ. ორივეს გაქვთ ბედნიერების უფლება. ზურა და ხათუნა ხომ არ იყვნენ ერთად ბედნიერები? ჰოდა, მათი ოჯახის უბედურებაში დამნაშავე შენ არ იქნები. მაგრები ხართ

და გირჩევთ, ყველა უაზრო ადამიანის ნათქვამი „დაიკიდეთ“. ნათია“.

„მინდა, ნატალის და ზურას ბედნიერება ვუსურვო. მეც მათნაირ სიტუაციაში ვარ და ასე მგონია, რომ ჩემს ამბავს ვკითხულობ. მე და ჩემი ცოლიანი შეყვარებული ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველით. რამპერა“.

„მარი, იმედია, შენთან „ჩაწყობა“ არ მოდის და ამ მესიჯს დამიბეჭდავ. ნატალის და ზურას ვგულშემატკივრობ, მაგრამ მაპატიე და ეს ყველაფერი გაიდეალებული მგონია. ამ ცოტა ხნის წინ, დიდ სიყვარულზე უარი იმის გამო ვთქვი, რომ მას ცოლი ჰყავს და საკუთარ თავს ვერ მოვერიე, „მეორეობაზე“ არ დავთანხმდი. 24 წლის ვარ, მიჭირს უიმისობა, მაგრამ... გამიხარდება, თუ ნატალი ჩემთვის მოიცლის და რაიმეს მირჩევს. გიჟი გოგო“.

„ნატ, შეეშვი ზურას. მისი ლამაზი სიტყვები ნუ მოგატყუებს. კაცი, რომელიც ცოლზე იტყვის, ალბათ ვილაც ჰყავსო, ის რა კაცია?“

„მარი, მე 24 წლის გოგო ვარ. უფრო სწორად, ქალი, 1 შვილის დედა. მყავს ქმარი და მაქვს ძალზე საინტერესო ცხოვრება. როცა ნატალისა და ზურას ამბავი წავიკითხე, ძალიან მომეწონა იდეა და სურვილი გამიჩნდა, ჩემი ცხოვრებაც ასეთსავე რეჟიმში დაიწეროს. თანახმა ვარ, ყველაფერი დაწვრილებით მოგიყვე. რა თქმა უნდა, სახელებისა და გვარების შეცვლით. მარი, შემხვდი, მომისმინე, სწორედ ახლა მჭირდება სხვისი აზრის გათვალისწინება. ირონე“.

„ნატალი და ზურა, თქვენ ჩემი უფროსი მეგობრებივით მიყვარხართ და მინდა, ბედნიერება გისურვოთ. ძალიან კარგები ხართ“.

„მეც 32 წლის ვარ, მაგრამ ვერაფრით მოვიწონებ ნატალის საქციელს. სხვის ქმარზე ნადირობა უზნეობაა. განათხოვარი ვარ, მაგრამ ცოლიან კაცზე არასდროს ვიფიქრებ. ჩემს თაყვანისმცემლებს შორის უცოლოებიც არიან და არჩევანს რომელიმე მათგანზე გავაკეთებ. ნატალი-სნაირმა ქალმა, რომელსაც ასევე, ნატალი ჰქვია, მეც წამართვა ქმარი. ისინი ერთად ცხოვრობენ. ჩემს ქმარს ამის მიზეზი რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ მე ფული მინდოდა და სულ მას ვთხოვდი. აბა, ქმარი რისთვის მინდა, თუ არ ჩამაცვა და ფული არ მომცა? ჩემი მეგობრები სულ შემომნატროდნენ, რადგან მუდამ განსხვავებული და ძვირად ღირებული ტანისამოსი მეცვა. ჰყავდეს ახლა ის უზნეო ქალი, რომელიც ორლარიან ჩინურ და თურქულ ტანისამოსშიც კარგად გრძნობს თავს... ნატალი, დაანებე ზურას თავი და იმ შენს ბაჩოს მიხედე. მარია“.

„ნატალი, ერთი სული მაქვს, როდის დაწვებით ერთად შენ და ზურა. იცი, რატომ მეჩქარება? მაინტერესებს, მერე კიდევ თუ ეყვარები ასე. მგონია, რომ ერთხელ „გასაჟიმად“ უნდიხარ, ამიტომ კარგად დაფიქრდი“.

„ზურა, ძალიან კარგი ვინმე ხარ. მგონია, რომ შენნაირი მამაკაცები არ არსებობდნენ. ახლა დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი და იმედი მომეცა, ოდესმე მეც შემხვდება ღირსეული ადამიანი და თავბრუს ისევე დამახვევს, როგორც შენ — ნატალის... ალბათ, ვერც ერთი ქალი ვერ გაუძლებდა ასეთ შემოტევას. გკოცნით ორივეს და ბედნიერებას გისურვებთ“.

„ზურა, ოჯახს მიხედე, ამქვეყნად შვილი ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასია. ნატალის თავი დაანებე, შენი სათამაშო არ არის. კარგი გოგოა და ნუ დაღუპავ. მას უყვარხარ და თვალები სიყვარულით აქვს დაბრმავებული. ვერ ხვდება, რომ იღუბება... ნატა, გამოფხიზლდი!“

„ზურას და ნატალის ვგულშემატკივრობ. მინდა, ხმა მივაწვდინო. ნატა, ძალიან მაგარი ხარ, საყვარელო. მე ვერ ვიბრძოლე ჩემი სიყვარულისთვის და ახლა ძალიან ვნანობ. ფარ-ხმალი არ უნდა დამეყარა. ხალხის აზრის შემეშინდა, მაგრამ როცა თქვენს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს ვკითხულობ, ვხვდები, რომ საზოგადოება არცთუ ისე ცუდად უყურებს ასეთ ამბებს. ახლა უკვე გვიანია, ჩემს თაყვეღარაფრით ვუშველი, მაგრამ მინდა, თქვენ მაინც იყოთ ბედნიერები“.

„გამარჯობა, ნატალი. მე 15 წლის ვარ. ზურა ალბათ მამად უფრო შემეფერება, მაგრამ როგორც მამაკაცი, ძალიან მომწონს. მალე გავიზრდები და ვიდრე მისნაირ მამაკაცს არ ვიპოვი, არავის შევიყვარებ. ისე, მაგარია, არა? როცა გიყვარს, სულ მასზე ფიქრობ, სულ გენატრება. სიყვარული ერთხელ უკვე გამოვცადე, მაგრამ ის ბიჭი ჩემი ღირსი არ იყო და დავშორდი. ძალიან მიყვარხარ“.

„ნატალი, მაგრად გაგიმართლა. საიტზე, სადაც შენ და ზურამ ერთმანეთი გაიცანით, დიდი ხანია დარეგისტრირებული ვარ, მაგრამ ნორმალური ვერავინ ვნახე. საქმე იმაშია, რომ ერთმა თავი შემაყვარა, თვითონაც სიყვარულს მეფიცებოდა და ვენდე. როცა ღამე ერთად გავატარეთ, იმის მერე დაიკარგა, მიზეზიც არ მითხრა, ისე გაქრა. ტელეფონის ნომერიც კი გამოცვალა და როგორც ჩანს, თავის შესახებ ბევრი ტყუილი მითხრა, რადგან სამსახურში მივაკითხე, იქ კი ასეთი არავინ მუშაობს. მოკლედ, მაგრად მომატყუა... ბედნიერებას გისურვებ, ჩემო კარგო“. ■

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი

გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-45

2 თვეზე მეტია, რაც „გზის“ მკითხველი თვალყურს ადევნებს ზურასა და ნატალის ურთიერთობას ონლაინ-რეჟიმში. ზოგიერთი მკითხველი ცოტა დაგვიანებით შემოგვიერთდა და ვინაიდან ჟურნალის წინა ნომრები ვერ იშოვა, მე მომმართა, რომ რომანის დასაწყისი გაეგო. ამიტომ გადავწყვიტე, ამჯერად შედარებით ვრცელი შესავალი გავაკეთო და მოკლედ გიამბოთ ის, რაც აქამდე მოხდა.

მარი ჯაფარიძე

მაშ ასე: ზურამ და ნატალიმ ერთმანეთი ინტერნეტის საშუალებით გაიცნეს. მიმოწერისას, მათ ერთმანეთის მიმართ სიმპათია გაუჩნდათ, ცოტა ხანში კი ეს სიმპათია სიყვარულში გადაიზარდა. ამ პერიოდში ნატალი ბათუმში გახლდათ დასასვენებლად წასული და ყოველ საღამოს, კომპიუტერთან მიჯაჭვული, ზურას ესაუბრებოდა. ნატალი პროფესიით ფსიქოლოგი, გასათხოვარი, 32 წლის ქალბატონია, ზურა — საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირია; ის დაოჯახებულია, ცოლი და ქალიშვილი ჰყავს. რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ნატალის მეგობარი, სონა გახლავთ, რომელიც უკვე 2 წელია, ამერიკაში ცხოვრობს და იქვე, იტალიელზეა გათხოვილი...

ზურამ ნატალის ბათუმში ჩააკითხა. მთელი დღის მანძილზე სეირნობის შემდეგ სთხოვა, რომ მასთან სასტუმროს ნომერში დარჩენილიყო, მაგრამ ნატალიმ უარი უთხრა. თუმცა, მერე ინანა, სონას რჩევაც გაითვალისწინა და დილაუთენია, სასტუმროში მიაკითხა. ზურასთან ნომერში მეძავი გოგონა დახვდა. ბუნებრივია, შეყვარებულებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მაგრამ ზურამ ცოტა ხანში მაინც შეძლო ნატალისთან შერიგება. ეს თბილისში მათი დაბრუნების შემდეგ მოხდა.

ისინი რამდენჯერმე კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. მერე ზურამ მოულოდნელად გადაწყვიტა, თურქეთში დასასვენებლად წასული ცოლ-შვილისთვის ჩაეკითხა. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ნატალი და ზურა ერთმანეთს იცნობენ, ქალი მას თავისი წარსული სიყვარულის შესახებ ნაწილ-ნაწილ უყვება. მისი სატრფო, პატიმარი, სახელად ბაჩო გახლდათ. მკვლელობისთვის დაკავებულმა ბაჩომ, ციხეში ყოფნისას, ფსიქოლოგთან შეხვედრა მოითხოვა. გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ციხის ადმინისტრაციისგან თანხმობა მიიღო, მაგრამ იმავე ადმინისტრაციამ, ნატალის მოსთხოვა: პატიმართან შეხვედრა მისგან აღიარებითი ჩვენების მისაღებად გამოეყენებინა, რაც საშუალებას მისცემდათ, ბაჩოსთვის დანაშაული დაემტკიცებინათ...

ნატალიმ და ბაჩომ ერთმანეთი საკანში გაიცნეს. ფსიქოლოგი თვეების განმავლობაში, ყოველდღე, 2 საათით შედიოდა პატიმართან. ბაჩომ მას თავისი წარსულის შესახებ დაწვრილებით უამბო. ნატალი კი, თავის მხრივ, წლების შემდეგ, ზურას უყვება (რომანის ამ ნაწილს, ნატალის თხოვნით, ოდნავ შეცვლილი, თუმცა, სინამდვილესთან ზედმიწევნით მიახლოებული ვერსიით წარმოგიდგენთ). ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ რა მოხდა ნატალისა და ბაჩოს შორის და სად არის ის ამჟამად. „გზის“ წინა ნომერში იმ ადგილას შევჩერდით, სადაც ნატალი თურქეთში მყოფ ზურას კვლავ ბაჩოზე ელაპარაკება და თხრობას სწორედ იქიდან განვაგრძობთ. უბნელმა ბიჭმა — მეტსახელად რევაზიჩმა — ბაჩოს აცნობა, რომ ვიღაცა მისი დის, შორენას საქმროდ ასაღებს თავს და დაჰპირდა — თუ გინდა, შეგახვედრებო. ბაჩო და რევაზიჩი „სასიძოსთან“ შესახვედრად მიდიან...

ნატალი: ბიჭი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ბაჩოს. ბოლოს, მისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით გაჩერდა. ერთმანეთი თვალით აზომეს... ბაჩოს მათი პირველი შეხვედრა წარმოუდგა თვალწინ და გასანას ხმაც ცხადლივ ჩაესმა: — აი, ვაჟკაც, გაიცანი, ეს ლევანია, ეს კიდევ — ვასკა. ამ საქმეზე ერთად წახვალთ. აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, — მიუბრუნდა იმ ორს, — ბაჩოსთვის ეს პირველი საქმეა და თქვენზეა დამოკიდებული მისი მომავალი. თქვენ თუ შეგეშინდებათ, ეს ბიჭიც წახდება. მიდი, ჩამოართვი ხელი, — ოდნავ წაჰკრა ზურგში ბაჩოს. მაშინაც, სწორედ ასე აზომეს ერთმანეთი თვალით მან და ლევანმა და ხელი მერე გაუწოდეს. ლევანმა თითები ისე მოუჭირა, რომ ბაჩო მიხვდა, ამით უსიტყვოდ აფრთხილებდა — ჩემთან თამაში ხუმრობა არ გეგონოს, პირველობას არავის დავუთმობ, ვასკასავით, ჩემი „შნირი“ იქნებიო. სწორედ ამან მიახვედრა ბაჩო, რომ ის იყო „გლავნი“, ვასკა კი — მისი ნების შემსრულებელი. ახლა კი, ეს ლევანი მის წინ იდგა და მის ამაყ მზერაში დამნაშავის გამოხედვაც გამოკრთოდა.

— რევაზიჩ, დაახვე აქედან! — გამოცრა კბილებში ბაჩომ ისე, რომ ლევანისთვის თვალი არ მოუშორებია. რევაზიჩმა უკანმოუხედავად მოკურცხლა. ბაჩომ ხელი გაუწოდა ლევანს და სწორედ ისე მოუჭირა თითები, როგორც მაშინ — ამ უკანასკნელმა.

— მაშ, ჩემი და გიყვარს, არა? — ახლა მისი მისამართით გამოცრა კბილებში.

— მასაც ვუყვარვარ...

— ქალის კალთას ვაუკაცი არ ამოეფარება... შორენამ არ იცის, რა „პროფესია“ გაქვს, ნაბოზარო, თორემ არ შეგიყვარებდა.

— მეც ის „პროფესია“ მაქვს, რაც — შენ. არც შენი ამბავი ეცოდინება შენს დას.

— შანტაჟის მოწყობას აპირებ?

— მე შორენა მიყვარს და ვერავინ წამართმევს მის თავს. ვერც შენ — ბაჩო! — ბაჩომ მის ხმაში სიმტკიცე იგრძნო და მიხვდა, რომ მისი თანამოსაქმე იოლად არ დათმობდა მისი დის სიყვარულს. ცოტა დაფრთხა კიდეც, მაგრამ ხმამაღლა მარტო ერთი სიტყვა თქვა:

— ვნახოთ! — ორივე ხელი შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და წავიდა.

— ბაჩო! — მოესმა ზურგს უკან ლევანის ძახილი, მაგრამ აღარ მიუხედავს, მარტო ხელი გააქნია თავს ზემოთ და შინისაკენ აიღო გეზი. შორენა თავის ოთახში იჯდა, დივანზე ფეხმორთხმით და წიგნს კითხულობდა. ბაჩო გვერდით მიუჯდა, ხელი მოხვია და მისი თავი მკერდზე მიიხუტა. შორენა გაიტრუნა და ძმის გულისცემას მიუგდო ყური.

— ლევანი გავიცანი, — უეცრად თქვა ბაჩომ. შორენა წელში გასწორდა და ძმას თვალებში ჩახედა. ბაჩომ მის მზერაში შიში დაინახა. სადღაც, გულის სიღრმეში შეეცოდა დაიკო. ის მორჩილად უყურებდა და თითქოს განაჩენს ელოდა.

— შენ მას აღარ შეხვდები... — კატეგორიულად თქვა მან. გოგონას ცრემლები წამოსცვივდა. ბაჩოს გული მოეწურა, მაგრამ არ აგრძნობინა. წამოდგა და

ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის მერე კი, დედის საყვედურებს ისმენდა იმის გამო, რომ უგულოა და დასთან ურთიერთობა არ შეუძლია... ბაჩომ კარი გაიჯახუნა და გასანასკენ გასწია...

05:45

ნატალი: უკვე დილის 6 საათი ხდება. ისე დამათენდა თავზე, რომ ვერც კი გავიგე. ახლა ცოტას დავიძინებ და მერე სამსახურში წავალ. შენ კი კეთილ მგზავრობას გისურვებ. თუ მოგენატრე, საღამოს სტუმრად მოდი. გკოცნი ბევრს. ჩემი სიცოცხლე ხარ.

22 სექტემბერი, ხუთშაბათი. 17:43

ზურა: 3 საათის წინ ჩამოვფრინდი. როგორ ხარ, ჩემო სიხარულო? ახლა სამსახურში ვარ და 2 წუთით „შემოვირბინე“ საიტზე. ვიცი, შენც სამსახურში იქნები. ტელეფონი, როგორც ყოველთვის, გამორთული გაქვს. უამრავი საქმე დამიგროვდა იმ დღეებში, რაც წასული ვიყავი. ალბათ შინ გვიან მივალ. უფრო სწორად — მოვალ, რადგან შენთან გამოვივლი აუცილებლად, რომ გინახულო. მომენატრე, ჩემო კუდრაჭავ. რას დამახვედრებ ვახშმად?.. გკოცნი, დროებით.

23:01

ნატალი: გამარჯობა, სონაااა...

სონა: გაგიმარჯოს. ვატყობ, კარგი განწყობილება გაქვს. ალბათ, ზურასგან კარგი ამბებია. ასეა?

ნატალი: :))) ერთი სიტყვა რომ მოგწერო, იმითაც კი ხვდები, როგორი განწყობილება მაქვს. მაგარი ხარ, სონა!

სონა: მე ხომ „შემწვარ-მოხრაკულს“ გიცნობ!.. მომიყევი ახალი ამბები.

ნატალი: ახალი ჯერ არაფერია. გუშინდელს აქეთ რა შეიცვლებოდა?! ზურა ჩამოვიდა დღეს და ეგ არის ახალი.

სონა: აი, თურმე, რა ყოფილა შენი კარგი განწყობილების მიზეზი!.. უკვე ნახე?

ნატალი: არა, ჯერ არ მინახავს. საიტზე დაუტოვებია მესიჯი — ამ საღამოს შემოგივლი და ვახშამი დამახვედრეოოო...

სონა: :))) მერე, რა მოუმზადე ვახშმად ოჯახის უფროსს?

ნატალი: ოჯახის უფროსი მე ვარ, ძველებურად. გვიან მოვედი, მერე 2 პაციენტი მყავდა და ვერაფრით ვერ მოვასწრებდი ვახშმის მომზადებას. ამიტომ აქვე, კაფეში ხაჭაპური და პიცა შევუკვეთე. გემრიელად ამზადებენ. მაღაზიაშიც გამზადებული სალათები ვიყიდე და ეგ არის.

სონა: გოგო, შენისთანა მზარეულმა მაღაზიისა და კაფეს საჭმელებით უნდა მოიწონო თავი?!

ნატალი: სხვა დროს ჩემს მომზადებულს მივართმევ. ახლა კი ამით უნდა დაკმაყოფილდეს. მითხარი, შენ როგორ ხარ?

სონა: კარგად ვარ.

ნატალი: ექიმმა რაო?

სონა: რაო და... ყველაფერი კარგად მიმდინარეობსოოო.. ანალიზები ჩავაბარე და ყველაფერი ნორმაშია. ნაყოფიც კარგად ვითარდება. რა ვიცი, ჩემო კარგო, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

ნატალი: აუცილებლად კარგად იქნება. ისე, ერთ რამეზე მწყდება გული...

სონა: მაინც, რაზე?

ნატალი: რაზე და შენი შვილი იტალიელი რომ იქნება, იმაზე...

სონა: ნუ ხარ შენ ნაციონალისტი! ნამდვილ ქართველად გავზრდი, ნუ გეშინია. დაბადებიდანვე ქართულად დაველაპარაკები და იტალიურს არ ვასწავლი. ის კი არა, რობასაც კი ქართულად ველაპარაკები. უნდა ნახო, შინ რომ მოვა, ქვაბს ახდის და ლობიო რომ დახვდება, როგორ შლის ხელებს და ამბობს: ქარგი, სონა, ამოვიდა კელში ლობიო...

ნატალი: :))) ასე მოაბეზრე?

სონა: გოგო, ხომ იცი, რომ მე ძალიან მიყვარს ლობიო. აქ კი ქართული კერძის გემო ერთადერთს, ამას აქვს. ყველაფერს — სხვანაირი, უცხო გემო დაჰკრავს. ესენი ლობიოს სხვანაირად ამზადებენ — კარტოფილით და წვნიანს ხარშავენ. მე კი ქართულად ამოვზელ ხოლმე და კარგად შევკაზმავ. ჰოდა, რობა სულ აპროტესტებს, მაგრამ დიასახლისი მე ვარ და რასაც მინდა, იმას მოვამზადებ...

ნატალი: გაგექცევა ეგ შენი რობა და მერე სდიე კუდში.

სონა: სად წავა? არსადაც არ გავუშვებ...

ნატალი: ძალიან გიყვარს?

სონა: კი, უზომოდ. შენ არ იცი, რა კარგი ადამიანია. როცა გაიცნობ, იტყვი, რომ ასეა.

სონა: სად წახვედი? პასუხს რატომ არ მწერ?

ნატალი: ზურა მოვიდა. როგორ არისო? მოგიკითხა.

სონა: :))) მეც მომიკითხე. კარგად ვარ... წავედი, მაშინ. რადგან ზურა მოვიდა, ხელს არ შეგიშლით. დროებით, ნატალი. ხვალ გავაგრძელოთ. გკოცნი.

23 სექტემბერი, პარასკევი. 22:57

ნატალი: სონა, როგორ ხარ?

სონა: კარგად. შენ? შენ როგორ ხარ? ერთი სული მქონდა, როდის მოხვიდოდი, რომ გამეგო გუშინდელი ამბები. რაო, პატიცემულმა?

ნატალი: რაო და მომენატრეო. მისაყვედურა, რატომ დაემშვიდობე სონას, გესაუბრა, შუა გზაში რომ მიატოვე, ეგ ხომ უზრდელობაოო...

სონა: თქვენ იყავით კარგად და არა უშავს, ავიტან...

ნატალი: რა ბებერი ქალივით ლაპარაკობ! :)))

სონა: ბებერი ვარ, მაშ, რა ვარ, 32 წლის გავხდი უკვე...

ნატალი: დედაკაცო, ახლა ჭკვიანად იყავი, თორემაااა... ახალ ამბებს აღარ მოგიყვები, იცოდე...

სონა: მომიყევი ახალი ამბები, რა, ნატალი...

ნატალი: ახალი ის არის, რომ 5 ოქტომბერს ჩვენთან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება და არის ერთი ამბავი. ოპოზიცია უკირკიტებს მთავრობას და ყველაფერზე „ეკიდება“, ისინი კიდევ, ოსტატურად იცილებენ მათ ნასროლს და რიკოშეტით უგზავნიან უკან. კიდევ, თბილისის მერიც უნდა ავირჩიოთ და რაღა თქმა უნდა, გიგი უგულავა „იგულავებს“ ისევ.

სონა: რატომ, გიგი?

ნატალი: იმიტომ, რომ „ნაციონალია“ და უმრავლესობის წარმომადგენელი. იმის ჩიტია უმრავლესობა, რომ თოფაძე და დავითაშვილი „გაამეროს“?

სონა: ლეიბორისტები რას შვრებიან?

ნატალი: არიან ძველ ამპლუაში. შალვა გაჰყვირის — ხალხო, გატყუებენო! — მაგრამ ვის ესმის?

სონა: შენ და პოლიტიკა „დაძმაკაცებულხართ“...

ნატალი: შენ ისეთ დროს წახვედი, ჩემო კარგო, რომ მთავარი მოვლენები გამოტოვე...

სონა: სულაც არ გამოვტოვე. ინტერნეტით ვუყურებ ქართულ არხებს და ყველაფერი ზედმიწევნით ვიცი. ასე რომ, დაანებე პოლიტიკას თავი და რაც მაინტერესებს, ის მომიყევი, თორემ, გამოვძვრები ახლა კომპიუტერში და ნახავ, როგორ დაგახრჩობ...

ნატალი: შე ქალო, მაგდენი თუ შეგიძლია, მოდი, გამოძვერი, მოგესიყვერულები, მოგეფერები და გაძვერი მაგ შენს რობასთან ისევ.

სონა: ნატალი, მოჰყევი, რა მოხდა გუშინ, ნუ მანერვიულებ.

ნატალი: მაპატიე, დამავიწყდა, რომ ბავშვს ელოდები და შენი ნერვიულობა არ შეიძლება.

სონა: მერე, მიდი, დაიწყე.

ნატალი: ჰოდა, გუშინ მობრძანდა ვაჟბატონი სტუმრად. კარი რომ გავაღე, ისეთი გაბრწყინებული სახით იდგა, თითქოს „ტიტანიკი“ გადაერჩინოს. გაშავებულა ხმელთაშუა ზღვაზე. უხდება „ზაგარი“. კარგად გამოიყურება. ჯერ ჩამიხუტა და კარგა ხანს მკოცნა, მერე კი ერთი — მშიაო — თქვა და დივანზე მოწყვეტით დაჯდა. გავაცუნცულე სამზარეულოში და გავუწყვე სუფრა.

სონა: სამზარეულოში ავახშმე? არ გრცხვენია?

ნატალი: ეგ ხომ სტუმარი არ არის! თვითონაც კმაყოფილი დარჩა, შინაურულად ვგრძნობ თავსო, — ამბობდა და თან, მადიანად ილუკმებოდა. ჭამას რომ მორჩა, კალთაში ჩამისვა და ჩამეხუტა. მერე დიდხანს ვილაპარაკეთ. მეხვეწებოდა, რომ ჩემთან დამეტოვებინა, მაგრამ არ დავტოვე. ღამის 3 საათზე წავიდა.

სონა: საინტერესოა, რას ეტყოდა ცოლს?

ნატალი: მეც ვკითხე — რა, უნდა მოატყუო სახლში-მეთქი? მიპასუხა — არავინ შემეკითხება, სად ვიყავი და არც ვინმეს მოტყუება დამჭირდებაო.

სონა: საინტერესოა, ნეტავ, მართლა ასეთი სიტუაცია აქვს სახლში?

ნატალი: თუ მას დავუჯერებთ — კი. ღამის 12 საათზე მოვიდა და არავის დაუ-

რეკავს მისთვის და არ დაინტერესებულა, სად იყო.

სონა: შესაძლოა, გუშინ იყო ასე, მაგრამ სხვა დროს ცოლმა დაურეკოს.

ნატალი: ჰო, შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ მე მასთან ისე ხშირად არ ვყოფილვარ, რომ მაგის დაფიქსირების საშუალება მქონოდა. თანაც, ისინი ხომ წასული იყვნენ და იქიდან ხშირად არ ურეკავდნენ. ალბათ ახლა სიტუაცია შეიცვლება. ადრე უფრო მშვიდად ვიყავი. ახლა კი დაძაბული ვიჯექი. მეგონა, მისი ცოლი ყველაფერს ხედავდა.

სონა: რა უნდა დაენახა? როგორ ისხედით და ლაპარაკობდით?..

ნატალი: მას მოსწონს, როცა წევს და თავი ჩემს კალთაში უდევს. წუხელაც ასე იწვა, ქვევიდან შემომყურებდა და თუ ადამიანის ფსიქიკის რაიმე გამეგება, შეყვარებული თვალებით მიყურებდა.

სონა: რატომ თქვი, თუ ადამიანის ფსიქიკის რაიმე გამეგებაო?

ნატალი: აქამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი საქმის პროფესიონალი ვიყავი, მაგრამ ისე ამიბნია თავგზა ზურამ, რომ უკვე ეჭვი მეპარება. ვიდრე დასასვენებლად წავიდოდი, ჩემთან ერთი პაციენტი დადიოდა. დაახლოებით ჩვენი ასაკის ქალია. წასვლამდე 5 სეანსი ჩავუტარე. სწორედ მსგავსი პრობლემა აქვს: ცოლიანი კაცი შეუყვარდა, მის დავიწყებას ცდილობდა და ფსიქოლოგის ჩარევა დეპრესიის დასაძლევად სჭირდებოდა. მეც, როგორც წესი და რიგია, ველაპარაკებოდი და ასეთი ურთიერთობის ავ-კარგში ვარკვევდი. მერე ისიც დასასვენებლად წავიდა. ახლა კი განაახლა ჩემთან ვიზიტები. ჰოდა, უკვე მეორე შეხვედრაა, ვუმტკიცებ, რომ კი არ უნდა დაივიწყოს ის კაცი, არამედ თავისი სყვარულისთვის უნდა იბრძოლოს... გაოცებული მიყურებდა დღესაც. ხშირად, თეორია სულ სხვა რამეს გვასწავლის, ხოლო ცხოვრება სრულიად განსხვავებულ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანს...

სონა: ასეა, ჩემო კარგო. კიდევ რაზე ილაპარაკეთ შენ და ზურიკომ?

ნატალი: ყველაფერზე ცოტ-ცოტა. ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარს, სონა... როცა მეხება, ეს გარეგანი შეხება არ მყოფნის, მინდა, რომ მის შიგნით ჩავძვრე და დავუკოცნო გული, ფილტვები... მინდა, რომ მთლიანად გარს მეკრას და სხეულის თითოეული უჯრედი მის შეხებას გრძნობდეს. ასეთი რამ გაგიგია?

სონა: არა, არ გამიგია, მაგრამ ისეთი არანორმალური ხარ, რომ შენგან არ მიკვირს.

ნატალი: კიდევ იმაზე შევთანხმდით, რომ ხვალ ქალაქგარეთ წავალთ 2 დღით და ორშაბათს დილით ჩამოვალთ.

სონა: ვაააუ! ქალაქგარეთ — სად?

ნატალი: არ ვიცი. დილით 6 საათზე მოვალ და ერთად გადავწყვიტოთ, სად წავალთო, — მითხრა.

სონა: უყურე შენ! ახალ ამბებს ორშაბათს მომიყვები?

ნატალი: ალბათ.

სონა: კარგი. მაშინ, ახლა დაიძინე, უკვე გვიანია, დილით ვერ ადგები.

ნატალი: ახლა ზურას უნდა ველაპარაკო ცოტა ხანს, მაგრამ ალბათ, ამაღამ მაინც ვერ დავიძინებ.

სონა: ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება. დაწექი და მშვიდად დაიძინე.

ნატალი: ჰო, სათქმელად იოლია... გკოცნი, ჩემო სონა და 2 დღით გემშვიდობები.

სონა: ნერვიულობ?

ნატალი: რა თქმა უნდა, ვნერვიულობ.

სონა: დაწყნარდი. მესმის, რომ ეს შენთვის გადამწყვეტი ნაბიჯია, მაგრამ ნუ ნერვიულობ. ასე ვეღარ გააგრძელებ. ან საერთოდ უნდა დაშორდე, ან უნდა გაჰყვე და მისი ალერსის ტყვე გახდე... გირჩევ, რომ წახვიდე. კარგი ადამიანია ზურა და არა მგონია, რომ ინანო. ბევრს გკოცნი. კარგად.

02:22

ნატალი: მოვედი, ჩემო კარგო.

ზურა: მოიცალე ჩემთვის?

ნატალი: კი, მოვიცალე. როგორ ხარ?

ზურა: ცუდად.

ნატალი: რატომ? ახლა უნდა მოკვდე მაინცდამაინც, ხომ?

ზურა: რა იყო, შეგეშინდა, ხვალინდელი „პაეზდკა“ არ გადაიდოს?

ნატალი: ჰო, შემეშინდა... :(((

ზურა: ნუ გეშინია, ჩემო პატარავ, ეს 2-დღიანი პაემანი მაშინაც კი შედგება, მკვდარი რომ ვიყო. ფიზიკურად არა ვარ ცუდად — მენატრები და იმიტომ გითხარი, ცუდად ვარ-მეთქი. უშენოდ საერთოდ ვეღარ ვძლებ. ნეტავ, რა გვეშველება?.. ნატალი, ახლა დაიძინე, დილით ადრე უნდა ავდგეთ ორივე და თანაც, ხვალ ღამე მოგიწევს უძილობა... ასე რომ, ძილი ნებისაااა...

ნატალი: მოიცადე, არ წახვიდე, რااა...

ზურა: გისმენ.

ნატალი: მაინც, სად აპირებ ჩემს წაყვანას?

ზურა: იქ, სადაც ჩვენს მეტი არავინ იქნება. სადმე მთაში წავიდეთ, ახლა დასვენების სეზონი დამთავრებულია და ხალხი არ იქნება.

ნატალი: უფრო კონკრეტულად ვერ მეტყვი?

ზურა: ყველაფერი გითხარი, რაც ვიცოდი, ჩემო პატარავ. ხვალ ერთად გადავწყვიტოთ, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. რა მნიშვნელობა აქვს, სად წავალთ? მთავარია, რომ ერთად ვიქნებით! ასე არ არის?

ნატალი: კი, ასეა. მაშ, კარგი, ხვალამდე. თუმცა, ჩვენს შეხვედრამდე სულ რაღაც 3 საათი დარჩა. დავიძინოთ ახლა, ცოტა მაინც. გკოცნი.

ზურა: კარგად, ჩემო გულო... დროებით...

ნატალი: კოცნა დაგავიწყდა.

ზურა: ხვალ იმდენს გაკოცებ, რომ ვერ დათვლი. კარგად. ახლაც გკოცნი.

26 სექტემბერი, სამშაბათი

13:25

ზურა: როგორ ხარ, პატარავ? სამსახურში ხარ, ხომ? უზომოდ მენატრები უკვე. ნატალია, საღამოს მომწერე, რااა... თუმცა, დღეს შენთან მოვდივარ და იქ ვილაპარაკოთ, მშვენიერო... მიყვარხარ, გოგოოოოვ!

21:54

ნატალი: გამარჯობა, სიხარულოოო...

ზურა: გაგიმარჯოს, როგორ ხარ?

ნატალი: კარგად ვარ. შუადღისას მოგიწერია, დღეს სტუმრად მოვდივარო...

ზურა: კი, მოვალ აუცილებლად. ახლა სამსახურში ვარ, ცოტა საქმე მაქვს და რომ წამოვალ, პირდაპირ შენთან მოვალ. დილით კი, პირდაპირ შენგან წამოვალ სამსახურში.

ნატალი: აქ დარჩენას აპირებ?

ზურა: ჰო, რა, არ შეიძლება?

ნატალი: მერე, სახლში რა პასუხს გასცემ?

ზურა: ეგ შენი საფიქრალი არ არის და მაგაზე ლაპარაკი არ მინდა.

ნატალი: კარგი, მაპატიე, აღარ შეგეკითხები.

ზურა: ჰო, ასე ჯობია. ერთ საათში წამოვალ.

ნატალი: მაშინ, მანამდე სონას დაველაპარაკები.

ზურა: კარგი, სიხარულო... არაფერი გამოგრჩეს, ყველაფერი მოუყევი...

ნატალი: შენ რა, არ მოგწონს, მე რომ სონას რაღაცებს ვუყვები?

ზურა: თუ მაგას არა, აბა, ვის უნდა მოუყვე?!. მე არ მითქვამს, არ მომწონს-მეთქი. კარგი, მიდი, ესაუბრე, მეც მალე მოვალ.

22:51

ნატალი: გამარჯობა, სონა.

სონა: როგორც იქნა, გამოჩნდი!.. როგორ ხარ?

ნატალი: კარგად ვარ. თავად?

სონა: რა დროს ჩემი მოკითხვაა?! მომიყევი ახალი ამბები.

ნატალი: იმ დილით, როგორც შეთანხმებული ვიყავით, 6 საათზე მოვიდა. გეზი ბაკურიანისკენ ავიღეთ. ორივე კარგ ხასიათზე ვიყავით. ვხუმრობდით, მომავალ 2 დღეს ვგეგმავდით. ის იყო, ხაშურში შევდიოდით, რომ ჩემმა მობილურმა დარეკა. სულ გამორთული მაქვს, ხომ იცი, მაგრამ დილით ჩავრთე, რომ ზურას დაერეკა. სახლის ტელეფონს დაბალი ხმა აქვს და შეიძლებოდა, რომ ხმა ვერ გამეგონა. მერე ჩართული ჩავაგდე ჩანთაში და დამავიწყდა, რომ გამომერთო. ვუპასუხე, რადგან ზურამ ყურები ცქვიტა და ეჭვით გამომხედა. უცხო ნომერი იყო. ქალის ხმამ მკითხა — ნატალი ხარ? — დიახ-მეთქი. — შე გათახსირებულო, უსაქმურო ბოზო, გგონია, შეგრჩება ჩემი გამწარება? შენისთანა ბოზს არ მივცემ უფლებას, რომ ცხოვრება დამინგრიოსო!..

სონა: კი, მაგრამ ვინ იყო?

ნატალი: ზურა მოვიდა! კარს გავუღებ და დაგიბრუნდები. არ წახვიდე, ზურა ხელს არ შეგვიშლის...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ჩეკისტების“ მიერ ნანწამები ქართველების ძვლებს სანაპვეზე ყრიდნენ

რა საიდუმლოს ინახავს ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე სახლის მიწისქვეშეთი?

1937 წელს, მასობრივი რეპრესიების პერიოდში, არაერთი ქართველი ისე „ქრებოდა“, რომ მის შესახებ ოჯახის წევრებიც კი ვერაფერს იგებდნენ. მაშინ ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო და ბევრ კითხვაზე პასუხი 70 წლის შემდეგაც კი გაუცემელი რჩება. მრავალი კითხვა არსებობს თბილისში, ინგოროყვას ქუჩის №22-ში მდებარე სახლის გარშემო, სადაც „კაგებეს“ იზოლატორი ყოფილა განთავსებული და როგორც ამბობენ, პატიმრებს აწამებდნენ.

თამუნა ქვინიკაძე

ეს სახლი ჩიტაძის და ინგოროყვას ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობს. ეზოში შევედი, იქაურობა მოვათვალიერე და ყურადღება პირველი სართულის ქვეშ, თითქმის მიწისპირზე არსებულმა თაღოვანმა, აგურით ნაშენმა ჩასასვლელმა მიიქცია, 6-7 საფეხური აქვს, ისიც აგურით ნაშენი (მაგრამ სანახევროდ მიწით დაფარული). საფეხურებს ჩაივლი და სადღაც შედიხარ, მაგრამ სად?.. ვფიქრობ — ნუთუ, სწორედ ეს არის იმ იზოლატორში ჩასასვლელი, სადაც არაერთ ქართველს წამებით ამოხადეს სული? — და შეშინებული, უკან ვიხევ... ამ დროს ეზოში სახლის მობინადრენიც გამოჩნდნენ. გამოველაპარაკე და ჩემი მოსვლის მიზანიც გავანდე.

„პრესიდან ბრძანდებით?.. თბილისში სამოქალაქო ომის დაწყებამდე, ამ სახლით რუსი ჟურნალისტებიც დაინტერესდნენ, მოვიდნენ, სურათები გადაიღეს, მაგრამ ეს სურათები დაიბეჭდა თუ არა, არ ვიცი“. „ამ სახლის და მთლიანად ეზოს ქვეშ, მიწისქვეშა ნაგებობაა, მოსახლეობა ახლა „პადვლებად“ ვიყენებთ, ადრე კი აქ „კაგებეს“ იზოლატორი ყოფილა“. „ამ სახლში 1941 წლიდან დაიწყეს ოჯახების შესახლება, მანამდე კი „ჩეკას“ ეკუთვნოდა. აქ იზოლატორებიც იყოო, ამბობენ, მაგრამ ამის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი“, — მოკლედ სულ ეს იყო, რაც მათგან შევიტყვე, არადა, გაცილებით მეტი ინფორმაციის მიღებას ველოდი. ვიკითხე — სახლის უხუცესი მცხოვრები ვინ არის-მეთქი? მიმასწავლეს — მესამე სართულზე ადი და რეზო გრიგალაშვილი იკითხეო. კიბე სწრაფად ავიარე...

რეზო გრიგალაშვილი:

— თქვენთვის მართალი უთქვამთ, ის ფაქტი, რომ ამ შენობაში „კაგებეს“ იზოლატორი იყო, არც ერთი ოჯახისთვის სასიამოვნო არ არის, მაგრამ... როდესაც ჩემი კუთვნილი სარდაფი გავწმინდე, ტუფლები ვიპოვე. სხვებმა კი — ადამიანის ძვლები, თავის ქალა და ა.შ. ის ტუფლები, რომლებიც ჩემს სარდაფში იყო, ალბათ ერთ-ერთ პატიმარს ეკუთვნოდა.

— ამ შენობით არასოდეს დაინტერესებულა ვინმე?

— არა. მხოლოდ ერთი შემთხვევა მახსენდება: ჩემთან, ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე, წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის მოძღვარი მოვიდა და მითხრა — ეკლესიის ეზოდან გვირაბი გამოდის და მგონი, თქვენს სარდაფს უერთდებაო. ჩავედით, დავათვალიერეთ, მაგრამ ვერაფერი ვნახეთ, ეტყობა, ამოქოლილია. მიწისქვეშა ოთახები საკნებს მოგაგონებთ. სამწუხაროდ, მე ამ შენობის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მაქვს, თქვენ კი ბევრი რამ გაინტერესებთ. გირჩევთ, ჩვენი სახლის მცხოვრებ გიორგი სარაჯიშვილს შეხვდეთ. ის ბევრ საინტერესო ამბავს მოგითხრობთ.

რეზო გრიგალაშვილს დავემშვიდობე და რაღა თქმა უნდა, მისი რჩევის გათვალისწინებით, ისტორიკოს გიორგი სარაჯიშვილს დავუკავშირდი. როგორ პოულობდნენ სახლის სხვენზე ადამიანის ძვლებს, სათამაშოდ შეკრებილი ბავშვები? რატომ ეშინოდათ სარდაფში ჩავარდნილი ბურთის ამოტანა? რა აღმოაჩინეს ეზოში საერთო საპირფარეშოს დანგრევის დროს? ვინ და როგორ მოკლა შიო ჩიტაძე ამ შენობაში? რას იგონებდა ადამიანთა წამების ერთ-ერთი მოწმე, ბერიას დროინდელი დარაჯი?.. „წამებულთა სახლის“ შესახებ **გიორგი სარაჯიშვილი** *მოგვითხრობს:*

სხვენზე ასასვლელი

— ამ ქუჩას დიდი ისტორია აქვს, თავდაპირველად, მას პეტრე I-ის ქუჩა ერქვა, შემდეგ — ფელიქს ძერჟინსკის, ლენინის ერთგულება და რუსეთის იმპერიაში „ჩეკას“ დაარსებისთვის გაწეული ღვაწლი დაუფასეს და მისი სახელი უწოდეს. ამ ქუჩაზე ბევრი კარგი რამეც მომხდარა და ცუდიც. აქ ცხოვრობდნენ: პავლე ინგოროყვა, ლადო ასათიანი, კოტე მარჯანიშვილი, ირაკლი გამრეკელი, დროებით — ოლივერ უორდროპი. ამ ქუჩაზე ბევრი საზოგადო მოღვაწე აღიზარდა: №8-ში — ეროვნული აკადემია არსებობდა, ხოლო №22-ში — სათავადაზნაურო გიმნაზია, რომელსაც შიო ჩიტაძე ხელმძღვანელობდა. ამ შენობიდან ერთ დღეს გიმნაზიის ერთ-ერთმა მოსწავლემ ყუმბარა ესროლა მეფისნაცვალს. ყუმბარა არ აფეთქდა და ის მეფისნაცვალი გადარჩა, მაგრამ არეულობის დროს, დერეფანში გამოსული შიო ჩიტაძე, „ოხრანკის“ (*იმდროინდელი სპეცსამსახურები. — ავტ.*) აგენტებს ვიღაცაში შეეშალათ და ესროლეს. ასე, სრულიად უმიზეზოდ გამოასალმეს წუთისოფელს ეს დიდი საზოგადო მოღვაწე, 1906 წლის 17 ივლისს. ამ ამბავმა ილიაზე ძალიან იმოქმედა, იმ დროს, პეტერბურგში იმყოფებოდა და იქ ერთ-ერთ ეკლესიაში პანაშვიდიც გადაუხადა; ბრაზობდა — ალექსანდრე ცაგარელის გარდა, არც ერთი ქართველი არ მოვიდაო... სათავადაზნაურო გიმნაზიამ ამ შენობაში სულ 5-6 წელი იარსება, შემდეგ სხვაგან გადაიტანეს. აქ კი „ჩეკა“ დაარსდა და საშინელ ადგილად იქცა. მე ამ სახლს „წამებულთა სახლი“ დავარქვი. იგი სულ 115 წლისაა. რუსული ასო П-ს მოყვანილობა ჰქონდა. ოჯახების შესახლება სამამულო ომის წლებში დაიწყეს. ეზოში ძალიან ბევრი ბავშვი ვიყავით, სახლს ნათელი, მზიანი სხვენი ჰქონდა და ზაფხულობით ხშირად იქ სათამაშოდ ავდიოდით. ბევრგან სიგნალიზაცია იყო დამონტაჟებული, რამდენჯერ წამოგვიკრავს ფეხი ამ სიგნალიზაციის გაყვანილობისთვის!.. ჩაირთვებოდა და მილიციელები მორბოდნენ. სხვენზე ხშირად ადამიანის კიდურების ძვლებს, თავის ქალას, ნეკნებს ვპოულობდით.

— ამის შესახებ მშობლებს არაფერს ეუბნებოდით? არ გეშინ-

მა, თუ რას განვიცდიდით... ბავშვობაში პიონერთა სასახლის ვოკალურ ჯგუფში ვმღეროდი. ქალების გასამხნევებლად, ძალა მოვიკრიბე და შევასრულე — „ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი...“ გასუსულები მისმენდნენ. ნინო ტანზე მომეკრო. დილამდე, ხმა აღარ ამოუღია. ინათა თუ არა, ხეებიდან ჩამოვედით. მივხვდი — ნინო ცუდად იყო, ეტყობოდა, რომ მაღალი სიცხე ჰქონდა. ხიდან გაჭირვებით ჩამოვიყვანეთ. სიარული უჭირდა. ხმას არ იღებდა, ერთიანად კანკალებდა. სველი ტანსაცმელი უკვე ტანზე შეგეშრობოდა. ყველამ გავიხადეთ მაისურები და ნინოს ჩავაცვით. ბიუსტჰალტერების ამარა დავრჩით — ვინ დაგვინახავდა?.. ქალები ერთმანეთს ვენაცვლებოდით და ნინო ზურგზე აკიდებული მიგვყავდა. მაგრამ მალე ისე დავიქანცეთ, რომ ნაბიჯის გადადგმაც კი გვიჭირდა. გადავწყვიტეთ — ავტობუსის მგზავრების იმედად დავრჩენილიყავით: თუ მოგვძებნიდნენ, გადავრჩებოდით, თუ არა და ყველას სიცივითა და შიმშილით სიკვდილი გვეწერა... აღარ დავიწყებ იმის მოყოლას, ტყეში საკვებსა და წყალს როგორ დავეძებდით. ხან — ვტიროდით, ხან — ვიცინოდით. ალბათ, შევიშლებოდით კიდეც, ნინო ასე ცუდად რომ არ გამხდარიყო: მასზე მზრუნველობა ძალას გვმატებდა. საათების მანძილზე, ტანს ვუზელდით, გათოშილ ხელებსა და ფეხებზე სულს ვუბერავდით. ასანთი სად გვქონდა, ცეცხლი რომ დაგვენთო?!. ორი დღე და ღამე ტყეში გავატარეთ. მესამე დილას ადამიანის ხმა გავიგონეთ. თურმე, მძღოლმა არ გაგვწირა: ორ კაცთან ერთად, შეუსვენებლივ გვეძებდა. საუბედუროდ, გზა აგვრევია... ნინო ერთ-ერთი ქართველის ოჯახში მივიყვანეთ. მათ ასევე ქართველი ემიგრანტი ექიმი გამოიძახეს. გვითხრა: ავადმყოფს ფილტვების ანთება აქვსო. ძლიერი ანტიბიოტიკებით მკურნალობაც დაუწყო, მაგრამ საბრალო გოგო გამთენიისას გარდაიცვალა. გონზე არც მოსულა. არასდროს დამავიწყდება, მისი პასპორტის ნახვისას განცდილი სიმწარე. ეწერა: „ნინო ხერხეულიძე. დაბადების წელი — 1980“. 20 წლის გოგონა ასე უბედურად და საცოდავად დაიღუპა. წარმოგიდგენიათ, რა გაჭირვებული იქნებოდა მისი ოჯახი, 20 წლის შვილს რომ მოჯამაგირედ გაუშვებდა?!. უკვე მეშვიდე წელია, საბერძნეთში ვცხოვრობ. მოხუც მამაკაცს ვუვლი. 800 ევრო მაქვს ხელფასი. იმდენი შევაგროვე, რომ თბილისში ბინა ვიყიდე. ახლა ჩემს შვილებს ნაქირავებ ბინაში ცხოვრება აღარ მოუწევთ. მეც მივეჩვიე საბერძნეთს. აქ მეგობრებიც გავიჩინე. კვირა დღეს ვისვენებ. სტუმრად საჩხერელ ქალებთან მივდივარ ხოლმე. ისინი, ჩემგან განსხვავებით, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ. მე კი ჩემს მოხუცთან ვათენებ და ვაღამებ. ხელით ვაჭმევ, წამლებს ვასმევ, პამპერსს ვუცვლი, ვბან და ვნატრობ — დიდხანს იცოცხლოს, რომ ისევ უმუშევარი არ დავრჩე. ცოტას კიდევ დავაგროვებ და თბილისში პატარა მაღაზიას გავხსნი, რომ ჩემს ოჯახს მუდმივი შემოსავლის წყარო ჰქონდეს.

რუსუდანი, *35 წლის:*

— საზღვრის უკანონოდ გადალახვა იოლი რომ არ იქნებოდა, ამას პატარა ბავშვიც მიხვდება, მაგრამ ის, რაც მე გადამხდა თავს, დაუჯერებელიც კია. შარშან, პირველ სექტემბერს, ოჯახს დავემშვიდობე და ავტობუსით საბერძნეთის გზას დავადექი. წინასწარ ვიცოდი, რომ თურქეთიდან კუნძულზე საზღვაო პატრულს უნდა გადავეყვანე, რადგან ზღვა შედარებით ცუდად კონტროლდება. იქ უამრავი არალეგალი მუშაობს. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მძღოლმა მითხრა: რაღაც გართულდა და უნდა დაიმალოო. რაღას ვიზამდი?! პატარა კიბით ავტობუსის სახურავზე ამიყვანა. იქ ფქვილის ტომრები ეწყო. ერთ-ერთში ჩამსვა და თავი მოუკოჭა. მერე ვიგრძენი, როგორ დამაწყო ზემოდან მძიმე ტვირთი. არ ვიცი, როგორ არ გავიჭყლიტე. ასე, ფქვილის ტომარასავით მატარეს დაახლოებით 3-4 საათი. მერე, უეცრად ავტობუსი მოცურდა, მგონი, საბურავიც გაუსკდა. ჩამესმა ხალხის კივილი და წამში, წარმოუდგენელი ტკივილი ვიგრძენი. ტომრები დაცურდა და ასფალტზე გადმოიყარა. ბედად, შემხვედრმა მანქანამ დამუხრუჭება მოასწრო, თორემ, წიწილასავით გამჭყლეტდა... გამომათრიეს ტომრიდან, დაჟეჟილი და თავპირდასისხლიანებული. ყველაფერი მტკიოდა. თავი ორ ადგილას მქონდა გატეხილი. სანამ ხმას ამოვიღებდი, მძღოლმა დამიყვირა — შენ გამო შარში თუ ჩავვარდი, ოჯახიანად ამოგწყვეტთ ღონღაძეებსო!.. მგზავრებმაც ჩოჩქოლი ატეხეს: პატრულმა არალეგალი რომ იპოვოს, ყველას დაგვიჭერენ და დეპორტაციას გაგვიკეთებენო. ხმა არ ამომიღია. ვიღაცამ თავი შემიხვია, ვიღაცამ ანალგინი დამალევინა. ზოგმა მომილოცა კიდეც, საზღვრის გადალახვა. ერთი სიტყვით, რადგან შევიტყვე, რომ უკვე საბერძნეთში ვიმყოფებოდი, განსაცდელი და ტკივილი სულ გადამავიწყდა. თურმე მოტყუვდი. მთავარი გასაჭირი ჯერ კიდევ წინ მელოდა... ავტობუსში აღარ დამაბრუნეს. ორმა უცხო მამაკაცმა ჩემთვის გაურკვეველ ენაზე რაღაც ჩაიბუტბუტა და მანიშნა — წამოდიო. მძღოლმა კი დაამატა: აბა, რუსუდან, ესენი დანიშნულების ადგილამდე მიგიყვანენ, იმდენი გადავუხადე, რომ ცივ ნიავს არ მოგაკარებენო... იქვე ახლოს პატარა ფარდული ჩანდა. სწორედ იქ შემიყვანეს და დამტოვეს. ერთ-ერთმა, „დამტვრეული“ რუსულით მიმახვედრა, რომ ფარდულიდან არ უნდა გამოვსულიყავი. საჭმელი მქონდა. გემრიელი ხაჭაპური მივირთვი და დავიწყე ლოდინი. გავიდა ერთი, ორი, შვიდი, ათი საათი — არავინ გამოჩნდა. დაღამდა. სიცივისგან კანკალი დამაწყებინა. ჩანთიდან საჭმელი გადმოვყარე და გაჭირვებით, შიგ ჩავჯექი. ვიფიქრე, ცოტათი გავთბები-მეთქი... დაახლოებით დღე-ნახევრის შემდეგ, ხმაური შემომესმა. ცოტა ხანში, ფარდულში ქალი „შემოაგდეს“. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. ჩემნაირი არალეგალი აღმოჩნდა. დიდი დილმიდან იყო — მანანა მაისურაძე. თუ მისი ოჯახი ამ წერილს წაიკითხავს, ძალიან გამიხარდება: ყოველთვის მინდოდა, მათთვის გამეგებინებინა, თუ როგორ საცოდავად დაიღუპა 50 წლის მშვენიერი ქართველი ქალი... ის ღამე თეთრად გავათენეთ. დილით მითხრა: წუხელ, ფეხის თითზე რაღაცამ მიკბინა, ალბათ, აქ ჭიები არიანო... ფარდულის შუაში მაგიდა იდგა. ზედ ავედით, ძირს მცოცავი, დიდი, შავი ჭიები მხოლოდ მაშინ შევამჩნიეთ. მერე კარი ისევ გაიღო და კიდევ ორი ქალი შემოვიდა. მივხვდი, რომ ფარდულში არალეგალებს გვაგროვებდნენ და ყველას ერთად წაგვიყვანდნენ, მაგრამ სად — ეს არ ვიცოდი. რამდენიმე საათის შემდეგ, მანანას დაკბენილი თითი საშინლად გაუსივდა და გაულურჯდა, სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. ნამდვილად სიცხე მაქვს, მაცივებსო, — თქვა. კანკალი რომ დაიწყებინა, ფარდულიდან გამოსვლა დავაპირე, მაგრამ — ამაოდ: კარი მაგრად ჩაერაზათ. საბრალო ქალი, თვალსა და ხელს შუა, სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. ვანელი ქალი გვამშვიდებდა — ქუთაისიდან საღამო ხანს ავტობუსი ჩამოვა, 3 ქალს ჩამოიყვანს და მერე, ყველას ერთად, ზღვით კუნძულზე გადაგვიყვანენო. მანანას მისი აღარ ესმოდა — თვალები შეუშუპდა, კანკალი გაუძლიერდა, პირიდან დორბლი გადმოუვიდა. თუ რაიმე წამალი გვქონდა, ყველაფერი დავალევინეთ. მერე ვიღაცამ თქვა — ნამდვილად კვდებაო... მთელი ხმით ავკივლდით — იქნებ, ვინმესთვის ხმა მიგვეწვდინა. მშველელი არა და არ გამოჩნდა... მეოთხე დილას, წარმოუდგენელი რამ მოხდა: თვალებიდან, ცრემლის მაგივრად, სისხლი გადმოუვიდა. სწორედ ამ დროს, უცხო მამაკაცებიც მოვიდნენ. მანანას დანახვაზე კანკალი დააწყებინათ. რას გაუკეთებდნენ, რითი უშველიდნენ?.. გაგიჟებულები, ერთმანეთს რაღაცას უყვიროდნენ. ამასობაში,

გვეგონა, წყლის პირას სიარული სასიამოვნოც კი იქნებოდა... ასე დავადექით, ბედის მაძიებელი 8 ქალი, სიკვდილის გზას...



მერე ეს ყველაფერი ერთად მანქანაში შეყარეს და ერთ-ერთ სანაგვეზე წაიღეს.

— თვითონ „ჩეკისტებს“ გაჰქონდათ ნაწამები პატიმრების გვამები?

— ვფიქრობ, რომ არა. თუმცა, ბერიას დროინდელ დარაჯს თუ დავუჯერებთ, გვამები სატვირთო მანქანებით მიჰქონდათ ხოლმე.

ჩვენი შეხვედრა ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში შედგა. ბატონი გიორგი დამპირდა, ფოტოკორესპონდენტთან ერთად მოდი, სარდაფში ჩაგყვებით და ფოტოების გადაღებაში დაგეხმარებითო. მეორე დღეს, ინგოროყვას №22-ში დათქმულ დროს გამოვცხადდით. ეზოში გიორგი სარაჯიშვილი და რეზო გრიგალაშვილი გველოდებოდნენ. მიწისქვეშეთს ორი ჩასასვლელი აქვს, ერთიდან ჩასვლა შეუძლებელია, მეორე კი, აი, ის არისო, — მიმითითა ბატონმა გიორგიმ იმ თაღოვან შესასვლელზე, რომელმაც პირველი ვიზიტისას ჩემი ყურადღება ეზოში შესვლისთანავე მიიქცია. ფანჯრებიდან ცნობისმოყვარე მეზობლები თვალყურს გვადევნებდნენ. „იქნებ, რამე გვეშველოს, ამ ცოდვილი სახლიდან როგორმე თავი დავაღწიოთ. ის, რაც აქ ხდებოდა, ყოველდღე თავს გვახსენებს, ცუდი აურაა. კარგია, რომ დაინტერესდით, ამას მთელი სამეზობლოს სახელით გეუბნებით“, — მითხრა ერთ-ერთმა ქალბატონმა. ბატონმა რეზომ იუხერხულა, სარდაფში შეშა მაქვს შეტანილი და სრულად გადაღებას ვერ შეძლებთო, მაგრამ მეგზურობას არ დაგვზარდა. სახლიდან გასაღები ჩამოიტანა და... აგურით ნაშენი საფეხურები ფრთხილად ჩავიარეთ, სარდაფში შესვლისთანავე დავინახეთ — დერეფანი ორად გაიყო: მარჯვენა მხარეს გრძელი დერეფანია, მარცხნივ კი — კარი. ბატონმა რეზომ კარი გაგვიღო და შეგვიძღვა. სრული სიბნელეა. ჩვენც შევყევით, ნელ-ნელა გავიარეთ ვიწრო, ნესტიანი დერეფანი... მთავარი წინ არის, — გვეუბნება ბატონი რეზო, კიდევ ერთ კარს გვიღებს. შევდივართ და... საკანი? — ვეკითხები მას. — აი, ეს არის ის ადგილი, სადაც პატიმრებს აწამებდნენო. იმ საკნის იქით კიდევ ჩასასვლელია და — მეორე საკანი. საოცარი განცდა მეუფლება და ბერიას დროინდელი დარაჯის სიტყვები მახსენდება, — სარდაფებიდან ადამიანთა საშინელი კივილისა და გოდების ხმა ამოდიოდაო. თითქოს ეს ხმები ახლაც ჩამესმის, სუთქვა მეკვრება... შიშის მომგვრელ სიჩუმეს აპარატის ჩხაკუნი არღვევს. თქვენ ახლა უნიკალურ კადრებს იღებთ... — გვეუბნება მასპინძელი.

— ბაბუ, აქ რა იყო? — ეკითხება მას პატარა შვილიშვილი და პასუხს ხანმოკლე პაუზის შემდეგ იღებს:

— ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და ყველაფერს მოგიყვები, ბაბუ, ეს დიდი ისტორიაა.

■



ტესტი ერუდიციაზე

1. რა ეწოდება მონასტერთა უცნაურ კომპლექსს, რომელიც შუაგულ საგერძნეთში კლდის წვერებზეა აშენებული?



ა) მეტეორები;
ბ) კუნძულები;
გ) ამოზიდული ნეკნები.

2. რა ერქვა ნინო რამიშვილის მიერ დადგმულ ერთ-ერთ ცეკვას?

ა) „დიდება ბელადს“;
ბ) „პარტიული“;
გ) „საკოლმეურნეო“.

3. რამდენს იწონის (საშუალოდ) ადამიანის თვალი?



ა) 50 გრამს;
ბ) 7 გრამს;
გ) 200 გრამს.

4. გავშვოგაში გადატანილი ოპერაციის გამო, რომელ ფეხგურთელს ჰქონდა მარცხენა ფეხი მარჯვენაზე მოკლე?

ა) გარინჩას;
ბ) პლატინის;
გ) პელეს.

პასუხები იხილეთ 71-ე გვერდზე

მთაწმინდაზე მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში, დღის 12 საათზე ტელეფონმა დარეკა. ოჯახის უფროსი 8163 მეტრი სიმაღლის მწვერვალიდან რეკავდა... მან ეს შეძლო, ის მწვერვალზეა! მიუხედავად წარუმატებლად დასრულებული არაერთი ექსპედიციისა, მანასლუ დაპყრობილია. ეს ქართველი მთამსვლელის კიდევ ერთი წარმატება და ახდენილი ოცნებაა... ამ აზარტს ალბათ არაფერი შეედრება... თუმცა, გია თორთლაძე რაღაც მსგავსს, პოლიტიკაშიც განიცდის ხოლმე. აი, მის მეუღლეს, მაია ერისთავს კი, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, — ურჩევნია, ქმარი, ნერვებდამშვიდებული, მთაში ეგულებოდეს, ვიდრე „პოლიტიკურ საგიჟეთში“...

გია თორთლაძე მეუღლესთან ერთად

გია თორთლაძე „პოლიტიკურ საგიჟეთს“ მთაში გაურბის

ნათია ქარუმიძე

გია თორთლაძე:

— მანასლუზე ასვლა ჩემი ოცნება იყო. 6-ჯერ ვცადე მისი დაპყრობა და ახლა შევძელი. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა ექსპედიციამ სცადა მწვერვალზე ასვლა, მაგრამ ვერ შეძლო. მანასლუ ტიბეტის და ნეპალის საზღვარზეა. იქ მუდმივად ცუდი კლიმატური პირობებია. შეიძლება, ერთი და იგივე მთა ერთ წელს საშინელი ასასვლელი იყოს, მეორე წელს კი — კარგი. მაგრამ, მანასლუ ისეთი მთაა, სადაც მუდმივად პრობლემები გექმნება და სულ სახიფათოა. ამ ექსპედიციის დროსაც, მე-3 ცდაზე ავედით. სახლში უკვე იმედი აღარ ჰქონდათ, რომ ამას მივაღწევდი.

— პირველად როდის და რა ვითარებაში ახვედით მწვერვალზე?

— 1977 წელს 2 მწვერვალზე ავედი, ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში — „დედა ენაზე“ და „კონსტიტუციაზე“. რთული მწვერვალები არ არის, მაგრამ დამწყებთათვის კარგია. სხვათა შორის, ძალიან გამიჭირდა. ცოტა შემეშინდა კიდეც. სპორტული მომზადება არ მაკლდა — რაგბის ვთამაშობდი, მაგრამ ალპინიზმს სულ სხვა სპეციფიკა აქვს...

— ამბობენ, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მთაში, მას მუდამ აქვს იმის მოთხოვნილება, რომ იქ დაბრუნდეს...

— ძალიან ბევრი ადამიანი შემხვედრია, ვისაც ალპინიზმისთვის თავი დაუნებებია, ზოგს — პირველი ასვლის მერე, ზოგს — მე-10 და ზოგს — მე-100 ასვლის შემდეგაც კი. ასე რომ, ვერ ვიტყვი, რომ ეს უეჭველად, მიჩვევაა. თუმცა, მონატრება იცის. ძალიან მენატრება მთა, იქ ყოფნა, ასვლის პროცესი. ხალხი, რომელიც იქ გახლავს თან: იმ შემთხვევაში თუ კარგი ხალხია, თორემ, თუ ცუდ ხალხთან მოხვდი, მოსანატრებელი არაფერია...

— თუ არიან ისეთი ადამიანები, ვისთან ერთადაც მთაში განსაკუთრებით კარგად გრძნობთ თავს?

— „ჩემი ალპინიზმი“ ორ ეტაპად იყოფა: ზამთარში ვაკეთებ „ყინულოვან“, „კლდოვან“ ასვლებს. რაც შეეხება „სასიმაღლო“ ალპინიზმს — ზამთარშიც მიცდია, მაგრამ ვერ ავედი. იქ სხვა ხალხთან ერთად დავდივარ. ზამთარში ხშირად მიწევს წასვლა ისეთ ტექნიკურ მთამსვლელთან, როგორიც საშა რუჩკინია. რაც შეეხება „სასიმაღლო“ ალპინიზმს, ძალიან ბევრ ექსპედიციაში ვარ ნამყოფი — რუსებთან, ესპანელებთან, იაპონელებთან ერთად. კორეელებთან ერთად ვიყავი და მეტს აღარ წავალ: ცუდი ხალხი არ არის, მაგრამ ჩემთვის ცოტა უცნაური და ძნელად შესაგუებელი არიან. განსკუთრებით მიყვარს ესპანელებთან ერთად ყოფნა. 70-ზე მეტ ესპანელ ალპინისტს ვიცნობ და ვერც ერთზე ვერ ვიტყვი აუგს.

— მანასლუდან წარმატებით დაბრუნებულმა, ერთ-ერთი მწვერვალიდან უკან დახევა არჩიეთ, რატომ?

— მანასლუდან რომ დავბრუნდი, წავედი „K-2“-ზე პაკისტანში. ეს 8611 მეტრის სიმაღლის მწვერვალი გახლდათ, ძალიან რთული და სახიფათო მთაა. ერთი თვის მერე, უარი ვთქვი და უკან დავბრუნდი, ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო. ბევრმა სხვა მთამსვლელმაც შეწყვიტა ექსპედიცია. რამდენიმემ გააგრძელა და ტრაგიკულად დაასრულა: 4 მთამსვლელი დაიღუპა... ამ მთას აუცილებლად დავუბრუნდები.

— ტრაგიკული შემთხვევა ხშირია. არ გეშინიათ?

— რა თქმა უნდა, მეც მაქვს ხოლმე შიში. ვიღაცას ჰგონია, მთამსვლელებს არაფრის ეშინიათ და გიჟები არიან, ძალიან ხშირად გვეშინია და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეც ვართ. ჩემ თვალწინ ადამიანი დაიღუპა. საკუთარი თვალებით დავინახე, სიმაღლიდან როგორ მიფრინავდა... პირველები ჩვენ მივედით და ჩამოვიყვანეთ. საშინელი სანახავი იყო, სახეს ვერ გაარჩევდი...

(საუბარს გია თორთლაძის მეუღლესთან ვაგრძელებ)

— ოჯახის წევრებიც, ალბათ ძალიან ნერვიულობთ. ქალბატონო მაია, თქვენ რას განიცდით, როდესაც ბატონი გია ექსპედიციაში მიდის?

— როცა გიას ცოლად გავყევი, ის უკვე პროფესიონალი მთამსვლელი იყო, ასე რომ, ვიცოდი, რა განცდასთანაც მექნებოდა საქმე... რა გითხრათ?! ძალიან ვნერვიულობ. თუმცა, მაქვს იმის უნარი, რომ სხვა საფიქრალით დავიტვირთო გონება, გია რომ მიდის, სხვა საქმეებზე გადავერთვები ხოლმე... მაგრამ როდესაც მირეკავს და მეტყვის — გავდივარ მარშრუტზეო, — მეც ვრეკავ ჩემს მეგობრებთან და ვთხოვ — დაიწყეთ ლოცვა-მეთქი. დღე და ღამე ვლოცულობთ. ყველაზე ძნელი სწორედ ეს პერიოდია — სანამ არ გავიგებ, რომ მთიდან ჩამოვიდა. ჩემი დედამთილი ამბობს — როდესაც გია ექსპედიციაში იმყოფება, სახლში დაბრუნებისას, სადარბაზოსთან სამ კაცს ერთად რომ დავინახავ, ჩემი მემართებაო. სულ მსაყვედურობს — მეგონა, მოახერხებდი, დაგეყოლიებინა, რომ აღარ წასულიყოო. მე კი ვპასუხობ — ალპინისტი ბრძანდებოდით და თქვენი დამსახურებაა, გიას ალპინიზმი რომ შეუყვარდა, მე ახლა როგორ შევცვლი-მეთქი?!. მეც და გიას დედასაც ძალიან გაგვიხარდა, როცა პოლიტიკაში დაიწყო მოღვაწეობა: დიდი იმედი გვქონდა, რომ ალპინიზმს შეეშვებოდა. მას მერე კი, რაც პოლიტიკაში „საგიჟეთი“ დაიწყო, ერთი სული მაქვს ხოლმე, წავიდეს მთაში და დაისვენოს, დამშვიდდეს...

— ბატონო გია, სპორტული და პოლიტიკური აზარტის ერთმანეთთან შედარება თუ შეიძლება?

— სპორტული და პოლიტიკური

აზარტი ერთმანეთს რაღაცით ჰგავს. სპორტში, ერთია, როდესაც შენი აზარტის გამო იპყრობ მწვერვალს — გსიამოვნებს და შენს ამბიციებს იკმაყოფილებ; მეორეა, როდესაც ამ ყველაფერს ეროვნული დატვირთვა აქვს: მაგალითად, პირველი ქართველი ექსპედიციის ხელმძღვანელი ვიყავი კილიმანჯაროზე, ტიბეტში, ალასკაზე. ასეთ დროს, ეროვნული სიამაყის გრძნობა გეუფლება. პოლიტიკაშიც არის მსგავსი რამ. პოლიტიკური მოღვაწეობისას, პირად პოლიტიკურ ამბიციებსაც იკმაყოფილებ და ქვეყნის საკეთილდღეოდაც უნდა იზრუნო (არ ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკაში იმისთვის მოდიან, რომ საკუთარი ცხოვრება მოიწყონ. ამას წლების განმავლობაში აკეთებდნენ და ახლაც ბევრი აგრძელებს). განსხვავება ის არის, რომ თუ სპორტში შენი სპორტული ჟინი შეიძლება წინ იყოს წამოწეული, პოლიტიკაში ქვეყნის ინტერესები პირველ ადგილას უნდა იდგეს. მე ძალიან მიყვარს ჩვენი ხალხი. სხვაგან ვერ ვიცხოვრებ. ჩვენ უნდა შევეცადოთ, აქ შევცვალოთ რაღაც და სხვა ხალხის მიერ მოწყობილ ქვეყანაში არ ვეძებოთ კეთილდღეობა.

— რუსულ-ქართული ურთიერთობების დაძაბვის ფონზე, რუს ალპინისტებთან რამე პრობლემა ხომ არ გექმნებათ?

— ეს ურთიერთობები მეხება, როგორც საქართველოს მოქალაქეს და პოლიტიკოსს. თუმცა, სპორტისგან ეს გამიჯნულია. რუს ალპინისტებთან ძალიან კარგი ურთიერთობები მაქვს. მაგრამ, ახლა რუსულ ექსპედიციაში ნამდვილად არ მივიღებ მონაწილეობას — ჩემს ხალხს არ გავაღიზიანებ.

— თქვენ მრავალ ქვეყანაში გიმოგზაურიათ და ალბათ, ბევრი ლეგენდაც გსმენიათ. რომელმა მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— ყველა სოფელსა და ქალაქს აქვს თავისი ლეგენდა. მე უფრო იმ მოვლენაზე შევაჩერებდი ყურადღებას, რომელიც ლეგენდად ქცეულა. მაგალითად, ნეპალში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც შეპებად მოიხსენიებენ. შეპი, როგორც მთამსვლელი, კარგად არის მომზადებული და მას ხშირად, როგორც მუშას, ისე ქირაობენ, დამქირავებელს ისინი შაგიბს (ბატონი) ეძახიან. შეპების ერთგულება და თავგანწირვა ნამდვილად საარაკოა. ძალიან ხშირად ყოფილა, რომ შეპს არ მიუტოვებია გაჭირვებაში მყოფი თავისი ბაგიბი და მასთან ერთად დაღუპულა... თავგანწირვა ალპინიზმის ისტორიაში იშვიათი როდია. მაგალითად, 1961 წელს ქართულ ექსპედიციაში სამი მთამსვლელი დაიღუპა — გაბრიანი, კუხიანიძე და მეძმარიაშვილი. უკან რომ ბრუნდებოდნენ, გაბრიანი უკვე დაღუპული იყო; კუხიანიძეს ხელები ჰქონდა მოყინული და მწვერვალიდან მოწყდა; მეძმარიაშვილი მისკენ გაიქცა მისაშველებლად და გადაჰყვა... მეძმარიაშვილი და კუხიანიძე მეგობრები იყვნენ. ამიტომ, ეს თავგანწირვა გასაგებია. მაგრამ დამქირავებლისადმი უცხო კაცის ასეთი ერთგულება, რაც შეპებს შეუძლიათ!.. საამისოდ, სულ სხვა ფსიქოლოგიისა და მორალის ადამიანი უნდა იყო.



როდესაც შენი აზარტის გამო იპყრობ მწვერვალს — გსიამოვნებს და შენს ამბიციებს იკმაყოფილებ

— თოვლის კაცზე თუ გსმენიათ რაიმე?

— მე მისი ნაკვალევიც მინახავს. მისი მხილველებისთვისაც მომისმენია. იაპონელებს დაუტოვებიათ ბანაკი და იქ საკვებიც ყოფილა. ამინდი რომ გამოსულა, იქაური მოსახლეობა ამ პროდუქტის ასაღებად ასულა ბანაკში. მათი კივილის ხმა გაუგონია და ბანაკიდან გამოვარდნილა ეს არსება. მათი თქმით, ის იყო მაიმუნის მსგავსი, მუქი, ჟღალი თმით. ჩემი აზრით, ეს არის მაიმუნი, რომელსაც აქვს კარგი ყნოსვა, მხედველობა და ადვილად გაურბის მნახველს. ბევრი ექსპედიცია წასულა მის სანახავად, მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი ექსპედიციები თავიდანვე განწირულია. ხმაური, რომელიც თან ახლავს ექსპედიციას, ასეთ ცხოველს ყოველთვის აფრთხობს.

რუს ალპინისტებთან ძალიან კარგი ურთიერთობები მაქვს. მაგრამ, ახლა რუსულ ექსპედიციაში ნამდვილად არ მივიღებ მონაწილეობას

— როგორც ვიცი, მთაში მწერლობაც დაგიწყიათ...

— 13 მოთხრობა დავწერე, კრებულიც გამოვეცი. პირველი სამი მოთხრობა მთაში დავწერე, მაშინ ნანგაპარბატში ვიმყოფებოდი. დანარჩენი, რომ ჩამოვედი, აქ დავწერე.

მაია:

— ძალიან მიყვარდა ის პერიოდი, როდესაც გია წერდა. ძირითადად, ღამით წერდა, როდესაც ყველას ეძინა. მეც მეძინებოდა ხოლმე — არადა, ძალიან მაინტერესებდა, რა მოხდებოდა, სიუჟეტი როგორ განვითარდებოდა და დასრულდებოდა. ამიტომ, სულ ვეუბნებოდი — გამაღვიძე, როდესაც მორჩებიმეთქი. ყოველთვის მაღვიძებდა და ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, როდესაც ვკითხულობდი!..

— გული ხომ არ დაგწყვეტიათ რომელიმეს ფინალზე და შეცვლა ხომ არ გითხოვიათ?..

გია:

— „ჰეფი ენდები“ ჩემს მოთხრობებში არის. მთაში ათასგვარ ამბავს ვისმენდი, რაც სინამდვილეში მომხდარა. თუმცა, დოკუმენტურ მოთხრობებს არ ვწერ...

მაია:

— ისე ლოგიკურად, ბუნებრივად და მხატვრულად ვითარდება მოვლენები, ვერანაირად შეცვლი რამეს. ერთადერთი, ბეჭდვისას, ვუცვლიდი სიტყვების თანმიმდევრობას. მეგონა, ვერ შეამჩნევდა, მაგრამ იმწუთასვე ამჩნევდა და მეუბნებოდა — მე ასე არ დამიწერიაო. ამაზე ვკამათობდით ხოლმე...

გია:

— მე წერის და თხრობის ჩემი სტილი მაქვს. თუ ვყვები, ისე უნდა იყოს, როგორც მე ვყვები... ■

სიდედრის ბიზნესი...



ინგა ჯაყელი

რუსებს ერთი კარგი ანდაზა აქვთ: ადამიანი ყველაფერზე საკუთარი გარყვნილების შესაბამისად მსჯელობსო, — და ამ ჭეშმარიტების დასტური ჩვენი დღევანდელი ამბის გმირია — 15 წლისამ რომ გაუგო ქალის „სიყვარულს“ გემო. რომ დაეთვალა ვახოია სირბილაძეს რამდენმა ქალმა გაიარა მის ხელში, შეიძლება გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვედრილიყო. დონჟუანობაში გარეგნობაც უწყობდა ხელს — აპოლონს ჰგავდა აღნაგობით, დაკუნთული და მხრებში გაშლილი. მისთვის უარის მთქმელი ქალი არც გაჩენილიყო თითქოს ქვეყანაზე, მიუღწეველი და აუსრულებელი სურვილი ერთხელაც არ ჰქონია და ალბათ ამის გამოც დარჩა 35 წლამდე უცოლო — ყველა ქალში ეშმაკს და მაცდურს ხედავდა, ახლობლების ხვეწნა-მუდარას ყურს არ უგდებდა და ალბათ უცოლოდ სიკვდილსაც დააპირებდა, რომ არა ავადმყოფობა — ორი დღის გადაბმული ღოთობის შემდეგ წნევამ აუწია და შემთხვევით ძველ საყვარელს რომ არ გაეღო შერჩენილი გასაღებით კარი, ნაპირზე ამოვარდნილი უწყლობით შეწუხებული თევზივით ღაფავდა სულს საწოლზე მიგდებული და კართან მისვლის თავიც აღარ ჰქონდა მეზობლის დასაძახებლად...

დატრიალდა ქალი, ექიმს გამოუძახა და მოაბრუნეს საამქვეყნოდ, მაგრამ მას შემდეგ მარტოობის შიში დასჩემდა ვახოიას და ამიტომაც გადაწყვიტა ცოლის შერთვა. დედაშვილს სთხოვა დახმარება, ოღონდ მკაცრად გააფრთხილა: „ისეთი ქალი უნდა შემირჩიო, ოთხი კლასის მერე სკოლაშიც რომ არ უვლია, ექსკურსიაზეც რომ არაა დედის გარეშე ნამყოფი და ერთი ღამე რომ არ გაუთევია ნათესავებშიც კი!..“

მანანას დეიდაშვილი ძალიანაც უყვარდა, მაგრამ ასეთი მოთხოვნის შემდეგ მაინც ეჭვი შეეპარა მის ნორმალურობაში და ფრთხილად ჰკითხა: — მითხარი, რომ ხუმრობ ვახოია დაღუპულო?! — რას ჰქვია, ვხუმრობ, რაც ჩვენს ქალაქში ამ ბოლო ხანებში ქალები გათხოვდნენ, 100-დან 80 ჩემთან ნაკოტრიალებია, 19 — ჩემს ძმაკაცებთან და ხომ მომეჭრა თავი მაინცდამაინც იმ 19-დან რომ შემხვდეს რომელიმე?!.

— ძმაკაცი თუა, გეტყვის და გაგაფრთხილებს! — სამართლიანად შენიშნა მანანამ, მაგრამ ვახოიამ კიდევ ერთი ცოდვა აღაირა საპასუხოდ:

— მეც ძმაკაცი მერქვა, მაგრამ გიზოიამ რომ ქალი მოიტაცა და ქორწილში ბედნიერებით ბწყინავდა, ვერ გავბედე გამხელა, რომ იზაბელა ცხრაჯერ მყავდა ნაბურჯგნი!..

— გიჟი ხარ, ვინცხა ხარ! — შეიცხადა მანანამ და ფანჯრიდან სამშობიარო სახლი დაანახვა — შენ რომ ეძებ, იმფერი გოგო ახლა იბადება და წადი, დედამისს გაშლილ ფეხებთან დაუდარაჯდი, პირდაპირ გაშლილი მკლავები დაახვედრეო!..

...იმ დღეს ასე დაშორდნენ ერთმანეთს დეიდაშვილები, მაგრამ ორ კვირაში აქეთ მოაკითხა მანანამ ვახოიას:

— ბედი გქონია, შენ რომ ეძებ, ისეთი ქალი ვნახე, დედისერთაა და ექიმი დედა თან ჰყვება. ორი დიპლომი ისე ააღებინა, ინსტიტუტში არ უვლია, მუშაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, „პარიკმახერიც“ კი სახლში დაუდის, აღარაფერს ვამბობ მოახლე-მოსამსახურეებზე. ორსართულიანი გალავნით შემოღობილი სასახლე აქვთ და ჩასასიძებელ კაცს ეძებენ, შესახედაობის მეტი არაფერი უნდათ მისგან!..

— ალბათ ქალი იქნება მახინჯი! — დაასკვნა ვახოიამ რატომღაც.

— რავა გეკადრება, ნამდვილი მზეთუნახავია და მიტომაც არ უშვებს დედამისი გარეთ. 13 წლის რომ გახდა, მას შემდეგ სულ მოტაცებით ემუქრებოდნენ. დედამისს არასოდეს უჭირდა ცხოვრება და დაცვა დაუქირავა, ოღონდ ვინმეს აუგი არ ეთქვა, კაცი ამ შეთხვევაშიც არ გააკარა შვილს და კარატისტი გოგოები მოძებნა...

მოკლედ, სახელი და გვარიც რომ უთხრა მანანამ და ვერავინ გაიხსენა ასეთი და თანაც მზეთუნახავი, აღიარა:

— ბოზი რომ იყოს, მეცოდინებოდა!..

...მოკლედ, მალე გადანახულებაც შედგა, ნიშნობაც და ქორწილიც!.. მზეთუნახავ ცოლთან თაფლობის თვეც შეირგო, ბუმბულის ლოგინში კოტრიალიც და საწოლში მირთმეული ყავა და საუზმეც. ლამისაა, მორწმუნეც გახდა და ეკლესიაშიც შეიარა სანთლის ასანთებად — გმადლობთ, ღმერთო, რომ არ გამწირეო! — და იმ დღეს იყო სწორედ, ათი წლის უნახავი თანაკურსელი რომ შეხვდა. კაფეში დასხდნენ, ერთმანეთი მოიკითხეს და როცა ვახოიამ უთხრა, ვის ოჯახშიც შევიდა ზედსიძედ, ფერი დაკარგა ზურიამ და ენაც დაება. კი სცადა საუბრის ბანზე აგდება, მაგრამ ვინ დაანება, ყელში სწვდა ვახოია — სიმართლე მითხარიო!.. — ბოზია შენი სიდედრი და არც ქალიშვილი ჰყავს ნაკლები, მაგის გაშვილებულ ბავშვს ჩემი ბიძაშვილი ზრდისო! — აშკარად იგრძნო ვახოიამ, როგორ აასხა ტვინში სისხლმა და თვალებშიც დაუბნელდა...

გონს საავადმყოფოში მოვიდა და როცა მომხდარი აღიდგინა, მაშინღა დაინტერესდა სიდედრის „ბიზნესით“ — აღმოჩნდა, რომ მისი კერძო გინეკოლოგიური კლინიკა პლასტიკურ ოპერაციებზე იყო დახელოვნებული და საკმაოდ მაღალ ფასებშიც ახდენდა მსურველებისთვის ქალწულობის აღდგენას...

ბევრი ფიქრიც არ დასჭირვებია, ისე მიხვდა, რისთვისაც დაატეხა უზენაესმა ასეთი სასჯელი თავს: როგორც კი იმდენად მომჯობინდა, რომ ფეხზე დადგომა შეძლო, ბარგი შეკრა და იმ ქალის კარს მიადგა, წლების წინ რომ აცდუნა და 9 წელიწადია, მარტო ზრდიდა მის ბიჭს; იმასაც ამბობენ, იმ დღის შემდეგ ქალისკენ აღარ გაუხედავს, ცოლს გვერდიდან არ შორდება და მასთან ერთად ვაჭრობს ერთ-ერთ ბაზრობაზეო. ქალს მეორე შვილის გაჩენაც აუკრძალა თურმე: ვაი და, გოგო გაჩნდეს, იმ წუთში ხომ ჩამექცა ტვინში სისხლიო!..

■

თავისუფალი თემა

ძირს ღვინო და ქალები! ანუ რას ერჩით ცოლებს?

მარი ჯაფარიძე

მოკლედ, მინდა, გითხრათ, ჩემო მკითხველებო, რომ თქვენი გამოსწორება არ იქნა. ათასი თემა მოვიგონე „გზავნილებისთვის“, მათ შორის — პოლიტიკური, „ინტრიგანული“, ქალაქის მერობასაც კი შევეხეთ, მაგრამ თქვენი ფიქრები მაინც ერთი მიმართულებით მიედინება და მუდამ სიყვარულის თემას „აწვებით“. რას იზამ, ალბათ, ეს სწორედ ის საკითხია, რომელიც ადამიანს ყველაზე მეტად აწუხებს. ამიტომაც, დღევანდელი „თავისუფალი თემა“ ფაქტობრივად, სიყვარულით შეიცვალა...

გამხელილი ცოდვა

„ეჰ, მარი, მარი!.. ვკითხულობ ხოლმე „გზას“. კაი ტიპები ხართ ყველანი — დამწერ-წამკითხველიანად. თუ ბედის ირონია არსებობს, ალბათ ის მარტო ჩემზე „მუშაობს“. ვინმე ჩემნაირი მოგწერს და შეიძლება, ისე გააზვიადოს თავს გადახდენილი, რომ მტრისას. მაგრამ მე ეგ აღარ მჭირდება... ჩემს მონათხრობში ბევრი აღმოაჩენს საკუთარ თავს და მომიწევს წყევლა-კრულვის მოსმენა. შეიძლება, ძალიან ჩვეულებრივი, სტანდარტული ფრაზებით ვლაპარაკობდე, მაგრამ ჩემს ტკივილს ვერც ერთი ფრაზა და ბგერა ვერ გაუტოლდება. პირდაპირ საქმეზე გადავალ... ბავშვობიდანვე ისეთი ცხოვრება მქონდა, რომ ყველა შემომნატროდა და დღემდეც ასეა. ოდნავადაც არ ვამეტებ. ყველა კაცი ფიქრობს, რომ ბედნიერება ფულში, ქალებსა და ძალაუფლებაშია. არ ყოფილა ასე. არც ერთი არ მომკლებია, მაგრამ მაინც არასდროს ვყოფილვარ ბედნიერი. ჩემი ბედნიერება, პერიოდულად ტკივილის გაყუჩებაა და მეტი არაფერი! რაც შეეხება ფულს და ძალაუფლებას, არა მგონია, ვინმე დაინტერესდეს ამით... კაცებსაც კი, ყოველთვის დიდი ინტერესი ჰქონდათ, გაეგოთ ჩემი ცხოვრების, ქალებთან ურთიერთობის დეტალები. პასუხი მარტივი იყო — არასდროს და არც ერთი ქალისთვის უარი არ მითქვამს, ყველას ვღალატობდი, მაგრამ ამას ღალატად არ მივიჩნევდი. ერთხელაც გონს მოვეგე, მინდოდა, ვინმე სერიოზულად „მოკალათებულიყო“ ჩემს გულში და რადგან სიყვარული შეკვეთით არ მოდის, თვე-ნახევრის განმავლობაში ისეთი დეპრესია დამეუფლა, რომ კინაღამ საგიჟეთში ამოვყავი თავი. მომდევნო ორი თვის განმავლობაში, თითქმის ყველა ნარკოტიკული საშუალება და სპირტიანი სასმელი გავსინჯე, რისი შოვნაც შეიძლებოდა და ყველა საუნის ადგილმდებარეობა ზეპირად ვისწავლე. ვისთანაც შედარებით სერიოზული ურთიერთობა მქონდა, ყველა გათხოვდა... მოკლედ, არც სულიერად და არც ფიზიკურად, ადამიანს აღარ ვგავდი. კარგა ხნის გაყინული ცხოვრების მერე, ერთი ჩემზე ბევრად უფროსი ქალი გავიცანი, ხატია. მას მხოლოდ მე ვეძახდი ასე და ამიტომ, სხვა ვერავინ გაიგებს, ვისზეა ლაპარაკი. ის კი.. ის რომ ამას წაიკითხავს, ისე წაიკითხა თქვენმა მტერმა... ნარკომანი იყო და მსუბუქად რომ ვთქვა, არცთუ ისე კარგი ყოფაქცევის გახლდათ, მაგრამ ყველა ადამიანში არის რაღაც მომხიბლავი და ჩვენც დავმეგობრდით... მიუხედავად თავისი ცხოვრებისეული წესისა, ის შესანიშნავად გამოიყურებოდა. თუმცა, ჩემთვის გარეგნობას მნიშვნელობა არასდროს ჰქონდა და არც ახლა აქვს. ძალიან რომანტიკული ადამიანი იყო და მიკვირდა კიდეც, როგორ შეინარჩუნა ეს რომანტიზმი. ვგიჟობდით, ვერთობოდით... კვირაში მხოლოდ 3 ღამე თუ მეძინა. ერთხელაც, ცუდ ხასიათზე მოვიდა და მივხვდი, რომ ჩვენს ურთიერთობაში რაღაც უნდა შეცვლილიყო (ამას უკვე გამოცდილებით ვხვდები). ატირდა, დამიჩოქა და პატიებას მთხოვდა. ლამის გავგიჟდი. მეუბნებოდა, რომ ვუყვარდი და ამას ვერ მიმხელდა... დამიჯერეთ, ისე რომ მყვარებოდა, როგორც ქალი, ყველაფერს ვაპატიებდი და მთელ ცხოვრებას მასთან ერთად გავატარებდი, მაგრამ ის უბრალოდ ჩემი ორეული იყო, ოღონდ, ქალი და ამიტომ როგორც მეგობარი, ძალიან ძვირფასი იყო. ჩემი ყველა წვრილმანი იცოდა, ჩემს ყველა ნაშას იცნობდა. კაცების „პარა“ დასდევდა და რატომღაც, მაინცდამაინც მე ამირჩია... ჩვეულებრივად გავაგრძელეთ მეგობრობა და ვცდილობდი, სხვა ქალთან არ ვენახე. ამ დროს, გავიცანი ადამიანი, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა. მან კი ერთი ფრაზით მომიშორა — შენში კაცს ვერ ვხედავ, როგორც მეგობარს, ისე გიყურებო. არ მინდა, ამ ადამიანზე ბევრი მოგწერო, თორემ, „დავიწვები“. მასთან ისე ვგრძნობდი თავს, როგორც ცამეტი წლის გამოუცდელი ღლაპი (თუმცა, ამ ასაკშიც არ ვიყავი „წმინდა წყლის“). რა თქმა უნდა, ეს ამბავი ხატიას შეუმჩნეველი არ დარჩენია ერთხელ, რაღაც ფურცელი მომცა და მთხოვა, წაუკითხავად შემენახა. ყურადღება არ მიმიქცევია არც მისთვის და არც ფურცლისთვის. ისე გავიდა სახლიდან, რომ არც დავმშვიდობებივარ, რადგან სულ სხვა აზრები მიქროდა თავში! იმ დღეს, ხატია კაიფში გაიპარა. ეს ძალიან გვიან გავიგე — ის უკვე დასაფლავებული იყო. დრო გავიდა. ჩემი ტურფა მორჯულდა და სიყვარულის გამო ცრემლებში იხრჩობოდა. მერე ყველაფერი მოგვარდა, ერთად ძალიან დიდხანს ვიყავით. ერთხელაც, რაღაც ქაღალდებში ვიქექებოდი და ხატიას მოცემული ფურცელი ვიპოვე. თავიდან ვერ მივხვდი, რა იყო. როცა წავიკითხე, ლამის გული გამისკდა. ქაღალდზე ეწერა: მე დღეს თავს მოვიკლავ და ერთი რამ მინდა, გითხრა — მე ძალიან მიყვარდი, შენ კი ქალად ვერ აღმიქვი... შენც ჩემსავით შეგიყვარდება ის, ვინც კაცად ვერ აღგიქვამს. ვიცი, ჩემთვის არ გცხელა და ამას ძალიან გვიან წაიკითხავ... მართალიც იყო. საოცრად დაბნეული და ცივი ადამიანი ვიყავი, მაგრამ ახლა მელოდრამის ყურების დროსაც ტირილით ვკვდები... ყველაზე მეტად იმან იმოქმედა, ჩემმა შეყვარებულმა რომ მითხრა: შენში მამაკაცს ვერ ვხედავო, — ეს კი, სწორედ ხატიას სიკვდილის შემდეგ მოხდა. გამოდის; რომ ხატიამ ყველაფერი ბევრად ადრე იცოდა!!! ის გოგო დღემდე სიგიჟემდე მიყვარს, მაგრამ რაღაც ვერ ვაპატიე. თვითონაც არ ვიცი — რა. აი, ასე არ ვიცი, ამ მესიჯს დამიბეჭდავ თუ არა, მაგრამ მარი, შენ რომ წაიკითხავ, მე ეს

მაკმაყოფილებს, რადგან ჯერ არავისთვის გამიმეღავნებია ეს ამბავი და არც ხატიას არსებობა იცოდა ჩემს საახლობლოში ვინმემ“.

„ეს რა ჭირი მჭირს, ტო!“

„მარი როგორ ხარ? ძალიან, ძალიან გთხოვ, დაბეჭდე ჩემი წერილი. იცი, ეს ყველაფერი ერთი წლის წინ დავწერე, მაგრამ გამოგზავნისგან თავს ვიკავებდი. არა იმიტომ, რომ არ გამომიქვეყნებდი, უბრალოდ, არ მინდოდა, სააშკარაოზე გამომეტანა ჩემი პირადი ცხოვრება. აი, ახლა გავბედე და გწერ. მინდა, მივმართო პატიმრის სიყვარულით დაბრმავებულ გოგონებს. სანამ დროა, აზრზე მოვიდნენ. ჩემ და თქვენ შორის განსხვავება ის არის, რომ მე მანამდე შემიყვარდა, სანამ პატიმარი გახდებოდა, თქვენ კი პატიმარი შეგიყვარდათ. დარწმუნებული ვარ, ისე არ გეყვარებათ თქვენი რჩეულები, როგორც ახლა მე მიყვარს ჩემი პატიმარი. თანაც, ჩემი „პრინცი“ ქურდობაზე ოცნებობდა და „წოდების“ მიღებამდეც ცოტა დარჩა. ყველაფერთან ერთად, კაიფობდა კიდეც, მაგრამ როგორც მერე შევიტყვე, ნარკოტიკს თავი დაანება, რადგან ქურდულ სამყაროში კაიფი „არ მოსულა“. ისე მანებივრებდა, როგორც არასდროს. ძალიან კარგად მექცეოდა. ხალხისგან არც ფული აკლდა და არც პატივისცემა. მაშინ ყველაზე ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მოვიდა არჩევანის გაკეთების დრო. მე კი მიუხედავად იმისა, რომ მასზე თავდავიწყებით ვიყავი შეყვარებული, დავშორდი, რადგან მასთან ურთიერთობის გაგრძელება თავის დაღუპვის ტოლფასი იყო. მინდა, წინ გაიხედოთ და თქვენს მომავალზე დაფიქრდეთ. წინ ხომ უამრავი მაგალითი გიდევთ — პატიმრისგან მოტყუებული ბევრი გოგო დადის. არ გეგონოთ, თითქოს ოდესმე მოვეტყუებინე ან ჩემთვის რაიმე დაეშავებინოს. ჩვენ ფიზიკური ურთიერთობაც კი არ გვქონია, მიუხედავად იმისა, რომ ამის ყველა პირობა გვქონდა... 21 წლის გოგო ვარ. შეცდომის დაშვებას გადავრჩი და გადამარჩინა თვით ჩემმა უსაყვარლესმა პატიმარმა. მას უკვე ჩემთვის აღარ სცალია, სხვა საფიქრალიც ბევრი აქვს. მე კი მისი სიყვარულისა და უზომო მონატრებისგან ძალიან ვიტანჯები. დამიჯერეთ, მირჩევნია და თქვენც გირჩევთ, ახლა დაიტანჯოთ მისი სიყვარულითა და მონატრებით, ვიდრე ბოლოს სინანულის გრძნობამ დაგტანჯოთ და წარსულში გადადგმული ნაბიჯი მწარედ ინანოთ. თქვენ გგონიათ, რომ მის იქით გზა არ გაქვთ და რომ თავს ვერ დაანებებთ? სისულელეა, ოდნავი სურვილიც კი საკმარისია ამის მისაღწევად. თქვენს მომავალზე იფიქრეთ. ადრე თუ გვიან, თქვენს ცხოვრებაში გამოჩნდება წესიერი ადამიანი, რომელიც გაგხდით ბედნიერს და ლამაზ ცხოვრებას გაჩუქებთ. დამიჯერეთ, მშვიდ ძილს არაფერი სჯობს. თქვენი კეთილისმსურველი, სიყვარულისგან დაღლილი და დატანჯული სოფო..... რაც ეს წერილი დავწერე, მას შემდეგ თითქმის ნახევარი წელიწადი გავიდა. ახლა?.. იცით, ჩემი საყვარელი ადამიანი ციხიდან რამდენიმე თვეში გამოვა და ვიცი, რომ მნახავს. მე კი... მისი დანახვისგან გამოწვეულ სიხარულს ჩემი გული ვერ დაიტევს. ალბათ, არც დავფიქრდები, ისე გავყვები, თუ რა თქმა უნდა, შემომთავაზებს. მე ხომ მისი სიყვარულისა და მონატრებისგან ძალიან, ძალიან დავიღალე. რეზ, მიყვარხარ! მე ვერ შევძელი შენი დავიწყება. ყველანაირად ვეცადე და ამ მცდელობის დროს, შენ წინაშე ბევრი შეცდომა დავუშვი. ყველა ბიჭში შენ გხედავ, ყველას გადარეს. თუ კიდევ გიყვარვარ, ალბათ გამიგებ და უნებლიე შეცდომებს მაპატიებ. ღმერთო, მე ის უფრო ძლიერ შემიყვარდა, ვიდრე მიყვარდა. ვერ ვივიწყებ, ვერაااااااااა! ეს რა ჭირი მჭირს, ტო! აუ, დამეხმარეთ ვინმე, არავინ ხართ? ჩემი არავის გესმით? სულ არავის?“

ერთი ნახვით შეყვარება

„გამარჯობა. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, გამომიქვეყნებთ თუ არა ამ წერილს. ერთი ნახვით შეყვარების არ მჯეროდა, მაგრამ ახლა დავიჯერე. 2 თვეა, ერთ გოგონას ვეძებ. რუსთავში ვცხოვრობ. „მარშრუტკაში“ ავედი და ერთი გოგონას გვერდით მოვხვდი. მას სათვალე ეკეთა, რომელიც ნახევარ სახეს უფარავდა. მინდოდა, კარგად დამენახა, მაგრამ მომერიდა და ვერ მივაშტერდი. ის სულ ფანჯრისკენ იყურებოდა. შევნიშნე, რომ მის ლოყაზე ცრემლი მოგორავდა. ლამის მეც ტირილი დავიწყე. მინდოდა, გულში ჩამეკრა და თანამეგრძნო, მაგრამ ამის უფლება არ მქონდა. ჩემს გაჩერებას გავცდი და ამ გოგონას გავყევი. ის ეკლესიასთან ჩამოვიდა. ტაძარში შესვლისას სათვალე მოიხსნა. სანთლის ყიდვის დროს გვერდიგვერდ ვიდექით და თვალს ვერ ვწყვეტდი. მისმა თვალებმა დამატყვევა. იმას ვფიქრობდი, როგორ შეიძლება, ასეთ ადამიანს აწყენინო-მეთქი. არ იყო ძნელი მისახვედრი, რომ მისი ცრემლის მიზეზი სიყვარული იყო. ეკლესიაში არავინ გახლდათ. ის ხატს ემთხვია, სანთელი დაანთო და ხატის წინ მუხლი მოიყარა. შესვლა ვერ გავბედე, ეკლესიის ღია კარიდან ვუყურებდი. მერე, ცოტა მოშორებით დავდექი და მის გამოსვლას დაველოდე. კომპლექსიანი არა ვარ, თან საკმაოდ სიმპათიური ბიჭი გახლავართ, შეყვარებულებს დღეგამოშვებით ვიცვლი, მაგრამ მასთან მიახლოება ვერ გავბედე. ისე მოხდა, რომ ეკლესიიდან გაუჩინარდა. ალბათ, ფიქრებში გართულმა ვერ შევნიშნე, როგორ გამოვიდა იქიდან. გული დამწყდა. არასდროს დავსწრებივარ წირვა-ლოცვას, მაგრამ ამ შემთხვევის მერე, ერთი დღეც არ გამომიტოვებია. ეს გოგონა შემიყვარდა და მოსვენება დავკარგე. სახელი მაინც რომ მცოდნოდა, აუცილებლად მივაგნებდი, მაგრამ ახლა ვერ ვპოულობ. თქვენ კი იმიტომ გწერთ, რომ როცა მე ეს გოგონა ვნახე, მას ხელში „გზა“ ეჭირა. ალბათ თქვენი მკითხველია და იქნებ, ჩემი გულისთქმაც წაიკითხოს. ჟურნალთან ერთად, ხელში რვეულიც ეჭირა, რვეულს კი გარედან დიდი ასოებით ეწერა: „ემუშკები და ლევანییییییი“. პატარა ბიჭი არა ვარ, რომ ეს გატაცებად ჩავთვალო. მინდა, წაიკითხოს ეს წერილი და გამომეხმაუროს. მე მას ყოველდღე დაველოდები, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. დაველოდები მანამ, სანამ არ გამოჩნდება. ბექა ახვლედიანი“.

„აბა, რა ეგონა?“

„მამიდა ქობულეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს. მასთან ხშირად ჩავდიოდი ხოლმე. იქ გავიცანი ერთი ბიჭი, სახელად ვალოდია. მან რატომღაც, გაცნობისთანავე დაცინვა დამიწყო. უცენზურო სიტყვებით სავსე მესიჯებს მიგზავნიდა და მერე, თავის ძმაკაცებსაც უკითხავდა. ძალიან მეწყინა და გადავწყვიტე, სამაგიერო გადამეხადა. მობილურის ახალი ნომერი ავიღე და დეა ყიფიანის სახელით გავეცანი. შევიცვალე ხმა, კილო, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი. ქობულეთელი გახლავართ, მაგრამ ვალოდიას ვუთხარი: ქუთაისელი ვარ და ბათუმში ვცხოვრობ-მეთქი. ასე აეწყო ჩვენი სატელეფონო ურთიერთობა. მალე ვალოდიას შევუყვარდი და შეხვედრას დაუინებით მთხოვდა. მე კი ვუუბნებოდი, რომ ჯერ სატელეფონო საუბრებით უნდა გაგვეცნო ერთმანეთი.

მთელი დღის განმავლობაში მიმესიჯებდა, მირეკავდა, ჩემთან სალაპარაკოდ დღეში 10 ლარი არ ჰყოფნიდა. ამასობაში 2 თვეც გავიდა. მისი ბიუჯეტი საკმაო თანხით შემცირდა. ის სიყვარულს მეფიცებოდა, თან უკვირდა: არ გიცნობ და რატომ მიყვარხარო?!. გოგოებს იქით ვაგიჟებ და შენ როგორ მოახერხე ჩემი გაგიჟებაო... როგორც იქნა, შეხვედრაზე დავთანხმდი. ბათუმში, ჩემს ძმასთან ვიყავი და ვალოდიაც იქ ჩამოვიყვანე. ჯავახიშვილის ქუჩაზე, სასამართლოს წინ დავყ-

ენე თავისი „ოპელით“. როდესაც მითხრა: ჩამოვედი და დათქმულ ადგილას გელიო, ჩემი ნამდვილი ხმით ვუპასუხე და ვინაობაც გავუმხილე. ჯერ დაიბნა, მერე მითხრა: გველო, შენ იყავიო? — ჰო, მე ვარ და სამაგიერო გადაგიხადე-მეთქი. მერე მთხოვა, გამოდი, შენთან მაინც საქმე მქონდაო, მაგრამ უარი ვუთხარი. ასე იმედგაცრუებული გავუშვი ვალოდია სახლში. მექალთანე და ფუქსავატ ბიჭებს ასე მოუხდებათ. ახლა გაბრაზებულია, მემუქრება: თუ სადმე შემხვდი, ნახე, რას გიზამო. აბა, რა ეგონა?

„კიდევ ერთი, არ გავყევი ცოლად...“

„დიდი სურვილი მაქვს, ჩემი ამბავი მოგიყვეთ. როდესაც ზურა გავიცანი, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ის 12 წელი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. იქიდან მხოლოდ იმის გამო ჩამოვიდა, რომ „შავ“ სამყაროში მოხვდა და მშობლებმა იქურობას გამოარიდეს. ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა (ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა). თურმე, საქართველოში რომ ჩამოსულა, მაშინვე ცოლი მოუყვანია, მაგრამ მალევე მიუტოვებია. ყველაფერზე თვალი დავხუჭე და მალულად ვხვდებოდი. ერთხელ ვიჩხუბეთ და 2 თვე აღარ ვკონტაქტობდით. ჩემს დაქალს დაუმეგობრდა და ამბებს მისგან იგებდა. სანამ ვიჩხუბებდით, ზურა მეხვეწებოდა, რომ ცოლად გავყოლოდი. მე კი უარზე ვიყავი, რადგან ვსწავლობდი და ჯერ გათხოვება არ მინდოდა. ჩხუბის შემდეგ კი, ჩემი დაქალისთვის უთქვამს: თეო არ მყვარებია, მე სულ სხვა მიყვარსო. იცოდა, რომ ეს ამბავი აუცილებლად მოაღწევდა ჩემს ყურამდე. თან უთქვამს: მე ვერ ვეტყვი, „მიტყდება“ და იქნებ, შენ უთხრაო. ლაჩარი აღმოჩნდა. მეც შევუთვალე: არც მე მყვარებიხარ-მეთქი. კიდევ კარგი, არ გავყევი ცოლად, თორემ ხომ დავიღუპავდი თავს? ახლა ისევ ჩემს დაქალს ემეგობრება. არადა, მათ ოჯახზე ჩემთან ძალზე ცუდი რაღაცები აქვს ნათქვამი. არ მინდა, ახლა ჩემი მეგობარი აღმოჩნდეს ცუდ დღეში“.

„ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა...“

„რადგან თავისუფლი თემაა, მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ. უკვე 2 წელია, მე და ჩემს ბუსუსუნას ერთმანეთი გვიყვარს და ძალიან ბედნიერები ვართ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველაფერი დასწრებაზეა და მეც დამასწრეს: მას ცოლი და შვილები ჰყავს. მის ოჯახთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს და ვერც იფიქრებენ, რომ რაღაც ხდება, რადგან ჩემსა და იმას შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა. ასეა, სიყვარულმა ასაკი არ იცის. მე კი გათხოვებაზე ფიქრიც არ მინდა. ამის გამო, ჩემი ბუსუსუნა ხშირად მსაყვედურობს: უნდა გათხოვდე და საკუთარი ოჯახი შექმნაო, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ნერვული შეტევა ემართება და ვერ მთმობს. ჩემთვისაც ძნელია, რაიმე გადაწყვეტილების მიღება. გვიყვარს ერთმანეთი და მორჩა. მას თავისი ოჯახიც ძალიან უყვარს. მე მისთვის „ნამცეცა“ ვარ და ძალიან ბედნიერი გახლავართ იმით, რომ ის არსებობს“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ვალიკოსთან მინდა“

„გამარჯობა, მარი, როგორ ხარ? პირველად გწერ და იმედი მაქვს, დამიბეჭდავ. მინდა, მოვიკითხო ყაზბეგი და მოხევეები. ახლა ჩემს ახლობლებთან ყოფნა უზომოდ მინდა, მაგრამ... მოხევეებო, ძალიან მიყვარხართ! გაიხარეთ! მოხევე“.

„მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებიც ადამიანები არიან, მათ შესაყვარებლად ალბათ, მაინც განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. ზოგი გაიძახის, მატყუარები არიანო, ზოგი ამბობს — გვიყენებენო, კი, მაგრამ მატყუარები და „დარმავიკები“ გარეთ ცოტაა? მე და რობიმ ერთმანეთი შარშან, 16 ივნისს გავიცანით და დღემდე ერთად ვართ. 2 დღის წინ კი ხელიც მოვაწერეთ და თავს ბედნიერად ვგრძნობ. ნუ მისცემთ ვიღაცას იმის საშუალებას, რომ გამოგიყენოს. რობ, ძალიან მიყვარხარ. ტასო“.

„ახლა დავამთავრე „გზავნილების“ კითხვა და მინდა, გითხრათ, რომ ძალიან მაგარი შეგრძნებაა, როცა შენს მესიჯს ჟურნალის ფურცლებზე იხილავ. მსურს ხალხს ვუთხრა: ბევრს ნუ ჭორაობთ, რადგან სწორედ ჭორიკანების წყალობით დავკარგე დიდი სიყვარული. ახლა უკვე გვიანია ამაზე ლაპარაკი... ის ხომ უკვე მამაა. მის ბებერი“.

„17 წლის გავთხოვდი, 18-ის დავშორდი. ერთი ცნობილი ძიუდოისტის „ლოვე“ ვიყავი, მაგრამ ცოლი ჰყავდა და დავშორდით. ახლა უფრო მაგარი და ცნობილი კაცი მიყვარს, მაგრამ მასაც ცოლი ჰყავს. რა იქნება, არ ვიცი... მაკო, 20 წლის“.

„ვიცი, რომ ასეთი უამრავი მესიჯი მოგდის, მაგრამ მე არ ვეცდები, ვიყო ორიგინალური. შარშან ერთი ბიჭი მომეწონა, რომელიც თვითონ ვერ მამჩნევდა. წელს კი — პირიქით მოხდა. კიჭა, მაინც მომწონხარ, რადგან ძალიან საყვარელი ხარ. მია“.

„3 წელია, ერთმანეთი გვიყვარს. ის კი, ამ 1 თვის წინ მოულოდნელად გაუჩინარდა და აღარც მესიჯებს მწერს. შურს ვიძიებ, საყვარელო, რქები მაგრად მოგიხდება. ქუთაისი“.

„ჩემი ცხოვრება ისეთი უცნაურია... თუ ვინმე მომეწონა, ყველამ ცოლი მოიყვანა. ხომ მაგარია? ყველაზე კარგი კი ისაა, რომ არც ერთი არ არის ბედნიერი და თვალი ისევ ჩემზე რჩებათ“.

„მარი, არასდროს გამოგიქვეყნებია ჩემი მესიჯი „გზაში“. გთხოვ, დამიბეჭდე. ზვიად გზირიშვილო, ძალიან კარგი ადამიანი ხარ და ძალიან გაფასებ. შენ პირველი კორპუსის „ელდა“ ხარ“.

„ჩემს ცეტ ქმარს დაუჩემებია — ახალი მთვარე მაგიჟებსო. როგორც ვატყობ, ამ ბოლო დროს, ძველ მთვარეზეც გიჟდება. იმდენს იზამს, რომ მთვარის ერთ დიდ პლაკატს ავაკრავ, სადაც თვითონ იქნება გამოსახული: ყანწით ხელში, ქვევრის გვერდით წამოგორებული, ღიპზე სლოგანით: „ძირს, ღვინო და ქალები!“ შერიფის ტანჯული ცოლი“.

„16 წლის ვიყავი, როცა ტელეფონით ერთი ბიჭი გავიცანი და ერთმანეთი შეგვიყვარდა. ყველაფერი კარგად იყო მანამ, ვიდრე მის სახლთან არ გავიარე და არ დავინახე, როგორ „ზასაობდა“ სხვა გოგოსთან. მერე დაიწყო ფიცი-მტკიცი, მაგრამ არც კი მოვუსმინე, ისე დავშორდი. შემდეგ, გულის გადასაყოლებლად „ჩათში“ დავრეგისტრირდი და ერთი ბიჭი გავიცანი. მასთან ურთიერთობა არაჩვეულებრივად ავაწყვე. ერთხელ მომიყვა, როგორ დაინახა შეყვარებულმა მისი ტყუპისცალი სხვა გოგოსთან ერთად და როგორ არ დაუჯერა ამ ბიჭს. თან მეფიცებოდა, რომ ის გოგო დღემდე უყვარდა. შეხვედრაზე ძლივს დავითანხმე და როგორც კი პაემანზე ჩემი შეყვარებული მოვიდა, მაშინვე ყველაფერს მივხვდი. გაგვიმართლა, დღეს ცოლ-ქმარი ვართ და პატარასაც ველოდებით. დათოს კი, თქვენი საშუალებით მინდა ვუთხრა, რომ სიცოცხლეს მირჩევნია. ნატუკა“.

„სიგიჟემდე მიყვარს და მენატრება ერთი სვანი ბიჭი, რომელიც 7 წელია, არ მინახავს. იმედია, მიხვდება, რომ ეს მე ვარ, ნინიკო“.

„არ ვიცი, როგორ გიამბოთ ჩემზე. გარეგნულად ლამაზი არ ვარ, მაგრამ არც მახინჯი გახლავართ. 2 წელია, მიყვარს ერთი ბიჭი, თუმცა მისი ვერაფერი გავიგე. ხან სიყვარულს მეფიცება, ხან კი, ყურადღებასაც არ მაქცევს... დედაჩემსაც ვეზიზღები, სულ საბაბს ეძებს, რომ მეჩხუბოს. 21 წლის ვარ და სიცოცხლით დავიღალე. ყველაფერი მაქვს — ბინა, განათლება, სამსახური, მაგრამ სითბო და სიყვარული მაკლია. თქვენ კი ძალიან მიყვარხართ. ნათია“.

„ხშირად გამიგონია, ინტერნეტით შეძენილი სიყვარული სისულელეა და დიდხანს ვერ ძლებსო. მე და დათუნამ კი შევძელით და საპირისპირო დავამტკიცეთ. იანვარში ერთი წელი შეგვისრულდება, რაც ერთად ვართ და თან, პატარა გოგონას ველოდებით. დათუნა, სიგიჟემდე მიყვარხარ! შენი ზიპშო“.

„გზის“ ყველა ნომერს ვკითხულობ, მაგრამ პირველად გიმესიჯებთ. მარი, არ გინდა, რომ შენს მკითხველებთან შეხვედრა მოაწყო? ძალიან მინდა, პირადად გაგიცნო. მეც მინდოდა, ჟურნალისტი გავხდარიყავი, არ მაცალეს. ამ მესიჯს რომ დამიბეჭდავ, მაგის იმედი არ მაქვს, მაგრამ მთავარია, რომ პირველად დავამესიჯე და ალბათ, უკვე ხშირად მოგწერ. ვეკო“.

„მგონი, საყოველთაო პრობლემად იქცა, რომ ცოლიანი კაცი გასათხოვარ გოგოს აბამს. არა, ცოლებს რაღას ერჩიან? გიო, ცოლს მიხედე, რაااა.... ქეთი“.

„ჩემმა დაქალმა იცის, რომ „გზაში“ მესიჯებს ვგზავნი, მაგრამ ის კი ვერ შეუტყვია, რომელი ვარ. ეკუშკი, აბა, მიპოვე“.

„ჯერ 14 წლის ვარ, მაგრამ რა უბედური ვარ, იცით? მიუხედავად ჩემი ასაკ-

ისა, უკვე სიყვარული მეწვია. ჩემი კლასელი შემიყვარდა. მას კი სულ სხვა მოსწონს, თუმცა, ამას არ აღიარებს. მე კი აღარ ვიცი, რა ვქნა და ძალიან მინდა, რომ მასაც შევუყვარდე. ნიკუშ, მიყვარხარ, მანჩო“.

„ჩემი მესიჯი ჯერ არსად გამოქვეყნებულა. მინდა, ჩემს ცოლს, მედეას ვუთხრა: მე შენ ძალიან მიყვარხარ, პუტუ. ამას თუ გამომიქვეყნებთ, გაგიუდება. კაკო“.

„მინდა, შევეხმიანო იმ ადამიანს, რომელიც ახლა ქსნის კოლონიაშია და ჩემზე ფიქრობს. მე კი ჩემს ოთახში ვზივარ და მასზე ვფიქრობ. ნუგზარ გეორქოვო, მიყვარხარ და მინდა, მალე გათავისუფლდეაბა, ვინ ვარ?“

„მინდა, ჩემი გულისტკივილი გაგანდოთ. 2 წელი ველაპარაკებოდი ერთ ადამიანს. თავიდან მეგობრობას ვეფიცებოდით ერთმანეთს, მაგრამ სულ მალე, ეს გრძნობა სიყვარულში გადაიზარდა. არადა, ერთმანეთი ნანახიც არ გვყავდა. საათობით ვლაპარაკობდით, ყველანაირად მიგებდა და მითმობდა. 2 წელი ვატყუებდი და ვაიმედებდი, რომ შევხვდებოდი, მეც ძალიან მინდოდა მისი ნახვა, მაგრამ რაღაც კომპლექსები გამიჩინა. მეშინოდა, რომ არ მოვეწონებოდი. კახა მარწმუნებდა: უნახავად მიყვარხარ, გარეგნობას მნიშვნელობას არ მივანიჭებო. მე კი მაინც ვყოყმანობდი. ბოლოს, როგორც ჩანს, მოჰბეზრდა ეს ყველაფერი და შინ მომადგა. მარწმუნებდა: მომეწონე, ჩემი კუდრაჭა და გოჭუნა ხარო... ამის შემდეგ, 2 თვე გავიდა და მისგან 1 მესიჯიც არ მიმიღია. ტელეფონიც მუდამ გამორთული აქვს. მგონი, გამირბის, არადა, სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. 2-ჯერ ვცადე თავის მოკვლა, მაგრამ გადავრჩი. კახას კი დიდ ბედნიერებას და ორმხრივ სიყვარულს ვუსურვებ. ნინო“.

„წელს სკოლას ვამთავრებ და უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან ჩემს სკოლას ვერ ვიტანდ. იმედია, ჩავაბარებ გამოცდებს და სტუდენტი გავხდები. მინდა, კარგი ჟურნალისტი გმოვიდე და „გზაში“ ვიმუშაო. მარი, პირობა მომეცი, რომ თუ ჩავაბარებ, ჩემგან ინტერვიუს აიღებ. მე კი მთელ „გზას“ ჩემს მარანში გაქეიფებთ. ბუსხია გოგო“.

„ერთადერთი ადამიანი, ვის გამოც ვიტანჯები, ეს არის ეკა. კარგად არ ვიცნობ, მხოლოდ გამარჯობას ვეუბნები. გავიგე, თურმე ვიღაც ბიჭი მოსწონს და უკან დახევა გადავწყვიტე. ჩემი ხუჭუჭას გული სხვას ვკუთვნის და ნეტავ, ვის? მინდა, რომ ბედნიერი იყოს და თუ გავიგე, რომ მისმა მეორე ნახევარმა რამე აწყენინა, მიფრთხილდეს. ისე, მაინც მინდა, ეკუნამ იცოდეს, რომ ძალიან მიყვარს. პლეხანოველი ბიჭი“.

„წუხელ ბიძაშვილი გამეპარა სახლიდან და გათხოვდა. ყველას ჰგონია, რომ ქალაქგარეთ არიან წასული, მაგრამ ესენი აქვე, მეგობრის სახლში გორაობენ. ლიკუნა და იმიკო, მიყვარხართ და ბედნიერებას გისურვებთ. ლელა“.

„მინდა, მთელი ცხოვრება ვალიკოს გვერდით ვიყო. ძალიან მიყვარს. ირა“.

„მივდივარ, რადგან კვლავაც მინდა, რომ ვიყოთ ერთად/ მივდივარ, რადგან მომენატრა შეხვედრა შენთან... არ დამცინოთ, رااااا.... უბრალოდ, ვინც მართლა მძულდა, ახლა შემიყვარდა. ვაიმეეეე!“

„ესემესი მოვედი, ღამაზი და ჯიგრული/ დროზე ამომიკითხეთ, ჟურნალზე ვარ მიკრული/ ერთ წუთს შემოგირბინე, დიდხანს არა მცალია/ ჩემს გამომგზავნს უყვარხარ და ენატრები, ძალიან. ქეთი, მიყვარხარ! მალე გნახავ. გკოცნი. ნიკა“.

„მინდა, იმ სიგიჟის შესახებ მოგიყვეთ, რაც ამ ზაფხულს ჩავიდინე. შეყვარებული მყავს შიდა ქართლიდან. მე კი დასავლეთში ვცხოვრობ. ერთ დღეს, ის ჩემთან ჩამოვიდა და ვინაიდან ღამის გასათევი სხვაგან არც ჰქონდა, მთხოვა, შენს ჭიშკართან დავიძინებო. რა უნდა მექნა? სხვა გზა მაინც არ იყო. ღამე არ ვიცი, რამ მომიარა, მაგრამ ჩუმად ეზოში შემოვიყვანე და მანქანაში ჩავსხედით. მთელი ჩემი ოჯახი შინ იყო და ასე რამ გამათამამა, არ ვიცი. ის უკანა სავარძელზე იჯდა, მე — წინ. ცოტა ხანს ჩავეხუტეთ ერთმანეთს, მერე კი ჩუმად ვისხედით და მუსიკას ვუსმენდით. ახლა ვფიქრობ, რამ გამაგიჟა იმ დღეს? შეშლილი გენიოსი“.

„იქნებ, თქვენი საშუალებით მაინც გავაგებინო ჩემს ფისუნიას, რომ მისი მონატრებით ვდნები და თუ ასე გააგრძელებს, ووووو... ნუ მანატრებ თავს ასე ძალიან, ედო! პატივისცემით, ბურბუშელა“.

„ძალიან ცუდად ვარ, გადავიღალე. ჯერ 20 წლის ვარ, მაგრამ უკვე ყველაფერი მომბეზრდა. მინდა, რომ უბრალოდ, ბედნიერი ვიყო. ნეტავ, ოდესმე მეღირსება? სოფო“.

„22 წლის ვარ და 3 წლის შვილი მყავს. ქმარი კი არ მიყვარს. მოტყუებით წამიყვანა და მეც ბედს შევეგუე. ახლა უკვე 1 წელია, ის რუსეთშია. თანაც, ძალიან დიდი უკმაყოფილება გვაქვს. ამ ყველაფრის გამო ძალიან ვიტანჯები. „გზავნილებიც“ და მგზავნელებიც ძალიან მიყვარს. თეკო“.

„შეყვარებული მყავს. 7 თვის წინ კი, ერთმა ბიჭმა მომიტაცა. მასთან არ დავრჩი, ახლა კი, მე და ჩემი შეყვარებული დაქორწინებას ვაპირებთ, მაგრამ 2 კვირის წინ ცოლიანმა კაცმა ამიხსნა სიყვარული. ამ ბოლო დროს, ჩემ გარშემო სასწაულები ხდება. ხომ მაგარია? უფრთო ანგელოზი“.

„მარი, თუ ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, თავს მოვიკლავ. მიყვარს მარი როკაშვილი. ის კი, ვერც მამჩნევს. თუ ამ მესიჯს წაიკითხავს, ალბათ მიხვდება, ვინც ვარ, მაგრამ არ შეიმჩნევს. უცნობი“.

„ეჰ, მარტოობის ძალიან მეშინია. ბევრი ვეხვეწე ილიას, რომ ჯარში არ წასულიყო, მაგრამ ვერ დავითანხმე. არა უშავს, როზორმე გადავიტანთ ამ 6 თვეს. გაღმერთებ, ილია! ანა“.

„მე და ჩემს შეყვარებულს ერთმანეთი მესიჯებით შეგვიყვარდა. სულ არ ვიცოდი, როგორი იყო გარეგნობით, მაგრამ მის გარეშე ვერ ვძლებდი. ერთხელ გამომიტყდა, რომ ვუყვარდი. მეც გამოვუტყდი. უკვე 1 წელია, შეყვარებულები ვართ. მალე დაქორწინებასაც ვაპირებთ. ასე რომ, დაიჯერეთ, მესიჯით სიყვარული არსებობს. მეც არ მჯეროდა, მაგრამ ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადე. გურამ, მიყვარხარ! დ.ჯ. დუშკა“.

„საბერძნეთიდან გწერთ. აქ არც ისეთი ჯოჯოხეთია, როგორც წერენ. მთავარია, სადაც მუშაობ, იქ „პალაჟენიე“ დააყენო. მაგალითად, „ჩემი ქალი“ სულ ფეხის წვერებზე დადის, როცა შუადღისას ვიძინებ. მااااშ! გურული. მარი, იმედია, არ გაგაღვიძე“.

„ზურა გორგაძე მიყვარს. ის ჩემგან შორს არის. ზურა, მალე დამიბრუნდი, رااا... მენატრები. ლელა“.

„თითქმის ყველა ნომერს ვკითხულობ, მაგრამ პირველად გადავწყვიტე დამესიჯება. ერთი ბიჭი მიყვარდა, სიყვარულს მეფიცებოდა და მეც მჯეროდა მისი. ამ ზაფხულს ნიშნობასაც ვაპირებდით, მაგრამ სრულიად შემთხვევით გავიცანი ერთი გოგო და მოულოდნელად გაირკვა, რომ თურმე, ისიც ჩემს ტურფაზე აპირებდა დანიშვნას. მაგარია, არა? ნინკი“.

„მარი, არ ვიცი, როგორ გთხოვო, რომ ეს მესიჯი დამიბეჭდო. ძალიან ეცადე, رااا... ჰაროლდ, ნეტავ, მართლა გიყვარვარ? იცოდე, ვეღარ ვძლებ. ია“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — რევანში. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77).45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com გვიამბეთ, ვის და რატომ გადაუხადეთ სამაგიერო. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

P.S. არ დაგავიწყდეთ — მესიჯი მანია გრძელდება! იხილეთ გვ. 61.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. კრამიტის მოსაჭრელ ყალიბს ქობინი ჰქვია.

2. ღარღლი ნაწყენობის, უკმაყოფილების გრძნობაა.

3. უსინათლო ადამიანს თეთრი ხელჯოხით ცნობენ.

4. კოხტა სირბილს, ხტომით სიარულს ქივქივს ეძახიან.

5. შეერთებულ შტატებში კუბური სიგარების შეტანა აკრძალულია.

6. ქუთქუთა, პურეულის ნათესებში გავრცელებული სარეველა ბალახია.

7. „ხაროშიე ნოგი დალჟნი პაპასტ ვ ხაროშიე რუკი," — ამბობენ რუსები.

8. საფარი-პარკში ჟირაფებს, რომლებსაც აცრა ან მკურნალობა სჭირდებათ, ჩვეულებრივი ლასოთი იჭერენ.

9. კალიფორნიის ქალაქ ლივერმოლის ელექტროდეპოში ასხუთი წელია, რაც ჩაუქრობლად ანთია ერთი ნათურა.

10. კოსმოსში გრავიტაციის არარსებობის გამო წყალი და ზეთი ერთმანეთს ერევა. დედამიწაზე ასეთი რამ არ ხდება.

11. სტატისტიკოსთა გამოთვლით, „მაკდონალდსი" ყოველ შვიდ საათში ახალ სასადილოს ხსნის მსოფლიოს მასშტაბით.

12. „მამაკაცი მეძავთან იმიტომ მიდის, რომ დაწვეს იმ კაცთან, რომელიც მანამდე იწვა ამ მეძავთან," — ამტკიცებდა ფროიდი.

13. აფთარს ლომზე ორჯერ უფრო მოზრდილი გული აქვს. ამის გამო მას ლომზე გაცილებით დიდხანს შეუძლია სირბილი.

14. აინშტაინმა 4 წლის ასაკში ისწავლა ლაპარაკი. სწავლაში ძალზე მოიკოჭლებდა, პირველ წელსაც ვერ მოხვდა უმაღლეს სასწავლებელში.

15. „საკუთარი ოცნებები მტრებს შეაჩეჩეთ. შესაძლოა, ისინი მათი რეალიზებისას დაიღუპონ", — რჩევას იძლევა სტანისლავ ეჟი ლეცი.

16. ეგვიპტეში ტურისტული საგზურით მოგზაურობისას მიხაილ ზადორნოვს არაბი გიდი ჩასჩიჩინებდა, — ასეთი იუმორის პატრონმა იუმორისტული მოთხრობების წერა უნდა დაიწყოო.

17. საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე მეტ კომბაინს უშვებდა. სხვა რა გზა ჰქონდათ: აქ დამზადებული ყველა კომბაინი ლამის ერთჯერადი მოხმარების იყო.

18. როდესაც რუს მძღოლს მანქანის აკუმულატორი უჯდება და მეორე მანქანის აკუმულატორიდან მუხტის აღება სჭირდება, მძღოლი მძღოლს მოკლედ

„თბილისში მერმაინდიდან ავტომანქანების ჩამოყვანის ბიზნესი პირველებმა ჩვენ დავიწყეთ"...

„ვაჟის პარკის" ლიდერი თავის მანქანაზე ეჭვიანობს

ჯგუფ „ვაკის პარკის" ლიდერსა და სოლისტს ზაზა ხუციშვილს ავტომანქანებისადმი ინტერესი ბავშვობიდან მოჰყვება. 12 წლის ასაკში, როგორც თვითონ ამბობს, მამა უზომოდ ანებივრებდა და საჭესთან სვამდა. მანქანა მისთვის არა ფუფუნების საგანს, არამედ გადაადგილების საშუალებას წარმოადგენს. გამორჩეულად მოსწონს BMW-ს მარკის ავტომობილები და არ უყვარს, როცა მისი მანქანის საჭესთან სხვა ვინმე, თუნდაც ახლო მეგობარი ჯდება. როგორც გაგვიმხილა, იმდენად უყვარს საკუთარი ავტომანქანა, თქვენ წარმოიდგინეთ, ეჭვიანობს კიდეც–

სოფო ჭონიშვილი

— საკმაოდ პატარა ვიყავი, როცა მამას „ჟიგულის" მარკის ავტომანქანა ჰყავდა. თავდაპირველად, კალთაში მისვამდა და მე მხოლოდ საჭის ტრიალი მევალებოდა; შემდეგ, როცა წამოვიზარდე, დაახლოებით 12-13 წლის ასაკში, ძალიან ხშირად თელავში დავდიოდით. სოფელი იქ გვაქვს. როცა გომბორის გზაზე, ტეკს გავცდებოდით, სადაც ავტოინსპექტორები იდგნენ, იქიდან უკვე „ჩემი გზა" იწყებოდა (*იცინის*): მამა საჭესთან სრულიად მარტოს მსვამდა, თვითონ გვერდზე მომიჯდებოდა და შენიშვნებს მაძლევდა.

— არ ნერვიულობდით?

— თავიდან ვნერვიულობდი და შეცდომებს ვუშვებდი. ჩქარი სიარულის მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ. მით უმეტეს, მაშინ, ძალიან ვფრთხილობდი. როცა ნორმალური სიჩქარით დადიხარ, ექსტრემალური სიტუაციების დროს, საშუალება გაქვს, სწორი გადაწყვეტილება მიიღო და საკუთარი მანქანაც და თავიც გადაირჩინო.

— რამდენი წლის იყავით, მართვის მოწმობა რომ აიღეთ?

— როგორც კი სრულწლოვანი გავხდი, მაშინვე.

— პირველად რა მარკის მანქანა შეიძინეთ?

— მართვის მოწმობის აღების შემდეგ, კარგა ხანი, მამაჩემის „ჟიგულით" დავდიოდი. არ მინდა, თავის ქება გამომივიდეს, მაგრამ საკმაოდ მოწესრიგებული ბავშვი ვიყავი; მამაჩემს ყოველთვის ჰქონდა იმის იმედი, რომ ნასვამი საჭეს არ მივუჯდებოდი და სისულელეებს არ ჩავიდენდი, ამიტომ ყოველთვის მენდობოდა. თვითონ მას სამსახურის მანქანა ემსახურებოდა. „ჟიგულის" გასაღები კი მის უჯრაში იდო და მე უფლება მქონდა, როცა მინდოდა, მანქანა გამეყვანა და საჭიროებისამებრ გამომეყენებინა. დღევანდელი ახალგაზრდებით უკმაყოფილო ვარ, უმეტესმა ნაწილმა მართვის წესები არ იცის...

— ყველაზე დიდი, რა სიჩქარით გივლიათ?

— 230 კმ/სთ სიჩქარით.

— საქართველოში?

— საქართველოში — არა (*იცინის*). მაშინ, როცა BMW-ის მარკის ავტომანქანა გერმანიიდან მე თვითონ ჩამოვიყვანე, ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მანქანის სიჩქარის შეზღუდვის კანონი არ არსებობს. თუმცა არის ადგილები, სადაც სიჩქარის 90-100 კმ/სთ ზემოთ განვითარება არ შეიძლება. გერმანიაში საშუალება მომეცა, ბოლომდე გამომეცადა ჩემი მანქანის შესაძლებლობები.

— შიშის გრძნობა არ გაგჩენიათ?

— შიშის გრძნობა დიდი სიჩქარის დროს, მაშინ გიჩნდება, როცა ავტომანქანა წესრიგში არ არის. „ჟიგულით" 120 კმ/სთ ზემოთ მოძრაობისას, მანქანის სრული დაუმორჩილებლობის გრძნობა გეუფლება. ძალიან ბევრი „ჟიგული" მყოლია და საბოლოოდ, ის დასკვნა გავაკეთე, რომ ამ მარკის მანქანები 100-120 კმ/სთ სიჩქარის ზემოთ, აბსოლუტურად კარგავს ყოველგვარ მდგრადობას. ამ დროს, რა თქმა უნდა, შიშის გრძნობაც გეუფლება. რაც შეეხება BMW-ს, მასში არ გრძნობ, რომ დიდი სიჩქარით მიდიხარ, მანქანა მოგყვება ისე, როგორც შენ გსურს.

— თბილისში რა სიჩქარით მოძრაობთ ხოლმე?

— თბილისში ძირითადად, 60-80 კმ/სთ სიჩქარით.

— უცხოური მარკის მანქანე-

ბიდან პირველად, რომელი შეძინეთ?

— 1991-92 წლებში, როცა ქვეყანაში ძალზე მძიმე პერიოდი იდგა, ოჯახში დიდი მატერიალური კრიზისი დაიწყო. მე და ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, გერმანიიდან მანქანები ჩამოგვეყვანა და თბილისში გაგვეყიდა. მგონი, ჩვენ ვიყავით თბილისში პირველი გუნდი, რომელმაც ეს ბიზნესი წამოიწყო. სწორედ იმ პერიოდში ძალიან კარგი მანქანები მყავდა. BMW-ს მარკის რამდენიმე მოდელი, „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ ჯიპი, „მერსედესის“ სხვადასხვა მოდელი. ძალიან მალე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ გახლდათ და ეს უბრალოდ, იმ პერიოდში, არსებული სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი იყო. როგორც კი ქვეყანაში მდგომარეობა ცოტათი გამოსწორდა, ამ საქმიანობას შევეშვი და მუსიკას მივხედე. ჯგუფ „ვაკის პარკის“ შექმნის შემდეგ კი, ისევ „ჟიგულს“ მივუბრუნდი, რომელიც ძალიან დიდი ხნის მანძილზე მყავდა. მანქანა პირველ რიგში, გადაადგილების საშუალებაა და არა ფუფუნების საგანი. არ მესმის იმ ადამიანების, ვისაც სახლში ვთქვათ, ცხელი წყლის პრობლემა ვერ მოუგვარებიათ და პირველსავე შემოსავლით ძვირად ღირებულ მანქანას ყიდულობენ. კომფორტი და ფუფუნება ჯერ საკუთარ სახლში უნდა შეიქმნა და ამის შემდეგ მისცე თავს უფლება, კარგი ავტომობილი შეიძინო. როცა დავოჯახდი, უპირველესად ბინის პრობლემა დამიდგა, ასე რომ, მანქანისთვის არ მცხელოდა; ჰოდა, იმ პერიოდში „ჟიგულით“ დავდიოდი, ჩემი პრობლემები მოვაგვარე, შევიძინე ბინა ყიფშიძის ქუჩაზე და სტუდია, სადაც ჯგუფ „ვაკის პარკის“ რეპეტიციები და ჩაწერები ხდება, ამის შემდეგ კი, მივეცი თავს უფლება, შემეძინა კომფორტული ავტომანქანაც.

— მანქანის შეკეთება თუ გერერხებათ?

— კი, როგორ არა?! ადამიანს, რომელსაც ამდენი წელი „ჟიგული“ ჰყავდა (*იცინის*), როგორ შეიძლება მანქანის შეკეთება არ ეხერხებოდეს? მე თუ მკითხავთ, „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანების ქვეყანაში შემოყვანა საერთოდ უნდა აიკრძალოს — ეს ავტომოყვარულთა დიდი შეურაცხყოფაა...

— წინათ ავტოინსპექტორებთან კონფლიქტი თუ მოგსვლიათ და მათთვის ფული თუ მიგიციათ?

— არა, ასეთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ. რაც შეეხება საპატრულო პოლიციას, — მასთან სულ ორჯერ მქონდა შეხება. ერთხელ ისეთ ადგილას გავაჩერე, სადაც ეს არ შეიძლებოდა, ვიცოდი, რომ წესს ვარღვევდი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, რადგან მეგობარს ველოდებოდი. მოვიდნენ და მოკრძალებულად მითხრეს, რომ მანქანა გადამეყენებინა. ჯარიმა არ გამოუწერიათ.

— საჭეს ნასვამი თუ მისჯდომიხართ?

— რომ არ მოგატყუოთ, დავმჯდარვარ, მაგრამ არა „გათიშული“ მთვრალი. საერთოდ, ზომიერების გრძნობას არ ვკარგავ. ვსვამ იმდენს, რამდენიც მანქანის მართვაში ხელს არ შემიშლის. როცა საჭესთან ნასვამი ვჯდები, უფრო ფრთხილად და ნელა ვატარებ, ვიდრე ფხიზელი.

— ავარიაში თუ მოხვედრილხართ?

— მოვხვედრილვარ, მაგრამ ამ დროს საჭესთან მე არ ვმჯდარვარ — მეგობარი იჯდა. კახეთიდან ერთად მოვდიოდით, საკმაოდ მძიმე ავარიაში მოვყევით. იანვარი იდგა და გზები საშინლად მოყინული იყო. ერთ-ერთ მოსახვევში მანქანა მოგვიცურდა და შემხვედრ მანქანას შევეჯახეთ. ყველაზე მძიმედ მე დავშავდი, ნეკნები დამიზიანდა და შუბლი გავიტეხე, რომელზეც ნაიარევი დამრჩა... ერთადერთი შემთხვევა მახსოვს, როცა ავარიული სიტუაცია ჩემ გამო მოხდა. მაშინ პატარა ვიყავი, მანქანის ტარება ახალი ნასწავლი მქონდა. ჩემ წინ მიმავალმა მანქანამ უეცრად დაამუხრუჭა, მე დისტანცია არ მქონდა დაცული, დამუხრუჭებისას, მანძილი აღარ მეყო და დავეჯახე.

— შეგიძლიათ, მეგობარს თქვენი მანქანა ათხოვოთ?

— საშინლად არ მიყვარს, როცა ჩემი მანქანის საჭესთან სხვა ჯდება, მანქანა არასოდეს არავისთვის მითხოვებია, მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ მეგობარს მიკროავტობუსში ერთი დღით გავუცვალე, ისიც იმიტომ, რომ მე მჭირდებოდა — ბარგი მქონდა წყნეთის აგარაკზე ასატანი (*იცინის*)... საერთოდ, ასეა — ვისაც საკუთარი მანქანა უყვარს, ის მანქანას არავის უთმობს. პირადად მე ვეჭვიანობ, თუკი ჩემი მანქანის საჭეს ვინმე მიუჯდება.

— როგორ წარმოგიდგენიათ ქალი საჭესთან?

— ბევრი ქალი ძალიან კარგი მძღოლია. მაგრამ საერთო ჯამში, მაინც აქვთ რაღაც მინუსები. როცა მანქანა ჩემ წინ უხვევს ან რაღაც სხვა მანევრს აკეთებს, შორიდანვე ვხვდები, რომ საჭეს ქალი უზის...

ვისაც საკუთარი მანქანა უყვარს, ის მანქანას არავის უთმობს

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეორჩა ღვალიშ

უბის წიგნაკიდან:

ეუბნება, „დაი პრიკურიტ“-ო.

19. ფრანკლინ რუზველტმა, რომელიც პოლიომიელიტით იტანჯებოდა, ამ დაავადების სამკურნალო კურორტი მთლიანად იყიდა, რაშიც საკუთარი ქონების ორი მესამედი გადაიხადა.

20. ამ ბოლო დროს „როლინგ სტოუნზის“ სოლისტს, მიკ ჯაგერს, სკლეროზმა შემოუტია. კონცერტების დროს მომღერალი იოლად ველარ გადის ტელესუფლიორის გარეშე. მან თავად აღიარა, რომ ხშირად იმ ქალაქის სახელიც კი ავიწყდება, რომელშიც კონცერტს ატარებს.

21. შვეიცის პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადიოდა და არ სარგებლობდა პირადი დაცვით. იგი 1986 წელს, თეატრიდან შინ მიმავალი გამოასალმეს სიცოცხლეს.

22. ვანგას, მასთან დახმარებისთვის მისული ხალხისათვის ფული არასდროს უთხოვია. ადამიანები თავიანთი სურვილით უტოვებდნენ თანხას — იმდენს, ვისაც რამდენი სურდა. უსინათლო ნათელმხილველი შემოწირულობათა უდიდეს ნაწილს ტაძრების მშენებლობას ახმარდა.

23. „ჩვენი წინაპრების შესახებ ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოების დაწერა შეიძლება, გარდა დეტექტივისა,“ — ამბობენ ნორვეგიელები. სრული სიმართლეა: თუკი ვიკინგი რაიმე ცუდს ჩაიდენდა, იგი აუცილებლად თვითონვე აღიარებდა დანაშაულს.

24. მეგობრებთან ოჯახში სტუმრად მისული უმა თურმანი სისტემატურად იპარავს ფერად ფანქრებს. როდესაც მან მერილ სტრიპის სახლში სტუმრობის დროსაც შეასრულა ტრადიციად ქცეული „რიტუალი“, ამ უკანასკნელმა უმცროს კოლეგას ხატვის შემსწავლელთა წრეზე სასიარულო აბონემენტი აჩუქა.

25. პატარაობაში ფიდელ კასტროზე უსინდისო ბავშვი მთელ მის უბანში არ მოიძებნებოდა. საკმარისი იყო, შეემჩნია, ფეხბურთის თამაშს აგებდა, მაშინვე დასტაცებდა ხელს უბანში არსებულ ერთადერთ ბურთს, რომელიც მისი საკუთრება გახლდათ, სახლში მიჰქონდა და მოედანზე დარჩენილ უამრავ თანატოლს ხახამშრალს ტოვებდა. P.S. პრინციპში, მთელი ცხოვრება იმავეს არ აკეთებს?!... მასშტაბებია უბრალოდ დიდი...

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ბოსტნეულის დედოფალი



სტაფილოს 4000 წელია, იცნობს კაცობრიობა. ამ ბოსტნეულს, ჯერ კიდევ ძველი რომაელი მწერლები ხოტბას ასხამდნენ თავიანთ ნაწარმოებებში და მას ბოსტნეულის დედოფალს უწოდებდნენ, თანაც არა გემოს, არამედ სამკურნალო თვისებების გამო. სტაფილოს მედიცინის მამად წოდებული ჰიპოკრატეც დიდ პატივს სცემდა და მას საკუთარ პრაქტიკაში იყენებდა.

სტაფილოს უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს. პირველ რიგში იგი მათთვისაა სასარგებლო, ვისაც პოლიართრიტი, ნაღვლ-კენჭოვანი დაავადება, გულის უკმარისობა აწუხებთ. სტაფილოს იყენებენ კანის დაავადებების, დამწვრობების, მოყინვების დროს. ამ შემთხვევაში მას ხეხავენ და იდებენ მტკივნეულ ადგილას ანდა ჭრილობებს ახალგამოწურული წვენით იბანენ. სტაფილო არეგულირებს ნახშირწყლების ცვლას, ააქტიურებს უჯრედში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენით პროცესებს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ხელს უწყობს თირკმლებიდან ქვიშის გამოდევნას, აუმჯობესებს ლაქტაციას მეძუძურ დედებში და მამაკაცებში სპერმის გამომუშავებას ააქტიურებს.

სტაფილოს წვენი ანემიისა და სისუსტის დროსაც გამოიყენება, როგორც მომამაგრებელი საშუალება, ინფარქტის გადატანის შემდგომ დღეებში იგი გულის კუნთის მუშაობას უწყობს ხელს. მას, ვინც რეგულარულად იღებს სტაფილოს, შეუძლია არ იღელვოს საკუთარ გარეგნობაზე. სტაფილო აახალგაზრდავებს უჯრედებს და ქსოვილებს, აუმჯობესებს კანის, ფრჩხილებისა და თმის მდგომარეობას, აგრეთვე აფერხებს დაბერების პროცესებს.

ასეთ უნიკალურ სამკურნალო თვისებებს სტაფილოს მასში შემავალი ნივთიერებები ანიჭებს. სტაფილო მდიდარია მინერალური ნივთიერებებით: კალიუმის, ნატრიუმის, კალციუმის, ფოსფორის, მაგნიუმის, იოდის, რკინის მარილებით, მასში ბევრია ვიტამინიც (C, E, K, PP და B ჯგუფის). ამ ბოსტნეულს განსაკუთრებულ ღირებულებას მატებს მასში დიდი რაოდენობით შემავალი კაროტინი. ჩვენს ორგანიზმში მოხვედრისას, კაროტინი A ვიტამინად გარდაიქმნება, რომელიც აუცილებელია ნორმალური ნივთიერებათა ცვლისთვის, ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. გარდა ამისა, A ვიტამინი გადამწყვეტ როლს ასრულებს მხედველობის ორგანოს, კანისა და ლორწოვანი გარსის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში, ორგანიზმის დამცავი ძალების მობილიზებაში.

100 გრამი უმი სტაფილო 9 მგ-მდე კაროტინს შეიცავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანისთვის საჭირო A ვიტამინის დღიური დოზა 1.5 მგ-ია, აღმოჩნდება, რომ ერთი საშუალო ზომის სტაფილო ჯანმრთელობისთვის საჭირო 2-3 დღის მარაგს შეიცავს. A ვიტამინს ხშირად, ზრდის ვიტამინსაც უწოდებენ, ამიტომ სტაფილო განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისთვის.

სტაფილო უმჯობესია, უმად მიირთვათ ან მოამზადოთ მისგან სხვადასხვაგვარი სალათა, მაგრამ ცხიმის გამოყენებით (ზეთით, არაჟნით, ნაღებით): სტაფილოში შემავალი კაროტინი იხსნება ცხიმში და გაცილებით უკეთ შეიწოვება ორგანიზმში.

ჰიპერტონიული დაავადების დროს სასურველია მიირთვათ ასეთი რეცეპტით მომზადებული კოქტეილი: გახეხილ პირშუშხას დაასხით წყალი, დადგით 36 საათის განმავლობაში, შემდეგ გაწურეთ. მიღებულ ერთ ჭიქა წვენს მომინანქრებულ ჭურჭელში ხის კოვზით შეურიეთ 1 ჭიქა სტაფილოსა და 1 ჭიქა ლიმონის წვენი. მიღებული ნარევი ჩაასხით შუშის ჭურჭელში და სვით თითო ს/კ, 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 1 საათით ადრე, ან ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ.

სტენოკარდიის დროს, აგრეთვე, ბრონქული ასთმის, თირკმელკენჭოვანი დაავადების შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ სტაფილოს თესლი: 1 ს/კ თესლს დაასხით 1 ჭიქა მღუღარე წყალი, დაახურეთ ჭურჭელს თავსახური, შეფუთეთ 12 საათის განმავლობაში და მიიღეთ 100 გ 5-6-ჯერ დღეში;

ონკოლოგიური დაავადების მკურნალობისას რეკომენდებულია დღეში 2-ჯერ, 100 გრამი გახეხილი სტაფილოს ან 100-150 გ სტაფილოს წვენის მიღება.

თირკმლებში კენჭებისა და მეტეორიზმის დროს დაგეხმარებათ სტაფილოს ნაყენი. მის მოსამზადებლად სტაფილო უნდა გაფხიკოთ, წვრილად დაჭრათ, 1 ს/კ დაჭრილ სტაფილოს დაასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყოვნოთ თერმოსში მთელი ღამის განმავლობაში და მიიღოთ 0,5 ჭიქა, 5-6-ჯერ დღეში, ცხელ-ცხელი.

ჰემოროიის დროს რეკომენდებულია ძილის წინ 1 ჭიქა გახეხილი სტაფილოს მიღება.

სქესობრივი უძლურების დროს იღებენ სტაფილოს თესლის ფხვნილს 1-3 გრამს 3-ჯერ დღეში.

გახანგრძლივებული დაღლილობისა და მხედველობის გაუარესების დროს სვამენ სტაფილოს წვენს, 0,5 ჭიქას 3-ჯერ დღეში.

სურდოს დროს, ცხვირში იწვეთებენ სტაფილოს წვენს, დღეში 3-4-ჯერ.

ხველის და გაცივებისას სასარგებლოა თითო ს/კ სტაფილოს წვენისა და თაფლის (ან რძის) ნარევის მიღება 5-6-ჯერ დღეში.

სტაფილო შენახვამდე კარგად უნდა გამოაშროთ, რისთვისაც რამდენიმე საათით ჰაერზე უნდა მოათავსოთ. შენახვამდე აუცილებლად უნდა მოაჭრათ მწვანე ბოლოები. სტაფილო კარგად ინახება მიწაში ან სარდაფში, სადაც ზამთრობით არ გაიყინება.

სტაფილოს შენახვის კარგი საშუალებაა თიხა, რომელსაც ხსნიან წყალში არაჟნის სისქემდე და ამ ხსნარში ათავსებენ სტაფილოს 2-3 წუთით, შემდეგ ბოსტნეულს ამოალაგებენ და აშრობენ. სტაფილოს გარშემო წარმოიქმნება თავისებური გარსი, რომელიც მას დალბობისა და დაავადებებისაგან იცავს. თიხისგარსიანი სტაფილო შეგიძლიათ ჩააწყოთ ხის ყუთებში ან კალათებში. ასე შენახვის შემთხვევაში, მისი დანაკარგი მინიმუმამდე (4-5%-მდე) შემცირდება.

ძველად სტაფილოს თაფლში ინახავდნენ. ეს მეთოდი ზამთრისთვის სტაფილოს შენახვის საუკეთესო ხერხად ითვლებოდა. ამ სახით მიირთმევდნენ ჩაროზად ძვირფას ბოსტნეულს. თაფლიანი სტაფილოს მომზადების წესი გერმანიასა და საფრანგეთში ტრადიციად დამკვიდრდა: საახალწლო სუფრაზე ყოველთვის დებენ ერთ ასეთ სტაფილოს და მიაჩნიათ, რომ ეს მათ დამდეგ წელს ჯანმრთელობას მოუტანს.

■

„უცხოები“ ცხვირში, ანუ პოლიპები

თუ ისინი ერთხელ მაინც დამკვიდრდებიან ვინმეს ცხვირში, მათგან თავის დაღწევა იოლი არ არის. პოლიპებს არ აშინებს ქირურგის სკალპელიც კი. ამოკვეთის შემდეგ ისინი ხელახლა იზრდება ხოლმე. მაშ, როგორ ვებრძოლოთ პოლიპებს?

განვითარების საწყის ეტაპზე პოლიპები შენიღბულად მოქმედებენ. ადამიანი დარწმუნებულია, რომ მას მხოლოდ და მხოლოდ, ბანალური სურდო აქვს. მუდმივი დაღლილობა, თავის ტკივილი, ძილის დარღვევა და ყურების დაცობის შეგრძნება მოგვიანებით ვლინდება. მაგრამ როცა „უბრალო სურდოს“ მკურნალობის შედეგად სუნთქვა კი არ იოლდება, არამედ სულ უფრო და უფრო ძნელდება, ავადმყოფი მიმართავს ექიმს. ამ დროისთვის კი პოლიპებს უკვე გამაგრებული აქვთ თავიანთი პოზიციები და იმდენად დიდდებიან, რომ ცხვირის ღრუში გამოდიან. მკითხველი აქვე უნდა დავამშვიდოთ: პოლიპები სიმსივნისმაგვარი, მაგრამ კეთილთვისებიანი წარმონაქმნებია. მათ გლუვი ზედაპირი, ლაბისებური კონსისტენცია და მოლურჯო ან მორუხო ფერი აქვს.

რატომ იზრდება?

ამის შესახებ მსოფლიოში ორი მოსაზრება არსებობს. ამერიკელები ამტკიცებენ, რომ პოლიპები ცხვირის ლორწოვან გარსზე სოკოს ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება. მათ მოჰყავთ მონაცემები, რომ კვლევაში მონაწილე ავადმყოფებს სოკოს საწინააღმდეგო მკურნალობის შედეგად ახალი პოლიპები აღარ გაეზარდათ, ხოლო ძველები შეუმცირდათ. პროფესორ შტამბერგერის ევროპული სკოლის მომხრეები კი მიიჩნევენ, რომ პოლიპების ზრდის პროვოცირებას ჰაერთან ერთად შესუნთქული ალერგენები (ოთახისა და მცენარის მტვერი, შინაური ცხოველის ბეწვი, სოკოს სპორები და სხვა.) იწვევს. ლორწოვანი გარსი გამოიბერება და ამით ცდილობს, თავი დაიცვას გამაღიზიანებელი ნივთიერებებისგან. თუმცა ამავე დროს, იგი ხელს უშლის სუნთქვას და ცხვირის ღრუებში არსებული ლორწოს გამოყოფას (გამოსვლას). ასეთ პირობებში კი, მიკრობები და ბაქტერიები მრავლდება და ლორწოვანის ანთება ძლიერდება. თუმცა არსებობენ ისეთი პაციენტებიც, რომელთაც არც ალერგია აქვთ, არც სოკოვანი ინფექცია, მათ არ შველით არც ქირურგიული და არც კონსერვატიული მკურნალობა. ისინი სიცოცხლეში 4-5-ჯერ მაინც იკვეთენ პოლიპებს. როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევაში დაავადების მიზეზი ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის იმუნიტეტის დარღვევაა. როგორია ეს დარღვევა და როგორ უნდა ვუმკურნალოთ მას, ექიმებისთვის ჯერჯერობით უცნობია.

ვის შეიძლება განუვითარდეს პოლიპები

- მათ, ვისაც ცხვირის დანამატი ღრუების ქრონიკული დაავადებები (ჰაიმორიტი, ფრონტიტი) აქვს.
- მათ, ვისაც ალერგიული რინიტი აქვს.
- სამხრეთში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც ჩრდილოეთში გადადიან საცხოვრებლად.
- არახელსაყრელ ეკოლოგიურ პირობებში მცხოვრებთ.

ქირურგი და ალერგოლოგ-იმუნოლოგი

პოლიპოზი მთელი ცხოვრების განმავლობაში აწუხებს ადამიანს. ეს იმას ნიშნავს, რომ მკურნალობაც მუდმივადაა საჭირო. ალგორითმი ასეთია: ჯერ უნდა გამოვიკვლიოთ, რა იყო ცხვირში არსებული „ბუნტის“ მიზეზი. თუ ალერგიული პროცესი დადასტურდება და ნაპოვნი იქნება „დამნაშავე“ ალერგენები, მაშინ პირველ რიგში უნდა შეეცადოთ, გამოვრიცხოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ მათთან კონტაქტი. პოლიპოზის ადრეულ სტადიაზე საკმარისია ხოლმე ანტიალერგიული თერაპია (ანტიჰისტამინური პრეპარატები, ადგილობრივი მოქმედების სტეროიდები, სპეციფიკური იმუნოთერაპია — „გაკაჟება“, ორგანიზმის შეჩვევა „ალერგენებისადმი“). მაგრამ, როგორც წესი, პაციენტები ექიმს მხოლოდ მაშინ აკითხავენ, როცა ცხვირით საერთოდ ვეღარ სუნთქავენ. ეს კი მაშინ ხდება, როცა პოლიპები ცხვირის ღრუსა და ცხვირ-ხახის დიდ ნაწილს ამოავსებენ ხოლმე. ეს უკვე ის სტადიაა, როცა ქირურგიული ჩარევაა აუცილებელი. თანამედროვე სტანდარტი ენდოსკოპიაა: პოლიპებს ოპტიკური კონტროლის ქვეშ მიკროინსტრუმენტების მეშვეობით აცილებენ. ეს ნაკლებტრავმული, საკმაოდ ზუსტი და თითქმის უმტკივნეულო პროცედურაა პოლიპების ქირურგიული მარყუჟით მოშორების ტრადიციული მეთოდისგან განსხვავებით. მაგრამ ოპერაციით საქმე არ მთავრდება. პოლიპები ხელახლა რომ არ გაიზარდოს, დაზიანებული ლორწოვანი გარსის მკურნალობაა საჭირო. ამისთვის ცხვირის ღრუში აეროზოლის ტიპის სამკურნალო პრეპარატები შეჰყავთ.

დაიმახსოვრეთ!

თუ ცხვირით სუნთქვა გაგიჭირდათ, ნუ გაგიტაცებთ სისხლძარღვთა შემავიწროებელი წვეთები. ცხვირის გაჭედვის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს. გახანგრძლივებული სურდოს შემთხვევაში, აუცილებლად მიმართეთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს. თუ იგი გამოკლევისას პოლიპებს აღმოგიჩენთ, ნუ გადადებთ მკურნალობას. სუნთქვის გაძნელების გარდა, პოლიპები სხვა უამრავ უსიამოვნებას მოგიტანთ. ისინი შეიძლება ბრონქული ასთმის და სმენის დარღვევის განვითარების ნიშანიც იყოს. ■

ჯობია, ქმარს უღალატო, ვიდრე საკუთარ სტილისტს...

სტილისტები ამბობენ: ჯობია, ქმარს უღალატო, ვიდრე საკუთარ სტილისტსო. რატომ დაქალობენ კლიენტები მათთან? რა შემთხვევაში იჭრის ქალი თმას და როგორ ეხმარებიან სტილისტები მათ მამაკაცის „შებმაში“? — ამის გასარკვევად, ერთ-ერთ პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ სილამაზის სალონს ვესტუმრე.

სოფო ყარალაშვილი

სამველ მარკოსიანი:

— წელს მოდაშია შოკოლადისფერი, „რიჟა“, მოყვითალო ფერის თმა, მაგრამ ქართველი ქალები, რატომღაც ისევ ქერაზე არიან „ჩაციკლული“. როცა მუქ თმას აღიავებ, ის საშინლად იწვება. ამიტომაცაა, რომ საქართველოში მანდილოსნების უმეტესობა, დამწვარი თმით დადის.

— სახლის პირობებში როგორ უნდა მოვუაროთ დამწვარ თმას?

— ყველაზე ეფექტურია შემდეგი შემადგენლობის ნიღაბი: აიღეთ ნივრის და ხახვის წვენი (ერთნაირი რაოდენობით), მასში ჩაამატეთ 1 ცალი ლიმონის წვენი, 1 ს/კ თაფლი და 1 ს/კ აბუსალათინის ზეთი. ეს მასა, ყოველი დაბანის შემდეგ თმის ძირებში შეიზილეთ, თავზე პირსახოცი შემოიხვიეთ და 1 საათის შემდეგ, ნიღაბი ჩამოიბანეთ. ერთ თვეში სასურველ ეფექტს მიიღებთ.

— ამ პროცედურის შემდეგ, თმას ნივრის სუნი ხომ არ დარჩება?

— მშრალ თმას არა, მაგრამ თუ შემთხვევით წვიმაში მოჰყევით და დასველდით, ნივრის სუნი ნამდვილად აგივათ.

— კლიენტს თმის ფერს რის მიხედვით ურჩევთ?

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თვალის ფერს, ბუნებრივი თმის ფერს და ა.შ. თუ ქალს ღია ფერის თვალები აქვს, თმა მუქად უნდა შეიღებოს. კარგია, თუ თმის ფერის შეცვლისას, ჩაცმის სტილსაც გაითვალისწინებთ. მაგალითად, თუ კლასიკურ ტანისამოსს იცვამთ, გირჩევთ მელირებას მუქ-თბილ ტონებში, ვთქვათ, შოკოლადისფერზე „დასვათ“ „მორიჟაო“ ან მოყვითალო ზოლები...

— ქალები ხშირად იღებავენ თმას ქერად მაშინ, როცა მუქი ფერის წარბები აქვთ...

— დიახ და ეს ძალიან „ყვირის“. ამიტომ, ზოგი წარბებსაც და წამწამებსაც სპეციალური საღებავით იღებავს.

— რამდენად ხშირად იღებავენ თმას მამაკაცები?

— ძალიან იშვიათად. ბევრ მამაკაცს ამის კომპლექსი აქვს — ეს როგორ შეიძლება, არაკაცურიაო... ჩემთან დადის ერთ-ერთი ცნობილი სახე — მამაკაცი, რომელიც იმიჯისთვის თმას სისტემატურად იღებავს...

ამავე სალონში შევამჩნიე ახალგაზრდა, მაგრამ პროფესიონალი სტილისტი, რომელსაც კლიენტებთან არა მხოლოდ ვარცხნილობაზე, არამედ მათ პირად ცხოვრებაზეც უწევს ლაპარაკი.

არტურ ავოიანი:

— არის კლიენტების კატეგორია, რომლებიც მოდიან არა მარტო ვარცხნილობის შესაცვლელად, არამედ უარყოფითი ენერგიისგან გასათავისუფლებლად და ისინი თავის პრობლემებს მიყვებიან. პროფესიონალმა სტილისტმა იცის, რომ კლიენტს უნდა მოუსმინოს. ჩვენ ქალის ფსიქოლოგია კარგად ვიცით და მათთვის რჩევის მიცემაც შეგვიძლია. ზოგი მოდის და მეუბნება: ორმაგს ვიხდი, ოღონდ თმა ერთი საათის განმავლობაში შემჭერი, რადგან დადებითად ვიმუხტები, როცა ჩემს თმას ეხებიო.

— როგორ ფიქრობ, კლიენტები რატომ გენდობიან?

— იმიტომ, რომ მე არც მათი ნათესავი ვარ და არც მეზობელი, შესაბამისად, იმ პრობლემებს, რომლებზეც ჩემთან საუბრობენ, ვერ „გავაბაზრებ“. ისინი თავიანთ „დაქალად“ მიმიჩნევენ, არადა, ჩვეულებრივი, კავკასიელი მამაკაცი ვარ.

— კლიენტები ინტიმურ პრობლემებზეც გელაპარაკებიან?

— აბა, რა... ერთხელ პატარძალს საქორწილო ვარცხნილობას ვუკეთებდი. „შპილკას“ ვურჭობდი თმაში და ვკითხე: ხომ არ გეტკინა-მეთქი? ეს რა არის იმასთან შედარებით, რა ტკივილიც მელისო — მითხრა. ზოგი მოდის და მეუბნება: დღეს პაემანი მაქვს და თმა ისე დამვარცხნე, რომ ჩემი რჩეული გავაგიჟოო. პირველსავე ვიზიტზე უკვე ვიცი, რა კატეგორიას მიეკუთვნება ესა თუ ის ქალბატონი. აქ არ ვგულისხმობ მატერიალურ მხარეს, რადგან ეს ისედაც ემჩნევათ. საერთოდ, მდიდარი არასდროს ტოვებს „ჩაის“, ფულს მიტოვებს ისეთი კლიენტი, ვინც ხელოვნებას აფასებს და გულუხვია.

— ახლა მითხარი, რის მიხედვით ურჩევ პატარძალს საქორწინო ვარცხნილობას?

— თავის ფორმის, სახის მოყვანილობის მიხედვით. გააჩნია, როგორი კაბა უნდა ეცვას ქორწილში. ნახევრად აწეულ თმას ვუკეთებ მათ, ვისაც დიდი ყურები ან დიდი ლოყები აქვთ, დანარჩენ შემთხვევაში, ჯობია, თმა აწეული იყოს.

— ალბათ, პრეტენზიული კლიენტიც მრავლად გხვდება...

— ზოგი ისეთია, თვითონაც არ იცის, რა უნდა. შეჭრი ლამაზად და არ მოსწონს. ეკითხები: რა არ მოგწონთ? გპასუხობენ: არ ვიცი, რაღაც არ მომწონსო. ეს უკვე არასრულფასოვნების კომპლექსია... მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ნაკლებად პრეტენზიულები არიან, ქალბატონებთან მუშაობა ბევრად უფრო სასიამოვნოა.

■

ყავა ლიმონით

მოსამზადებლად საჭიროა: 1 ლ წყალი, 70 გ ყავა, 4 ნაჭერი ლიმონი, შაქარი.

მომზადების წესი: 1 ს/კ შაქარი გავადნოთ ქვაბში მანამ, სანამ ყავისფერი არ გახდება. შემდეგ, მასში ჩავასხათ მოხარშული, კარგად ადუღებული ყავა და დავამატოთ შაქარი (გემოვნებით). მომზადებული სითხე ჩავასხათ ჭიქებში და ჩავამატოთ თხლად დაჭრილი ლიმონი.

შენიშვნა: ასე მომზადებულ ყავას, შოკოლადის ნაცვლად შეგვიძლია, მივაყოლოთ შაქარში ამოვლებული ლიმონი, რაც მას ეგზოტიკურ გემოს და არომატს ანიჭებს.

■

მაკიაჟის ფსიქოლოგია — თქვენი მზერა ნდობას უნდა აღძრავდეს

მაკიაჟი ეს ის ძალაა, რომელსაც ხანდახან, ქალის ბედის შეცვლა შეუძლია. არც ისაა საიდუმლო, რომ ადამიანს სახეზე საკუთარი ხასიათი აწერია. ამიტომ ზოგ შემთხვევაში, მიზნის მისაღწევად მაკიაჟი, როგორც იარაღი ისე შეიძლება გამოვიყენოთ.

ბუნებამ სახის გარკვეული ნაკვთებით დაგვასაჩუქრა. მაკიაჟის დახმარებით კი მათი შერბილება ან გამკვეთრება შეგვიძლია. მაგალითისთვის, თუნდაც **წარბების ფორმა** ავიღოთ. ხშირი, არამკვეთრად გამოხატული, გადაუბმელი წარბები რბილ ხასიათზე მეტყველებს. ამიტომ ქალებთან, რომლებსაც ასეთი წარბები აქვთ, ურთიერთობა და კონტაქტში შესვლა იოლია. მამაკაცები ასეთ ქალში ერთგულ მეოჯახეს ხედავენ.

გადაბმული წარბები კი პირიქით — ეგოცენტრიკული ხასიათის მაჩვენებელია ანუ მათი პატრონისთვის მთავარი საკუთარი „მეა“. ასეთი წარბების მქონეს, როგორც წესი, რაიმე თხოვნით არ მიმართავენ. მიიჩნევენ, რომ იგი გარშემო მყოფებს საკუთარ აზრებსა და იდეებს ახვევს. ასეთი წარბები კარგია, თუ ხელმძღვანელი თანამდებობა გიკავიათ, მაგრამ თუ კარიერის შექმნას ახლა იწყებთ, მაშინ გადაბმული წარბები სამსახურებრივ კიბეზე გარკვეულ ბარიერად და პრობლემად შეიძლება იქცეს. იმისთვის, რომ შეუბრალებელ ადამიანად არ აღგიქვან, აუცილებელია, წარბების შეერთების ადგილის გალამაზება ან უბრალოდ, მათი მოცილება. ამით თითქოს უფრო ლმობიერი ადამიანი ხდებით, გამოხედვა მკაცრ გამომეტყველებას კარგავს. ასევე, თავიდან აიცილებთ ხელმძღვანელი პირების გაღიზიანებას. ასე რომ, კარიერის გაკეთება წარბების გალამაზებით დაიწყეთ.

და კიდევ — რაც უფრო გამოკვეთილი წარბები გაქვთ, მით უფრო მკვეთრი ხასიათის პატრონად მიგიჩნევენ და პირიქით, ნაკლებად გამოკვეთილი წარბის ხაზის გამო, დამყოლი ხასიათის ადამიანად აღგიქვამენ.

წარბებთანაა დაკავშირებული თვალებიც, უფრო სწორედ, გამოხედვა. რა ჯობია — თვალის ზედა კონტურის გაკეთება თუ ქვედასი? თუ ხელმძღვანელის „პოსტი“ გიკავიათ, უმჯობესია, ჩრდილის საშუალებით აქცენტი თვალის შიდაკუთხეებზე გააკეთოთო, რაც თქვენს გამოხედვას მბრძანებლურს გახდის. თუ მომსახურების სფეროს მუშაკი ბრძანდებით, მაშინ თქვენი მზერა ნდობას უნდა აღძრავდეს. ამიტომ უმჯობესია, აქცენტი თვალის გარეთა კუთხეებზე გააკეთოთ.

ცოტა რამ **ტუჩებზეც**. თუ ტელეწამყვანი ბრძანდებით ანუ გადმოსცემთ არა თქვენს აზრებს, არამედ ინფორმაციას, რომლებსაც სხვები გაწვდიან, ამ შემთხვევაში, ტუჩები მკვეთრი, კაშკაშა პომადით უნდა მოიხატოთ, მაგრამ თუ საკუთარი ემოციების, გრძნობების გადმოცემას (დავუშვათ, სკოლაში ასწავლით ლიტერატურას ან გსურთ, ახლობელ ადამიანს გული გადაუშალოთ) ცდილობთ, მაშინ აქცენტი თვალებზე გადაიტანეთ, ტუჩები კი უკეთესია ჩრდილში დარჩეს. ამისთვის გამოიყენეთ ნაზი ტონის მქონე პომადები. **წამწამები** ხშირ, მკვეთრ კონტურად უნდა გასდევდეს თვალებს, რათა მან მსმენელის ყურადღება მიიპყროს.

ასე რომ, მაკიაჟის ფსიქოლოგია მეცნიერებაა, რომელსაც აუცილებლად უნდა ფლობდეთ. ■

როგორ დავიკლოთ წონაში სწრაფად, შიმშილის გარეშე

ეს დიეტაა მათთვის, ვისაც სასწრაფოდ უნდა რამდენიმე კილოგრამის დაკლება. მისი პირობების დაცვის შემთხვევაში, თქვენ 4 დღეში — 2,5-3 კგ-ის დაკლების შანსი გეძლევათ.

მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ დალიოთ 2 ფინჯანი შავი, უშაქრო ყავა, 2 ჭ ჩაი (ლიმონის გარეშე), უცხიმო ხაჭო (განუსაზღვრელი რაოდენობით, ოღონდ, ზედმეტი არ მოგივიდეთ). დღის განმავლობაში, ასევე შეუზღუდავად შეგიძლიათ მიირთვათ ქორფა კიტრი, მწვანე, ტკბილი წიწაკა და მინერალური წყალი (უმჯობესია, გაზგასული). ■

კარტოფილის პიცა

მოსამზადებლად საჭიროა: 1 კგ კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 3 ს/კ ცხიმი, 5 ც პომიდორი, 100 გ ყველი, მწვანილი (უმჯობესია, კამა) და მაიონეზი.

მომზადების წესი: კარტოფილი გავასუფთაოთ და გავხეხოთ. დავამატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და მარილი. ცალკე ავიღოთ ქვაბი, რომელშიც უნდა გავადნოთ ცხიმი და ნელნელა დავამატოთ კარტოფილისა და ხახვისგან მომზადებული მასა, რომელსაც უნდა ვურიოთ და ისე შევწვათ, რომ არ დაიბრაწოს. მერე ზემოდან დავაწყოთ პომიდორი, რომელსაც მრგვალ ფორმებად დავჭრით, მოვასხათ მაიონეზი და მოვაყაროთ გახეხილი ყველი. ბოლოს კი, გავაფორმოთ მწვანილით. შემდეგ, ქვაბი შევდგათ ჰაერღუმელში და გამოვაცხოთ დაბალ ტემპერატურაზე — 20-25 წუთის განმავლობაში. ■

რჩევები დიასახლისებს

■ ავეჯიდან თეთრ ლაქებს იოლად ამოიყვანთ, თუ მას ზეთსა და მარილში დასველებული ტილოთი გაწმენდთ.

■ გაუხეშებული ბეწვეული დარბილდება ემულსიით, რომელიც შემდეგნაირად უნდა მოამზადოთ: 1 ს/კ ვაზელინში შეურიეთ 1 კვერცხის გული, დაუმატეთ ნახევარი ჩ/კ გლიცერინი და ნახევარი ლიტრი წყალი.

■ ფერადი ქსოვილი არ გახუნდება, თუ მას ცივ მარილწყალში გარეცხავთ.

■ უთოთი შეტრუსული ღია ფერის სელის ან ბამბის ქსოვილი ჩაალბეთ მცირე რაოდენობის წყალში, რომელშიც უნდა ჩაამატოთ დო ან მაწონი. ძლიერ შეტრუსულ ადგილებს წაუსვით წყალბადის პეროქსიდი და გააშრეთ მზეზე. შემდეგ კი გაავლეთ ცივ წყალში.

■ სატინისა და ჩითის სამოსი ბზინვარებას არ დაკარგავს, თუ გაავლებთ ბორაკიან წყალში ან ცხელ მარილწყალში (3-4 ს/კ მარილი 5 ლ წყალში).

■ თუ ოთახის სიღრმეში მდგარ ქოთნის ყვავილებს განათება არ ჰყოფნის, რაფაზე დადგით სარკე და მზის სხივები ყვავილებისკენ მიმართეთ.

■ ხაოიანი პირსახოცები და ხალათები შეინარჩუნებს სირბილეს, თუ მათ მარილწყალში გარეცხავთ და არ გაუთოებთ. ■

ჟურნალის საკვირველი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცეთ თვალი.

1. მხატვრულ ფილმში — „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“ ქიტესას როლს ვახტანგ ცხადაძე ასრულებს. ვინ ახმოვანებს მის პერსონაჟს?

2. დაასრულეთ არტურ ბლოხის სიტყვები: „სულელი, რომელსაც მაღალი თანამდებობა უჭირავს, გორაზე ამძვრალ კაცსა ჰგავს — მაღლიდან ყველა პატარა ეჩვენება, ქვემოდან კი... “

3. მოთხრობა — „რეკორდი“ ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის დაწერილია. დაასახელეთ ფრანტიშეკ პუდილისა და ვაცლავ ლისიცკის შესატყვისი ქართული პერსონაჟები.

4. 1982 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში, ამ გერმანელმა ფეხბურთელმა საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ სიცხიანმა ითამაშა (ფრანგების ცოდვით ქვები ბღაოდნენ). დაასახელეთ იგი.

5. პულსს ცერა თითით არ ზომავენ. რატომ?

6. გვარდიელებს, რომლებსაც ვატიკანის დაცვა და ცერემონიული ხასიათის ფუნქციები აკისრიათ, ამ დიდი ხელოვანის მიერ რეკომენდებული სადღესასწაულო ტანსაცმელი აცვიათ. დაასახელეთ იგი.

7. ეს ინგლისელი მწერალი რუსეთში საიდუმლო აგენტად მუშაობდა. ამ საქმიანობას მან მოგვიანებით მოთხრობების ციკლი მიუძღვნა.

8. როგორ ამოწმებდნენ აღა-მაჰმად-ხანის მეომრები თბილისის ძარცვა-დარბევის დროს თავიანთი ხმლების სიბასრეს?

9. რადიშჩევი, გრიბოედოვი, ჩაიკოვსკი, სობინოვი, სეროვი, პოლონსკი, ვოლოშინი, ბლოკი, სტრავინსკი — რა ნიშნით შეიძლება აქ ჩამოთვლილი ადამიანების გაერთიანება?

10. მკვლელობის დღეს, ილია ჭავჭავაძე თავადაც შეიარაღებული იყო. რით?

11. ეს ქართული სამოსელი XX საუკუნეში ფართოდ გავრცელდა ყუბანისა და თერგის კაზაკობაში, როგორც სამხედრო ამუნიციის შემადგენელი ნაწილი.

12. ვისი ჩხუბით იწყება შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება?

13. მარკუს ანტონიუსის მზარეული კარგად მომზადებული სადილისათვის ყველაზე გულუხვად დააჯილდოეს. რა საჩუქარი მიიღო მან?

14. რას ნიშნავს ქართულად: ჰაიკაკან სოციალისტაკან ჰანრაპეტუთიუნ?

15. „სამ მილიონ გველში აღარ დაიბადა სამასი არაგველი?!.“ — დაასახელეთ ამ რიტორიკული შეკითხვის ავტორი.

ანეკდოტები

***

მატარებლის კუპეში დედა და თექვსმეტი წლის ქალიშვილი სხედან. მათთან ერთად სომეხი და აზერბაიჯანელი მგზავრობენ. მატარებელი გვირაბში შევიდა და უცებ, სიბნელეში ტკაცანი გაისმა — ვიღაცამ ვიღაცას სილა გააწნა!

ქალი ფიქრობს: ჩემი გოგონა ჯერ კიდევ პატარა მგონია, ის კი უკვე ქალიშვილია და თანაც, როგორი პატიოსანი და თავმოყვარე. ალბათ, ამ მუტრუკებიდან რომელიღაცამ სიბნელეში ხელი მოუფათურა და ალიყურიც მიიღო.

ქალიშვილი ფიქრობს: დედაჩემი უკვე ხანში შესული მგონია, ის კი ჯერ კიდევ მოსწონთ კაცებს. დედა პატიოსანი და პრინციპულია — ალბათ, რომელიმეს ხელი წასცდა და დედიკომაც სილა გააწნა.

აზერბაიჯანელი ფიქრობს: ეს დამპალი სომეხი! დაუწყო ქალებს სიბნელეში ხელის ფათური. იმას კი ეტყობა, მე ვეგონე და ამის მაგივრად მომხვდა.

სომეხი ფიქრობს: უჰ, როდის შევალთ კიდევ გვირაბში, რომ ამ აზერბაიჯანელს ერთხელ კიდე ვხიო ყბაში?!

***

მამალი დააჯილდოეს, ქათმებმა დიდი კვერცხების დება დაიწყესო.

— ჯილდოსთვის დიდი მადლობა, — განაცხადა მამალმა, — მაგრამ მამალ ინდაურს მაინც დაერხევა.

***

ავტობუსი გადაჭედილია. ამოდის მოხუცი ქალი. ავტობუსში მჯდარი ბავშვი ეკითხება:

— ბებო, ფეხები გტკივა?

— კი, შვილო, მტკივა.

— ბავშვობაში მოხუცებულებს ადგილს უთმობდი?

— კი, ვუთმობდი.

— ჰოდა, მაგიტომაც გტკივა.

***

— ჭამე, შვილო, პური!

— არ მიყვარს პური.

— ჭამე — დიდი და ღონიერი

გაიზრდები.

— რაში მჭირდება?

— პურის ფული რომ იშოვო.

— ხომ გითხარი, პური არ მიყვარს-მეთქი.

***

ბებუა ფრონტის ამბებს უყვება შვილიშვილს:

— გადავედით ერთხელაც შეტევაზე, ვხედავ გერმანელს, ვეცი და ფეხი მოვაჭერი!

— კი, მაგრამ თავი რატომ არ მოჭერი?

— თავი უკვე მოჭრილი ჰქონდა.

***

სვანს მკითხავმა უთხრა: შენი ერთადერთი ქალიშვილი თოთხმეტი წლის რომ გახდება, თითში ეკალი შეერჭობა და მოკვდებაო. გადარეული სვანი სახლში გაიქცა და ქალიშვილს ათივე თითი დააჭრა.

— ეს რა ქენი? — ჭკუაზე შეიშალა ცოლი.

— რა ვქენი და სიკვდილს გადავარჩინე!

***

— საყვარელო, მალე მამა გახდები!

— ეეე, მე კიდევ კოსმონავტობა მინდოდა!..

***

— დაასახელეთ ცხოველი, რომლისაც ლომს ეშინია, — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეებს.

— ძუ ლომი, მასწავლებელო!

***

მამა შვილს ეკითხება:

— როგორ მიდის სკოლაში საქმეები?

— შესანიშნავად — მეხუთე კლასთან კონტრაქტი ერთი წლით კიდევ გამიგრძელეს!

***

ფინანსური პოლიცია მაღაზიას ამოწმებს.

— ასეე! მაშ, აქ რითი ვაჭრობთ?

— როგორ გითხრათ, ათასგვარი მომსახურება გვაქვს: სნაიპერული შაშხანები, დახვრეტის ლიცენზია, კილერი გამოძახებით...

— სალაროს აპარატი კი არა გაქვთ! ფულს ღუნავთ, არა?! როდის იყვნენ აქ ბოლოს რევიზორები?

— სამიოდე კვირის წინ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს!..

***

ორი სვანი აეროპორტში „ბოინგ 747“-ს პირდაღებული უყურებს:

— ამას რომ იტაცებენ, ნეტავ როგორ მალავენ?!

— აბა, შენა ხარ, რა!.. მაგას ცაში იტაცებენ, როცა პატარავდება.

***

სვანს ფეხსაცმელი უჭერს.

— შენი ზომის რატომ არ იყიდე?

— რას ამბობ, ჩემი ზომა იცი, რა ძვირი ღირდა?!

***

სვანეთის ტყეში ტურისტები დაიკარგნენ და ყვირილს მოჰყვნენ:

— ხალხო, გვიშველეთ, ხალხო!

სვანმა ყური მოჰკრა და ჩაიბურტყუნა:

— ჰო, სხვა დროს სვანები ვართ და რომ გაუჭირდებათ — ხალხი!

***

ქსენიამ და ჯონიმ ათი წელი ტკბილად იცხოვრეს. ერთხელაც, ქსენია ეუბნება:

— იცი, საყვარელო, რადგან ასე დავახლოვდით, უნდა გამოგიტყდე, რომ დალტონიკი ვარ.

ჯონის გული აუჩუყდა:

— მეც უნდა გამოგიტყდე, ზანგი ვარ.

***

— დღეს ცუდი დღეა, დოლარი რომ დოლარია, ისიც კი დაეცა — თავს იმართლებდა ბიზნესმენი, მდივანი ქალის წინაშე.

***

მუშა ქარხანაში მოეწყო და იმავე დღეს საავადმყოფოში აღმოჩნდა. მოსანახულებლად მეგობარი მივიდა და რა დაგემართაო? — ჰკითხა:

— შევედი საამქროში და დავიძახე: ჟორა, 27 ნომერი „კლუჩი“ გადმომიგდე-მეთქი. აბა, მე რა ვიცოდი, იქ იმდენი



ჯორჯის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. რამაზ ჩხიკვაძე.
2. „...თავად ჩანს ერთი ციდა“.
3. დურუ ხუნჭუა და ჯოტია ცაავა.
4. კარლ ჰაინს რუმენიგე.
5. ამ თითს თვითონ აქვს პულსაცია და ამან შეიძლება, შეცდომაში შეგიყვანოთ.
6. მიქელანჯელო.
7. სომერსეტ მოემი.
8. ძუძუთა ბავშვებს ჰაერში ისროდნენ და შუაზე ჩეხდნენ.
9. აქ ჩამოთვლილი ყველა პიროვნება განათლებით იურისტი იყო.
10. ნაგანის სისტემის რევოლვერით.
11. ჩოხა-ახალუხი და ნაბადი.
12. კაპულეტებისა და მონტეგეების მსახურთა ჩხუბით.
13. მარკუს ანტონიუსმა თავის მზარეულს მთელი ქალაქი უბოძა.
14. სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.
15. კოტე ყუბანეიშვილი.

უკომენტაროდ

veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-44

ზაზა ვაჩნაძე

ანი განაგრძობს ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც ბიზნესმენ ლევან იაშვილის იდუმალი სიკვდილის გარეგანი მოებათა გარკვევას ისახავს მიზნად. გამოძიების ვერსიით, იაშვილმა თავი მოიკლა, მაგრამ ანი დარწმუნებულია, რომ მისი მულის, ნუციკოს საყვარელი (და ამავე დროს, მამამთილის, გაიოზის ბავშვობის მეგობარი) მოკლეს. ანი ცდილობს, დაუახლოვდეს გამომძიებელ მურად ოქროპირიძეს და ამგვარად მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. ამავე დროს, ქალი თავისი ქმრის, თაზოს ოჯახში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის უნებლიე მონაწილეც ხდება. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მაინც ვერ გადააფიქრებინებს ნუციკოს, ლევანის პანაშვიდზე წასვლას. იაშვილის ცოლი პირდაპირ მიახლის მამაშვილს — აქ მოსვლა როგორ გაბედეთო?!. გაიოზი იმდენადაა გაოგნებული, რომ ლამისაა, დამუნჯდა...

იმ საღამოსვე, ნუციკოს დასაკითხად, გამომძიებელი მურად ოქროპირიძე ეწვევა.

— დიდი ბოდიში, მაგრამ ხომ ვერ გაიხსენებდით, როდის შეხვდით ბოლოს ლევან იაშვილს?

ნუციკო სკამზე გადაწვა. თავი მაღლა ასწია და დაფიქრდა. „ჰქონია გემოვნება“ — გაიფიქრა ლევან იაშვილზე მურადმა.

— მე ლევანს სადღაც ერთი კვირის წინ შევხვდი... ალბათ, გინდათ მკითხოთ, რაიმე ხომ არ შევამჩნიე, ხომ არ ნერვიულობდა ან რაიმე ისეთი ხომ არ უთქვამს... იცით, თქვენ მკითხეთ, რაც გაინტერესებთ... — კარზე ზარის ხმა გაისმა. — ერთი წამით, ალბათ, ჩემი ძმაა...

ნუციკო კარის გასაღებად გავიდა. თაზო იყო, რომელსაც ხელში ცელოფანის პარკი ეჭირა. მან ჩურჩულით იკითხა:

— ღრინავს კიდევ?

— რაც უნდა, ის უქნია. მე პროკურატურიდან მომაკითხეს, — ნუციკომ ძმა საქმის კურსში ჩააყენა.

— ჰოო? რა ბებიაჩემისა უნდათ? — დაინტერესდა თაზო.

— ლევანის ამბავი აინტერესებთ. მე რა უნდა ვუთხრა?

— მის ცოლს ჰკითხონ, შენთან რა უნდათ? მიდი და მეც შემოვალ... ეგ ალაპარაკე! ჰო, დააჭირე ენას კბილი, ახლავე შემოვალ... — გააფრთხილა თაზომ.

თაზო სამზარეულოში შევიდა. გაიოზს სიგარეტი ჩაეთავებინა. ახლა იჯდა და თვალებს აბრიალებდა. თან, თაზოს ყველა მოძრაობას აკონტროლებდა. თაზომ პარკიდან არაყი, ლუდის ბოთლები, ძეხვი ამოიღო და მაგიდაზე დაალაგა. შემდეგ ქურთუკი გაიხადა და პირველ რიგში, ბასა მოიკითხა, რომელსაც წიგნის კითხვაში ტახტზე ჩასძინებოდა და გაშლილი წიგნი გულზე ედო. თაზომ ჩუმად გამოკეტა კარი, მერე კი დის ოთახში შევიდა. მის დანახვაზე მურადი წამოდგა.

— ხელს ხომ არ შეგიშლით? — ჰკითხა თაზომ მურადს. — მაინტერესებს, უბრალოდ...

— ეს ჩემი ძმაა, თამაზი... — თქვა ნუციკომ.

კაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. „გაგიჟდა ქვეყანა“ — გაიფიქრა მურადმა — „ძმას დის საყვარლობანა აინტერესებს“... და იკითხა:

— გავაგრძელო?

— აბა, რა! — ნუციკომ თავისი ულამაზესი თვალები გამომძიებელს მიაპყრო, — ამ საქმის გახსნით თქვენ ნამდვილად ხართ დაინტერესებული?

— არსებობს რომ საქმე? თუ იმ კაცმა მართლაც თავი მოიკლა... — დაიწყო მურადმა და აღარ დაასრულა.

— თქვენც ასე ფიქრობთ? მაშ, რაღად გინდათ ეს ვიზიტები და დაკითხვის ოქმები? ფორმალურად? — გაიცინა თაზომ.

— მოიცა, თაზო! მოდი რა, შენ ცოტა ხნით გადი... გაიკეტე კარი! — სთხოვა დამ ძმას.

— კი, გენაცვალე! — თაზომ მურადს თვალი ჩაუკრა და კარი გაიკეტა.

— რატომ უნდა მოეკლათ, ვინ მოკლავდა... რისთვის... — განაგრძო მურადმა. — კომპანია კაი ხანია გაყიდა. კონკურენცია გამოირიცხა. არავითარი სამხილი არ არსებობს...

— რომელი კონკურენცია გამოირიცხა, რა სამხილი არ არსებობს? როგორც ვიცი, იმ დეგენერატი დარაჯის მეტი, წარამარა ეკრანზე რომ გამოჰყავდათ, არავინ დაკითხულა. ასე არ არის?

— მაშ ახლა რას ვაკეთებ, დაკითხვაზე არა ვარ? — აღელდა მურადი.

— რა? თქვენ მე მადებთ ხელს? რა სიგიჟეა! — ეწყინა ნუციკოს.

— კაი, თქვენ არ გადებთ ხელს... თქვენ თვითონ გაქვთ ვინმეზე ეჭვი? — თითქოს მოიბოდიშა მურადმა.

— დიახ, მაქვს, ცოლზე. — ცივად მოჭრა ნუციკომ.

— იმიტომ, რომ თქვენი მეტოქე იყო... — გაეცინა მურადს.

— არა! მე შვილს ვაჩენ მისგან. აი აქ, მუცელში, ლევან იაშვილის შვილი მყავს, — ხელი ფრთხილად დაიდო მუცელზე ნუციკომ.

მურადმა, როგორც რაღაც ჯადოქრობას, ისე დაუწყო ნუციკოს მუცელს მზერა.

— ეს ამბავი იაშვილმა იცოდა?

— დიახ, იცოდა და მეცხრე ცაზეც იყო... — სინანულით თქვა ნუციკომ. — არ არსებობს, ის თავს არ მოიკლავდა...

— ბავშვის სქესიც თუ იცოდა?

— როგორ არ იცოდა, ბიჭს ველოდებოდით, — ღრმად ამოისუნთქა ნუციკომ.

— მისმა ცოლმა თუ იცოდა, რომ მისგან შვილი აგყვათ? — აგრძელებდა დაკითხვას გამომძიებელი.

— წარმოდგენა არა მაქვს. ის ცოლზე არასდროს ძრავდა სიტყვას და არც მე ვეკითხებოდი არაფერს. რაში მაინტერესებდა?

— გამორიცხულია, თუ არაფერი იცოდა, მაშინ რატომ მოკლავდა? — დაასკვნა მურადმა.

— რა ვიცი, იქნებ, ნათქვამიც ჰქონდა ლევანს... წინათგრძნობა მქონდა თუ რა...



— გესესხე, რა... ახლა შენც მაკოცე ერთხელ და არც მე მექნება შენი ვალი და არც შენ — ჩემი... — გაეცინა მურადს.

— ბებიაშენისამ! იცოდე, სხვა დროს ერთ კოცნას გამოგატოვებინებ. ორდერს აიღებ, დამირეკავ და ჩხრეკას გადამაღებინებ!

— არის, უფროსო! — მურადმა ხელი მიიდო შუბლთან, მანქანის გასაღები გადაატრილა, დაქოქა და დაძრა.

მინისტრი ბეჟან გვერდწითელი უხასიათოდ იყო... იჯდა კაბინეტში და პრესას ათვალიერებდა.

— მანანა, მოვიდნენ დარჩიაშვილი და სიდამონიძე?

— დიახ, ბატონო ბეჟან, მოსულები არიან. — მოახსენა მანანამ.

— შემოვიდნენ! — ბრძანა მინისტრმა და გაზეთის კითხვა განაგრძო.

კაბინეტში საუბნო პოლიციის პროკურორი — ზაური და პოლიციის უფროსი, ფელიქსი შემოვიდნენ. ბეჟანს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა და ხელით ანიშნა, დასხედითო.

— რაღაც, ვერ უნდა იყოთ ხასიათზე. — წაუქლესა ზაურმა.

— კაცო, რა ხდება ამ... იაშვილი იყო, ხომ?.. — დაიწყო მინისტრმა.

— ჰო...

— მერე?

— თავი მოიკლა კაცმა, როგორ გეკადრებათ... — „გულწრფელად“ თქვა ზაურმა.

— მოიცა, მოიცა... მეკადრება კი არა... — მინისტრმა გაზეთი დაკეცა, — რამდენი დღეა გასული... ამტყდარი როა ეს ამხელა კაკაფონია... გაზეთები, რადიო, ტელევიზია... როგორ გგონიათ, ვის უთხრიან ძირს, თქვენ თუ მე? ვის მიეცი საქმე?

— მურად ოქროპირიძეს...

— ვინ არის, იცის რამე?

— ცოტა კი, სხვებმა წერა-კითხვაც არ იციან და ეგ დაწერს მაინც...

— მოიცა, თუ ძმა ხარ! არ გვინდა, რა, ეს ბლეფომანია, მწერლები მგონი, ქვეყანას აღარ სჭირდება და გამომძიებლად მწერლებს ნუ მომიყვან, ძალიან გთხოვ... საქმე, საქმე! — საქმიანი იერი მიიღო მინისტრმა.

— რომ მცოდნოდა, რატომაც მიბარებდით, დავაწერინებდი პატაკს და მოვიტანდი... რამდენიც შევეკითხე, მეუბნება: ერთი დღე მაცალეო... — და უცებ, ფელიქსს დაადო ხელი ზაურმა. — აი, ამან, ფელიქს ძერჟინსკია თუ სიდამონიძე, იცით, რა ქნა? კაცი დაიჭირა და გაუშვა... აი, ყამა სდებია ჯიბეში...

— კაი რა, ზაურ, რა! — წამოხტა სკამიდან ფელიქსი. — შენ თავი დამანებე, რა... წახვალ-წამოხვალ და მე უნდა დამადო ყოველთვის ხელი. მე, ძმაო, პოლიციელი ვარ, გამოძიებასთან არაფერი მესაქმება, შენ ჩემს ხალხს თავი დაანებე, რა!

— შენი და ჩემი ხალხი რას მიქვია... — ფელიქსზე მაღლა ახტა ზაური, — შენ შენს პოლიციელებსაც თუ მასე ელაპარაკები, როგორც მე, რა გამოვა... მომამაგრე ხალხი? კაცი დაიჭირეს? ის კაცი ჩემია, ჩემი... — ზაურმა მთელი ძალით დაიბრაგუნა გულზე მუშტი — და ჩემს დაუკითხავად არ უნდა გაუშვა, ჰო, ჰო! ეს იმიტომ ხდება, რომ მე არა მაქვს უფლება, შენს ადგილზე სხვა დავნიშნო...

— არ გინდა, რა, ზაურ, ასეთი ლაპარაკი... — ოდნავ მოტყდა ფელიქსი. — ის კაცი შარი იყო, შარი... შარი მინდოდა კიდევ?

— შარი იყოო, გესმის? — ბეჟანს მიუტრიალდა ზაური, — იქნებ, მკვლელი იყო! მაგ ლევან იაშვილის საყვარლის მამა გახლდათ, ასე არ იყო? მივიდა, გადმოაგდო ფანჯრიდან, იფიქრა, ცოცხალიაო და დანით მიბრუნდა, რომ ყელი გამოეჭრა... შენ კიდევ დაიჭირე და გაუშვი...

— რას აბრალებ, ქრთამი აიღო? — ჰკითხა ღიმილით ზაურს ბეჟანმა.

— მაშ, რა ვიფიქრო? — გამოაცხადა ზაურმა.

— შენ, ძმაო, მიუნჰაუზენის ბიძაშვილი ხომ არა ხარ, რა ზღაპრებს ჰყვები?! — გამწარდა ფელიქსი. — კაცი დავიჭირე და გავუშვი? იმის დაჭერას რა უნდა, ის კაცი უცხოეთში კი არ გაფრენილა... — და ბეჟანს მიუტრიალდა, — ამის გამომძიებელი საქმეს კი არ იძიებს, ბატონო ბეჟან.

— აბა?

— ვიღაც „ჟურნალისტკას“ დასდევს, „დინამისტკას“... ჰო, ჰო, დაათრევს — რესტორნებში, ბარებში, სახინკლეებში, მერე მოდის და ბიჭებში ჰყვება, რა მკვრივი „სისკები“ აქვს...

— ეეე! — თქვა ზაურმა.

— რა ე, რა? — განაგრძო პოლიციის უფროსმა, — დაჰკითხა ჯერ ერთი კაცი მაინც, დაჰკითხა ვინმე?

— ვინ უნდა დაეკითხა? — იკითხა პროკურორმა.

— ვინ უნდა დაეკითხა? — ავარდა ისევ ფელიქსი. — კონკურენტები არ უნდა დაეკითხა? „ატეესების“ დირექტორები, ძველი მინისტრი, იმისი მოადგილეები, საიდან ამხელა „ქეში“, ისიც ჩეჩქად... მაგრამ სცალია, ძმაო? ჯერ ის „დინამისტკა“ ჰყავს, არა, გასაჟიმი?... თავი დამანებე რა, ძმაო! ერთხელაც ამომასხამს, რა! აივსო მოთმინების ფიალა, გადმოვიდა!

ამის თქმაზე ზაური ავარდა.

— მე, რა, არ ამევსო? გგონია, ჩემს ფიალას ძირი აქვს გაგდებული?

— კარგით, კარგით! მორჩით, რა! ნუ აფერისტობთ! — ჩაერია მინისტრი, — ორივენი უნიჭოდ არტისტობთ... რა ხდება, გამაგებინეთ! სიმართლე მითხარით!

— თავი მოიკლა იმ კაცმა, არ არსებობს... — გადაჭრით თქვა ზაურმა.

— მორჩა, გადაიბანა ხელი პილატესავით... — გაიცინა ფელიქსმა და ზაურს მიუტრიალდა, — გამომიგზავნე შენი გამომძიებლები და წერა-კითხვას მე ვასწავლი... რა იყო, ორი კაცი მყავს, ერთდროულად სამ ენაზე ლაპარაკობენ...

— თქვენ მგონი, ადგილები უნდა გაცვალოთ, ხომ იცი. — ურჩია ბეჟანმა ორივეს.

— ბატონო ბეჟან, იმ სკამზე დავჯდები, ეს რომ ზის?! — იუკადრისა ფელიქსმა.

— ვინ დაგსვამს, თორემ კი არ დაეწებები ზედ? — მიახალა ზაურმა.

— კაი, კაი... მორჩით. ორ დღეში საქმე დახურული თუ არ იქნება და პატაკს მაგიდაზე არ დამიდებთ... ხომ ხვდებით? მოკლედ, ეს საქმე მანამდე „მოახრჩეთ“, სანამ ბოლომდე აგორებულა...

— თვითმკვლელობა? — შეეკითხა ზაური.

— მე მეკითხებით? — ხელები გაშალა მინისტრმა.

— გასაგებია. — თქვა ზაურმა და წამოდგა. ფელიქსიც ადგა. — ჩივილით არავინ ჩივის. მარტო ეს ჟურნალისტები აჩმახებენ.

— ვიცი, რაღაც ფირს ატრიალებენ წარამარა... მერე? — თვალებში მიაჩერდა მინისტრი ორივეს. მათი შემხედვარე ადამიანი ადვილად გამოიტანდა დასკვნას — მათ შორის, რაღაც შეთანხმება შედგა.

— ახლა, გასაგებია. მარტო ჩემს თავზე ხომ ვერ ავიღებდი? — თქვა ზაურმა.

— შენს თავზე უნდა აიღო! — ჩაილაპარაკა რატომღაც გაკვირვებულმა მინისტრმა, — მაშ ვისზე?

— კი, ბატონო! — დაეთანხმა ზაური.

როგორც კი ფელიქსი და ზაური მინისტრის კაბინეტიდან გამოვიდნენ, ფელიქსმა ზაურს ცერად შეხედა...

— ბიჭო, რო ჩამიშვებ ხოლმე ამ ტურასთან, თვალებში როგორღა მი-

ახა, რომელსაც პალტოზე წითური მელიის საყელო ეკეთა, ბერეტზე ფარშავანგის ბუმბული ჰქონდა მიმაგრებული, პირში კი ქარვის მუნდშტუკი გაერჭო — სიგარეტით. ანი მივიდა და მიესალმა — გამარჯობა!

— გაგიმარჯოს, გენაცვალე! — უპასუხა დამთვალიერებელმა.

— თქვენ მხატვარი ბრძანდებით? — შეეკითხა ანი.

— არა, არა... მე ექიმი გახლავართ, გინეკოლოგი... თუმცა, ძალიან მიყვარს მხატვრობა და ნახატების კარგი კოლექციაც მაქვს... — უპასუხა ქალმა.

— კოლექციონერი ბრძანდებით? — გაუხარდა ანის.

— თითქმის... — უპასუხა დამთვალიერებელმა.

— შეიძლება, გამოფენის შესახებ რაიმე მოგვახსენოთ? — შეეკითხა ანი.

— რატომაც არა, დიდი სიამოვნებით, — უპასუხა დამთვალიერებელმა.

— მაშინ წამობრძანდით, რა! — ანიმ ქალბატონი კამერასთან მიიყვანა. — აი, აქ დადექით, მე მიკროფონს დაგიჭერთ და თქვენ ისაუბრეთ. დაიწყეთ!

— უამრავი გამოფენა მინახავს, — დაიწყო ქალმა. — უამრავ ქვეყანაში, მაგრამ ნიჭიერების ასეთი ამოფრქვევა, ასეთი ამოუწურავი ფანტაზია, ასეთი ცეცხლოვანი ტემპერამენტი... შეხედეთ, რა სახეებია, რა სიჭრელე, რა სიკაშკაშე... შემიძლია, საათობით ვიდგე ნებისმიერის წინ და ვტკბებოდე... ხშირად მიფიქრია — რას წარმოადგენს შედევრი? და მუდამ ერთი პასუხი მაქვს: ეს არის ღმერთებთან პაექრობა. რა, ასე არ არის?

— ქალბატონო, ესენი ღმერთებთან პაექრობენ? — გაიცინა და საუბარში ჩაერია იქვე მდგომი სამოციოდე წლის მამაკაცი. — საღებავებში ამოთხვრა და შიშველი უკანალებით ასლების ხატვა ასფალტზე, ეს მხატვრობაა?

— დიახ, ეს ყოველივე მხატვრობაში ახალ მიმდინარეობათა წარმოქმნას უწყობს ხელს. — არ დაიბნა გინეკოლოგი...

— როგორ გეკადრებათ, პატრონი არა ჰყავთ, პატრონი... — აყვირდა მამაკაცი. — ეს არც ეროტიკაა და არც პორნოგრაფია, ესაა წმინდა წყლის „ბოზ-ბანდა“ და მეტი არაფერი...

— მე კი მივიჩნევ, რომ ეს რევოლუციაა მხატვრობაში, რომლის შედეგად, ახალი მიმდინარეობის მოწმენი გავხდებით.

— ესენი იმეორებენ, პლაგიატორები არიან, ქალბატონო, ქურდები! — არ ცხრებოდა მამაკაცი.

— ალბათ, თქვენ არც სექსუალური რევოლუცია მოგწონთ და ცოლს ყოველ ნაბიჯზე დასდევთ, ეჭვიანობთ და სიცოცხლეს უწამლავთ, ხომ ასეა? არადა, ევროპამ ასი წლის წინ მოიხადა ეს სახადი და სექსისგან გათავისუფლებული ტვინი, კაცობრიობამ პროგრესისკენ მიმართა.

— კი, კი, ბოზობა, ღალატი, ეს შიშველი ნატურალიზმი და აღვირახსნილი სექსი პროგრესია? კარგით რა, „უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო“... — დამცინავად ჩაიქირქილა მამაკაცმა.

— მხატვრობაა, ბატონო, მხატვრობა. მე მსიამოვნებს და თქვენ თუ არ გსიამოვნებთ, ბატონო, ნუ უყურებთ, დახუჭეთ თვალები... — ქალმა თვითონ დახუჭა თვალები და გულხელი დაიკრიფა.

— მაგაზეა ლაპარაკი, რომ მაბრმავებთ, ქალბატონო, თვალში ნაცარს მაყრით, ჩვენი საყვარელი მთავრობასავით... — აღელდა ისევ მამაკაცი. — ფული თუ გაქვს დღეს, კვაზიმოდოს აქილევსად აქცევ! ჩვენ იცით, რაში ვართ ყველაზე მაგრები? — ზურგში ტყვიების დახლაში...

— „დავაი“, ავახვიოთ ვასო, თორემ ესენი „დატორმუზებას“ აღარ აპირებენ... — გადაულაპარაკა ანიმ ვასიკოს და მოკამათეებს თავი აარიდეს. — ბედი გინდა, რა! ყველა გიჟი და დამთხვეული მე უნდა შემხვდეს... რატომ ხდება ასე, ვასო?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ნიკო რომ მააააგრად გაახურებს, ეს „იასნია“... — უპასუხა ვასიკომ.

— მეც ავდგები და პირდაპირ მერაბს ვაჩვენებ. — მიუგო ანიმ.

— და ნიკოს თავზე გადაახტები? — განცვიფრდა ვასიკო.

— შენი ჭირიმე, შენ მაინც ნუ მიკითხავ მორალს, — ტუჩი აიბზუა ანიმ. — იატაკის ლურსმანი მაქვს თავში ჩაჭედებული და მაღლიდან მირახუნებენ, ბაახ, ბაახ, ბაახ! ეს ხომ კარგია, არა? დიახ, თუ ვერ გადავახტები, მაშინ გადავალაჯებ. ასეთ ქალაქში მორალს იცი, რა ჰქვია?

— რა ჰქვია? — განცვიფრდა ვასიკო.

— „ბლეფია, ყველაფერი, ბლეფი“... — უპასუხა ანიმ.

— ამ ქალაქში ორ კაცს ვერ ნახავ, ერთნაირად რომ აზროვნებდეს. — ჩამოაყალიბა ვასიკომ.

— „განსაჯე მეჩექმეე, განსაჯე... მხოლოდ ჩექმის ყელს არ ასცდე“. — გაიხსენა პუშკინი ანიმ და ვასიკოს ენა გამოუყო.

— მეზე ამბობ, ტო? — არ სწყენია ვასიკოს. — თორემ, შენ მყავხარ სოკრატე... შენც ჩემსავით „ფრაერი“ ხარ და „ჩერესჩურ“ კონფლიქტურიც.

— იმიტომ, რომ მე „პროფი“ ვარ, ეე, სიმონ!

— კაი, რა! გამიგია: „ცარიელი კასრი ბევრს რახრახებსო“...

— ცარიელი კასრი შენ გაბია მხრებზე. — წამოუსვა თავში ჩანთა ანიმ.

— ნელა, რა! თქვენს ხელში ისედაც ცოტა ტვინი შემრჩა და იმასაც ნუ გამომილაყებ! — ხელი სტაცა ჩანთაზე ვასიკომ.

ანიმ იმდენი მოახერხა, რომ სიუჟეტი, რომელიც სამხატვრო სალონში ჩაწერა და ნიკომ დაუწუნა, სტუდიის გენერალურ პროდიუსერს აჩვენა. მერაბი, რომელიც თავიდანვე გაფრთხილებული იყო ნიკოსგან, ფირის ჩამთავრების შემდეგ ანის მიუბრუნდა.

— ანი, შენ მე უბრალოდ, უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ... ყველაფერი გასაგებია... ამაზე უარესებიც გასულა ეთერში... საერთოდ, ნაგავიც... მაგრამ იმის გამო, რომ შენ კომენტატორობაში ცოტა მოიკოჭლებ, რაღაც მიზეზების გამო, შენიშვნები უფრო მშვიდად უნდა მიიღო და აქ დავამთავროთ!

— არ მგონია... — და ანიმ სასწრაფოდ მიმართა თავის აპრობირებულ მეთოდს. ფეხი ფეხზე გამომწვევად გადაიდო ისე, რომ ნახევარი „ბარკალი“ მოიშიშვლა. — სხვებიც მოიკოჭლებენ, მაგრამ თქვენ ყველას თქვენი ფავორიტები გყავთ და ნიჭიერები ვიჭყლიტებით...

მერაბი დასერიოზულდა. ჯერ ანის მოშიშვლებულ ბარძაყს უყურა, მერე მის უტიფარ თვალებს და მშვიდად უპასუხა.

— რომ შეიძლებოდეს, მარტო შენ კი არა, ათ პროცენტსაც არ დავტოვებდი იმათგან, ვინც დღეს ეკრანზე ტლიკინებენ... როგორ აგიხსნა, არსებობს ზოგადი კულტურა, შინაგანი, გარეგანი, ათასნაირი, რაც გინდა დაარქვი...

— რომელიც მე არ გამაჩნია? — ანის ეყო იმდენი თავხედობა, რომ ირონიაც კი ჩაექსოვა კითხვაში.

მერაბი მის შიშველ ფეხს დაჰყურებდა და პასუხს არ აძლევდა. ანიმ კი ჯიბრზე, კიდევ უფრო მეტად მოიშიშვლა ბარძაყები.

— ალბათ, არა. სხვანაირად, შენ ახლა აქ არ იჯდებოდი... ჰო, ჰო... მარტო ფეხის სილამაზეს და სისქეს კი არა აქვს მნიშვნელობა... მთავარია, შუბლის სისქე და სილამაზეც. ალბათ, გასაგებია, არა? — მკაცრად თქვა მერაბმა.

— გასაგებია, ბოდიში... — თქვა ანიმ, წამოდგა და ამაყად გაემართა კარისაკენ.

— და დაიმახსოვრე, — დაადევნა მერაბმა. — შეუცვლელი არავინაა, ღმერთის გარდა და რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს...

როცა გამწარებული, გაწითლებული და განრისხებული ანი რედაქციაში დაბრუნდა, სამივე თანამშრომელი ადგილზე დახვდა.

— სად იყავი? — გამომცდელად დააკვირდა ნიკო.

— მე? ბუფეტში, — გულგრილად უპასუხა ანიმ.

— ბუფეტიდან ამწუთას ამოვედი. — თქვა ნიკომ.

— ტუალეტში ვიჯექი, ბატონო ნიკო, ყველაფერი უნდა ვთქვა?

— არა, მე რა ვერ გამიგია, იცი? — გამწარდა ნიკო. — ჩემს ადგილზე სხვა რომ იყოს, შენ როგორ გგონია, თავზე ხელს გადაგისვამდა? რას აიწყვიტე, ვერ გავიგე? ჯერ იყო და ჩემს დასასჯელად, რაღაც ჟურნალისტური ძიება წამოიწყე. მე არაფერს მეკითხები, ისე დააჭენებ, სადაც მოგეპრიანება და როგორც მოგეპრიანება... რა გინდოდა მერაბთან?!

— ისედაც ყველაფერი გცოდნიათ და რაღას მეკითხებით? — სიგარეტს მოუკიდა ანიმ. — თქვენ იმასთან ჩამიშვით და იმან თქვენთან, ხომ?

— კაცი იბრძვი, წვალობ, ცდილობ, რომ დაავადებული მსოფლიო როგორმე გადაარჩინო... — გადავიდა ფილოსოფიაზე ნიკო. — მაგრამ დაიბადება ამ დროს ვიღაც ანი და თუკი რაიმე ოფლი გიღვრია და სისხლი გაგიღია, ყველაფერი წყალში უნდა ჩაგიყაროს... — და ისევ ანის მიუბრუნდა. — მე დამიკიდე? დამიკიდე. ესენი დაიკიდე? დაიკიდე! ერთხელაც გაიმეორებ და ჩვენც დაგიკიდებთ. აი, ასე დამთავრდება შენი კარიერაც და კარიერისტობაც. გასაგებია? რა მეთოდებია ეს?! — ხელები გაშალა ნიკომ.

ანი მიხვდა, რომ წააგო და ტირილი დაიწყო.

— აღარა მჯერა მაგ შენი ნიანგის ცრემ-

ნახე, მაშინვე ის გავიფიქრე, ეს ქალბატონი ჩემს ძმას ძალიან მალე მიასამარებს-მეთქი... — არ ცხრებოდა ლიანა.

— რა? შენ ხომ არ გარეკე! მე, მე რა გავიფიქრე, შენ რომ დაგინახე, არ გაინტერესებს? მკვდარი მეგონა, გაცოცხლებული, გეფიცებით, ყვავი, ყვავი, სულ თავზე რომ დაგჩხავის... — მიუბრუნდა ხალხს ლიანა.

— მღრღნიდა, მღრღნიდა ეჭვები და აი... — აგრძელებდა ბრალდებას ლიანა. — პირველსავე ღამეს, გაცნობის პირველსავე ღამეს, კაცს ლოგინში შეუგორდა და მეორე დილას სასამართლოში გავარდა, ქალიშვილი ვიყავიო... ბადრაგის გაზრდილი რა იქნებოდა, ახლა რომ თავი კიტრად მოაქვს... უტვინო იყო ჩემი ძმა, უტვინო... ქალის ცნობა არ იცოდა, ამ საცოდავმა, ქალის... მღრღნიდა, განა არ მღრღნიდა ეჭვი...

— კარგით, გასაგებია, ეგ ეჭვები თქვენთვის შეინახეთ და ცოტა ჩვენც გვაცალეთ, — ხმას აუწია მურადმა. — ქალბატონო ლალი, თქვენ ეს ჟურნალი წაკითხული გაქვთ. იცოდით, რომ შიგ კილერის ტელეფონის ნომერი ეწერა?

— კილერი არა, მილერი... საიდან უნდა მცოდნოდა? როდინდელია, იმას მაინც დახედეთ. მე ჟურნალების თვალიერებისთვის მეცალა? სულ სამი დღეა, რაც ჩამოვედი...

მურადმა ჟურნალი ხელში გადაატრიალ-გადმოატრიალა.

— თარიღი არ აწერია. იქნებ, უცხოეთში წასვლამდეც შეიძინეთ. მაშ, ეს ხაზი ვისი გასმულია?

— თქვენ სიცხე ხომ არა გაქვთ, აბა, შუბლზე მიიდეთ ხელი! მე საიდან უნდა ვიცოდე, ვისი გასმულია... — ხელი გაუქნია ლალიმ.

— ეგა, იმისი გასმული იქნება. — ჩაერია დარაჯი.

— ვისი? — ჰკითხა მურადმა.

— აგე, იმისი, სასახლეში რო წევს გაჭიმული, მკვდრისა... — მიანიშნა დარაჯმა.

— მკვდრისა? — გაიკვირვა მურადმა.

— ჰო, როცა ცოცხალი იყო, კაცო, ახლა კი არა. — განმარტა დარაჯმა.

— ანგლობა იქნება. — ჩაილაპარაკა ვასიკომ.

— რა? — ვერ მიუხვდა მურადი.

— იანგლა, რა, ვიღაცამ იჯამბაზა, ტო... გინდათ, ამწუთას დავრეკო? რა ჰქვია ამ ჟურნალს? — ვასიკომ პირველ გვერდს დახედა. — „ელიფსი“?.. რომ დავრეკო და ამათ ჰიტლერის მისამართი, ტელეფონის ნომერი ჩავაწერინო, იმასაც დაბეჭდავენ.

— ეგ გასაგებია, მაგრამ ხაზი რატომ აქვს ქვეშ გასმული, ხაზი, ეს არის მთავარი! — გამოთქვა თავისი ეჭვი გამომძიებელმა.

— პატრონს თქვენსას... — გამოცრა ლალიმ.

— ქალბატონო, რომ აგიტეხავთ, პატრონს თქვენსას, პატრონს თქვენსას... გამომძიებელი რომ ბრძანდებოდეთ, თქვენ კი არ დაინტერესდებოდით ამ ამბით? — მიუბრუნდა მურადი ლალის. — ამ სახლში მკვლელობა მოხდა და არა, თვითმკვლელობა. აი, სწორედ ეს ჟურნალი ადასტურებს ამას!

— და მე მოვკალი, არა? მე რომ გამომძიებელი ვბრძანდებოდე, იმ კახპით დავინტერესდებოდი, ვინც ამ ვაჟბატონს თავი მოაკვლევინა.

— ვაჟბატონს? — შეუსტვინა ამის გაგონებაზე ვასიკომ.

— ის ამას აბრალებს, ეს იმას, მიდი და გაიგე ახლა... — გამოაცხადა ანიმ.

— ქალბატონო, ძალიან გთხოვთ, მე ნუ მასწავლით, — აღელდა მურადი, — ვისთან რა ვარკვიო და რა როგორ ვაკეთო... ეს ამბავი, იმ ქალბატონისგან აბსოლუტურად გამორიცხულია.

— რატომ, ვითომ? — განცვიფრდა ლალი.

— არ იცით? — გამომცდელად შეეკითხა მურადი.

— არა, არ ვიცი... რაშია საქმე, თქვენ რა ქარაგმებით მელაპარაკებით, ვერ გავიგე! — ვერაფერს მიხვდა ლალი.

— ნუციკოზე არ ბრძანებთ? კელაპტრიშვილზე, მომღერალზე? თქვენ იცით, იმას რამხელა მუცელი აქვს?

— მუცელი? — ვერ მიუხვდა ლალი.

— დიახ, მუცელი, მუცელი... და შიგ იცით, ვინ უზის? პატარა ლევანიკო იაშვილი, მაშ! — და მურადი ლალის გამომცდელად დააკვირდა.

— ეგ ვინ გითხრათ? — იკითხა შეცბუნებულმა ლალიმ.

— წმინდა პეტრემ, ვინ გვეტყოდა, თვითონ ნუციკომ გვითხრა... — გამოაცხადა მურადმა.

— ტყუილია! — დაიყვირა ლალიმ ზიზღით.

— მართალია. — ჩაერია ლაპარაკში ანი.

— ტყუილია, იმიტომ, რომ ალიბი სჭირდება. — მტკიცედ თქვა ლალიმ.

— ოჰო, იურისპრუდენციაშიც ერკვევით? — დამცინავად გაიღიმა მურადმა. — მართალი გითხრათ, მე ბიაქალი არა ვარ, რომ ეს ამბავი ადგილზე გადამემოწმებინა, მაგრამ გამომძიებელი ვარ და ამ საკითხის გადამოწმება რომ ძალიან ადვილია, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ... მაგრამ გავჩუმდეთ ახლა ყველანი. დიახ, მაცალეთ! ჯერ კილერთან მინდა დავრეკო. ქალბატონო, ამ ფაქსით ხომ შემიძლია, ვისარგებლო? — ჰკითხა მან ლალის და ლევანის საწერ მაგიდაზე მდგარ ფაქსზე მიუთითა. ლალიმ ხმა არ გასცა. მურადმა ნომერი აკრიბა — 25.56.66... — ოთახში ქალის ხმა გაისმა.

— გისმენთ.

— ქალბატონო, მე განცხადების თაობაზე გაწუხებთ, ჟურნალ „ელიფსში“ რომ არის გამოქვეყნებული...

— მერე, მერე! — მოისმა იმავე ქალის ხმა.

— იცით, აქ წერია — კილერი და თქვენი ტელეფონის ნომერი. შეგიძლიათ, კილერი დამალაპარაკოთ? — „ვაბანკზე“ წავიდა მურადი.

— ვინა, ვინა?

— კილერი, პროფესიონალი კილერი. — გაუმეორა მურადმა.

— კილერი? იცით, ჩვენ აი, ეს წამია, გადმოვედით ამ ბინაში... წარმოდგენა არა მაქვს, ვინ ცხოვრობდა ჩვენამდე...

— იყიდეთ? — შეეკითხა მურადი.

— არა, არა, ვიქირავეთ. პატრონი უცხოეთშია და ამ ბინას, როგორც ჩანს, სანამ ჩამოვა, აქირავებს ხოლმე... ისე, თუ თქვენ კილერი გაინტერესებთ, მე შემიძლია მოგცეთ ტელეფონის ნომერი... ჩემი ახლობელია, მაგრამ დაგთანხმდებათ თუ არა, ვერ გეტყვით... ძალიან ბევრი საქმე აქვს აღებული...

— კი, კი, აბა, ჩამაწერინეთ, ძალიან დაგვავალებთ...

— იწერთ?

— დიახ. — მიუგო მურადმა.

— 25.78.78 — ბეჟანი ჰქვია... — უკარნახა ქალმა.

— 25.78.78, ბეჟანი. — გაიმეორა მურადმა.

— სწორია... აბა, გისურვებთ წარმატებებს! — და ყურმილი დაკიდეს.

— კილერზეც გავედით... — გამოაცხადა ვასიკომ. — ტყუილი იქნება, ეს ბინის შეცვლა, ქირაობა... ახლა სხვა ნომერს მოგვცემენ, მერე სხვას და ბოლოს, როდის, როდის გაგვიყვანენ კილერზე, აი, ნახავთ!

— 25.78.78. — მურადმა ისევ ფაქსზე აკრიბა ნომერი. — „ბლატნოიც“ როა. ქეში ექნება, ჩეჩქად.

— გისმენთ. — ისევ ქალის ხმა გაისმა ოთახში.

— ბეჟანი მინდოდა. — თქვა მურადმა.

— რა საკითხზე? — შეეკითხა ქალი.

— კილერი მჭირდება. — არ დაიბნა მურადი.

— კილერი? ჰმ... — გაეცინა ქალს. — ახლავე შეგაერთებთ. ბატონო ბეჟან, ყურმილი აიღეთ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ყველა გათხოვილი იყო, მაგრამ ორს შვილი არ ჰყავდა

დები იშხნელები თავიანთი სიმღერებით XX საუკუნის ქართველი ერის ისტორიის ნაწილად იქცნენ. მათი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა და დებიც იქ გაიზარდნენ, არქიელის გორაზე. ახლა იმ ადგილს იშხნელების ქუჩა ჰქვია. იქვე მემორიალური დაფაც გაუკეთებიათ ქუთაისელებს, ცენტრალურ პარკთან კი, ცოტა ხნის წინ ძეგლი დაუდგეს: ორი და ზის, ორიც — დგას, — ზუსტად ისე, როგორც სცენაზე იდგნენ და მღეროდნენ ხოლმე.

ძეგლის გახსნაზე ერთ-ერთი დის, თამარ იშხნელის ასაკოვანი, მაგრამ ჯერაც ძალიან მომხიბვლელი ქალიშვილი, ქალბატონი ჯანიკო გორთამაშვილიც მიუწვევიათ.

ვიჯაჭვილან ვარსკლავები, ანტრაკული ვალკტიოტი და „ოთხი ლუკელა“...

ირმა ხარშილაძე

— აბა, როგორ არ უნდა ვემადლიერებოდე ქუთაისელებს?! არასოდეს ივიწყებენ იშხნელებს. ძეგლის გახსნაზე ირაკლი ჯაოშვილმა დამპატიჟა და ქუთაისში ჩემს დისშვილთან ერთად ჩავედი. საერთოდ, სცენაზე არ გამოვდივარ, მაგრამ ქუთაისელებისთვის ვიმღერე: ამით, მათდამი ჩემი სიყვარული და მადლიერება გამოვხატე...

იშხნელის გვარი უძველესი წარმოშობის ყოფილა და იშხნის მონასტერს უკავშირდება. არაბთაგან დანგრეული მონასტერი გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილს, ნეტარ საბას აღუდგენია, რის შემდეგაც მას გვარად იშხნელი უწოდეს. სწორედ იმ იშხნელის შთამომავალი იყო ალექსანდრე იშხნელი, მომღერალი დების მამა, რომელსაც ცოლად ჰყავდა საოცრად მუსიკალური ქალბატონი ვასასი ლოლაძე.

მანანა მენაბდე და ბულატ ოკუჯავა

— ბებიას შვიდი ქალიშვილი და სამი ვაჟი ჰყავდა. ყველა მღეროდა, ყველას ზღაპრული, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა. ვანიჩკა ბიძია და ვალოდია ბიძია კაპელაშიც მღეროდნენ. ვალოდია პროფესიით მეტყევე იყო, მესამე ბიძა —ალექსანდრე ახალქალაქში ერთ-ერთ პოლკს მეთაურობდა. შვიდივე დას გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული.

— რამდენი და იყო გათხოვილი?

— ყველა გათხოვილი იყო, მაგრამ ორს შვილი არ ჰყავდა. დანარჩენების შვილები — ყველანი მღეროდნენ. მაგალითად, ჩემს დას, მანანა მენაბდის დედას, ლილის, უნიკალური ხმა ჰქონდა — საოპერო.

— ეი. ყველას გამოჰყვა სიმღერის ნიჭი?

— ყველას — ჩემ გარდა. მე ხმა არ მქონდა. დედაჩემი გიჟდებოდა: გარეგნობით კი დამემსგავსე, ხმაც გამოგყოლოდა, რა იქნებოდაო?! სამაგიეროდ, ყველა სიმღერის ტექსტი და მელოდია ვიცოდი.

— აბა, როგორ იმღერეთ ქუთაისში? თანაც, ვიცი, რომ თქვენი ხმა ძალიან მიამსგავსეს ქალბატონი თამარისას.

— რა ვიცი, ვიმღერე. რაც იშხნელებს შეეფერებოდათ, ისეთი ხმა არ მაქვს, თორემ...

— ქალბატონო ჯანიკო, საერთოდ როგორები იყვნენ იშხნელები, რით გამოირჩეოდნენ?

— ისინი უბრალოებით გამოირჩეოდნენ, სადა ადამიანები იყვნენ. დედა ანსამბლის ხელმძღვანელი იყო, სიმღერებსაც წერდა, ხმებშიც ის შლიდა სიმღერებს. რეპეტიციები ჩვენთან სახლში ტარდებოდა, განსაზღვრულ დღეებში და განსაზღვრულ საათებში. მაშინ თბილისში, ორბელიანის ქუჩაზე ვცხოვრობდით. სკოლიდან რომ მოვიდოდი, იქვე, სარეპეტიციო ოთახში ჩაცუცქული ვუსმენდი მათ სიმღერას. რა არის, იცით? მე მაშინ ბავშვი ვიყავი და ვერ აღვიქვამდი, თუ ვის ვუსმენდი, რა ხმებს ვუსმენდი, თუმცა — ძალიან მომწონდა. დედას ვეკითხებოდი ხოლმე: როგორ ახერხებთ ასე შეწყობილად მღერას-მეთქი? ეღიმებოდა: შვილო, ჩვენ ყელიდან კი არ ვმღერით, გულიდან ვმღერითო. ჩვენთან ძალიან კარგი საზოგადოება იკრიბებოდა. ხშირად მოდიოდნენ: ემანუილ აფხაიძე, ირაკლი აბაშიძე, გალაკტიონი, კოლაუ ნადირაძე და სხვები. ძირითადად, მაინც მწერლები, რომლებიც დედაჩემის სიმღერებისთვის ლექსებს წერდნენ.

— სალონური საღამოები თუ იმართებოდა თქვენთან?

— ასეთი საღამოები, თურმე, ქუთაისში, არქიელის გორაზე ეწყობოდა — მე მაშინ არ ვიყავი დაბადებული. ბებიისა და ბაბუის ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ: აკაკი წერეთელი, შალვა დადიანი, ვანო სარაჯიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, კოლაუ ნადირაძე, პაოლო იაშვილი, კოკი დადიანი, ნიკო ფაღავა, ვარინკა წერეთელი, რა თქმა უნდა, გალაკტიონი... სწორედ იქ იმართებოდა პოეზიისა და მუსიკის საღამოები. იშხნელებთან პირველი შეხვედრა მიხეილ ჭიაურელს მოგონებებშიც აქვს აღწერილი: „...მსახიობად მიმიწვიეს ქუთაისში და ცოტა ხანში ამ მშვენიერი ქალაქის პოპულარულ მსახიობადაც ვიქეცი. წავიკითხე აფიშა, რომ ქუთაისში ვანო სარაჯიშვილი ჩამოდის. რა თქმა უნდა, საოცრად გამეხარდა... მანაც იცოდა, რომ მე ქუთაისში ვიყავი და ჩამოსვლისთანავე მომნახა... კონცერტის შემდეგ ვახშმად მიგვიწვიეს. შევქეიფიანდით და სიმღერა დავიწყეთ... სრულიად მოულოდნელად, ჩვენ წინ ჩამოდგა ოთხი გოგონა. მოულოდნელადვე დაიბადა საოცარი ზღაპრული ჰანგები...

ძეგლის გახსნის დღე ქუთაისში, ჯანიკო გორთამაშვილი სანდრა რულოვსთან და ნანი ბრეგვაძესთან ერთად

ჩვენ პირველად გავიგონეთ მშვენიერი სიმღერები: „სალამურმა დაიკვნესა“, „ტურფავ, ტურფავ“ და სხვები. ეს გოგონები იყვნენ დები იშხნელები. როცა მერე ვანოს ვთხოვე, იმღერე-მეთქი, მითხრა: რას ამბობ, ბიჭო, ამათი სიმღერის შემდეგ ჩვენი სიმღერა ვის რად უნდაო“...

ვანო სარაჯიშვილი თურმე ძალიან დამეგობრებია იშხნელების ოჯახს. თბილისშიც ხშირად იკრიბებოდნენ, გიტარის თანხლებით მღეროდნენ: „ქალო, გნახე ფეხშიშველი“, „თავო ჩემო“ და სხვ. სარაჯიშვილი ხშირად ეუბნებოდა ქალბატონ თამარს, რომელიც შესანიშნავად ჰბაძავდა მას: ნეტავ, ვაჟად გაჩენილიყავ, ჩინებული შემცველელი მეყოლებოდიო.

— **სიმღერებს ვინ ასწავლიდა იშხნელებს?**

— ბებიაჩემი ვასასი იყო მათი მასწავლებელი და ლოტბარი. ხშირად იხსენებდნენ: როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა დედა, შემოგვისხამდა გვერდით და დაიწყებოდა ჩვენი სიმღერის გაკვეთილი. თავადაც მღეროდა და ჩვენც გვამღერებდა, გვასწავლიდა გიტარაზე დაკვრას, ქართულ სიმღერებს, გვიმუშავებდა ხმებსო. თუმცა, საზოგადოებაში მათ არ შეეძლოთ სიმღერა, უშლიდნენ.

— **რატომ?**

— ხოჯევანოვის გიმნაზიაში სწავლობდნენ, წმ. ნინოს სასწავლებლისთვის ემზადებოდნენ. „ნაჩალნიცას“ რომ მოეკრა ყური მათი სიმღერისთვის ან სადმე გიტარით დაენახა, გიმნაზიიდან გარიცხავდნენ. 1909 წელს, ნოე ჟორდანიას მეუღლეს უთხოვია, ქუთაისის თეატრში საქველმოქმედო საღამოზე მინდა, იმღეროთო. ბავშვებს შეშინებიათ. ამიტომ სცენაზე გასვლის წინ, შუქი ჩაუქრიათ და შალვა დადიანს ხელჩაკიდებული გაუყვანია გოგოები სცენაზე. „ციცინათელათი“ დაუწყიათ და „სულიკოთი“ დაუსრულებიათ, სულ 10 სიმღერა უმღერიათ სიბნელეში. ხალხი მაინც მიმხვდარა — იშხნელების ბავშვები მღერიანო. ტაშით დაუნგრევიათ დარბაზი, ბისზეც კი გამოუყვანიათ. რა თქმა უნდა, „ნაჩალნიცასაც“ შეუტყვია ეს ამბავი და გოგონები მეორე დღესვე გაურიცხავთ გიმნაზიიდან. მაგრამ ბაბუას მაინც მოუხერხებია მათი აღდგენა. ამ ამბის შემდეგ ხშირად ხუმრობდნენ: იშხნელების ოჯახში სკამებიც მღერიან და ბავშვებს რა გააჩუმებდათო?! ბებია, თურმე, სამივე ხმას მღეროდა, მუსიკასაც წერდა. ხომ გახსოვთ სიმღერა „ყმაწვილ ქალს“ („ყოველ სნეულებაზე“)?! ის ბებიაჩემის დაწერილია.

დები იშხნელების ძეგლი ქუთაისში

— **ძმებსა და დებს ერთად რომ ემღერათ, ალბათ, შესანიშნავი ანსამბლი ექნებოდათ...**

— რატომღაც ძმებმა კაპელის შემდეგ აღარ გააგრძელეს სიმღერა, თორემ ალბათ, ზღაპრული ანსამბლი ექნებოდათ. თბილისში ვალოდია ბიძია რომ შემოგვივლიდა, კარიდანვე „შემოამღერებდა“: „წვიმა, ქარი... ქარი ქრის და წვიმს“ *(მღერის. — ავტ.).* შენ, გენაცვალე, ვალოდია! — შეეგებებოდა დედაჩემი, დანარჩენებიც შემოუერთდებოდნენ, მიუსხდებოდნენ სუფრას და მღეროდნენ: მათ მოსმენას არაფერი სჯობდა.

გალაკტიონს პირველად ქუთაისში მოუსმენია იშხნელებისთვის და ქვითინი დაუწყია — ეს რა მოვისმინეო!.. პოეტებმა ლექსები მიუძღვნეს, გივი თუშიშვილმა, ლექსებთან ერთად, მათ ოჯახზე წიგნიც გამოსცა. ისინი შეიყვარეს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მეორე მსოფლიო ომის დროს, დები იშხნელები ხშირად მღეროდნენ ჰოსპიტლებსა და არმიის ნაწილებში, უცხოელი მეომრებისგანაც კი იღებდნენ თურმე, წერილებს.

თამარ იშხნელი

— **დედა და დეიდები სტალინსაც მიუწვევია. პირველად, გაგრაში ყოფილან, როცა უცნობი მამაკაცი მანქანით წამოსწევიათ და უთქვამს — სოჭში უნდა წამობრძანდეთ, სტალინი გელოდებათო. მაშინ პირისპირ შეხვედრიან სტალინს და მისთვის უმღერიათ. მეორედ, 1953 წელს, კრემლის სვეტებიან დარბაზში გამოსულან, მაშინაც სტალინის მიწვევით, მაგრამ სტალინი აღარ უნახავთ, უკვე შეუძლოდ იყო და რამდენიმე დღეში გარდაცვლილა კიდეც.**

— **ქალბატონმა თამარმა და მისმა დებმა რატომ არ გასწავლეს შვილებს პროფესიონალურ დონეზე სიმღერა?**

— ალბათ, ესეც მეორე მსოფლიო ომის ბრალი იყო. ჩვენი ბავშვობა ომიანობის პერიოდს დაემთხვა, გაჭირვებული ცხოვრება იყო, სიმღერის შესასწავლად, არც განწყობილება ჰქონდათ იშხნელებს და არც დრო. ომის შემდეგაც, მძიმე წლები იყო, მერე, 1968 წელს — ანუ ერთი წლის განმავლობაში, სამი და გარდაიცვალა და დედაჩემი მარტო დარჩა. აღარ უნდოდა, ემღერა, მაგრამ თუ ისევ სცენაზე დადგა, ეს ბატონი რეზო თაბუკაშვილის, ქალბატონი მედეა ჯაფარიძისა და ბატონი მერაბ თაბუკაშვილის დამსახურება იყო: უკვე კენტად გამოდიოდა კონცერტებზე, მერე შვილიშვილებთან — მანანა და თინა მენაბდეებთან ერთად. რამდენჯერმე მესამე შვილიშვილთან — ოტო გორთამაშვილთან ერთადაც იმღერა. დედა, ფაქტობრივად, სიცოცხლის ბოლომდე გამოდიოდა სცენაზე. 96 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1994 წელს, მანამდე კი თაობების აღზრდა მოასწრო: ნუკრი კაპანაძე, ანსამბლ „თაიგულის“ მომღერლები, თამრიკო ჭოხონელიძე, ეკა კახიანი, მაია ჯაბუა, მისი მოსწავლეები იყვნენ. გული მწყდება, რომ დედას 100 წლის იუბილე ვერ აღვნიშნე. თუმცა, იმედი არ გადამიწურავს და, იქნებ, ხელისუფლების მხარდაჭერით, ქართველი მეცენატების დახმარებით, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც ღირსეული იუბილე გადავუხადო... ■

მაამოხმაურება

ამჯერად, რუბრიკაში — „თინეიჯერული პონტები“ მხოლოდ გამოხმაურებას შემოგთავაზებთ. მომავალში კი, ისევ შეეცდებით, თქვენი თხოვნების მიხედვით მოვიწვიოთ ის სტუმრები, რომლებსაც შედარებით მეტი „ხმა“ დაუგროვდებათ.

ლიკა ქაჯაია

ნინო, *16 წლის*:

„ჯაბა, ძალიან კარგი ადამიანი ხარ. მაინტერესებს, რა სიახლეებს უნდა ველოდეთ შენგან და კიდევ, იქნებ, დაასახელო ის 4 ადამიანი, რომელთა სიმღერების მოსმენა და მათთვის ტაშის დაკვრა შესაძლებელია!“

ჯაბა ბოჯგუა:

— ძალიან დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. რაც შეეხება სიახლეებს, ამაზე ჯერ არ ვისაუბრებ, რადგან მომწონს, როცა ჩემს თაყვანისმცემლებს სიურპრიზებს ვუწყობ. იმ 4 ადამიანს კი შეგნებულად არ დავასახელებ, რადგან გემოვნებიანი და სმენაგანვითარებული ადამიანები ისედაც კარგად ხვდებიან, აპლოდისმენტებით ვინ უნდა დააჯილდოონ.

დაკო, *17 წლის*:

„ვსწავლობ ქუთაისში. სიგიჟემდე მიყვარს ჩემი კურსელი, რომელიც როგორც მეგობარს და უბრალოდ კურსელს, ისე მიყურებს. როგორ მოვიქცე? ძალიან გთხოვთ, ჩემი მესიჯი გამოაქვეყნოთ მსოფლიოს საუკეთესო ჟურნალში და რაიმე მირჩიოთ. პატივისცემით, ქუთაისიდან“.

ჯაბა ბოჯგუა:

— შეეცადე, სწრაფად გაარკვიო — აქვს თუ არა ამ ადამიანს შენ მიმართ რაიმე გრძნობა. თუ ფიქრობ, რომ ვერც კი გამჩნევს, მაშინ შეეცადე, ისეთი რამ გააკეთო, რაც მას დააინტერესებს, იაქტიურე. წარმატებებს გისურვებ!

კოპლი-კოპლი, *16 წლის*:

„გამარჯობათ. ძალიან ცუდად ვარ — ხან მგონია, რომ არავის ვუყვარვარ, ხან კი, ყველასგან სითბოს ვგრძნობ. გაურკვევლობაში ვარ და იქნებ, რაიმე მირჩიოთ?“

ჯაბა ბოჯგუა:

— ჩემო კარგო, შენ თავდაჯერებულობა გაკლია. დაიმახსოვრე, არაა აუცილებელი, ყველას მოსწონდე და უყვარდე, სიყვარულისთვის ერთი ადამიანიც კმარა.

იმედი, *17 წლის*:

„ძალიან გთხოვთ, ჩემი მესიჯი დაბეჭდოთ. გიორგი კარგი ადამიანი იყო. ამიტომაც, ძალიან მიყვარდა. მისი გულის სიღრმე მაკვირვებდა. ახლა კი არ ვიცი, რა დაემართა. ისეთი გახდა, როგორიც არასდროს მინდოდა ყოფილიყო — ცინიკური, მატყუარა და თავხედი. თვითონ ჩაიკლა თავში ის საოცარი პიროვნება, რომელსაც ვაფასებდი. მას ვთხოვ, ნამდვილი სახე დაიბრუნოს. თქვენ კი მირჩიეთ, როგორ უნდა მოიქცეს გოგო ასეთ სიტუაციაში?“

ჯაბა ბოჯგუა:

— ვფიქრობ, ადამიანი, რომელსაც უყვარხარ, გულს არ გატკენს. ეტყობა, შენს რჩეულს აღარ უყვარხარ ან არც არასდროს უყვარდი. უბრალოდ, „გაბამდა“ და თავს კარგ „ტიპად“ გაჩვენებდა. გირჩევ, ის დაივიწყო, მას შეყვარებულის თვალით არ შეხედო და მის ნამდვილ სახესაც მაშინ დაინახავ... დარწმუნებული ვარ, შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ადამიანი, რომელსაც მართლა ეყვარები და გულს არასდროს გატკენს. წარმატებებს გისურვებ!

კაპა, *18 წლის*:

„გამარჯობათ. მინდა, რჩევა გთხოვოთ. ვგრძნობ, რომ ჩემს მეზობელ ბიჭს მოვწონვარ. ისეთი ნაღვლიანი თვალებით მიყურებს, რომ მართლა მეცოდება. მეცოდება იმიტომ, რომ არ მიცნობს და ალბათ, ვერც გამიცნობს, რადგან ჩემზე საკმაოდ, დაახლოებით 13 წლით უფროსია. გაურკვეველ სიტუაციაში ვარ და იქნებ, თქვენ მირჩიოთ რაიმე“.

ჯაბა ბოჯგუა:

— თუ დარწმუნებული ხარ იმაში, რომ მასთან ურთიერთობა არ გსურს ან იმ ადამიანს შენს მომავალს ვერ დაუკავშირებ, მაშინ გირჩევ, ისე მოიქცე, რომ არ დაგიახლოვდეს, ამის საბაბი არ მისცე და ნურც იმიტომ დაუმეგობრდები, რომ გეცოდება. მას გულს მაშინ უფრო ატკენ, როცა გაიცნობ, მაგრამ სიყვარულზე უარს მხოლოდ იმ საბაბით ეტყვი, რომ ასაკით არ შეგეფერება.

ელენე, *17 წლის*:

„ჯაბა, შენ ის ადამიანი არ ხარ, გეიკლუბს რომ ხსნიდა? მერე, რა ქენი, ვერ გაბედე თუ არ გაგახსნევინეს? მაინტერესებს, როცა ეს განაცხადე, დედაშენმა რა გითხრა?“

ჯაბა ბოჯგუა:

— ის ინფორმაცია, თითქოს მე გეიკლუბი უნდა გამეხსნა, ჭორია. ასეთი რამ არც არასდროს მითქვამს და არც მიფიქრია. რაც შეეხება დედაჩემის მოსაზრებას, ეს თავად მას ჰკითხეთ.

ჩვენ **ძალბატონ მანანას**, *ჯაბას დედას დავუკავშირდით და მესიჯიც წავუკითხეთ, რაზეც მან შემდეგი პასუხი გაგვცა: „ლაპარაკი იყო კლუბ „პრესტიჟზე“, რომელიც ჩვენ გავხსენით. იქ ჩატარდა 18 შოუ, სილამაზის კონკურსები და ბევრი კარგი საღამო. იმ კლუბში, ქუჩიდან არავინ შემოსულა, ისეთი საზოგადოება დადიოდა, რომელსაც ყველა პატივს სცემდა. მერე, ვიღაცამ რაღაც პრესკონფერენცია მოაწყო და განაცხადა: ჯაბა გეიკლუბს ხსნისო. არ ვიცი, ეს ვის რაში დასჭირდა, მაგრამ ეს ამბავი მეც და ჩემმა შვილმაც ძალიან განვიცადეთ, ჯაბას გულის შეტეხვაც კი დაემართა...“*

თიკა, *16 წლის*:

„გამარჯობა, ჯაბა. ძალიან მჭირდება შენი რჩევა. საქმე იმაშია, რომ ცოტა ხნის წინ ერთ ძალიან მაგარ ბიჭს შევუყვარდი და სიყვარულშიც გამომიტყდა. დავიწყეთ შეხვედრები. ძალიან თბილად მექცეოდა, ყველა სურვილს მისრულებდა, ყოველთვის ძალიან თავაზიანი იყო და მეც თავდავიწყებით შემიყვარდა. ერთად ძალიან ბედნიერები ვიყავით. მეუბნებოდა: ჩემი ცოლი უნდა გახდეო (რა თქმა უნდა, მომავალში) და მეც არ ვიყავი ამის წინააღმდეგი, რადგან სიცოცხლეს მერჩივნა. მაგრამ ერთ დღეს, როცა ჩემს მობილურში სურათებს ათვალიერებდა, ჩემს ნათლიაზე მკითხა: ვინ არისო? როცა ვუპასუხე, გაფითრდა და წავიდა. მერე შემომითვალა: დაგირეკავო. ვერაფერს მივხვდი... მერე კი აღმოჩნდა, რომ ერთი ადამიანის მიერ ვართ ორივენი მონათლული. ახლა რა მეშველება, არ ვიცი. გთხოვთ, მირჩიეთ რამე“.

ჯაბა ბოჯგუა:

— მართალია, მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, მაგრამ შენთვის რჩევის მოცემა ძალიან გამიჭირდება. ამიტომ უმჯობესია, თუ ყველაფერს სულიერ მოძღვარს მოუყვები და ის დაგაყენებს ჭეშმარიტების გზაზე.

უცნობი, *19 წლის*:

„ძალიან ცუდ დღეში ვარ და თქვენი დახმარება მჭირდება. 3 წელია, რაც ჩემი უნივერსიტეტელი მიყვარს, რომელიც სწავლას წელს ამთავრებს და მერე ველარასდროს ვნახავ. რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რომ სამუდამოდ არ დავკარგო. მან ერთხელ შეიტყო, რომ მიყვარდა და გამაგებინა, სხვა მიყვარსო. არადა, ყოველთვის მეუბნებიან: ჩუმად გიყურებსო. ეს მეც შევამჩნიე, მაგრამ გამარჯობის გარდა, არაფერს მეუბნება. რა ვქნა, რა გზას დავადგე?“

ჯაბა ბოჯგუა:

— თუ უყვარხარ, აუცილებლად მოვა და სიყვარულს აგიხსნის, მაგრამ თუ მართლა სხვა გოგო უყვარს, ჯობია, შეეშვა და სხვა ვინმეზე იფიქრო.

მარი, *26 წლის*:

„მართალია, მეგრელი არა ვარ, მაგრამ ამ ენაზე ნამღერი სიმღერები ძალიან მომწონს. ჯაბა, ხშირად ჩაწერე მეგრული სიმღერები და შენი ფანი ვიქნები. წარმატებებს გისურვებ“.

ჯაბა ბოჯგუა:

— მადლობა იმისთვის, რომ გიყვარვარ. მეგრული სიმღერების ჩაწერას კიდევ ვაპირებ. შენ კი გირჩევ, მეგრული ისწავლო,

გიო, *18 წლის*:

„ლიკა, ძალიან გთხოვ, ეს მესიჯი გამომიქვეყნე. ჩემი პრობლემა ისაა, რომ ბიჭის კვალობაზე არაბუნებრივი სილამაზე მაქვს და ამის გამო, საკმაოდ დავკომპლექსდი. ყველგან, სადაც კი მოვხვდები, ხალხი ჩემზე იწყებს ჩურჩულს: ბიჭი და ასეთი ლამაზიო?!. მართლა დავიტანჯე და მირჩიეთ რაიმე“.

ვაბა ბოვბგუა:

— შენთვის უმჯობესია, თუ მამაკაცური სპორტით დაკავდები. ის აღნაგობას შეგიცვლის და უფრო თავდაჯერებულიც გახდები.

ლიკა, *16 წლის*:

„ჯაბა, გაიხარე. მეც სენაკელი ვარ და ქუთაისში ხშირად ვიპარები. მართალია, ის ქალაქი ჩიკაგო არ მგონია, მაგრამ იქ უკეთესი პონტები იჩითება ხოლმე, ვიდრე ჩვენს პატარა რაიონში. ძალიან მომწონს შენი სიმღერები. კარგი ადამიანი ჩანხარ, რადგან ყველაფრის ასე ხმამაღლა თქმას სხვები მოერიდებოდნენ, შენ კი გულახდილად ამბობ იმას, რასაც ფიქრობ. წარმატებებს გისურვებ!“

ვაბა ბოვბგუა:

— დიდი მადლობა თბილი სიტყვებისთვის. ძალიან გამიხარდა, სენაკელი რომ ხარ და ქუთაისში ჩემსავით იპარები. შენც წარმატებებს გისურვებ!

უცნობი, *17 წლის*:

„პრივეტ“, ლიკა. შეიძლება, სისულელეა, რომ გიმესიჯებ, მაგრამ იცი, რა? ამ ცხოვრებით დავიღალე, ძალიან რთული და სასტიკი ცხოვრება გვაქვს მე და ჩემს პატარა ძმას. მამა 10 წელია, აღარ გვყავს, დედა, ჩვენი ტანჯული დედიკოც ცხოვრებამ შარშან, დეკემბერში წაგვართვა. ვიტანჯებით, რადგან ორივე პატარები ვართ და მშობლების სითბო გვაკლია. მოკლედ, სიკვდილი მინდა, მაგრამ ჩემმა ძამიკომ რა დამიშავა? ბოდიში შეწუხებისთვის, მინდოდა, ვიღაცისთვის გული გადამეშალა და რატომღაც ყველას, თქვენ გარჩიეთ. დედა დავკარგე და მეც გავუბედურდი, ოღონდ არ მკითხოთ, რატომ, რადგან გრძელი ამბავია. გულს სიამოვნებით გადაგიშლიდით, მაგრამ ამას მესიჯით ვერ მოგწერთ. ახლა ვტირი და ჩემს ძმას ვუყურებ, რომელიც ნაღვლიანად მიყურებს, მთელი დღეა, არაფერი უჭამია... ბავშვი მერვე კლასშია და ჯერ სკოლაში არ ყოფილა, ერიდება: დახეული ტანსაცმლით სად წავიდეო?! მირჩიეთ და მითხარით მაინც, რისთვის უნდა იცოცხლოს ადამიანმა და საერთოდ, რისთვის ვართ გაჩენილები?“

ვაბა ბოვბგუა:

— გულთან ახლოს მივიტანე შენი ოჯახის ამბავი. შეეცადე, არ ინერვიულო, მე კი შეძლებისდაგვარად ვეცდები, დახმარების ხელი გამოგიწოდო.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.* ■

ვანესა რედგრეივის ერთი ფილი,

რომელმაც „საგვარეულო ცხვირი“ ვერ იგუა

პირველად იყო, რომ დები რიჩარდსონები ერთმანეთს გულახდილად ელაპარაკებოდნენ. ნატაშა განუწყვეტლივ ეწეოდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ის, რაც მოხდა — უნდა მომხდარიყო. ეს საზღაურია!“

კარგა ხანია, ნატაშა რიჩარდსონი უბედურების მოლოდინში იყო — შეუძლებელია, ამგვარი ბედნიერება დიდხანს გაგრძელდეს. ჯოული დას ხშირად ეუბნებოდა: „ამეთვისტოს მძივს ნუ იკეთებ. ეს ქვრივების ქვაა“, მაგრამ ნატაშა უმცროსი დის რჩევებს არასდროს ითვალისწინებდა... ეს რჩევა დედას რომ მიეცა, იქნებ, გაეთვალისწინებინა კიდეც... მაგრამ ცნობილ ინგლისელ მსახიობს, ვანესა რედგრეივს ქალიშვილის ცხოვრების უმნიშვნელო წვრილმანები ნაკლებად აღელვებდა. ის მუდამ პირადულზე მაღლა იდგა! როდესაც ნატაშამ ლაიამის თავს დამტყდარი უბედურების შესახებ აუწყა, დედამ ქალიშვილს ურჩია: გამაგრდი, ცხვირი არ ჩამოუშვა და იმუშავეო, მაგრამ ნიუ-იორკში ჩაფრენა არც უფიქრია — ვანესას ლონდონში სპექტაკლები აქვს, ეს კი წმიდათაწმიდა! მათ ოჯახში სიტყვებს — „დღეს დედას სპექტაკლი აქვს“, მუდამ სასოებით წარმოთქვამდნენ. ჯოულის თავადაც არ ულხინდა, მაგრამ აქვითინებულ დას ვერაფრით უთხრა, გამაგრდი, გადაღებაზე მეჩქარებაო.

ნატაშა განუწყვეტლივ ეწეოდა და უბედურებაში საკუთარ თავს ადანაშაულებდა. კოსმეტიკის გარეშე მისი სახის ნაკვთები მოუხეშავად გამოიყურებოდა და მის გამხდარ, დახვეწილ ფიგურას არ უხდებოდა (უფროსი და წლობით შიმშილობდა, რომ სტანდარტულ, ზედმიწევნით გამხდარ ამერიკელ ლამაზმანებს დამსგავსებოდა).

„ბავშვებთან ერთად ტახტზე მოვკალათდი და „მერი პოპინსს“ ვკითხულობდით. ბიჭები ლაიამს სულმოუთქმელად ელოდნენ, რომელიც მათი საყვარელი ნამცხვრების საყიდლად წავიდა; ამ დროს ტელეფონით მაცნობეს: თქვენი ქმარი, ლაიამ ნისონი სერიოზულ ავტოკატასტროფაში მოყვაო“.

კლინიკისკენ მიმავალმა ნატაშამ საგზაო მოძრაობის ყველა წესი დაარღვია, პალატაში ისე შეიჭრა, რომ ექიმის ნათქვამი არც ერთი სიტყვა არ გაუგია. შემდეგ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ცუდ ფილმებში ხდება ხოლმე: საავადმყოფოს საწოლზე მწოლიარე კაცში ლაიამი ძლივს ამოიცნო — თავიდან ფეხებამდე დაბინტული და ათასგვარ მილაკში გახლართული, მონიტორზე შეერთებული, უგონოდ მყოფი ავადმყოფი თვალდახუჭული იწვა. ექიმი მონოტონური ხმით ჰყვებოდა, თუ რა მოხდა: „მისტერ ნისონი ნიუ-იორკის გარეუბანში ახალთახალი „ჰარლეი დევიდსონით“ მიქროდა. მოულოდნელად, ტყიდან ირემი გამოხტა. ლაიამმა ცხოველი გასრისა და ხეს შეასკდა. გარდაუვალი სიკვდილისგან ჩაფხუტმა იხსნა, მაგრამ ფეხის ძვალი რამდენიმე ადგილზეა გადამტვრეული, ხერხემალი დაზიანებულია და თეძოს არეში საშიში თრომბი განვითარდა“.

ნატაშა თვითგვემას განაგრძობდა: ეს ავბედითი მოტოციკლი ქმარს მან აჩუქა... ჯოულიმ თავი ვეღარ შეიკავა: „თუ უბედურება დატრიალდა, ლედი ჩატერლის ტყავში აღმოჩნდები, შენ ხომ ამ როლზე მუდამ ოცნებობდი!“ ნატაშა შეკრთა, რამდენიმე წლის წინ, სატელევიზიო დადგმაში ლოურენსის რომანის გმირის როლზე მართლაც ოცნებობდა, მაგრამ მაშინ ლედი ჩატერლის როლი ჯოულიმ მიიღო. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ნატაშას ღვიძლმა დამ აჯობა. საშინელებაა, როდესაც მთელი შენი ოჯახი — შორეული თუ ახლო ნათესავები მსახიობები არიან! მხოლოდ მამა, ტონი რიჩარდსონი იყო რეჟისორი. დანარჩენები: ბებია და ბაბუა — რეიჩელ კემპსონი და სერ მაიკლ რედგრეივი, ბიძა და ბიცოლა — ლინ და კორინ რედგრეივები, მათი ქალიშვილი ჯემა,

ცნობილი ინგლისელი მსახიობი ვანესა რედგრეივი ქალიშვილებს ყურადღებით იშვიათად ანებივრებდა. ვანესა რედგრეივი ნატაშასთან (მარჯვნივ) და ჯოულისთან ერთად. 1968 წ

— ყველანი პროფესიონალი მსახიობები იყვნენ. ის, ვინც მსგავს სიტუაციაში არ აღმოჩენილა, ვერასდროს იგრძნობს ნათესავებს შორის ქიშპობის უჩინარი ნესტრის სიმწარეს, ახლობლებისადმი აკრძალული შურის გამოვლინების ჯოჯოხეთს. სისულელეა! ნატაშა ბავშვობიდან ჩვეულებრივ ცხოვრებაზე ოცნებობდა. სურდა, ნორმალური ადამიანი ყოფილიყო. ის ლედი ჩატერლი არ არის! ლაიამს თუ რაიმე მოუვა, ნატაშა მას არასდროს მიატოვებს!

„თუ სტაბილურობა ასე გხიბლავს, დიასახლისის როლით უნდა დაკმაყოფილებულიყავი!“ — უთხრა ჯოულიმ. ნატაშას ნაღვლიანად ჩაეღიმა და გაიფიქრა: „ჯოულიმ თავადაც კარგად იცის, რომ მსახიობობა მათი ოჯახის განუკურნებელი სენი და საგვარეულო წყევლაა. ამას ჯოულიც ვერ გაექცა, თუმცა ახალგაზრდობაში თავის დაღწევას ისიც ცდილობდა“.

ჯოული დას ნაღვლიანი ღიმილით დაეთანხმა და მსხვილი, საგვარეულო ცხვირი კომიკური ჟესტით მოისრისა. ეს ცხვირიც ხომ საგვარეულო სიმდიდრეა და ის ამ მემკვიდრეობისგან გათავისუფლდა! ნატაშა ამის გამო დის წინაშე ოდნავ უხერხულობასაც კი გრძნობდა. მრავალი წლის წინ, 22 წლის ნატაშა რიჩარდსონმა ცხვირის პლასტიკური ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. ბუნებამ დები რიჩარდსონები ერთნაირი შთამბეჭდავი ცხვირებით დააჯილდოვა. უმცროსი ამ ნაკლს შეეგუა, დაკომპლექსებულმა ნატაშამ კი ეს ვერ შეძლო. ეჩვენებოდა, რომ ცხვირი დიდი ეკრანისკენ მიმავალ გზაზე ეღობებოდა. მაშინ ნატაშამ რჩევისთვის დედას მიმართა. ვანესამ ქალიშვილს სიცილი დააყარა — სხვა ღირსეული ევროპელი თეატრალური მსახიობების მსგავსად, ვანესაც ბუნებრიობისა და ინდივიდუალობის მომხრე იყო. მორიგი ჰოლივუდელი „ბარბის“ ხილვა მისის რედგრეივში ზიზღისა და აღშფოთების გრძნობას იწვევდა. „ბარბრა სტრეიზანდს შეხედე, ძვირფასო“, — ამ სიტყვებით ვანესამ შვილის შეჩერება სცადა, მაგრამ ნატაშა, სტრეიზანდის მაგალითმა ვერ დაარწმუნა და მამას მიაკითხა. „რა თქმა უნდა, ოპერაცია აუცილებლად უნდა გაიკეთო. უბრალოდ, არ ვიცოდი, შენთვის ეს დელიკატური რჩევა როგორ მომეცა“, — უპასუხა მან შვილს. უნდა ითქვას, რომ ოპერაციის შემდგომ, კინორეჟისორთა შორის ნატაშას პოპულარობა მკვეთრად გაიზარდა. „ჩვენს დროში ბანალობა ზეიმობს“, — ოხრავდა ვანესა რედგრეივი, მაგრამ დედის სნობიზმი ქალიშვილს ფეხებზე ეკიდა. ის ხომ თანამედროვე სამყაროში ცხოვრობს, გენიალური დედის ტალანტს მოკლებულია, ბარბრა სტრეიზანდსაც კი ვერ შეედრება, ამიტომ იძულებულია, სხვა უპირატესობანი გამოიყენოს. ამ საკითხში დების პოზიცია პრინციპულად განსხვავდებოდა... ჯოულის აზრით, ნატაშა მუდამ კონფორმისტი იყო, თავად კი ტირანულ „ოჯახურ კოდექსს“ ადრევე აუჯანყდა. უფროსების გაცვეთილ შეკითხვას: „ვინ გინდა, გამოხვიდე?“ — 4 წლის ნატაშა თავდაჯერებული პასუხობდა — „მსახიობი!“ ჯოული კი გამწარებული, თავს იქნევდა, თითქოს ამბობდა: „არ ვიცი, თავი დამანებეთ!“ მას თეატრი სძაგდა, სამაგიეროდ, ტანვარჯიში და ჩოგბურთი იტაცებდა. ნატაშა დედას ყველაფერში ჰბაძავდა. როდესაც ვანესას ლონდონის ყველაზე პრესტიჟულ თეატრ „ოლდ უიკში“ სპექტაკლი ჰქონდა, ნატაშა მუდამ მის საგრიმიორო ოთახში ტრიალებდა. ერთხელ, როდესაც ტონი რიჩარდსონი ცოლს თავის ფილმში — „მსუბუქი კავალერიის შეტევა“ იღებდა, უფროსი ქალიშვილის აღფრთოვანებულ, ანთებულ მზერას გადაეწყდა, გოგონა იხმო და მთავარი გმირის მოახლის განსახიერება დაავალა. ასე შედგა ნატაშას კინოდებიუტი...

გოგონა 5 წლის იყო, როდესაც ტონი სახლიდან წავიდა. მოგვიანებით შეიტყო, რომ მამამ ვანესა ფრანგი მსახიობის, ჟანა მოროს გამო მიატოვა. ჯოულის, მამის ოჯახიდან წასვლა თითქოს არც კი შეუმჩნევია, ნატაშა კი იტანჯებოდა. სხვა ბავშვების მსგავსად ეგონა, რომ მშობლები მის გამო დაშორდნენ. იმიტომ, რომ ის გაუგონარი, აბეზარი და ცუდი გოგოა. მამას ამიტომაც აღარ უყვარს და სხვა, კარგი გოგონას საძებნელად წავიდა. მისი ბავშვური გონება მშობელთა შერიგების ფანტასტიკურ გეგმებს სახავდა. ფულს აგროვებდა, რათა ვანესას საყვარელი ვარდები ეყიდა, მამის ხელწერას გულმოდგინედ ჰბაძავდა და ვარდების თაიგულში ბარათებს დებდა. „მიყვარხარ და მალე დაგიბრუნდები“, — ეს სიტყვები სასკოლო რვეულის ფურცლებზე გულმოდგინედ გამოჰყავდა და შემდეგ საგრიმიორო ოთახის კუთხეში მიმალული უთვალთვალებდა, თუ როგორ კითხულობდა ვანესა ბარათს და ჩუმ-ჩუმად იღიმებოდა. გოგონა ვერაფრით ხვდებოდა, იცოდა თუ არა დედამ ავტორის ვინაობა... მრავალი წლის შემდეგ, ნატაშა რიჩარდსონმა ფილმში — „ხაფანგი მშობლებისთვის“ ითამაშა, სადაც ტყუპი და, მშობლების შერიგებას ცდილობდა.

ტონი რიჩარდსონი კალიფორნიაში გადასახლდა, ვანესა რედგრეივი კი პოლიტიკამ გაიტაცა. მსახიობი ერთ-ერთი ყველაზე რადიკალურად განწყობილი, მუშათა რევოლუციური პარტიის წევრი გახდა. მათი სახლი კომუნისტებით, მუშებითა და ჰიპებით აივსო. სნობი, ესთეტი ტონი რიჩარდსონი, რომელიც იაფფასიანი სიგარეტის სუნსაც კი ვერ იტანდა, ამ ჭრელ პუბლიკას სახლთან ახლოსაც კი არ მოუშვებდა! ნატაშა სასტუმრო ოთახში ობლად იჯდა და დედის მხურვალე პოლიტიკურ გამოსვლებს ისმენდა, ჯოული კი თავის ოთახში გადიოდა და კარს დემონსტრაციულად იჯახუნებდა.

საქმეები სკოლაშიც ცუდად მიდიოდა. დები გოგონათა დახურულ სკოლაში, ლონდონის წმინდა პეტრეს პრესტიჟულ ლიცეუმში სწავლობდნენ. ნატაშა 11 წლის იყო, როდესაც რამდენიმე თანაკლასელმა მისკენ თითი ზიზღით გაიშვირა და მთელ კლასს გამოუცხადა: „მასთან არ იამხანაგოთ, მამამისი... ცისფერია“. გოგონებმა ეს ინფორმაცია ამერიკულ ჟურნალში ამოიკითხეს. საბრალო ნატაშამ გაკვეთილების დამთავრებამდე ძლივს გაძლო — მას ცრემლები ახრჩობდა.

...ლაიამ ნისონი გონს მოვიდა და აღმოაჩინა, რომ საავადმყოფოს საწოლზე წევს, თითის განძრევაც კი არ შეუძლია და თავის ტკივილისგან გული ერევა. ოთახში თეთრ ხალათში გამოწყობილი, ახალგაზრდა მედდა შემოვიდა. ლაიამმა თვალებით მოიხმო: „გეთაყვა, ხომ ვერ მეტყვით, რა დამემართა?“ ნისონმა საკუთარი ხმა ვერ იცნო. გოგონამ აუღელვებლად მოუთხრო ავარიის შესახებ. ლაიამმა გონება დაძაბა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა; „ტრავმის შემდგომი ამნეზია“, — დაასკვნა მედდამ და ხალათი შეისწორა, ოთახში ექიმი შემოვიდა. მედდამ დაზეპირებული ენთუზიაზმით გაუღიმა და შეეცადა, სახეზე პაციენტის გონზე მოსვლით გამოწვეული სიხარული გამოესახა.

— თქვენი სახელი? — ნისონმა უპასუხა.

— რას საქმიანობთ?

პაციენტს სახე დაემანჭა: — არ მახსოვს... — გუნებაში კი გაიფიქრა, რომ ამ სიტუაციაში არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რას საქმიანობდა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საკითხს ექიმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

— არ გახსოვთ?.. ასე. ოსკარ შინდლერს

არ ახსოვს, ვინ არის... — სად ცხოვრობთ? ოჯახი გაქვთ?

ამ შეკითხვებმა ნისონი გააღიზიანა. პოლიციაში ხომ არ არის, დაკითხვას რომ უწყობენ? — გაიფიქრა მან და უეცრად გადაწყვიტა, გაეთამაშებინა, თითქოს არაფერი ახსოვდა; იქნებ თავი გაენებებინათ!

— არ მახსოვს. მგონი, მარტოხელა ვარ... უმჯობესია, ის მითხრათ, აქ დიდხანს გამაჩერებთ?

კარი გაიღო და პალატაში ნატაშა შემოვიდა. ლაიამმა მის შესახვედრად წამოიწია, მაგრამ შემდეგ თავს მოერია.

— ეს ქალბატონი ირწმუნება, რომ თქვენი ცოლია. — ექიმი ნატაშას მიუბრუნდა: — პაციენტი ამბობს, რომ მარტოხელაა.

გაოცებული ნატაშა ქმარს მიაჩერდა. ნისონმა შენიშნა, რომ ქალი მაკიაჟის გარეშე იყო, თვალის უპეები შესივებოდა, მაგრამ მაინც შესანიშნავად გამოიყურებოდა. „ოღონდ, მეტისმეტად გამხდარია და სიგამხდრე სრულიად არ უხდება“. ლაიამს ეს მისთვის მრავალჯერ უთქვამს, მაგრამ „ნატაშა რეკლამასა და სულელურ ქალთა ჟურნალებს უჯერებს“, — გაიფიქრა მან.

80-იან წლებში, ნისონი ლონდონში მასზე 7 წლით უფროს ჰელენ მირენთან (ლაიამის პარტნიორი ფილმში „ექსკალიბური“) ერთად ცხოვრობდა. აი, ნამდვილი ქალი! თირკმლებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ჰელენი ჰორმონებს სვამდა და ძალზე გასუქდა, მაგრამ ამის გამო, საკუთარი ქალური მომხიბვლელობის რწმენა არ დაუკარგავს! ერთხელ, ხუმრობით ნითელ კვარტალში მეძავებთან ერთად დადგა. ამ სცენას ლაიამი კუთხიდან უთვალთვალებდა. მსუქანი ჰელენის გვერდით ულამაზესი, ახალგაზრდა გოგონები იდგნენ, მაგრამ კლიენტები საბოლოო არჩევანს მაინც ჰელენზე აკეთებდნენ. ეს საიდუმლო ნისონმა დიდი ხნის წინ ამოხსნა: ჰელენ მირენი დარწმუნებული იყო, რომ მამაკაცისთვის ზღაპრული სიამოვნების მინიჭება შეეძლო.



ლაიამ ნისონი ქალებში დიდი წარმატებით სარგებლობდა. ლაიამ ნისონი ბრუკ შილდსთან ერთად

— ვერ მცნობ? — თავზარდაცემული ნატაშა საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ქმარს სახეში ჩააშტერდა.

— მე ნატაშა ვარ, შენი ცოლი. ჩვენ ორი შვილი გვყავს, მაიკლი და დენიელი...

საუბარში ექიმი ჩაერთო.

— მისტერ ნისონ, თქვენი წარსულიდან რა გახსოვთ?

— კრივის რინგი მახსოვს. მახსოვს, როგორ დავაკერე იმ მძიმეწონოსანს. მან კი ცხვირი გამიტეხა.

— მართალია! ახალგაზრდობაში ლაიამი კრივით იყო გატაცებული.

ნისონს აღშფოთებისგან სუნთქვა შეეკრა: „გატაცებული?!“ ის კრივს აღმერთებდა და საშუალო წონაში ჩემპიონობაზე ოცნებობდა! მან მშობლიურ ირლანდიაში სამი ახალგაზრდული ჩემპიონატი ზედიზედ მოიგო, მაგრამ შემდეგ ვარჯიშის დროს ფეხის უმძიმესი ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, კრივს გამომშვიდობებოდა. მაშინ ხშირად ეკითხებოდნენ, თუ რა სიამოვნებას ანიჭებდა ეს მუშტი-კრივი? ლაიამისთვის კრივისგან მიღებული უდიდესი სიამოვნება მხოლოდ სექსით მიღებულ სიამოვნებას თუ შეედრებოდა! მისთვის კრივი თვითდამკვიდრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. ცოლისგან განსხვავებით, ნისონს ოჯახური კლანი და ტრადიციები ზურგს არ უმაგრებდა. მან თავად შექმნა ტრადიცია! მისი მშობლები უბრალო ადამიანები იყვნენ და ძალზე რთული ხასიათის შვილს ძნელად უგებდნენ. ლაიამი შეყვარებულ გოგონას შინ აცილებდა, როდესაც უფროსკლასელი ხულიგნები აედევნნენ და გოგონას თმა მოქაჩეს. მუშტებმოღერებული ლაიამი ჩხუბში ჩაება, მაგრამ შეყვარებულის თვალწინ სამარცხვინოდ დამარცხდა. მოგვიანებით, რინგი მისთვის იმ ადგილად გადაიქცა, სადაც სხვებსაც და საკუთარ თავსაც დაუღალავად უმტკიცებდა, რომ ის „ნამდვილი მამაკაცია“. სკოლის დამთავრების შემდეგ, ნისონი ბელფასტის დედოფლის უნივერსიტეტში ფიზიკას, მათემატიკასა და გეოლოგიას სწავლობდა. ნატაშა მუდამ გულიანად ხარხარებდა, როდესაც ნისონი ხატოვნად ჰყვებოდა, როგორ ასწავლიდა გოგონათა სკოლაში. 12-13 წლის გოგონები ლაიმს აღფრთოვანებით შესცქეროდნენ. ახალგაზრდა, აყლაყუდა მასწავლებელი თავდავიწყებით უყვარდა ყველა მათგანს. ის ყოველი გაკვეთილის დაწყების წინ, საკლასო ჟურნალში ან მაგიდაზე სასიყვარულო ბარათს პოულობდა, რვეულებში კი დავალების ნაცვლად — საკუთარ ფოტოსურათებს... „მერი, დავალება რატომ არ შეასრულე, რაზე ფიქრობდი?“ — „თქვენზე“... შეყვარებულ გოგონებთან მოკრივის გამოცდილება არ ჭრიდა... მსახიობი შემთხვევით გახდა. გადაღება არ უყვარდა. თეატრთან შედარებით, კინოს არაფრად აგდებდა. „ვარსკვლავური ომების“ გამო ცაში აიყვანეს, მას კი ეს როლი სამარცხვინოდ მიაჩნდა.

...ნატაშამ ჭიქებში ჯინი ჩამოასხა. ეს სასმელი ერთადერთი რამ იყო, რაც ორივე დას ერთნაირად უყვარდა. ის და ჯოული ნისონების სახლის სასტუმრო ოთახში ისხდნენ. ნატაშა დას იმის შესახებ მოუთხრობდა, რაც საავადმყოფოში მოხდა. ჯოული მის დამშვიდებას ცდილობდა. ხუმრობდა: ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ თუ ლაიამს მეხსიერება არ დაუბრუნდება, ნატაშა ქმრის გონებაში მათ წარსულს ისევე შეიყვანს, როგორც ახალი საბავშვო დისკი შეჰყავთ ხოლმე კომპიუტერში.

ნატაშა და ჯოული რიჩარდსონები

„უბრალოდ, იმას მოუყვები, რაც მას აღარ ახსოვს. უსიამოვნო დეტალებს, რა თქმა უნდა, დაუმალავ. წარმოიდგინე, რა შანსი გეძლევა! ჩვენ ხომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ვცხოვრობთ!“ ჯოულის თავისებური იუმორის გრძნობა, ნატაშას მუდამ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. „ასეთ წუთებში კი ხუმრობა არ შეიძლება“, — ფიქრობდა ნატაშა, მაგრამ ჯინით შეუუუნებული ჯოული არ ცხრებოდა: მაინც რას დაუმალავს ქმარს? რა არის ისეთი, რასაც ლაიამის მეხსიერებიდან სიამოვნებით ამოშლიდა?

ნუთუ ჯოული სერიოზულად ფიქრობს, რომ ნატაშა გულს გადაუშლის და მას სასიყვარულო ინტრიგების შესახებ მოუყვება?! მით უმეტეს, რომ ნატაშა რიჩარდსონს ამგვარი სასიყვარულო თავგადასავლები არასდროს ჰქონია, ის მუდამ ქმრის ერთგული იყო!

საქმე ისაა, რომ ნატაშამ სხვა ადამიანს უღალატა და უდიდესი ტკივილი მიაყენა. ეს ადამიანი მისი პირველი ქმარი იყო. ტელე და კინოპროდიუსერ რობერტ ფოქსზე ნატაშა მამის გარდაცვალების შემდეგ, 1992 წელს დაქორწინდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

„სოფიას ერთი და იგივე შიჭი მაღლე ჰეზარდება...“

რა ჰქონდა ჩაფიქრებული „ჯეობარის“ არაორდინარულ მოთამაშეს

„ჯეობარი 3“-ის ერთ-ერთ მონაწილეს, სოფია კენჭიაშვილს მიაჩნია, რომ ის ყველაზე საინტერესო და დანარჩენი მოთამაშეებისგან გამორჩეული იყო. ის პროექტის დასაწყისშივე შიშველი გამოჩნდა ეკრანზე, რამაც მაყურებლის აღშფოთება და გაკვირვება გამოიწვია. თუ რა აზრის არიან მისი მშობლები მის ამ საქციელზე, კიდევ რის გაკეთებას აპირებდა ის პროექტში და რაში დახარჯავდა სოფია, მოგების შემთხვევაში 35.000 ლარს, — ამ ყველაფერზე მის ძმას, გოჩა კენჭიაშვილს ვესაუბრეთ. მისდა სამწუხაროდ, სოფიას ბარის დატოვებამ მოუწია. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პროექტი მის ცხოვრებაში გარკვეულ როლს მაინც შეასრულებს...



სოფიას ძმა გოჩა კენჭიაშვილი

სოფო ყარალაშვილი

— რას ფიქრობთ ოჯახში სოფიას პროექტში შესვლასთან დაკავშირებით?

— ის პირველ ტურში უკვე გასული იყო, როცა სახლში მოვიდა და გამოგვიცხადა — „ჯეობარში“ შესვლას ვაპირებო. ჩვენ რვანი ვართ ოჯახში: დედა, მამა, 4 ძმა და 2 და. ყველას ძალიან გაგვიხარდა. არც მამას და არც მე არ გაგვიპროტესტებია; ეს ისეთი პროექტია, სადაც ნებისმიერი ვერ მიიღებს მონაწილეობას.

— როგორ ფიქრობ, რატომ აირჩიეს სოფია?

— სოფია ძალიან მაგარი გოგოა, არაორდინარული და საინტერესო. ალბათ, პროექტის პროდიუსერებმა ეს შენიშნეს. საერთოდ არ ნერვიულობდა „ჯეობარში“ შესვლის წინ. მშვიდად ეძინა, ჩანთა დილით ჩაალაგა. დედას დიდი ხნით გამოემშვიდობა, მე და მამამ კი, ის ბარამდე მივაცილეთ.

— „ჯეობარის“ დაწყების პირველსავე კვირას ვნახეთ კადრები, სადაც სოფია, ირაკლის — შოუს ერთ-ერთ მონაწილეს „ეფანცქვალებოდა“. შენ როგორც ძმა, ამ ფაქტმა ხომ არ გაგაღიზიანა?

— ზუსტად ვიცი, სოფიამ ეს რეიტინგისთვის გააკეთა. მე არა ვარ დის მიმართ მკაცრი. ჩვენ მეგობრები ვართ და მისი მესმის. სანამ პროექტში შევიდოდა, დისკოთეკებზე ერთად დავდიოდით. რა თქმა უნდა, რჩევებს ვაძლევ ხოლმე, არ მინდა, მას გვერდით „ბლატნოი“, „ბაბნიკი“ ბიჭი ჰყავდეს.

— სოფია პირველსავე კვირას მინუს-კანდიდატი გახდა. მას შემდეგ კი, რაც პროექტიდან გამოვარდნას გადაურჩა, უფრო პასიური მოთამაშე გახდა. ირაკლის მიმართაც შეიცვალა. ეს მისი თამაშის ახალი სტრატეგიაა?

— სოფიას იქ ცხოვრება ძალიან მოსწონდა. მითხრა — ეს ის არის, რაზეც ყოველთვის ვოცნებობდიო. არც ჩაკეტილი სივრცე აწუხებდა და არც კონფლიქტები. სოფია პირველ კვირას ისეთი იყო, როგორიც სინამდვილეშია, მას შემდეგ, რაც პროექტიდან გამოვარდნას გადაურჩა, არტისტობა დაიწყო. მიხვდა, რომ თუ სტრატეგიას არ შეცვლიდა, მონაწილეებისგან ყოველთვის მინუს-შეფასებას დაიმსახურებდა. პირველ კვირას აშკარად ჩანდა, რომ სოფიას გამარჯვების სხვებზე მეტი შანსი ჰქონდა, ამან მოთამაშეები შეაშინა, ბარში მივედი და ვუთხარი, რომ კადრში საერთოდ აღარ ჩანდა. დამაცადე, ყველაფერი კარგად იქნებაო, — მიპასუხა...

— ხალხი იმან აალაპარაკა, რომ თავიდან სოფია წელს ზევით შიშველი უჩვენეს მაყურებელს...

— ყველა ერთად ვუყურებდით „ჯეობარს“. ჩვენთვის მოულოდნელი იყო შიშველი სოფიას დანახვა. დედაჩემი აღშფოთდა, თქვა — 5.000 რომ მქონდეს, პროექტიდან წამოვიყვანდიო. ძალიან ბევრს ჭორაობენ ჩვენი მეზობლები, გოიმები არიან.

— მამაშენს როგორი რეაქცია ჰქონდა, როცა ეს კადრი ნახა?

სოფია პირველ კვირას ისეთი იყო, როგორიც სინამდვილეშია

— მამაჩემი ზუსტად ისეთია, როგორიც სოფია — თავისუფალია. ის ისეთი პიროვნებაა, რომ შვილზე ცუდის თქმას ვერავინ გაუბედავს. მე კი ნაცნობებმა ზურგი შემაქციეს — რატომ გაუშვი შენი და ასეთ ადგილასო?! „დავიგრუზე“, მაგრამ მერე მეგობრებმა მითხრეს, გოიმები არიან, დაიკიდეო, — და მეც მკიდია, თუმცა, ბარში მაინც მივედი და გავაფრთხილე — ეცადე, შიშველი აღარ გამოჩნდე-მეთქი. სოფია ბანაობდა და ეს კადრები აჩვენეს. რა მაგის ბრალი იყო? ეს „რუსთავი 2“-მა „გაუჩალიჩა“!.. შოუა და აქ ყველაფერი „მოსული პონტია“.

— რატომ გააშიშვლეს მაინცდამაინც სოფია?

— ჩემი და მიყვებოდა ხოლმე „ჯეობარის“ ტურებზე. მესამე ტურზე გახდაზე უთამაშიათ. სოფიამ მითხრა — ორმა გოგომ გავიხადეთო... უკომპლექსო და თავდაჯერებულია.

— როგორც ვიცი, ერთ-ერთ ტურზე ვილაცამ თქვა — სოფია ბისექსუალია და ამას არც მალავსო...

— პირველად მესმის. სოფიას ყოველთვის ჰყავდა შეყვარებული ბიჭები, აქედან გამომდინარე, ეს სისულელეა. ის რადგან „ჯეობარში“ გამოჩნდა, ხალხმა გაიცნო, მასზე ამიტომ ჭორაობენ — ეს ჩვეულებრივი რამ არის..

— ახლა შეყვარებული აღარ ჰყავს?

— როცა შეყვარებულია, ლექსებს წერს, ოცნებობს და სულ კარგ ხასიათზეა. არ არსებობს, რომ ცოცხი დააჭერინო ხელში. ახლა შეყვარებული არ ჰყავს. ის საერთოდ ბიჭებს მალ-მალე იცვლის. ალბათ, ერთი და იგივე ჰბეზრდება.

— რაში გამოიყენებდა სოფია 35.000 ლარს, „ჯეობარში“ რომ მოეგო?

— ფულზე მეტად, პოპულარობა სჭირდება. ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს და ახლა, ჰგონია, რომ ყველგან უფრო მეტი „პრასვეტი“ ექნება. 35.000 ლარს კი, რომ მოეგო, ალბათ სისულელეებში დახარჯავდა — ტანსაცმელს და მანქანას იყიდდა... ■

„ძალიან მიყვარს ღამის ცხოვრება და დრო ძილისთვის მენანება...“

ნინაია გელაშვილის სილამაზის რეცეპტი

„იუმორინის“ ერთ-ერთი პოპულარული სახე, მსახიობი ნინაკა გელაშვილი საკუთარ გარეგნობაზე თავდაუზოგავად ზრუნავს. ცდილობს, ყოველთვის მომხიბვლელად და ელეგანტურად გამოიყურებოდეს, რათა ეფექტი მოახდინოს ირგვლივ მყოფებზე. არასოდეს ეზარება სილამაზის სალონში მისვლა, უყვარს შოპინგები, განსაკუთრებით მაშინ, როცა დეპრესიულ მდგომარეობაშია.

სოფო ჭონიშვილი

— დილა იმით იწყება, რომ დედაჩემი და შვილი ჩემს გაღვიძებას მონაცვლეობით ცდილობენ. დილით ადრე ადგომა ძალიან არ მიყვარს, ყოველთვის, რაც არ უნდა მეჩქარებოდეს, ვცდილობ, 10-15 წუთი მაინც „მოვიპარო“ და ძილი გავაგრძელო. ადგომისთანავე ვცდილობ, კარგი განწყობილება შევიქმნა. საერთოდ, ბუნებით ძლიერი ადამიანი ვარ, ყველაზე ცუდ სიტუაციაშიც კი შემიძლია, საკუთარი თავი ხელში ავიყვანო. ამაში ჩემი საქმიანობა მეხმარება. გინდა თუ არ გინდა, კარგ განწყობილებაზე უნდა იყო და კარგადაც უნდა გამოიყურებოდე, რადგან სცენაზე დგახარ და ათასობით ადამიანი გიყურებს. ამგვარად, სცენაზე გასვლის წინ ყველაფერს პირადულს ვივიწყებ და ჩემს საქმეს პირნათლად ვემსახურები.

— დილით, როგორ მოგყავთ თავი ფორმაში?

— პირველ რიგში, სააბაზანოში შევდივარ და შხაპს ვიღებ. შემდეგ აუცილებელი პროცედურები მაქვს ჩასატარებელი: ვისვამ ტანის მკვებავ და დამატენიანებელ კრემს, რაც უკვე ჩვევად მექცა, დიდი ხანია. სააბაზანოდან გამოსვლის შემდეგ, ფინჯან ყავას მივირთმევ და თუ ბავშვი სკოლაში არ მყავს წასაყვანი, სილამაზის სალონში გავრბივარ. როცა „იუმორინის“ კონცერტები იწყება, საშინელ გადარბენებში ვარ. საერთოდ, ძალიან მოწესრიგებული ადამიანი ვარ...

— რა ფირმის კოსმეტიკას ანიჭებთ უპირატესობას?

— ძირითადად, „შანელის“ პროდუქციას, თუმცა არის შემთხვევები, როცა სხვა ფირმის კოსმეტიკასაც ვიყენებ.

— როგორ უვლით სახის კანს, რაიმე განსაკუთრებული, თქვენეული რეცეპტი ხომ არ გაქვთ?

— სახის კანის მოვლა, ჩემთვის უპირველესია, რაც არასოდეს მეზარება. დღემდე არანაირი პლასტიკური ოპერაცია არ დამჭირვებია. მხოლოდ კარგი ხარისხის კრემებისა და ბუნებრივი ნიღბების საშუალებით ვახერხებ, ეფექტური და ხავერდოვანი სახის კანი მქონდეს, რაც ვფიქრობ, მთავარი შტრიხია ქალის სილამაზის აღსაქმელად. ზაფხულის პერიოდში ხშირად, სხვადასხვა ხილის ნიღაბს ვიკეთებ, ზამთარში კი ძირითადად, მკვებავ კრემებს ვხმარობ. საერთოდ კი, ქალის მომხიბვლელობისთვის ყველაზე კარგი საშუალება — გამოძინებაა, რასაც მე იშვიათად ვახერხებ. ბუნებით ღამურა ვარ. ძალიან მიყვარს ღამის ცხოვრება, რატომღაც, ძილისთვის დრო ყოველთვის მენანება.

— კოსმეტიკას ყოველდღე ხმარობ?

— მაკიაჟს ყოველდღე არ ვიკეთებ, არის დღეები, როცა ყოველგვარი მაკიაჟის გარეშე გავდივარ სახლიდან. ბევრი გრიმი სახის კანზე ცუდად მოქმედებს, რამდენადაც კარგი და ხარისხიანი უნდა იყოს იგი. ამიტომ ხშირად ვცდილობ, რომ კანი დავასვენო.

— ნინაკა, წლების მანძილზე სულ შავი თმა გაქვთ, არ გიფიქრიათ, სხვა ფერით შეგეცვალათ?

— ჩემი ბუნებრივი თმის ფერი წაბლისფერია. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როცა თმა შავად შევიღებე, მაშინ თემურ ჩხეიძის სპექტაკლში ვმონაწილეობდი, ვიფიქრე, რომ ჩემს გმირს აუცილებლად შავი თმა უნდა ჰქონოდა. იმის შემდეგ, თმის ფერი აღარ შემიცვლია. მიმაჩნია, რომ შავ თმას თავისი განუმეორებელი პეწი აქვს, თუ არ ვცდები, ძალიანაც მიხდება (*იცინის*). ძალიან ხშირად ვიკეთებ თმის ნიღაბსაც, როცა დრო მაქვს. ათასგვარი რეცეპტი მაქვს ჩაწერილი და იმის მიხედვით ვამზადებ. მათგან მხოლოდ ერთი მახსოვს ზეპირად: 1 კვერცხი და 1 ჭიქა კონიაკი ერთმანეთს უნდა შევურიოთ და 15-20 წუთი თავზე გავიჩეროთ, შემდეგ ჩამოვიბანოთ, კარგია ასევე აბუსალათინის ზეთიც.

— ოპტიკური ლინზები თუ გამოგიყენებიათ ოდესმე?

— არასოდეს. მიმაჩნია, რომ ეს თვალისთვის საზიანოა. საერთოდ, არცთუ ისე ურიგო ფერის თვალები მაქვს. როცა კარგ ხასიათზე ვარ, ჩემი თვალები ფერს იცვლის და ბრწყინავს.

— სამკაულები თუ გიყვართ?

— სამკაულები ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით — ძვირფასი. ძალიან ბევრი ძვირფასი ბეჭედი მაქვს, რომელიც არასდროს მბეზრდება.

— რა განსხვავებაა თქვენს ცხოვრებისეულ და სცენურ იმიჯებს შორის?

— მეუბნებიან, რომ სცენაზე შედარებით მკაცრი ქალის იმიჯი მაქვს. ცხოვრებაში კი, უფრო დამთმობი, მხიარული, — თავმდაბალი, მიმტევებელი და კეთილი ვარ.

— ფულს დაუნანებლად რაში ხარჯავთ?

— რაც მომწონს, იმაში ფული არ მენანება.

— როგორ ჩაცმულობას ანიჭებთ უპირატესობას — კლასიკურს თუ სპორტულს?

— საერთოდ, ქალმა სილამაზისთვის და საზოგადოებაში ეფექტის მოსახდენად, კლასიკურად უნდა ჩაიცვას. როცა საპრემიეროდ ვემზადებით, ისეთი გადარბენები მაქვს, რომ ძირითადად, სპორტულად ჩაცმული დავდივარ, ხოლო საღამოს, როცა უკვე ყველა საქმეს მოვაგვარებ, ვცდილობ, კლასიკურად ჩავიცვა და მაკიაჟიც გავიკეთო. ორივე სტილი ჩემთვის მისაღებია.

— შოპინგი გიყვართ?

— რომელ ქალს არ უყვარს შოპინგი?!. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც მე ვარ. შოპინგი ჩემთვის დეპრესიიდან გამოსვლის ერთ-ერთი კარგი გამოსავალია. როცა ცუდად ვარ და მაქვს იმის საშუალება, რომ საკუთარ თავს დიდი შოპინგი მოვუწყო, ამაზე უარს არასოდეს ვამბობ.

— თქვენს გარდერობში ძირითადად, რა ფერის ტანსაცმელი ჭარბობს?

— ადრე ძალიან მომწონდა შავი ფერი, თუმცა, არც ახლა ვამბობ უარს, მაგრამ ბოლო დროს ჩემს გარდერობში ღია ფერის ტანსაცმელი საგრძნობლად მომრავლდა. მიუხედავად ამისა, შავი ჩემთვის ერთადერთი ფერია, რომელსაც სხვა ვერ შეცვლის, განსაკუთრებით კი — სცენაზე, — ელეგანტური და მდიდრულია.

— ოდესმე თუ გიფიქრიათ, თქვენს გარეგნობაში, ქირურგიული ჩარევით რაიმე შეგეცვალათ?

— მიფიქრია, როგორ არა?! ძალიან ბევრ რამეს შევცვლიდი, ოღონდ, კონკრეტულად, რას — ვერ გეტყვით... ■

თეთრი სიკვდილი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-45

გიომ ერთი საათი გაატარა მისთვის უკვე კარგად ნაცნობ ვიწრო სათავსში — „ფუქსში“, რომელიც ზომებით საპირფარეშოს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ადამიანის სამყოფელს. ამ ერთი საათის განმავლობაში კი, მისი ადვოკატი იმავე დერეფანში მდებარე ოთახში ერკვეოდა ვახო გორგაძის ბოლო ჩვენების არსში. ეს ოქმი რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, გიო ნანას რეაქციამ და სხირტლაძის მოზეიმე სახემაც მიახვედრა. მაგრამ ადვოკატს ერთი სიტყვითაც კი არ უგრძნობინებია, თუ რა იყო მთავარი ვახოს ჩვენებაში. როგორც კი სხირტლაძემ ოქმი საქაღალდეში ჩააბრუნა და კაბინეტიდან გავიდა, ნანამ გიო ბადრაგს გადასცა, თვითონ კი, სწრაფი ნაბიჯით უკან მიჰყვა გამომძიებელს.

...ერთი საათის შემდეგ, ადვოკატმა კვლავ მოიცალა პატიმრისთვის. ზედამხედველმა გიო „ფუქსიდან“ გამოიყვანა. სწორედ ამ დროს, ბიჭმა თვალი მოჰკრა ვახოს. ის სხვა ზედამხედველს მისკენ მიჰყავდა. ვახოს დანახვამ გიოს შვება მოჰგვარა. მისი სახე ერთადერთი იყო, რომელიც მას სქელი და მაღალი კედლების მიღმა არსებულ სამყაროსთან აკავშირებდა.

— ვახო... — შეეხმიანა გიო მეგობრის ძმას. მაგრამ მისდა გასაოცრად, ვახომ თვალი აარიდა და სწრაფად შევიდა სწორედ იმ „ფუქსში“, რომელშიც თავად გიომ ერთი საათი გაატარა. სწორედ ამ დროს გიომ ნანას, სხირტლაძესა და ვახოს ადვოკატს მოჰკრა თვალი. ისინი დერეფნის საპირისპირო მხარეს იდგნენ და ლაპარაკობდნენ. თუმცა, ლაპარაკობდაო, — მხოლოდ ნანაზე ითქმებოდა, სხირტლაძე კი, დამცინავი სახით უსმენდა მას... გიოს შემჩნევისას, ნანამ კიდევ ერთი ფრაზა ისროლა, შემდეგ, გამომძიებელსა და ვახოს ადვოკატს ზურგი შეაქცია და დასაკითხთა ოთახში გაუჩინარდა. ორიოდე წუთში ზედამხედველმა გიოც იმავე ოთახში შეიყვანა. ნანა მაგიდასთან თავდახრილი იჯდა. გიოს ცუდად ენიშნა მისი ჩამქრალი გამოხედვა.

— რა მოხდა? — დაძაბული ტონით იკითხა მან.

— დაჯექი, გიორგი, — დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა ნანამ და თავი ასწია. მისდა გასაოცრად, გიომ ადვოკატის თვალზე მომდგარი ცრემლი შენიშნა. მას არც დაუპირებია ამის დამალვა. ხელჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლი შეიმშრალა და მზერა გაუსწორა გიოს.

— რა მოხდა? — კითხვა გაუმეორა გიომ.

— ათი წელია, რაც ადვოკატი ვარ და მართლაც, ძალიან ბევრ რამეს შევსწრებივარ... ნაძირალებსაც შევხვედრივარ, ვაუკაცებსაც, უბრალოდ მშიშარა ადამიანებსაც. მაგრამ კაცის ასეთი დაცემა არასოდეს მინახავს, — ადვოკატმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — ძალიან ცუდად არის საქმე, გიორგი: გორგაძემ შენი საწინააღმდეგო ჩვენება მისცა!..

— კი, მაგრამ ვახოს ხომ არაფერი აქვს სათქმელი!.. — გაჭირვებით წარმოთქვა გიომ.

— ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. მან ჩვენება მისცა და ამით გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, — ამოიოხრა ნანამ.

თავზარდაცემულმა გიომ სახეზე ხელები აიფარა და თავი დახარა. აქამდე მას ეგონა, რომ ვახო მისი ერთადერთი მოკავშირე იყო — მოკავშირე, რომელიც არაფერს დაიშურებდა სიმართლის დასამტკიცებლად და მასთან ერთად, ბოლომდე იბრძოლებდა. ახლა კი...

ახლა კი, ვახოს სახით, მან ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე დაკარგა... და მხოლოდ ამაშიც როდი იყო საქმე. თავისი საქციელით, ვახომ ადამიანის ხასიათის ის მხარე უჩვენა, რომელზეც ადრე წარმოდგენა არ ჰქონდა. ასეთი შესაძლოა, ყოფილიყო მესხი, მისი თანამშრომლები, პროკურორი, მოსამართლე... მთელი სამყარო... მაგრამ ვახოს არ ჰქონდა ამის უფლება!.. ის ასე არ უნდა მოჰქცეოდა ადამიანს, რომელიც სწორედ მისი ძმის გამო აღმოჩნდა ციხეში.

— ის თავისი ძმის მკვლელობაში მადანაშაულებს? — იკითხა გიომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

— არა. მაგრამ ადასტურებს, რომ შენ და ზაზა სუბუტექსით ვაჭრობდით. საერთო ჯამში, ჩვენება ტყუპისცალივით ჰგავს შენს „აღიარებას“. ამავე დროს, გორგაძე აღნიშნავს, რომ დარწმუნებულია — ზაზა შენ მოკალი და მისი მოკვლაც გსურდა!..

— რატომ გააკეთა ეს ვახომ? აიძულეს?

— ასეთია მისი თავისუფლების ფასი, — უპასუხა ნანამ, — მესხს არაფერში სჭირდებოდა ორი ბრალდებული. მას მხოლოდ მკვლელობის დაფარვა სურდა და შენი წყალობით, ეს ამოცანა შეასრულა. ვახო კი... ის უმნიშვნელო ფიგურა იყო ამ თამაშში...

— მე მაინც არ მჯერა. ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით!

— მისთვისაც არ იყო იოლი ამაზე წასვლა. მე მასთან დალაპარაკება ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ის საერთოდ გათიშული იყო...

— ადვოკატი!.. — ბრაზით წამოიძახა გიომ. — ყველაფერში მისი ადვოკატია დამნაშავე! ის უბიძგებდა ვახოს. მას სასამართლოზეც ძალიან უცნაურად ეჭირა თავი. არც პროცესზე გამცა ხმა და არც ციხეში გადმოყვანისას!..

— ეს მრავალუცნობიანი განტოლებაა, გიორგი. მე ზუსტად არ ვიცი, ვინ რა როლი შეასრულა ამ საქმეში, მაგრამ შემიძლია ვივარაუდო, რომ ინიციატივა მესხს ეკუთვნოდა. ჩემთვის გასაგებია ადვოკატის პოზიციაც. მისი მიზანი ვახოს გათავისუფლება იყო და მესხმაც სწორედ ეს შესთავაზა. ამას მოჰყვა მარტივი გარიგება. ვახოს პირდაპირ წაუყენეს პირობა: ის ან ძიებისთვის სასურველ ჩვენებას მისცემდა, ან ხანგრძლივი ვადით ჩაჯდებოდა ციხეში. დანარჩენს შენ თვითონაც ხვდები...

— მაგრამ სუბუტექსით ვაჭრობა?.. ვახოს ხომ ამას ედავებოდნენ?! — გაოცებულმა იკითხა გიომ.

— თანამედროვე ტერმინოლოგიით, ამას ძიებასთან თანამშრომლობა ეწოდება. ვახომ დააშავა, ის დაიჭირეს, მაგრამ მან მოინანია და ძიებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა, რითიც თავისუფლება დაიმსახურა...

— ასეთ თავისუფლებას სიკვდილი მირჩევნია! — გიომ ბრაზიანად გააკრაჭუნა კბილები.

— ვახტანგ გორგაძე სხვა აზრისაა... — შენიშნა ნანამ.

— როდის გაათავისუფლებენ იმ დამპალს? — იკითხა გიომ.

— მანამდე მისმა ადვოკატმა პროკურორთან გირაოს თანხა უნდა შეათანხმოს. შემდეგ მას გაათავისუფლებენ. სავარაუდოდ, ეს ორ-სამ დღეში მოხდება, — უპასუხა ნანამ, — მაგრამ ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აღარ აქვს. მთელი უბედურება ისაა, რომ ჩვენ ერთი მტერიც მოგვემატა. დღეიდან ვახტანგ გორგაძე გააფთრებულად დაიცავს თავს და აქედან გამომდინარე — მესხს!..

— ჩემთვის აქვს მნიშვნელობა... — ბრაზით ჩაილაპარაკა გიომ.

— რა მნიშვნელობა აქვს?

— ამას არ შევარჩენ! მე გარეთ ძმა და მეგობრები მყავს. ისინი ცოცხლად დამარხავენ იმ დამპალს!..

— გიორგი! — მკაცრად ისროლა ნანამ. — შენ ძალიან დიდ შეცდომას უშვებ!..

— თქვენც ჩემს წინააღმდეგ ხართ? — ნაწყენი სახით შეხედა ადვოკატს გიომ.

— ამ ჩვენებით, შენი ყოფილი მეგობარი სამუდამოდ მტრად მოგეკიდა და ის ასევე მტრულად მოექცევა ყველა შენს მეგობარს. ნუ დაეხმარები მესხს, კიდევ ერთი ან რამდენიმე შენი მეგობრის ციხეში გამომწყვდევაში...

გიომ ჩაფიქრებული სახით გახედა ნანას, შემდეგ მოულოდნელად მოითხოვა:

— საკანში დამაბრუნეთ!..

— ახლავე?! — გაუკვირდა ნანას.

— ჰო, ახლავე!

— ჩვენ კიდევ სალაპარაკო გვაქვს.

— რისთვის? — ჰკითხა გიომ.

— რამდენიმე დეტალი უნდა შევათანხმოთ.

— ახლა არ შემიძლია. გონება უნდა მოვიკრიბო...

— დამშვიდდი, გიორგი... — დაიწყო ნანამ, მაგრამ დასრულება ვეღარ შეძლო.

— დამაბრუნეთ კამერაში! — მთელი ხმით იყვირა გიომ და ფეხზე წამოიჭრა.

გიოს ყვირილმა ზედამხედველთა ყურადღება მიიპყრო. იმავწამს ოთახის კარი გაიღო.

— წყნარად, ბიჭო!.. — იყვირა ზედამხედველმა, როდესაც ფეხზე მდგომი გიო და შეშინებული ადვოკატი დაინახა.

— კამერაში დამაბრუნე! — ამჯერად ზედამხედველს უყვირა გიომ.

— დააბრუნეთ, — უმალ დაეთანხმა ნანა.

— გამოდი! — ცივი ხმით ბრძანა ზედამხედველმა.

გიოს ადვოკატისთვის ბოდიშის მოხდა სურდა: ის ხომ არაფერში იყო დამნაშავე. მაგრამ იმდენად აღელვებული იყო, რომ ვერაფრის თქმა ვეღარ შეძლო. თუმცა, ნანა მაინც მიხვდა მისი შეყოვნების მიზეზს და თვითონ სცადა ბიჭის დამშვიდება:

— ყველაფერი კარგად იქნება, გიორგი. ნუ ინერვიულებ. გონება მოიკრიბე. მე ხვალ ისევ მოვალ და საუბარი გავაგრძელოთ.

გიომ უხმოდ დაუქნია თავი და ზედამხედველის ნიშანზე, ოთახიდან გავიდა. მარტოდ დარჩენილმა ნანამ ორიოდე წუთი მოიცადა, შემდეგ სისხლის სამართლის მასალები ხელჩანთაში ჩაალაგა და კარისკენ შებრუნდა. მაგრამ ვიდრე ის ოთახიდან გავიდოდა, დერეფანში წარმოუდგენელი ჩოჩქოლი ატყდა.

ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილმა ადვოკატმა, კარი სწრაფად მოიტოვა უკან და დერეფანში გავიდა.

იქ, „ფუქსების“ სიახლოვეს, ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა. ზედამხედველებს წრეში მოექციათ ორი პატიმარი და გააფთრებულები, მუშტებს უშენდნენ. ბრძოლას თვალს ადევნებდნენ ოთახებიდან გამოსული ადვოკატები, გამომძიებლები და ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები. მაგრამ რომელიმე მათგანს შეტაკებაში ჩარევა და ჩხუბის შეჩერება არც უცდია. ვიდრე ნანა მომხდარში გაერკვეოდა, ზედამხედველებმა იმარჯვეს და ჩხუბის წამომწყები პატიმარი შებოჭეს, მკლავები ზურგს უკან გადაუგრიხეს და გზას გაუყენეს. ადვოკატმა მხოლოდ მაშინ იცნო ზედამხედველებს შორის მოქცეული პატიმარი, რომელიც ლანძღვა-გინებით მიჰყავდათ. ეს მისი დაცვის ქვეშ მყოფი გიო ჭელიძე იყო.

— რა მოხდა? — ნანა სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა დერეფანში დარჩენილ ზედამხედველებს.

— თქვენი პატიმარია? — კითხვა



დაუბრუნა ერთ-ერთმა მათგანმა.

— დიახ, — დაუდასტურა ნანამ.

— რისთვის იცავთ ასეთ არაკაცებს?! — ბრაზით შენიშნა ზედამხედველმა. — კარგად ვიცი, როგორც ვძულვართ ჩვენ, მაგრამ ერთმანეთსაც რომ ცოფიანი ძაღლებივით ეკიდებიან?!. კინაღამ მოკლა თავისი „პადელნიკი“!.. დამპლები! გარეთ ათასგვარ უბედურებას მოახდენენ, შემდეგ აქ ხოცავენ ერთმანეთს და პასუხი ჩვენ უნდა ვაგოთ!..

— „პადელნიკი“?.. — დაიბნა ნანა.

— ჰო, — თავი დაუქნია ზედამხედველმა. — ეს „ფუქსში“ მოჰყავდათ, მეორე კი — იქიდან გამოჰყავდათ. როგორც კი ერთმანეთს გაუსწორდნენ, ჭელიძე თავის „პადელნიკს“ ეცა და ცხვირი ჩაუმტვრია...

— გორგაძე მაგრად დაშავდა?

— ცხვირი აქვს ჩამტვრეული. დანარჩენი შეგიძლიათ, „ბალნიჩკაზე“ გაარკვიოთ — იქ გადაიყვანეს...

— ჭელიძე?

— იმას რისთვისღა კითხულობთ? — უკმაყოფილო მზერა ესროლა ზედამხედველმა.

— ვნახე, როგორც გაიყვანეთ აქედან.

— არ გიკვირთ, რომ საერთოდ არ მოვკალით?.. — ბრაზით ისროლა ზედამხედველმა. — დღეს თავის „პადელნიკს“ ჩაუმტვრია ცხვირი, ხვალ — ზედამხედველს დაესხმება თავს...

— სად წაიყვანეს? საკანში? — არ დაასრულებინა ნანამ.

— საკანში, არა!.. — ჩაიბურტყუნა ზედამხედველმა. — მაგას არაფერი ესაქმება ადამიანებთან. ნადირივით გალიაში უნდა გამოაწყვდიონ!

— სად წაიყვანეს? — კითხვა გაუმეორა ნანამ.

— კარცერში! — ბრაზით დაასრულა ზედამხედველმა და ადვოკატს ზურგი შეაქცია.

გივი, ნიკასთვის მოულოდნელად ეწვია სამმართველოს. მას ჯერ კიდევ ეძინა, როდესაც მისი უშუალო ხელმძღვანელი, რომანის თანხლებით, კაბინეტში შევ-

იდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, თბილისში მისი ჩამოსვლა საქმის ძიებასთან იყო დაკავშირებული.

სამმართველოს უფროსი იმდენად ჩქარობდა, რომ ნიკას გამოფხიზლებაც არ აცალა. სასწრაფოდ, წესრიგში თავის მოყვანა და თათბირისთვის მომზადება უბრძანა.

— რომელი თათბირისთვის? — გაუკვირდა ნიკას. ის თბილისში მივლინებით იმყოფებოდა, თანაც ოფიციალურად, ძიებას გივის სამმართველო აწარმოებდა და ნიკასთვის გაუგებარი იყო, თუ გივის გარდა, ვისთვის უნდა ჩაებარებინა ანგარიში.

— ვითარება შეიცვალა. საქმე თბილისის სამმართველომ გამოითხოვა. ამისთვის გამომიძახეს თბილისში. ცხრა საათზე შედგება თათბირი, რომელსაც შენც უნდა დაესწრო, — უპასუხა გივიმ.



— რატომ? — მოიღრუბლა ნიკა. ეს მართლაც, უსიამოვნო ცნობა იყო მისთვის. საქმე ის იყო, რომ მამამისი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მაღალჩინოსანი იყო და ამიერიდან ნიკას მამის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ მოუწევდა ძიების გაგრძელება. სწორედ ამან დააფიქრა ნიკა, რადგანაც ხვდებოდა, რომ მამა თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ მისცემდა.

— რას ხედავ ამაში უცნაურს? — ჰკითხა გივიმ.

— დანაშაული ჩვენი სამმართველოს მოკვლევის ზონაში მოხდა. ფაქტი ჩვენ დავაფიქსირეთ და საქმეც ჩვენ აღვძარით...

— ბავშვური არგუმენტებია, — ხელი ჩაიქნია გივიმ, — ოთხი დაღუპულიდან სამი — თბილისელია, ერთი კი — ბათუმელი. თანაც, ბერიძეს არაფერი აკავშირებდა დანაშაულთან, ის მხოლოდ მძღოლი იყო. შენ მიერ მოპოვებული მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ თავდამსხმელები თბილისში უნდა ვეძებოთ და რომ ძიებაც ძირითადად, აქ წარიმართება... ახლა კი, შენ თვითონ მიპასუხე — რა უნდა მოემოქმედებინა სამინისტროს — თბილისის სამმართველოსთვის გადაეცა ძიება თუ მთელი ჩემი საგამოძიებო სამსახური თბილისში გადმოესროლა?..

ნიკამ დუმილით უპასუხა. ის თავადაც კარგად ხვდებოდა, რომ თბილისის სამმართველოსთვის საქმის გადმოცემა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო.

— მამასთან სიახლოვეს გაურბიხარ?.. — მიუხვდა გივი ნიკას.

— ჰო, — გულახდილად უპასუხა მან.

— რატომ?

— დავითი არ მომცემს თავისუფლად მოქმედების საშუალებას.

— და მართალიც იქნება, — პაუზის შემდეგ უპასუხა გივიმ.

— რატომ? იმიტომ, რომ მამაჩემია?.. — გაღიზიანდა ნიკა.

— არა... — თავი გააქნია გივიმ. — იმიტომ, რომ სამმართველოში შენზე გამოცდილი ბევრი გამომძიებელი ჰყავს...

— მე რაიმე შეცდომა დავუშვი?

— ეს თათბირზე გაირკვევა. კარგად მოემზადე. აქამდე ძიება შენ მიგყავდა და ყველა კითხვასაც შენ დაგისვამენ... ოც წუთში მეათე სართულზე გელოდები, — თქვა გივიმ და კაბინეტი დატოვა.

ნიკა უხერხულად გრძნობდა თავს დავითის სამუშაო კაბინეტში. ეს მისთვის პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მამასა და მის თანამშრომლებს ისე ხვდებოდა, როგორც ხელმძღვანელებს. თანაც, დავითს ოფიციალურად ეჭირა თავი და მომთხოვნი ტონით მიმართავდა.

თათბირის დასაწყისში დავითმა დაწვრილებით გამოჰკითხა საქმის არსი. შემდეგ რამდენიმე კითხვა მისმა თანამშრომლებმაც დაუსვეს. ბოლოს, ისევ დავითმა განაგრძო ლაპარაკი:

— კიდევ გაქვთ კითხვები?

თანამშრომლებმა დუმილით უპასუხეს.

— კეთილი, — მაშინ, დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს, — დავითმა თანამშრომლებს მოავლო მზერა და შემდეგ დაამატა: — ჩვენთვის საქმის გადმოცემის საკითხი სამინისტროსა და გენპროკურატურაშია შეთანხმებული. ჩვენ მხოლოდ საგამოძიებო ჯგუფის შექმნა გვევალება, რომელსაც პროკურატურა უხელმძღვანელებს. ეს ჯგუფი პრაქტიკულად, შექმნილია. გადასაწყვეტია მხოლოდ ერთი — მისთვის საქმის გადაცემის საკითხი. როგორია თქვენი აზრი?

— ჩვენ თანახმა ვართ, — უპასუხეს თათბირის მონაწილეებმა.

— კეთილი, — ჩაილაპარაკა დავითმა. შემდეგ, ნიკას გახედა და უთხრა:

— საქმეს რომან წილოსანს გადასცემ.

ნიკა არ ელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. ის ხვდებოდა, რომ დავითი გარკვეულწილად, შეზღუდავდა, მაგრამ ის კი არ უფიქრია, რომ საერთოდ ჩამოაშორებდა საქმის წარმოებას.

— მე?.. — მცირე პაუზის შემდეგ იკითხა ნიკამ.

— რას მეკითხები? — მისკენ გაუხედავად, კითხვითვე უპასუხა დავითმა.

— ძიება უჩემოდ გაგრძელდება?

— ჰო... შენ გივისთან ერთად, სამტრედიაში დაბრუნდები და სხვა საქმეს მიიღებ, — უპასუხა დავითმა.

ნიკა მიხვდა, რომ მამას ეს გადაწყვეტილება კარგა ხნის წინ ჰქონდა მიღებული. მაგრამ მაინც არ შეეკამათა. მან უხმოდ გადასცა საქაღალდე რომანს და კაბინეტიდან გავიდა.

ოციოდე წუთის შემდეგ, დავითის თანამშრომლებმა კაბინეტის დატოვება დაიწყეს. ისინი მარტო ან ორ-სამკაციან ჯგუფებად გამოდიოდნენ დერეფანში. მაგრამ მათ შორის არ ჩანდნენ გივი და რომანი. დერეფანში მყოფ ნიკას კი გადაწყვეტილი ჰქონდა, მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ დალაპარაკებოდა მამას, ამიტომაც მოთმინებით ელოდა კაბინეტიდან მათ გამოსვლას და ამავე დროს, დავითის გადაწყვეტილების მიზეზის ამოცნობას ცდილობდა.

„რატომ მოიქცა ასე?.. — ეკითხებოდა ნიკა საკუთარ თავს და დერეფანში ბოლთას სცემდა, — მას ხომ თავად სურდა, რომელიმე სერიოზული საქმის ძიებაში მიმეღო მონაწილეობა. ამის შესახებ გივიც კი გაფრთხილა. ეს საქმე სწორედ ისეთია, როგორიც მას სურდა, რომ გამომეძიებინა... მისი გახსნა პროკურატურაში გადასვლას გამიადვილებდა... გივი მენდო. ძიებაც კარგად

მიდიოდა... ასეთი საქმე არავის გაუხსნია ერთ ან ორ კვირაში. მაქვს ხელჩასაჭიდი მონაცემები... და ყოველივე ამის შემდეგ, მამა თავად მაშორებს ამ საქმეს!.. თანაც, თბილისში საქმის გადმოტანა და ახალი საგამოძიებო ჯგუფის შექმნა არაფერ შუაშია. მას არც კი შემოუთავაზებია ჩემთვის ახალ ჯგუფში ჩართვა. ჩემთან შეთანხმების გარეშე, თავად გადაწყვიტა ყველაფერი!.. არადა, სამტრედიიდან ერთი გამომძიებელი მაინც უნდა მონაწილეობდეს გამოძიებაში — ის, ვინც თავიდანვე იყო ჩართული. ასეთი კი — მე ვარ: მე თავიდან ვიძიებდი ამ საქმეს და ყველაზე მეტიც მე ვიცი... მაგრამ მამამ მაინც ჩამომაშორა ამ საქმეს! რატომ?... იქნებ, ნამუშევარი არ მოეწონა, უფრო მეტს ელოდა ჩემგან და არ სურდა, რომ ეს საქმე ლაქად დასდებოდა ჩემს პირად საქმეს?.. არა... არა... აქამდე ერთი შეცდომაც არ დამიშვია. ამის შესახებ გივი გამაფრთხილებდა და თათბირზეც მომცემდნენ შენიშვნას... მაშინ, რაშია საქმე?.. თათბირზე მამამ ყველას აგრძნობინა, რომ ეს გადაწყვეტილება უფრო მაღალ დონეზე მიიღეს — სამინისტროში ან გენპროკურატურაში. მაგრამ ეს არ არის სიმართლე. მართალია, ის სხვისი განკარგულებით მოქმედებდა, მაგრამ ეს განკარგულება მხოლოდ საქმის თბილისში გადმოტანასა და საგამოძიებო ჯგუფის შექმნას უკავშირდებოდა და არა — მე. სამინისტროში და გენპროკურატურაში არავის მოუვიდოდა აზრად ძიებისთვის ჩემი ჩამოშორება. ეს თავად მამამ გადაწყვიტა და...“

— ნიკა! — მოულოდნელად გაისმა დერეფანში.

ნიკა ამ ხმისკენ შებრუნდა. მის წინაშე რომანი იდგა.

— გეწყინა?.. — ჰკითხა მან.

— ჰო...

— მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ.

— ვიცი, — თავი დაუქნია ნიკამ, — ეს შენთვისაც მოულოდნელი იყო... თათბირი დამთავრდა?

— დამთავრდა, — რომანმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — დავითი თავისთან გიბარებს.

— მარტოა? — გამოცოცხლდა ნიკა.

— არა, გივიც კაბინეტშია. წამოდი, — თქვა რომანმა და კარისკენ მიბრუნდა.

...ნიკას დანახვაზე, დავითმა გივისთან ლაპარაკი შეწყვიტა და ჟესტით ანიშნა: ჩემ პირდაპირ დაჯექიო.

— შენ დღესვე უნდა დაბრუნდე სამტრედიაში და გამგზავრებამდე შენთან დალაპარაკება მინდა, — განაგრძო დავითმა, როგორც კი ნიკა დაჯდა.

— მეც მინდა შენთან დალაპარაკება, — მიუგო ნიკამ და თან, შეფარული მზერა ესროლა გივის, რითიც მამას აგრძნობინა, პირისპირ საუბარი მსურსო.

— რაზე გსურს საუბარი?

— ამ საქმეზე, — საქაღალდეზე მიანიშნა ნიკამ.

— ეს სამსახურს ეხება და მე გივისგან დასამალი არაფერი მაქვს... რა გინდა მითხრა?

— რატომ ჩამომაშორე ძიებას?

— ამას, როგორც მამას მეკითხები, თუ როგორც პოლიციელს?

— ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? — ჰკითხა ნიკამ.

— აქვს...

— მაშინ გეკითხები, როგორც პოლიციელს.

— შენ არ გაგაჩნია ასეთი საქმის გამოძიებისთვის საჭირო გამოცდილება...

— მე რაიმე შეცდომა დავუშვი?

— არა, — თავი გააქნია დავითმა, — მაგრამ მე მაინც უკმაყოფილო ვარ შენით. ამ დროში გამომძიებელს მეტი უნდა გაეკეთებინა.

— მაგალითად, რა?

— ნიკა, მე არ ვაპირებ შენი მოქმედებების განხილვას. როგორც პოლიციელი და შენი ხელმძღვანელი, მეტს ველოდი შენგან! — მკაცრად წარმოთქვა დავითმა.

— ამ საქმეს პირველი წუთებიდანვე ვიძიებდი. ჰო, გეთანხმები რომ არა მაქვს დიდი გამოცდილება. მაგრამ საქმისგან ჩამოშორებით, მით უმეტეს ვერ შევიძენ ამ გამოცდილებას, — არ შეეპუა ნიკა.

— გამოცდილებას წლების განმავლობაში იძენენ. ამის შესაძლებლობას კი, გივი მოგცემს!

— რამდენადაც მახსოვს, შენ არ გეგმავდი წლების განმავლობაში სამტრედიაში ჩემს დატოვებას... — შვილმა მათ შორის სამტრედიაში გამგზავრებამდე შემდგარი საუბარი შეახსენა მამას. ნიკა არ იყო აღფრთოვანებული თბილისიდან პერიფერიაში გადასვლით. მაგრამ მაშინ დავითმა აღუთქვა, რომ იქ მხოლოდ რამდენიმე თვით დატოვებდა და მალე პროკურატურაში გამოუნახავდა ახალ თანამდებობას.

— შენ სამტრედიაში მხოლოდ რამდენიმე კვირა გაატარე. ძალიან მალე მოგნდომებია თბილისში დაბრუნება!..

— მე არ დამითვლია დღეები და ერთხელაც არ მითხოვია შენთვის თბილისში გადმოყვანა...

— მაშ, ახლა რას მთხოვ? — გაიკვირვა დავითმა.

— არაფერს.

— არაფერს?!

— ჰო. მე მხოლოდ მინდა, დამაბრუნო საქმეში, რომელსაც ვიძიებდი!

— რით მიგიზიდა ასე ამ საქმემ?

— მე გამომძიებელი ვარ, — უპასუხა ნიკამ, — და მინდა, ბოლომდე მივიყვანო საქმე, რომელიც დავიწყე.

— საქმე!.. — გაეცინა დავითს. — რას ამბობ, ნიკა?.. ოდესმე, რომელიმე საქმე ბოლომდე მიგიყვანია?!

— მე შევიცვალე, მამა, და ძალიან გთხოვ, ნუ შემიშლი ხელს იმაში, რისი გაკეთებაც მინდა!

— კეთილი, კმარა!.. ჩავთვალოთ, რომ საკმაო შთაბეჭდილება მოახდინე ჩემზე. მოითმინე ცოტა ხანიც და თბილისში გადმოგიყვან, — თქვა დავითმა.

— მამა! — ნიკამ უკმაყოფილო მზერა ესროლა დავითს. — შენ გგონია, რომ შენზე შთაბეჭდილების მოსახდენად, აქ რაღაც წარმოდგენა მოვაწყვე?!.

დავითმა დუმილით უპასუხა.

ნიკამ მძიმედ წამოიწია სკამიდან, მზერა გაუსწორა დავითს და თქვა:

— მამა, არ ჩამომაშორო ამ საქმეს!..

— მე უკვე ვთქვი სათქმელი და შენ დღესვე დაბრუნდები სამტრედიაში! — ცივად ისროლა დავითმა.

— არა... — უარის ნიშნად, ნიკამ თავი გააქნია.

— არ დაბრუნდები?! — მოიღრუბლა დავითი.

— არა... — გაიმეორა ნიკამ.

— მაშ, რას იზამ?

— მთელი ცხოვრება შენი მითითებებით ვმოქმედებ. შენი სურვილით ჩავირიცხე იურიდიულზე, წავედი სამტრედიაში, ვემზადებოდი პროკურატურაში გადასასვლელად... ჩემს ცხოვრებაში პირველად, რაღაც გავაკეთე შენგან დამოუკიდებლად — ის, რამაც, მართლაც დამაინტერესა... მე ძალიან მინდოდა, მეწარმოებინა ამ საქმის გამოძიება. არა იმიტომ, რომ შენთვის პროკურატურაში ჩემი გადაყვანა გამეადვილებინა. უბრალოდ, შენთვის და საკუთარი თავისთვის მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ მართლაც, შემიძლია რაღაც. მაგრამ შენ ამის საშუალება არ მომეცი. ამიტომ, მეც არ მოგცემ ჩემი მართვის საშუალებას...

— კმარა, ნიკა! — ბრაზით წამოიძახა დავითმა. — შენ დღესვე დაბრუნდები სამტრედიაში და შემდეგ, რამდენიც გინდა, მიმტკიცე, რა შეგიძლია და რა — არა!..

— არა, მამა! მე სამტრედიაში არ დავბრუნდები და საერთოდ, თავს დავანებებ ამ სამსახურს!..

— რა თქვი?! — წამოწითლდა დავითი.

— საგამოძიებო სამსახურს თავს დავანებებ.

— და ძველებურად გააგრძელებ ცხოვრებას?.. ანუ — ჩემს ხარჯზე!.. — ბრაზით ისროლა დავითმა.

— არა... მე იურისტი ვარ და სამსახურის მოძებნა არ გამიჭირდება, — ნიკამ პაუზა გააკეთა, შემდეგ, გივის მიუბრუნდა და უთხრა: — მაპატიეთ, ბატონო გივი. განცხადებას სამსახურიდან წასვლის შესახებ გარეთ დაგახვედრებთ.

— ნიკა! — წამოიძახა დავითმა, მაგრამ შვილს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. როგორც კი გივის სათქმელი უთხრა, შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა მამის კაბინეტიდან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უცნობი ხუროთმოძღვრის შედევრი, ლეგენდა მეფე დავითის მიერ მორჯულებული ეშმაკის შესახებ და წმინდა ნაწილების სავანე – გელათის მონასტერი

გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტერი იმერეთში, ტყიბულის რაიონში, მდინარე წყალწითელას მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. სამონასტრო კომპლექსში შედის ხუთი მოქმედი ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო და სხვა ნაგებობები. გელათის მონასტერი მთის ფერდობის ხელოვნურად მოსწორებულ მოედანზე დგას. აღმოსავლეთის მხრიდან მას მთის კალთა იფარავს, ჩრდილო-დასავლეთი კავკასიონის თოვლიან მწვერვალებამდე გადაშლილ ვრცელ ხეობას გადაჰყურებს...

მორენა მერკვილაძე

გელათის მონასტერი დაარსებულია XII საუკუნეში, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ. მისი მშენებლობა 1106 წელს დაიწყო, ქუთაისთან ახლოს, მდინარე წყალწითელას ხეობაში: „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა“. ისტორიული წყაროების მოწმობით — „ახალ მონასტერს დავით აღმაშენებელმა უწოდა გენაათი, და აწ უწოდებენ გელათს“.

გელათის მონასტერი მდინარე წყალწითელას ხეობიდან ამოზიდული უზარმაზარი ლოდებისგან გამოთლილი ქვებითაა აგებული. ტაძრის ხუროთმოძღვრის სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა, მაგრამ ცნობილია, რომ მთავარი ტაძრის დაგეგმვასა და მშენებლობაში დავით აღმაშენებელს თავად მიუღია მონაწილეობა — იგი ყოფილა მთავარი ქვის მთლელიცა და ქვათამტვირთველიც. გადმოცემის თანახმად, მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელში ჩატანებული ორი უზარმაზარი ლოდი დავით მეფეს საკუთარი ზურგით ამოუტანია მდინარე წყალწითელადან. შემდეგ კი დარუბანდიდან ჩამოუტანია უზარმაზარი კარი და მონასტრის გალავანზე დაუკიდებია.

როგორც ერთ-ერთი თქმულება გადმოგვცემს, როდესაც დავით აღმაშენებელმა გელათის მშენებლობა წამოიწყო, ეშმაკმა მოინდომა, ამ წმინდა საქმეში მისთვის ხელი შეეშალა — რამდენჯერაც ააშორეს კედლები ბალავარს, იმდენჯერ დაანგრია. ღვთივსათნო ცხოვრებით მცხოვრები მეფე მიხვდა, რომ ამ საქმეში ბოროტი სულის ხელი ერია და მისი ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. ერთ დღესაც ჯამი წყლით აავსო და ბალავრის მახლობლად დადგა. შებინდდა თუ არა, ბალავრის კუთხესთან ჩამოჯდა, რათა საკუთარი თვალით ეხილა, თუ რა მოხდებოდა. შუაღამისას მართლაც გამოჩნდა ეშმაკი და კედლების დანგრევა დაიწყო. მალევე შეამჩნია წყლიანი ჯამი და მასთან მივიდა. დავითი სამალავიდან გამოვიდა და ხელი სტაცა. ეშმაკი ჯორად გადაიქცა და გაქცევა სცადა, მაგრამ მეფემ ლაგამი ამოსდო და ზურგზე მოახტა. ამის შემდეგ, ჯორი გვერდიდან აღარ მოუშორებია; ასე დაიმორჩილა ბოროტი სული და მონასტრის მშენებლობის საქმეც წინ წავიდა.

ჯორი მორჩილად ემსახურებოდა დავით მეფეს. ცუდ გზაზე სიარულის დროს, ისე სიმწრით ადგამდა ფეხს, რომ კვალი რჩებოდა (იმერეთში ერთ კლდეზე დღესაც შემორჩენილია ნიშანი, რომელსაც ჯორის კვალს, ასევე ეშმაკის ნაფეხურს ეძახიან).

დავით მეფე საკუთარი ხელით უვლიდა ჯორს, წყლის დასალევადაც კი თვითონ მიჰყავდა. ფრთხილობდა — ეშმაკი ვინმეს მოატყუებს და გაექცევაო. ერთხელ მოხდა ისე, რომ დავითმა ჯორი დასარწყლულებლად მეჯინიბეს გაატანა, თან გააფრთხილა — არავითარ შემთხვევაში აღვირი არ აჰყაროო. როდესაც მეჯინიბემ ჯორი წყალთან მიიყვანა, მან თავი მაღლა ასწია და წიხლების სროლას მოჰყვა. ალბათ აღვირი უშლისო, იფიქრა მეჯინიბემ და აჰყარა. ჯორი სწრაფად ჩახტა წყალში და გაუჩინარდა...

გელათში ტაძრის მშენებლობასთან ერთად, დავით მეფემ აკადემიის აშენებაც დაიწყო. განზრახული ჰქონდა, იქ შეეკრიბა საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები და გელათი მეორე ათენად ექცია. მართლაც, ბრძენმა მეფემ იქ დააარსა პირველი აკადემია საქართველოში და „შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა“, მათ შორის იყვნენ სახელგანთქმული ქართველი ღვთისმეტყველნი — იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

მთავარი ტაძრისა და აკადემიის გარდა, დავით აღმაშენებლის ბრძანებით გელათში კიდევ ერთი ნაგებობა — ქსენონი (საავადმყოფო) აშენდა. დროს გამონახავდა თუ არა, ღვთისმოსავი მეფე სნეულთა მოსანახულებლად თვითონვე მიდიოდა — მოიკითხავდა, გაამხნევებდა მათ, საკუთარი ხელით ამოწმებდა მათ სამოსელს, საგებ-საძინებელსა და საჭმელ-სასმელს.

დავით მეფემ გელათის მონასტრის მშენებლობის დასრულება ვერ მოასწრო. ანდერძის თანახმად, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა თავის მემკვიდრეს — დემეტრეს დაავალა. დემეტრეს ძალისხმევით, მშენებლობა 1130 წელს დასრულდა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ღვთისმშობლის შობის სახელზე აკურთხა.

გელათის მონასტრის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობისთვის ზრუნვა არც დემეტრე I-ის შემდგომ შეუწყვეტიათ საქართველოს მეფეებს. მის კეთილდღეობაზე გიორგი III, თამარი, ლაშა-გიორგი და სხვა გვირგვინოსნები ზრუნავდნენ. გელათის მონასტერი საქართველოს მეფეთა საძვალედაც იქცა. პირველად იქ წმინდა დავით აღმაშენებელი დაკრძალეს, მისივე ანდერძის თანახმად.

ამის შესახებ დავით აღმაშენებლის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერაც გვამცნობს: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ესე მთნავს; აქა დავემკვიდრო მე“. იქვე არიან დაკრძალულნი ერთიანი საქართველოს მეფეები: დემეტრე , გიორგი , ლაშა-გიორგი, დავით ნარინი, გიორგი ბრწყინვალე, ასევე იმერეთის მეფეები: ბაგრატ , გიორგი , გიორგი , გიორგი V, ალექსანდრე V.

გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის შობის სახელობისაა, იგი სამონასტრო კომპლექსის ცენტრში მდებარეობს. ტაძრის ძირითადი კორპუსი დავით აღმაშენებლის პერიოდშია აგებული, მინაშენები კი, მომდევნო ხანას განეკუთვნება. მის აღმოსავლეთით აღმართულია წმინდა გიორგის გუმბათოვანი ეკლესია. იგი X საუკუნის დასაწყისშია აგებული. ტაძრის ფრესკები ძირითადად, ლურჯ ფონზეა შესრულებული. 1545 წელს წმინდა გიორგის ეკლესია ბაგრატ მეფეს განუახლებია და თავის საძვალედ გაუხდია. იქვეა დაკრძალული ბაგრატ მეფის მეუღლეც. სამწუხაროდ, დღესდღეობით მათი საფლავები დაკარგულად მიიჩნევა.

XV საუკუნის მეორე ნახევარში, კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს, რის შემდგომაც წმინდა გიორგის ეკლესია საკათოლიკოსო ტაძრად გამოცხადდა. 1787 წელს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მაქსიმე აბაშიძემ, გელათის წმინდა გიორგის ტაძარი ცალკე გამოყო, როგორც საწინამძღვრო და საკათოლიკოსოსგან გათავისუფლა. 1826 წლიდან წმინდა გიორგის ტაძარი ცალკე — გელათის წმინდა გიორგის მონასტრად იხსენიება, რომელმაც XX საუკუნის პირველ ნახევრამდე იარსება, შემდეგ დაიხურა და 1988 წლამდე იქ აღარ განუახლებიათ ღვთისმსახურება.

რაც შეეხება წმინდა ნიკოლოზის ტაძარს, — ის X საუკუნის ბოლოსაა აგებული და ერისთავთა საძვალეს წარმოადგენს. ამავე საუკუნეში აუგიათ გელათის მონასტრის სამსართულიანი სამრეკლოც. სამონასტრო კომპლექსში ასევე შედის X საუკუნეში აგებული წმინდა ელია წინასწარმეტყველის ტაძარი და წყაროცხოვლობის ტაძარი, სადაც დაბრძანებულია ღვთისმშობლის „წყარო ცხოვრებისად“ წოდებული ხატი.

გელათის სამეცნიერო აკადემიამ, რომელიც 1106 წელს დაარსდა, XV საუკუნის 20-იან წლებამდე იარსება, თუმცა გელათს სამეცნიერო-ლიტერატურული მნიშვნელობა არაც ამის შემდგომ დაუკარგავს. ჟამთა სვლის შედეგად, აკადემიის შენობაც დაზიანდა. ამჟამად მიმდინარეობს მისი აღდგენა.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, გელათის მონასტერი შედარებით დაცული იყო დამპყრობელთა თავდასხმებისგან, სწორედ ამის გამო იქ ინახებოდა მრავალი საეკლესიო სიწმინდე — ხახულის, აწყურისა და ბიჭვინთის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატები და სხვა, თუმცა რამდენჯერმე მაინც განიცადა უცხოელ თავდამსხმელთაგან რბევა-აწიოკება. 1510 წელს დასავლეთ საქართველოს ოსმალები შემოესივნენ, დარბევას ვერც გელათის მონასტერი გადაურჩა: „გარნა მოსულთა ოსმალთა დაწუეს ქუთაისი და გელათი, დაწვეს დიდი მონასტერი შიგნით და გარეთ“, — გვამცნობს ისტორიული წყაროები. ამ თავდასხმისას დაარბიეს ქართველ მეფეთა აკლდამები, ოსმალთა მიერ გაჩაღებულმა ხანძარმა კი, ტაძრის მოხატულობა დააზიანა. საბედნიეროდ, მონასტერში მოღვაწე ბერებმა ძვირფასი ხატების გადამალვა მოასწრეს და სიწმინდეები განადგურებას გადაარჩინეს.

ოსმალთა მიერ აოხრებული მონასტერი იმერეთის მეფემ — ბაგრატ -მ განაახლა. მისი თაოსნობით აღდგა წმინდა გიორგის ეკლესია, მოხატეს ღვთისმშობლის შობის ეკლესიის კედლები, გააკეთეს ქვის კანკელი, სამკვეთლოს მაგიდა და სხვა. ამის გამო ბაგრატ მეფეს გელათის „მეორედ აღმაშენებელი“ უწოდეს. აღდგენით სამუშაოებს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე ხელმძღვანელობდა.

დავით აღმაშენებლის საფლავი

ამის შემდეგ გელათის მონასტრის აღდგენა-განახლებაზე ზრუნავდნენ მეფეები: გიორგი , გიორგი V, ალექსანდრე V.

1759 წლის 10 აგვისტოს გელათის მონასტერს ლეკები დაესხნენ თავს, ცეცხლი წაუკიდეს და მნიშვნელოვნად დააზიანეს. მის აღდგენა-განახლებაზე მეფე სოლომონ -მა და სოლომონ -მ იზრუნეს.

გელათის მონასტერში სამონასტრო ცხოვრება 1923 წლამდე მიმდინარეობდა, შემდეგ დახურეს და ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალად გადააქციეს. სამონასტრო ცხოვრება 1988 წლიდან განახლდა, ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტის კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 1994 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია -ის ლოცვა-კურთხევით, ამოქმედდა გელათის სასულიერო აკადემია. 1995 წელს კი, საქართველოს საპატრიარქოს ბაზაზე, გელათის მეცნიერებათა აკადემია დაარსდა.

გელათის მონასტერში მრავალი საეკლესიო სიწმინდე ინახებოდა, ჯერ კიდევ მშენებლობის დასრულებამდე დავით აღმაშენებელმა წმინდა მამებს — იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელს, ათონის წმინდა მთიდან ცამეტი წმინდანის წმინდა ნაწილები ჩამოატანინა: წმინდა დიმიტრი თესალონიკელის თავის ქალა; წმინდა გიორგის თავის ქალის ნაწილი; წმინდა თეოდორე ტირონის მთლიანი პირისახე; ასევე წმინდა თეოდორე სტრატილატის წმინდა ემილიანეს, წმინდა სამსონ ძლიერის, წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის, წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა თომა მოციქულის, წმინდა თეოქტიდესა და წმინდა ბენედიქტეს წმინდა ნაწილები. ორი წმინდა ნაწილის წარმომავლობის აღმნიშვნელი ვერცხლის ფირფიტა დაკარგულია, ამიტომ უცნობია, რომელი წმინდანებისაა ისინი.

ათონიდან ჩამობრძანებული წმინდა ნაწილების გარდა, გელათის მონასტერში კიდევ არაერთი ქრისტიანული სიწმინდე ინახებოდა. გადმოცემის თანახმად, მოგვების მიერ ახალშობილი მაცხოვრისადმი მირთმეული ოქროც გელათის მონასტერში იყო დაცული. იქვე ინახებოდა გელათის ღვთისმშობლის ხატი, რომლის საზურგეზეც 57 წმინდა ნაწილია მოთავსებული (მათგან მხოლოდ ორ წმინდა ნაწილს აქვს შემორჩენილი ვინაობის აღმნიშვნელი ვერცხლის ფირფიტა (ხატი ამჟამად ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული).

1859 და 1904 წლებში გელათის მონასტერი შეიარაღებულმა პირებმა დაარბიეს და მრავალი საეკლესიო სიწმინდე გაიტაცეს. ნაწილი კი, რაც მძარცველებს გადაურჩათ, მომდევნო წლებში ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გადაიტანეს, მათ შორის იყო ათონის წმინდა მთიდან ჩამობრძანებული წმინდა ნაწილებიც, რათა განადგურებისგან ეხსნათ. ასე შემოინახა დღემდე. ■

შოთა არველაძე – «აიაქსის» აქციონერი მისტერ ბინი

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში შოთა არველაძე საქართველოს ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ. იგი ერთადერთი ქართველია, რომელმაც ეროვნული ნაკრების მაისურით მეტოქის კარი სამ-სამჯერ (ჰეთთრიკი შეასრულა) აიღო, თანაც ეს ორ მატჩში მოახერხა: ერთხელ — სომხეთთან ამხანაგურ თამაშში, ხოლო მეორედ — ფარერების წინააღმდეგ, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში. საერთო ჯამში, შოთამ ნაკრების მაისურით მეტოქეთა კარი 25-ჯერ დალაშქრა და ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებას ჩვენებურთაგან ალბათ დიდხანს ვერავინ შეძლებს. 2004 წლის მიწურულს, საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, შოთა მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირთა პირველ ათეულში მოხვდა. აღნიშნულმა ფედერაციამ მაშინ მოქმედი ფეხბურთელების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში გატანილი გოლები დაითვალა. გასულ სეზონში, ის ერთხელ, თვის ევროპის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და ასეთი პატივი არველაძეს „აიაქსში“ თამაშის დროსაც რგებია. შოთა რომ ევროპაში საკმაოდ მაღალი რეიტინგით სარგებლობს, ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ შარშან პორტუგალიელმა ლუშ ფიგუმ ის მადრიდში, „რეალსა“ და მსოფლიო ნაკრებს შორის გამართულ ამხანაგურ მატჩზე მსოფლიოს ნაკრებში მიიწვია. მაშინ, ფიგუმ მადრიდული კლუბი ოფიციალურად დატოვა და გამოსათხოვარი შეხვედრა გამართა...

ლაშა თაბაგარი

პირველი ნათლობა ქუთაისში

— ფეხბურთელად რომ ჩამოვყალიბდი, პირველ რიგში, ამაში თავისი წვლილი მშობლებს მიუძღვით. მე და ჩემი ტყუპისცალი არჩილი, ბურთზე უზომოდ ვიყავით შეყვარებულები. უფროსი ძმა — რეზო უკვე ფეხბურთის სექციაში ვარჯიშობდა, როცა ჩვენ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ავაზაში“ მივედით. ამ დროს მხოლოდ ექვსი წლის ვიყავით. შემდეგ წვრთნა 35-ე საფეხბურთო სკოლაში გავაგრძელეთ... 1990 წლის დასაწყისში, დავით ყიფიანმა თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში ამიყვანა, მაგრამ ქართული ფეხბურთი საკავშირო ჩემპიონატს გამოეთიშა და მეც იძულებული გავხდი, გუნდი დამეტოვებინა. თამაში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგის გუნდ „მართვეში“ გავაგრძელე, რომლის პრეზიდენტიც კოტე გაბაშვილი გახლდათ. იქ თითქმის ერთი წელი გავატარე და საქართველოს თასზე „დინამოს“ გოლიც გავუტანე. მომდევნო წელს ყიფიანმა აჩიკოსთან ერთად თბილისის „იბერიაში“ (მაშინ ასე ერქვა „დინამოს“) მიმიწვია. ახალ გუნდში პირველი გოლი ქუთაისის „ტორპედოს“ კარში სტუმრად, ჩემს სადებიუტო მატჩში გავიტანე და მიმაჩნია, რომ იგი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლავთ. 1993 წელს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად „დინამომ“ ევროტურნირებზე იასპარეზა და ჩემპიონთა ლიგაზე ჩრ. ირლანდიის „ლინფილდს“ შეეხვდით. პირველი მატჩი თბილისში ჩავატარეთ და სტუმართა კარში გატანილი ბურთი დღემდე მახსოვს.

იმავე წელს „დინამო“ თურქეთში გაემგზავრა და „ტრაბზონსფორის“ მეორე გუნდთან ამხანაგური შეხვედრის ჩატარების შემდეგ, რომელიც 6:1 მოვიგეთ, მასპინძლებმა, თამაშის შემდეგ, მე, შოთას და რეზოს ამ გუნდში დარჩენა შემოგვთავაზეს. რეზომ უარი თქვა და ძმების თათბირზე გადავწყვიტეთ, რომ მე და შოთა დავრჩებოდით. მაშინ „ტრაბზონსფორი“ ჩემპიონატში მე-13 ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ მომდევნო სეზონებში თურქეთის თასი და სუპერთასი მოვიგეთ, აგრეთვე, ქვეყნის პირველობაზე ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. პირველსავე წელს საუკეთესო დებიუტანტებად, ლეგიონერებად და ფორვარდებად გვაღიარეს. გარდა ამისა, მე და აჩი „ტრაბზონსფორის“ ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერებად ვართ მიჩნეული. ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ჩვენს შესახებ სიმღერაც კი შექმნეს, რომელსაც „ტრაბზონსფორის“ მატჩებისას ტრიბუნაზე გამუდმებით მღეროდნენ.

ძმა ძმისთვისაო

— „ტრაბზონსოფრის“ შემადგენლობაში 1995-1996 წლების სეზონში 26 გოლი გავიტანე და ამსტერდამის „აიაქსის“ მესვეურთა თვალთხედვის არეში მოვხვდი. მახსოვს, თურქეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში მეტოქის კარი ხუთჯერ ავიღე. გასათვალისწინებელია, რომ თურქეთში პენალტებს არ ვურტყამდი, რადგან ამას ჰამი ასრულებდა. ჰოლანდიელთა მთავარი მწვრთნელი მორტენ ოლსენი ჩემი თამაშის სანახავად ბათუმში, საქართველოსა და მოლდავეთის ნაკრები გუნდების შეხვედრაზე ჩამოვიდა. მან სწორედ ამ მატჩის შემდეგ გადაწყვიტა, გუნდში მივეწვიე. სხვათა შორის, იმ პერიოდში ჩემი გადაბირება ესპანეთის „დეპორტივოსაც“ სურდა და მის წარმომადგენლებს სტამბოლში შევხვდი. მაშინ ესპანელებს განვუცხადე, რომ თანახმა ვიყავი, შემოთავაზებული თანხის ნახევარი ამეღო, თუ გუნდში აჩიკოსაც აიყვანდნენ. ამაზე „დეპორტივო“ არ დათანხმდა და მეც ესპანეთში წასვლაზე უარი ვთქვი. ასე რომ არ გამეკეთებინა, აჩიკო, რომელსაც ტრავმა აწუხებდა, თურქეთში აღარ დარჩებოდა და საერთოდ, ფეხბურთის თამაშს ან გააგრძელებდა, ან — არა. ჩემი ეს გადაწყვეტილება არც მაშინ მინანია და ასეთ ვითარებაში კვლავ რომ აღმოვჩნდე, იმავეს გავაკეთებ. სამაგიეროდ, ღმერთმა გადმომხედა. და ისეთ უდიდეს კლუბში მოვხვდი, როგორიც „აიაქსი“ გახლდათ. რაც შეეხება აჩიკოს, იგი „ბრედაში“ ჩაირიცხა. ჰოლანდიაში რომ მივემგზავრებოდი, ზოგიერთმა ირონიულად მითხრა — ბალიში წაიღეო, რითაც მაგრძნობინეს — სათადარიგოთა სკამზე ჯდომით ერთი ადგილი არ გაგიცვდესო. მაშინ „აიაქსში“ ისეთი ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც იყვნენ: მიქაელ ლაუდრუპი, ედვინ ვან დერ საარი, ძმები რონალდ და ფრანკ დე ბურები, დანი ბლინდი და იარი ლიტმანენი. მიუხედავად ამისა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი მაინც დავიმკვიდრე და პირველსავე სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატში 25 გოლი გავიტანე. საერთოდ კი იმ სეზონში სხვადასხვა ტურნირში მეტოქეთა კარი 37-ჯერ ავიღე. აჩიმ კი საკუთარ ანგარიშზე 18 ბურთი ჩაიწერა. ორივე, ჰოლანდიის ლიგის საუკეთესო დებიუტანტებად დაგვასახელეს და წლის სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდით. თან თერთმეტმეტრიანებს არ ვასრულებდი, რადგან გუნდში ამის გაკეთება ლიტმანენს ევალებოდა. პირველად პენალტი „აიაქსში“ კლუბის

ესპანელებს განვუცხადე, რომ თანახმა ვიყავი, შემოთავაზებული თანხის ნახევარი ამეღო, თუ გუნდში აჩიკოსაც აიყვანდნენ

დაბადების დღეს დავარტყი, როდესაც როტერდამის „სპარტას“ 9:0 მოვუგეთ. ჰოლანდიაში გატარებულ პერიოდში „აიაქსთან“ ერთად ქვეყნის ჩემპიონობა მოვიგე და თასი მოვიპოვე. ჩემპიონები როდესაც გავხდით, კლუბი სააქციო საზოგადოებად ახალი ჩამოყალიბებული იყო და თითოეულ ფეხბურთელს აქციათა მცირე ნაწილი გადმოგვცეს. მე ოთხი ათასი აქცია მერგო და მაშინ ერთი აქცია 25 გულდენად გახლდათ შეფასებული. შემდეგ, „აიაქსს“ სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა და მათი ფასი 5 გულდენამდე დაეცა. მართალი გითხრათ, ახლა არც ვიცი, ეს აქციები სად არის. ამსტერდამელთა რიგებში ბევრი დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩავატარე და ზოგიერთ მათგანში ოთხი ან ხუთი გოლიც გამიტანია. არასოდეს დამავიწყდება როტერდამის „ფეინოორდთან“ გამართული მატჩი, რომელშიც 3:4 დავმარცხდით. შეხვედრის მსვლელობისას მეტოქე სამჯერ დაწინაურდა, მაგრამ სამივე შემთხვევაში ანგარიშის გათანაბრება ჩემი გოლების წყალობით შევძელით. თუმცა როტერდამელებმა მეოთხე გოლის წყალობით მოგვიგეს... მართალია, „აიაქსში“ ბევრი კარგი ფეხბურთელი გამოდიოდა, მაგრამ განსაკუთრებით ლაუდრუპთან და რონალდ დე ბურთან თამაში მსიამოვნებდა. ამ უკანასკნელთან ერთად ასპარეზობა „გლაზგო რეინჯერსშიც“ მომიწია და მასთან ვმეგობრობ. ამ ზაფხულს იგი თბილისში სტუმრადაც მეწვია. სხვათა შორის, სწორედ „აიაქსში“ შემარქვეს მეტსახელი — მისტერ ბინი.

ბეენჰაკერის „სარმები“

— „აიაქსში“ ყოფნის უკანასკნელ სეზონში გარკვეული პრობლემები შემექმნა. პირველად ამსტერდამელები ფინანსურმა პოლიციამ შეაწუხა, რომელმაც „ტრანსბონსფორიდან“ ჰოლანდიაში ჩემი ტრანსფერისას დარღვევები აღმოაჩინა. ამიტომ, პოლიციაში დაკითხვაზე დამიბარეს და იქ ორი დღე-ღამე გავატარე. საბოლოოდ, ჩემ მიმართ პრეტენზია არავის გასჩენია, რადგან კლუბებს შორის ურთიერთობა მე არ მეხებოდა. შემდეგ, კონფლიქტი კლუბის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ კი, „აიაქსის“ ტექნიკურ დირექტორ ლეო ბეენჰაკერთან მომივიდა, რომელიც კულისებს მიღმა ფარულ თამაშს ეწეოდა. ის ცდილობდა დავეშანტაჟებინე და მემუქრებოდა, რომ თუ კონტრაქტს არ გავაგრძელებდი, სეზონისთვის გუნდის განაცხადში არ შემიყვანდა. მაშინ კარგად ვთამაშობდი, როგორც ნამდვილი პროფესიონალი ისე ვიქცეოდი და რა ჩემი ბრალი იყო, რომ კონტრაქტი მიმთავრდებოდა. მით უმეტეს, კლუბის მიერ შემოთავაზებული პირობები არ მაკმაყოფილებდა. ბეენჰაკერის მითითებით ჩემპიონატის ორ მატჩში თამაშის საშუალება არ მომცეს და მთავარმა მწვრთნელმა კო ანდრიანსემ ჩემი დაცვა გადაწყვიტა. მან პრესის საშუალებით ღიად განაცხადა, რომ ჩემი მოედანზე არგაყვანა ზემოდან უბრძანეს. ამან დიდი სკანდალი გამოიწვია. ადვოკატებმა ბელგიიდანაც დამირეკეს და მითხრეს, რომ კლუბს ჩემთვის მუშაობის უფლების ჩამორთმევა არ შეეძლო. ამ ვითარების შესახებ, შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ მთავარმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა შეიტყო, რომელიც ჩემი მენეჯერის ივან ბენეშის მეშვეობით დამიკავშირდა და გლაზგოში გადასვლა შემომთავაზა. ამის პარალელურად, ჩემი შეძენა ესპანეთის „ბეტისსაც“ სურდა. თუმცა ესპანელებს საბანკო ჩეკის გარანტია არ წარმოუდგენიათ და ისინი მოლაპარაკებას სხვა ფორვარდებთანაც აწარმოებდნენ. ბრიტანელები კი, საქმიანი ურთიერთობისას გაცილებით კორექტული ხალხია, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა, რომ შოტლანდიაში აღმოვჩნდი. „რეინჯერსი“ ჩემ მიერ შეთავაზებულ პირობებს დათანხმდა და გადავწყვიტე, რომ „აიაქსს“ დავტოვებდი. კონტრაქტი საკმაოდ ორიგინალურ ვითარებაში გავაფორმე. საქმე ისაა, რომ თბილისში საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ერთერთი მატჩისთვის ვემზადებოდი, როდესაც შოტლანდიელებმა საგანგებოდ თვითმფრინავი გამოგზავნეს. მე გლაზგოში გადავფრინდი, კონტრაქტს ხელი მოვაწერე და უკან დავბრუნდი. ამსტერდამელებმა ამ ტრანსფერით საკმაოდ იხეირეს, რადგან ჩემს სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხა მიიღეს. რაც შეეხება ბეენჰაკერს, როგორც ვიცი, მას გარკვეული პრობლემები სხვა მოთამაშეებთანაც შეექმნა და მოკვლითაც კი დაემუქრნენ. აქედან გამომდინარე, ერთი პერიოდი მექსიკაში ცხოვრობდა.

უცხო გარემოს ადვილად იმიგომ ვეჩვეოდი, რომ უკონფლიქტო ადამიანი ვარ

უკონფლიქტო ადამიანი

— ბევრი მეკითხება თუ როგორ მოვახერხე სწრაფად ადაპტაცია სამი ისეთი განსხვავებული კულტურის მატარებელ ქვეყანაში, როგორც თურქეთი, ჰოლანდია და შოტლანდიაა. საერთოდ, უფრო ადვილია თამაში, როდესაც ლიდერ გუნდში ხვდები და კარგი პარტნიორები გყავს. თურქეთში, ჰოლანდიასა თუ შოტლანდიაში ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა და ამ ქვეყნებში დღემდე ბევრი მეგობარი მყავს. უცხო გარემოს ადვილად იმიტომ ვეჩვეოდი, რომ უკონფლიქტო ადამიანი ვარ. კარიერის განმავლობაში დავით ყიფიანთან, რევაზ ძოძუაშვილთან, გივი ნოდიასთან, ალექსანდრე ჩივაძესთან, ვლადიმერ გუცაევთან, შენოლ გიუნეშთან, მორტენ ოლსენთან, დიკ ადვოკაატთან, ალექს მაკლიშთან, კო ადრიანსესთან და ლუის ვან გაალთან მიმუშავია, მაგრამ პრობლემა არავისთან შემქმნია. ერთადერთმა, სერგო კუტივაძემ მომიხსენია არცთუ ისე კარგად თავის ინტერვიუში, თუმცა მისი ხელმძღვანელობის ქვეშ არასოდეს მიმუშავია. რაც შეეხება 2003 წელს რუსეთთან მატჩის წინ გუნდის დატოვებას, მაშინ ასეთი რამ მოხდა: დღის ორ საათზე გუნდის კრება იყო დანიშნული და ვიდრე საქართველოს ნაკრების იმდროინდელი მწვრთნელი ივო შუშაკი ოთახში შემოვიდოდა, ჰოლში გამოკრულ დაფაზე ნაკრების შემადგენლობა ვნახე, სადაც ჩემი გვარი ვერ აღმოვაჩინე. ამიტომ, ჩანთას ხელი მოვკიდე და გლაზგოში დავბრუნდი. ასეთი რამ ცხოვრებაში პირველად გავაკეთე, მაგრამ უბრალოდ მაშინ ვიგრძენი, რომ გუნდში ჩემი ადგილი არ იყო. არადა, ნაკრების ხელმძღვანელობას შეეძლო წინასწარ გაეფრთხილებინე თუ ძირითადში დაყენებას არ მიპირებდნენ. თუმცა მომდევნო მატჩში სტუმრად ირლანდიასთან ძირითად შემადგენლობაში ვიყავი და ორი ტაიმი შეუცვლელად ვითამაშე. იმ თამაშში იმდენი ვირბინე, რომ ნაღვლის ბუშტი გამიღიზიანდა და ადგილობრივ საავადმყოფოში მოვხვდი. წინა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თბილისში საბერძნეთთან 1:3 მარცხის შემდეგ, თურქებთან თამაშის წინ, გუნდის მთავარ მწვრთნელ ალენ ჟირესს თავად ვთხოვე, რომ ნაკრებიდან გავეშვი. მანამდე ქართველი გულშემატკივარის მხრიდან ცუდი დამოკიდებულება არასოდეს მიგრძნია, მაგრამ ბერძნებთან მატჩში მათმა რეაქციამ ჩემ მიმართ სანაკრებო კარიერის დასრულებაზე დამაფიქრა. საბედნიეროდ, ეს არ მოხდა და ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე ციკლში გუნდს კვლავ ვეხმარები.

თამაშის წყურვილით დაშვებული შეცდომა

— „გლაზგო რეინჯერსის“ შემადგენლობაში ორჯერ შოტლანდიის ჩემპიონატი და სამჯერ ქვეყნის თასი მოვიგე. მაგრამ 2004 წელს ტრავმა მივიღე და გარკვეული ხნის განმავლობაში თამაში არ მიწევდა. საერთოდ, ჩემი ტრავმების ისტორია 1995 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც თურქეთში პირველი ოპერაცია გავიკეთე და დიდი შეცდომა დავუშვი. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა ვიყავი და მოედანზე გამოსვლა მეჩქარებოდა. ამიტომ, ვარჯიში დროზე ადრე დავიწყე. თან არავინ მითხრა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა და მინიმუმ თვე-ნახევარი მაინც უნდა დამესვენა. ყველაფერს ისიც დაემთხვა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, თბილისში, ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში მოედანზე ისე გამოვედი, რომ გამაყუჩებელი ნემსი მქონდა გაკეთებუ-

პირველსავე სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატში 25 გოლი გავიტანე. საერთოდ კი იმ სეზონში სხვადასხვა ტურნირში მეტოქეთა კარი 37-ჯერ ავიღე

ლი. თურმე, ეს დაუშვებელი იყო და შედეგად, ფეხი გამისივდა, რის გამოც სამი თვე დასვენებამ მომიწია. 1999 წელს „აიაქსში“ ყოფნისას კვლავ დავშავდი და იქიდან მოყოლებული, ტრავმები დროდადრო მაწუხებდა. საერთოდ, მიღებული ტრავმების მხრივ, ჩემს ტყუპისცალს — აჩიკოს ყველაზე უიღბლო ქართველ ფეხბურთელად მივიჩნევ. ისეთი ტრავმებით როგორც არჩილს ჰქონდა, არათუ ფეხბურთის თამაში, არამედ ბუღალტრად მუშაობაც ძნელი იყო. მახსოვს, ფეხზე გადატანილი მორიგი ოპერაციის შემდეგ, მას გერმანიაში ჩავაკითხე. აჩიკო რეაბილიტაციის კურსს გადიოდა და ყოველ დილით, რვა საათზე მასთან ექიმი შედიოდა, რომელიც თავისი პაციენტის მდგომარეობას ამოწმებდა. ცხადია, ტყუპისცალს დილაუთენია გაღვიძება არ სიამოვნებდა და ერთხელ მეც შემომჩივლა ამის შესახებ. მეორე დღეს ექიმის შემოსვლამდე ყავარჯნები ავიღე და საავადმყოფოს ჰოლში ფეხშეხვეული გავედი. ცხადია, ექიმებმა ძმისგან ვერ გამარჩიეს და ძალიან გაუკვირდათ ჩემი დანახვა, რადგან წესითა და რიგით, აჩიკოს ყავარჯნებით მხოლოდ ერთი თვის შემდეგ უნდა ესარგებლა. მათი გაოცება მაშინ გენახათ, ყავარჯნები რომ დავყარე და გავიქეცი... კიბეზე მამაჩემი შეხვდა, რომელიც უცებ სიტუაციაში ვერ გაერკვა და ეგონა, რომ აჩიკო გარბოდა. თავად წარმოიდგინეთ, რა სიტუაცია იქნებოდა. საბოლოოდ, ექიმები პალატაში რომ შევიდნენ და მძინარე ტყუპისცალი დაინახეს, სიცილით კინაღამ დაიხოცნენ.

„ალკმაარში“ ფეხბურთის „პროფესორთან“

— 2004 წლის ზაფხულში გლაზგოელებთან კონტრაქტი მიმთავრდებოდა და ისინი ახალ ხელშეკრულებას მთავაზობდნენ. შოტლანდიელებს საკუთარი პირობები წავუყენე, რომლის შესრულებაზეც უარს იყვნენ. ამ დროს არაბული ქვეყნების კლუბებიდან მიპატიჟება მქონდა, მაგრამ ძალა მერჩოდა და კარიერის გაგრძელება საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყანაში მინდოდა. თორემ, არაბების შემოთავაზებაზე დათანხმების შემთხვევაში, შემეძლო ფეხი ფეხზე გადამედო და მეთქვა — გმადლობთ, ათიდან რვა ოცნება ავიხდინე-მეთქი, რადგან მატერიალურად ძალზე მომგებიანი წინადადება იყო. სწორედ, აღნიშნულ პერიოდში ჰოლანდიის „ალკმაარიდან“ დამიკავშირდნენ, რომლის მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალს ჩემი შეძენა პირადად სურდა. ალკმაარელებმა ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს და ჰოლანდიაში დავბრუნდი. ამ სიამოვნებაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყოდი, მით უმეტეს, რომ „ალკმაარს“ ძირითადი შემადგენლობისთვის ვჭირდებოდი. შოტლანდიიდან წამოსვლისას ყველაზე მეტად გული იმან დამწყვიტა, რომ „სელტიკსა“ და „რეინჯერსს“ შორის გლაზგოურ დერბიში მონაწილეობას აღარ მივიღებ, რომლის მსგავსი ქვეყნად არაფერი არსებობს. ამ შემთხვევაში არა იმდენად გუნდების სათამაშო კლასს ვგულისხმობ, არამედ შეხვედრის მსვლელობისას მოედანზე და ტრიბუნებზე არსებულ სიტუაციას. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ „სელტიკთან“ დაპირისპირებისას, მეტოქე ფეხებში რომ მირტყამდა, ტკივილს ვერ ვგრძნობდი. კიდევ უფრო გასაკვირია, რომ ამ შემთხვევაში უხეშობას თავად ვიწყებდი. გლაზგოური დერბის განსაკუთრებულობას დე ბურებიც აღნიშნავდნენ, რომელთაც „რეალი“-„ბარსელონის“ „კლასიკოში“ მიუღიათ მონაწილეობა. ასევე მის თავისებურებაზე საუბრობდა არგენტინის ნაკრების ყოფილი ფორვარდი კლაუდიო კანიჯა, რომელსაც „რივერ პლეიტისა“ და „ბოკა ხუნიორსის“ დერბიში უთამაშია. თავადაც მიასპარეზია „აიაქსი“-„ფეინოორდის“ მატჩში და თურქულ დერბიში, მაგრამ „რეინჯერსი“-„აიაქსის“ შეხვედრაში არსებულ ატმოსფეროს ვერაფერი შეედრება. გასულ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატზე 23 გოლი გავიტანე და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. პირველობის დასრულების შემდეგ ესპანურმა „ლევანტემ“ გამოთქვა ჩემი შეძენის სურვილი, მაგრამ საბოლოოდ, „ალკმაარში“ დავრჩი და კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გავაგრძელე. გუნდში ძირითადად, ბურთით ვვარჯიშობთ და ვან გაალი უაზრო დატვირთვებს არ გვაძლევს. ამ მწვრთნელის თითოეულ დავალებაში რაღაც იდეა ძევს და თუ დაინახა, რომ მას ფეხბურთელი უხარისხოდ ასრულებს, იგი წვრთნას მაშინვე აჩერებს და მოთამაშეს დასვენების საშუალებას აძლევს. ვან გაალი არ ჰგავს იმ სპეციალისტებს, რომლებიც ასეთ დროს ბრაზდებიან და ერთი და იმავეს გამეორებას რამდენიმეჯერ ითხოვენ. ჩემი აზრით, ჰოლანდიელი ფეხბურთის „პროფესორია“.

ევროშესარჩევი

— ტოპმიოლერი კვალიფიციური მწვრთნელია, რომელსაც საქართველოს ნაკრების ახალ სიმაღლეზე აყვანა შეუძლია. წინა შესარჩევ ციკლთან შედარებით, ნაკრების შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდა. გუნდში ახალგაზრდა და ამბიციური ფეხბურთელები მოვიდნენ, რომელთაც გამარჯვება სურთ. ყველაზე მთავარი ის არის, რომ გუნდმა ტოპმიოლერის დანიშვნის შემდეგ, ტაქტიკური განსწავლულობის მხრივ წაიწია წინ. ჩემი აზრით, საფრანგეთთან ძალიან შემტევი შემადგენლობა გვყავდა, მაგრამ რაღაცამ იმის განხორციელების საშუალება არ მოგვეცა, რაც თამაშამდე დაგვეგმეთ. ამაში კი თავისი როლი სწრაფად გაშვებულმა ბურთმა ითამაშა. პირველ 15 წუთში ფრანგებთან 0:2 რომ მარცხდები, მატჩის შემოტრიალება უკვე ძნელია. მეტოქე ოდნავ რომ მოდუნდა, გატანა შეგვეძლო, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შევძელით. საერთო ჯამში, უარყოფით შედეგზე ყველაფერმა იმოქმედა — სწრაფი გოლიდან დაწყებული და იმ ფაქტით დამთავრებული, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, ფრანგებს ძალიან მაღალი დონის გუნდი ჰყავთ. კიევში შედეგის მიღწევა ნებისმიერი ნაკრებისთვის ძნელია, მაგრამ ამასთან ახლოს ვიყავით. სამწუხაროა მარცხი, როდესაც სტუმრად ორ გოლს გაიტან. ფრანგებთან მატჩისგან განსხვავებით, ვცდილობდით, თავიდანვე არ შეგვეტია და ბურთი დაგვეჭირა. უფრო მეტად ყურადღებას დაცვას ვაქცევდით და თამაში კონტრშეტევაზე ავაგეთ. უკრაინასთან ცხადია, უფრო შეიძლებოდა ქულის აღება. ამისთვის საჭიროა, რომ გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა საკუთარი შესაძლებლობების მეტად ირწმუნონ. ამ შემთხვევაში იმას კი არ ვგულისხმობ, რომ ვინმემ თავი დაზოგა, არამედ იმას, რომ აქტიურობის ხარისხი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო.

იტალია მსოფლიო ჩემპიონი ისე გახდა, რომ თამაშისას გოლი არ გაუშვია. გერმანიაში გუნდი ფიზიკურად საოცრად ძლიერად იყო მომზადებული და სათამაშო დისციპლინა მაღალ დონეზე ჰქონდა დაყენებული. იტალიელები უფრო დაცვითი სტილის მიმდევრები არიან, მაგრამ ისინი მოედნის ცენტრში არ „გახრჩობენ“ და უფრო ცდილობენ, ბურთი საკუთარ საჯარიმოსთან აგართვან. ამიტომ, ადრე მათთან ჩატარებულ მატჩებში არცთუ ისე ცუდად გამოვიყურებოდით. ცხადია, იტალიელები თბილისში მოსაგებად ჩამოვიდოდნენ და ჩვენ ოპტიმალური შემადგენლობით რომ დაპირისპირებოდით, შესაძლოა ქულის აღებაზე გვეფიქრა. იტალიასთან ერთი საათის განმავლობაში კარგად გამოვიყურებოდით და ალბათ, საქართველოში ხალხს ამ პერიოდში რამდენიმე წლის სიცოცხლე მოემატა. თუმცა მეორე გოლი რომ გაგვიტანეს, ნერვები ისე მომეშალა, ტელევიზორი საერთოდ გამოვრთე. ■



„გლაზგო რეინჯერსის“ შემადგენლობაში ორჯერ შოტლანდიის ჩემპიონატი და სამჯერ ქვეყნის თასი მოვიგე



სტრიპტიზიორი ექიმი — ბიჭიც ნებიერა თუ ყოფილა ვირთხა?

ქართულ სტრიპტიზბარებში თუ შეიხედავთ, ნახავთ, რომ მოცეკვავე გოგონების უმეტესობა არაქართველია. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა და ამერიკა (თავ-თავიანთი პლუს-მინუსებით) მთელი ძალით შემოიჭრა ჩვენში, როგორც ჩანს, ქართველი გოგონები ჯერ კიდევ ერიდებიან ასეთ ადგილებში მუშაობას. აღარაფერს ვამბობ სტრიპტიზის მოცეკვავე მამაკაცებზე. ძალიანაც რომ მოინდომო, ასეთს საქართველოში „წამლადაც“ ვერ იშოვი. სამაგიეროდ, ჩვენში მოიძებნება „კაცი გამოძახებით“, „მეძავი“ მამაკაცი, გეი, ინტიმტელეფონის ოპერატორი, აღარაფერს ვამბობ ალფონსებზე. რამდენიმე ხნის წინ, ერთ ახალგაზრდა მამაკაცზე მითხრეს: უცხოეთში სტრიპტიზიორად მუშაობსო და მისი ტელეფონის ნომერიც მომცეს. ბუნებრივია, ჩემი პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე, ხან აქედან მივუდექი, ხან — იქიდან, დავანამუსე, იმასაც კი შევპირდი, შენს სახელსა და გვარს საკუთარ ფიქრშიც კი არ წარმოვთქვამ-მეთქი, მაგრამ ქვა ააგდო, თავი შეუშვირა და ინტერვიუზე არ დამთანხმდა. სამაგიეროდ, რამდენიმე დღის წინ, ინტერნეტში მოსკოველ სტრიპტიზიორს გადავეყარე და ინტერესი ყოველგვარი სირთულის გარეშე დავიკმაყოფილე. მას არც ფოტოების გამოქვეყნებაზე უთქვამს უარი. შემოგთავაზებთ ჩემი და საშას ინტერნეტდიალოგს:

მარი ჯაფარიძე

— **გამარჯობა.**

— გაგიმარჯოს.

— **მე ქართველი ვარ.**

— ძალიან სასიამოვნოა, ღმერთმა ჯანმრთელობა არ მოგაკლოს!

— **ჟურნალისტი ვარ.**

— ეგ კიდევ უფრო სასიამოვნოა, კარგი პროფესია გაქვს. ე.ი. განათლებული ადამიანი და კარგი მოსაუბრეც იქნები.

— **პროფესია შენც საინტერესო უნდა გქონდეს. ამბობ, რომ სტრიპტიზის მოცეკვავე ხარ. მართალია?**

— დიახ. ინტერვიუ გინდა?

— **დიახ, ამის დიდი სურვილი მაქვს, თუ წინააღმდეგი არ იქნები.**

— არა, რა თქმა უნდა. მკითხე და გიპასუხებ.

— **ალბათ, ეს შენთვის პირველი ინტერვიუ არ იქნება, არა?**

— შენ წარმოიდგინე, პირველია. ის კი არა, გამიკვირდა, რომ შემომთავაზე.

— **მოსკოვში ბევრი სტრიპტიზიორი მამაკაცია?**

— ზუსტი რიცხვი არ ვიცი, მაგრამ დაახლოებით, 50 ან ცოტა მეტი.

— **ეს დიდი ქალაქისთვის ალბათ, ცოტაა...**

— მე ძირითადად, ერთ კლუბში ვმუშაობ, მაგრამ მაქვს ხოლმე მიწვევა სხვადასხვა კლუბიდან, რასაც სიამოვნებით ვთანხმდები.

— **მოდი, დავიწყოთ იმით, თუ ვინ ხარ შენ...**

— მე ვარ საშა, 30 წლის, მეტსახელად — „სტროინი“. დავიბადე ციმბირის ერთ პატარა სოფელში და ვიდრე სკოლა არ დავამთავრე, მანამ სოფელს არ გავცილებივარ. ბავშვობაში გამხდარი, სათვალიანი ტიპი ვიყავი და ძალიან მიყვარდა კითხვა. კარგად ვსწავლობდი. ჩემი ოცნება იყო ექიმობა და მოსკოვში სწავლის გაგრძელება. სკოლა დავამთავრე თუ არა, აქეთ გამოვეშურე. ჩემი მშობლები გამოუსვლელი, გლეხი ხალხია. მათ მომცეს გზის ფული, დედაჩემის დის მისამართი და დედაქალაქში ღვთის ანაბარად გამომიშვეს. იმავე წელს სამედიცინო ინსტიტუტში ჩავირიცხე. დეიდასთან მხოლოდ გამოცდების დამთავრებამდე ვიცხოვრე. როგორც კი გაირკვა, რომ სტუდენტი გავხდი, მაშინვე გამომიცხადა: ჩემთან ვერ იცხოვრებ, ბინა იშოვე და გადადიო. თავი დამცირებულად ვიგრძენი და მისი სახლიდან იმავე დღეს წამოვედი. მთელი კვირა სადგურში, სკამზე მეძინა. იქვე რაღაც პატარა სამუშაოებს ვასრულებდი და იმდენ თანხას ვშოულობდი, რომ თავი გამეტანა. პრინციპში, ის ფული მარტო ღვეზლის საყიდლად მყოფნიდა, მაგრამ მთავარი იყო, რომ მშიერი არ ვიყავი. თითქმის მთელი სადგური მიცნობდა. ერთხელ უფროსმა დამიბარა და მკითხა: — „ბომჟს“ არ ჰგავხარ და აქ რატომ ხარ? სახლიდან გამოიპარეო? — ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. ისიც ვუთხარი: ერთ კვირაში სწავლა მეწყება და მერე იქნებ, საერთო საცხოვრებელში ერთი ოთახი გამომიყონ-მეთქი. ამ კაცმა არ დამიჯერა და ჩემი ნათქვამი გადაამოწმა. როდესაც დარწმუნდა, რომ სიმართლეს ვამბობდი, მითხრა: მოსკოვის გარეუბანში ვცხოვრობ, კერძო სახლია, თუ გინდა, ერთ ოთახს ძალიან იაფად დაგითმობ, თუ მუშაობასა და სწავლას ერთმანეთს შეუთავსებ, სამსახურსაც დაგაწყებინებო. ამაზე კარგი რა უნდა ეთქვა? — მასთან გადავბარგდი. დღისით ვსწავლობდი, საღამოობით კი მტვირთავად ვმუშაობდი. ცხოვრებით კმაყოფილი ვიყავი. იმდენს ვშოულობდი, რომ თავი გამქონდა და ხანდახან ტანისამოსის ყიდვასაც ვახერხებდი. ნელ-ნელა ჩაცმულობით, ვარცხნილობითა თუ ქცევით, ნამდვილ მოსკოველს დავემსგავსე. ჩემი მასპინძლის ეზოში სავარჯიშო მოედანი იყო და ყოველ დილით, სტეპანთან ერთად ვვარჯიშობდი. ის ყოფილი სპორტსმენი იყო და პროფესიულ რჩევებს მაძლევდა. გავსუქდი, გავიზარდე. თუ მანამდე მაღალი, მაკარონივით ბიჭი ვიყავი, ერთ წელიწადში კუნთები დამეტყო. სტეპანის რჩევით, ფიტნესზეც დავიწყე სიარული და სულ მალე გოგონებმაც შემამჩნიეს. ჩემი ნავარჯიშევი სხეული მათ აღტაცებას იწვევდა. ჩემი მოთხოვნილებები იზრდებოდა, ფული კი არ მქონდა. ერთხელ, შემთხვევით გავიცანი ძალიან მდიდარი ქალი — გაჩერებაზე ავტობუსს ველოდი და შევნიშნე, რომ იქვე ძვირფასი ჯიპი იყო გაჩერებული და საბურავი ჰქონდა გახეთქილი. მძღოლი ქალი გახლდათ. ის მანქანებს ხელს უქნევდა, საბურავის გამოცვლაში რომ დახმარებოდნენ, მაგრამ არავინ უჩერებდა. დახმარება შევთავაზე. რა თქმა უნდა, გაუხარდა. თეთრი მაისური მეცვა და წელს ზემოთ გავშიშვლდი, რომ არ დამსვროდა. როგორც ჩანს, ამ ქალმა კარგად შემათვალიერა და როცა საბურავი გამოვცვალე, თავისი მომსახურება და ადგილზე მიყვანა შემომთავაზა. მანქანაში მაშინვე ჩავხტი. გზაში ვლაპარაკობდით და აშკარა იყო, რომ ამ ქალს საუბარი ინტიმური ურთიერთობისკენ მიჰყავდა. პირდაპირ ვუთხარი: თუ სექსი გინდა, საღამოს შევხვდეთ, ახლა ლექციებზე მივდივარ-მეთქი. ლექციების შემდეგ სასწავლებელთან დამხვდა და იმ დღიდან, საცხოვრებლად თავისთან გადამიყვანა. ასე გავხდი ალფონსი. 3 წელი მის ხარჯზე ვიცხოვრე, დიდი ფულიც დავაგროვე. შემდეგ ღალატზე წამასწრო და გამომაგდო. უკვე შემეძლო, ბინა მოსკოვის ცენტრში მექირავებინა, მაგრამ მჭირდებოდა სამსახური, რომ დაგროვილი ფული არ გამეფლანგა. ერთ ბარში ბარმე-

ნად ამიყვანეს. ცოტა ხანში კი, კარგი მუშაობისთვის გასამრჯელოდ 3 ათასი დოლარი დამინიშნეს. ჩემი ასაკის ბიჭისთვის ეს კარგი თანხა გახლდათ, მაშინ 22 წლის ვიყავი. რის ვაი-ვაგლახით დავამთავრე ინსტიტუტი და ექიმის დიპლომი მივიღე, მაგრამ ამ დროისთვის უკვე ვიცოდი, რომ ექიმობა, თეთრი ხალათი და პაციენტთა წუწუნის მოსმენა, ჩემი საქმე არ იყო. რამდენიმე ბარი გამოვიცვალე. ყოველთვის იქ მივდიოდი, სადაც მეტ ხელფასს მიხდიდნენ — მოსკოვში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ბარმენი ვარ.

— შენ თქვი — ვარ... ახლაც ბარმენად მუშაობ?

— დიახ, ვმუშაობ. ბარი, უფრო სწორად, ღამის კლუბი, სადაც ახლა ვმუშაობ, ჩვეულებრივი ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი გახლდათ. ჩვენ მუშაობას გვიან ვიწყებდით. ერთხელ, ის იყო, სამსახურში მივედი და დავიწყეთ მზადება კლიენტების მისაღებად, რომ დიჯეიმ ჩემი საყვარელი სიმღერა ჩართო. მე ბარის შიგნით ვიდექი, ოფიციანტები თავისთვის საქმიანობდნენ, დამლაგებელი იატაკს წმენდდა. დარბაზში ერთ მაგიდაზე შევხტი და ცეკვა დავიწყე. ოფიციანტები გარს შემომეხვივნენ. გადავწყვიტე, მეხუმრა და გახდა დავიწყე. გოგონები ოვაციებით მამხნევებდნენ და ისე მექცეოდნენ, როგორც სტრიპტიზის მოცეკვავეებს ექცევიან ხოლმე. საჯდომზე ხელს მიტყაპუნებდნენ, ყვიროდნენ, კიდევ გაშიშვლდიო — მეძახდნენ. როცა როლში შევიჭერი და შარვლის ელვის გახსნა დავიწყე, უცებ, მუსიკა შეწყდა და დავინახე, რომ ბარის მეპატრონე ჩემკენ მოდიოდა. ვიფიქრე, სამსახურიდან გამათავისუფლებენ-მეთქი, მაგრამ მან შემომთავაზა, რომ იგივე, იმავე საღამოს კლიენტების თანდასწრებით გამემეორებინა.

— და დათანხმდი?

— დიახ, დავთანხმდი და თანაც, უყოყმანოდ.

— არანაირი კომპლექსი არ გქონდა?

— არა. ბარის მეპატრონემ მითხრა, რომ ეს უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და კლუბის სტუმრებისთვის შოკის მომგვრელი. დიჯეის მოველაპარაკე, როცა ვანიშნებდი, რომელი მელოდია უნდა დაეკრა და „სასიკვდილო" ნომრისთვის მოვემზადე.

— არ ღელავდი?

— მხოლოდ იმიტომ ვღელავდი, რომ ცეკვა პროფესიულ დონეზე არ ვიცოდი და ამის გამო არ შევრცხვენილიყავი. მოკლედ, სტუმრებისთვის ჩემი გამოსვლა ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ჯერ „ენა ჩაუვარდათ", მაგრამ მერე ისეთი ამბავი ატყდა, თვითონაც გავოგნდი — ჩემმა ნომერმა მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ, კლუბმა ნელ-ნელა პროფილი შეიცვალა და სტრიპტიზ-კლუბი გახდა. კიდევ მოიყვანეს მოცეკვავე მამაკაცები და დაწესებულება გაცილებით შემოსავლიანი გახდა. მე კვლავ ბარმენად ვმუშაობ და ჩემი ნომერიც მაქვს.

— კლუბში მხოლოდ ქალები დადიან?

— ძირითადად კი, ხანდახან მათ შესაძლოა, კავალრებიც მოჰყვნენ. გეებს შემოსვლა ეკრძალებათ.

— ეგ როგორ?

— რა თქმა უნდა, ხშირად გარეგნობით ვერ მიხვდები — როგორი სექსუალური ორიენტაცია აქვს ამა თუ იმ ადამიანს. ამიტომ შესაძლოა, ჩვეულებრივ იყიდოს შემოსასვლელი ბილეთი და მაგიდასთან დაჯდეს. ეს არ არის პრობლემა, მაგრამ თუ მოცეკვავე მამაკაცისკენ გაიწევს, ხელით შეეხება მას და სექსს შესთავაზებს, დაცვა კინწისკვრით გააგდებს გარეთ.

— ქალები როგორ იქცევიან?

— ჩვენი კლიენტების უმეტესობა „ექსტაზის" ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. ეს სასმელია, რომელიც ადამიანს ტონუსს და ენერგიას მატებს. ისინი მუდამ კარგ ხასიათზე არიან და მოცეკვავე მამაკაცის ნებისმიერ სექსუალურ მოძრაობას დიდი ოვაციით ხვდებიან. ყვირიან: ბოლომდე, ბოლომდე გაიხადეო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ტრუსით ვრჩებით. ქალები სცენაზე ამოსვლას ლამობენ, უნდათ, რომ შეგვეხონ, ფულს ტრუსში გვიტენიან...

— და ალბათ, სექსსაც გთავაზობენ...

— დიახ, ასეთი შემთხვევა ხშირია, მაგრამ ჩვენ კლიენტთან ფიზიკური ურთიერთობა გვეკრძალება. თუმცა, არიან ძალზე ჯიუტი და მიზანდასახული გოგონები. ისინი სამსახურის შემდეგ გარეთ გვხვდებიან და ასე ვთქვათ, „გვხსნიან".

— და თქვენც თანხმდებით?

— რა თქმა უნდა.

— და ალბათ, ამაში ფულსაც გიხდიან, არა?

— დიახ.

— შეგიძლია დაასახელო ყველაზე დიდი თანხა, რომელიც ცეკვის დროს უჩუქებიათ?

— ჩვენს კლუბში შემოსასვლელი ბილეთი საკმაოდ ძვირი, 300 დოლარი ღირს. აქედან გამომდინარე, აქ მხოლოდ შეძლებული ქალბატონები დადიან და არა უფულო თინეიჯერები. ეს ქალბატონები ძალზე გულუხვები არიან და საშუალოდ, ღამეში თითოეული მოცეკვავე 1.500-2.000 დოლარს აკეთებს. ყველაზე დიდი თანხა, რომელიც ერთ ღამეს გამოვიმუშავე, იყო 12.300 დოლარი.



ჩვენს კლუბში შემოსასვლელი ბილეთი საკმაოდ ძვირი, 300 დოლარი ღირს

— ყოჩაღ, იოლი შემოსავლის წყარო გიპოვია. ეს საკმაოდ დიდი თანხაა. ეჭიმობით, რა თქმა უნდა, ამდენს ვერ იშოვიდი.

— ეს არც ისე იოლი საქმეა, როგორც გგონია. ძალიან ვიღლები.

— მორალურადაც?

— არა, რომ გითხრა, ჩემი საქმე არ მომწონს და იძულებით ვმუშაობ-მეთქი, მოგატყუებ. ლამაზი სხეული მაქვს და მსიამოვნებს კიდეც, როცა მის დემონსტრირებას ვახდენ. თან ვგრძნობ, რომ ეს ქალებსაც მოსწონთ. მოკლედ, ჩემი სამსახურით კმაყოფილი ვარ.

— ამ ყველაფრის შესახებ, რა აზრის არიან შენი გლეხი და როგორც შენ ამბობ, გამოუსვლელი მშობლები?

— 13 წლის წინ წამოვედი ჩემი სოფლიდან და ამ დროის მანძილზე, იქ მხოლოდ ერთხელ ვიყავი ჩასული, როცა მამა გარდაიცვალა. დედასთან მხოლოდ სატელეფონო ურთიერთობა მაქვს და ხანდახან, ფულით ვეხმარები. მან არ იცის, რას ვსაქმიანობ, რადგან მისი აზრი არ მაინტერესებს.

— ოჯახი გაქვს?

— 3 წლის წინ დავქორწინდი 14 წლის გოგონაზე, რომელთანაც სულ 6 თვე ვიცხოვრე, რადგან ბოზობდა.

— გარკვეული თანხის საფასურად ბოლომდე გაიხდი?

— რა პრობლემაა? მაგრამ ჩვენ ტრუსის გახდა გვეკრძალება. ეს რომ გავაკეთო, სამსახურს დამატოვებინებენ. ამ მიზეზით არ გავიხდი, თორემ შიშვლად გამოჩენის არ მრცხვენია.

— ვინაიდან ღამის ცხოვრებით ცხოვრობ, ალბათ, მთელი დღე გძინავს. რად გინდა ამდენი ფული?

— უცნაური კითხვაა. ფული ვის არ უნდა?.. სამსახურთან ახლოს ვცხოვრობ. ამიტომ, სულ რაღაც 15 წუთში უკვე შინ ვარ. დილის 8-დან შუადღის პირველ საათამდე მძინავს. მერე ქალაქში გავდივარ და ჩემს საქმეებს ვაკეთებ, მეგობრებთან დავდივარ... ფული კი იმისთვის მჭირდება, რომ საკუთარ თავს კომფორტი შევუქმნა. მოსკოვის ცენტრში მაქვს დიდი ბინა, ძვირად ღირებული „პორშე", მაცვია მსოფლიოში ცნობილი დიზაინერების მიერ შეკერილი ტანისამოსი და ვსარგებლობ საუკეთესო „პარფიუმით". ვმოგზაურობ საზღვარგარეთ და ვცხოვრობ აქტიური ცხოვრებით. ეს კი ყველას არ გამოსდის. კიდევ, რა გაინტერესებს?

— ვფიქრობ, ყველა საკითხი ამოვწურეთ. ბოლო კითხვამ კი ყველაზე მეტად გაგაღიზიანა. რატომ?

— ადამიანების უმეტესობა ფიქრობს, რომ ვინაიდან ასეთი სამსახური მაქვს, ვირთხასავით ვარ შემძვრალი კლუბში და არ ვიცი, იმის იქით რა ხდება. ეს ასე არ არის. მე განათლებული და საღად მოაზროვნე ადამიანი ვარ, რომელმაც კარგად იცის, სად და რაში დახარჯოს ფული.

— დრია, დაგემშვიდობო. წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობ, შენც ასევე. ■

ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ახალ რუბრიკას უამრავი მკითხველი გამოეხმაურებოდა. ზოგი ნუგეშს ითხოვს, ზოგი — რჩევას, ზოგიერთი კი სხვა „მგზავნელების“ გაცნობითაა დაინტერესებული. ვფიქრობ, სწორედ რომ დროული იყო ეს რუბრიკა. მკითხველს კი მინდა ვთხოვო, რომ მესიჯის ბოლოს აუცილებლად მიუთითოს თავისი ნიკი (ფსევდონიმი) ან სახელი, რომ გამომხმაურებელს მასთან ურთიერთობა გაუადვილდეს.

„იქნებ, „გზის“ საშუალებით გავიცნო ვინმე...“

მარი ჯაფარიძე

„მარი, უნდა მიშველო. აღარ შემიძლია მარტო ყოფნა. გარეგნულად ძალიან კარგი გოგო ვარ, მაგრამ ჩემი შესაფერისი ვერავინ ვიპოვე. ზოგი გარეგნობით მომწონს, მაგრამ შინაგანად ცარიელია, ზოგს ჩემი არ ესმის. არადა, როგორ მინდა ორმხრივი, გულწრფელი სიყვარული. იქნებ, ვინმე ჩემნაირი გამოჩნდეს? ნუკა, 16 წლის“.

„ვეხმაურებით დაწყევლილ სადაქალოს, დაწყევლილი საძმაკაცო. ახლა მგონი, ყველას გვეშველება, თუ გაცნობის მიზნით ნომრებს გავცვლით. მარი, თუ ამ მესიჯს არ დაგვიბეჭდავ, ჩვენ უცოლოები დავრჩებით, ის მშვენიერი გოგონები კი, გასათხოვრები“.

„ჰოოოო... ეს უკვე საინტერესოა — „მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ“? მართლა კარგია. მე იმ გოგონას ვეხმაურები, რომ ამბობს: 18 წლის ვარ და დავბერდიო. მეც დავბერდი, ოღონდ შენზე ცოტა უფროსი ვარ. ბევრი ქალი იჩენს ინიციატივას, მე კი ვერავინ მოვიწონე. ან დათარსული ვარ, ან ასე ყოფნა მიწერია. მომბეზრდა ერთფეროვნება. რა ჰქვია მაგ „ბებერ გოგოს“? „ფორვარდი სანდრინიო“.

„პატარა აღარ ვარ, 30 წლის გახლავართ, მაგრამ თინეიჯერივით, ტელეფონით გავიცანი და შემიყვარდა ერთი ბიჭი, რომელიც მატყუებდა, რომ ცოლი არ ჰყავდა. მეც გულუბრყვილოდ ვენდე. ის ერთხელ მყავს ნანახი და მგონი, მიყვარს კიდეც. ერთხელ, ვიღაც ქალმა დამირეკა და მითხრა, რომ მისი ქმრისთვის თავი დამენებებინა. ძალიან გავბრაზდი და შევპირდი, იმას ხმასაც აღარ გავცემდი, მაგრამ პირობა ვერ შევასრულე. ტელეფონით ისევ ვეკონტაქტები. შეხვედრას მთხოვს, მაგრამ ვერ ვბედავ. ხომ არ იცით, რა უნდა ვქნა?“

„რა დროს დაბერებაა, გოგონებო, მეც 18 წლის ვარ. თუ ჩემი გაცნობა მოგინდებათ, მარი მოგცემთ ჩემს ნომერს. ლევანიკო. აბა, ვნახოთ, როგორი გოგოები ხართ“.

„დიდი ხანია, ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი, მაგრამ პირველად გწერთ. ჩემს ცხოვრებაში არსებობს მამაკაცი, რომელიც ჩემზე გიჟდება. უკვე დიდი ხანია, ცოლობას მთხოვს. მე კი... მიყვარს, მასთან ყოფნაც მომწონს, მაგრამ ოჯახს არ მოეწონება ჩემი ასეთი ნაბიჯი. ჯერ ძალიან პატარა ვარ და დედა ჩემს გათხოვებას ვერ გადაიტანს. მირჩიეთ, რა გავაკეთო? ანი“.

„ატბოის“ უთხარით, თუ უნდა, რომ დიდხანს ლოდინმა არ მოუწიოს, შემეხმიანოს. ნინჩო“.

„მინდა, გავიცნო ადამიანი, რომელი მეგობრულად მიმიღებს და რაც მთავარია, მიერთგულებს. მარი, დამეხმარე, რააა!“

„3 თვის წინ გავთხოვდი და უკვე მივხვდი, რომ ქმარი არ მიყვარს. არადა, მეგონა, რომ მიყვარდა. ვიცი, ჩემნაირი ბევრი იქნება, იქნებ, შემეხმიანონ და რჩევაც მომცენ?“

„მოკლედ, ეს „სტიქია“ როგორი „გაოხრებულიც“ არის, ისეთ „გაოხრებულ“ ლექსებს წერს. მინდა, რომ გამომეხმაუროს. მარი, თუ გთხოვოს, ნომერი მიეცი“.

„ატბოის“ დამაკავშირეთ. ზუსტად ვიცი, რომ მოვეწონები. შავგვრემანი ვარ და გულიც თავისუფალი მაქვს. მარიკა“.

„ვეხმაურები იმ ადამიანს, რომელიც ვერ ბედავს, „ოქეის“ ღილაკს დააჭიროს თითი. გირჩევ, გაბედო და გარისკო. აბა, რამდენი ხანი უნდა იტანჯო? წარმატებებს გისურვებ! თამთა“.

„ვეხმაურები „ატბოის“. მიეცით მას ჩემი ნომერი. მე თეო ვარ, 18 წლის, შავგვრემანი და თან, „გზავნილების“ ფანი“.

„მონასტრის ბიჭო“, სად დაიკარგე? დიდი ეგოისტი ვინმე ხარ, 1 თვეა, არ დაგიმესიჯებია. იმას კი არ ფიქრობ, რომ თითქმის შემიყვარდი და „გზას“ შენ გამო ველოდები. გმოჩნდი, რააა!..“

„მარი, არ გამაგიჟო და ეს მესიჯი გამოუქვეყნებელი არ დამიტოვო. მინდა, იმ გოგოს გამოვეხმაურო, რომელიც ამბობს, რომ 18 წლისაა და დაბერდა. არ იდარდო, მარტო შენ არ ხარ უსიყვრულოდ დარჩენილი. მეც სწორედ ეგრე ვარ. „გზავნილების“ ერთგული მკითხველი გახლავარ და სურვილი მაქვს, ვიმეგობრო ასევე ერთგულ მკითხველებთან. გიორგი“.

„ვარ ძალზე მგრძნობიარე, „სიყვარულზე შეყვარებული“. 25 წლის გოგო, რომელსაც ბევრი ტკივილი გადაუტანია და ბევრი ცრემლიც დაუღვრია. ვნატრობ, შემხვდეს ისეთი ადამიანი, რომელმაც იცის სიყვარულის ფასი და მზად არის, სიყვარულისთვის იბრძოლოს, ვინც გულწრფელად შემიყვარებს და ჩემს გულს დაიპყრობს. ასეთ მამაკაცს სიყვარული, სითბო და ბედნიერება არ მოაკლდება. „მწვანეთვალება“.

„ვეხმაურები „სტიქიას“. ეს რა მელექსე ყოფილხარ! იქნებ, ჩემს ნიკზეც გარითმო? რას იტყვი? პაკიპუკი“.

„მთელ ქვეყანას მინდა ვკითხო: თუ არსებობს კაცი, რომელსაც ქალი არ მოუტყუებია? და თუ არსებობს, ყველა მატყუარა მე რატომ შემხვდა? ქეთი“.

„ახალი ადამიანების გაცნობა ყოველთვის მხიბლავდა. ვეხმაურები „ატბოის“. ჩემი ნომერი მარის აქვს. ანუკი“.

„ძალიან მარტოსული ვარ. იქნებ, „გზის“ საშუალებით გავიცნო ვინმე, ვინც გულში სიცარიელეს ამომივსებს. უნდა იყოს ბუნებით რომანტიკოსი და 19 წელს ზემოთ. მაიკუნა“.

„ეს რუბრიკა რომ ვნახე, მაშინვე ჩემი „ბედკრული“ დაქალი გამახსენდა. 17 წლისაა, არც წუნიაა და არც პრეტენზიული, მაგრამ ჯერ მისი გული ვერავინ მოიგო. ჰოდა, იქნებ, აქ გამოჩნდეს ისეთი ვინმე, ვინც ჩემს დაქალს მოარჯულებს? გელოდებით, გოგო მართლა მაგარია. თეკო“.

„ათენიდან გიმესიჯებთ. 25 წლის გახლავართ. უკვე 1 წელია, საბერძნეთში ვარ, ქმარ-შვილთან ერთად. ჩემი მშობლებიც და ყველა ახლობელი ადამიანიც აქ მყავს, მაგრამ ვეღარ ვჩერდები და სახლში მინდა წამოსვლა, ბავშვთან ერთად. უცხო ენების სპეციალისტი ვარ და თავის რჩენას საქართველოშიც შევძლებ. დღე და ღამე ვტირი. ჩემები არ მიშვებენ, მე კი, მანდ მინდა. მიშველეთ რამე, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? ძალიან ცუდად ვარ. ათენი, სალო“.

„წარმოიდგინეთ, რომ ახალციხეში წინა კვირის ყველა „გზა“ ხუთშაბათსვე გაიყიდა და დავრჩი „უგზო-უკვლოდ“. სამაგიეროდ, მეორე ხუთშაბათს თბილისში ვიყავი და ორივე ნომერი შევიძინე. ჰოოოდა, აღმოვაჩინე ჩემი მანუგეშებელი მესიჯი. იცოცხლე, მიყვარს ჩემი „ჯიშის“ გოგონების დანახვა. ეჰ, კი მაქვს 45 ზომის ფეხი და ისე გავმწარდი, ჩემი სარგო ქალის ფეხსაცმელი რომ ვერ ვიშოვე, 2 წყვილი ჩექმა ვიყიდე — 42 და 43 ზომის. კაბაც ჩავიცვი და კომპლიმენტებიც ბლომად მივიღე, მაგრამ რა იციან, თუ რა ნაღველს იტევს გული... იცით, როგორ მიჭერს ახალი ჩექმა? ფეხებს მამტვრევს, მაგრამ ვუძლებ. აი, რამდენს ვუძლებთ ძლიერი, მაგრამ სუსტი სქესის წარმომადგენლები. ყველა ჩემნაირს ვეტყვი, რომ არ ღირს გულის გატეხა. მაღალო კაცებო, გამოგვეხმურეთ და ერთად გადავარჩინოთ ქართული გენოფონდი.

ერთხელ, ჩემმა სვანმა ძმაკაცმა, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ერთი გოლიათი, „ყოვლისშემძლე“ თაყვანისმცემელი მყავდა, მითხრა: ჰო, გაჰყევი მაგას ცოლად და ზარდეთ მერე ბრონტოზავრებიო. არადა, რა ვქნა? ხომ არ გადავჯიშდებით? მარი, გვიშველე და დაგვეხმარე...“

„ვარ 36 წლის, თითქმის ყველაფერი გამოვცადე ცხოვრებაში და ახლა კარგად ვცხოვრობ. არც ტან-ფეხი მაქვს ურიგო და არც გარეგნობა, მაგრამ ნამდვილი სიყვარული არ მწვევია. არ მინდა, უსიყვარულოდ წავიდე ამ ქვეყნიდან. ნუთუ, დაიკარგნენ ისეთი გოგონები, ვისაც არა მარტო ქონება და კარიერა, არამედ მოსიყვარულე და კაცური კაცები აინტერესებთ? იცი, როგორ დავაფასებდი ასეთებს?“

„მარიკუნა, ძალიან მიყვარხარ შენც და „გზვნილებიც“. მისი დამატებაც მაგარია. იცი, ვინ დამაინტერესა? — „სტიქიამ“. რა გქვია? ჩემს ერთ ნაცნობს მაგონებ. მის ხატია“.

„ჰაი“, „ატბოი“, ერთხელ მეც მიყვარდა. ვარ 17 წლის და მიყვარს მხიარული „მასტები“. ფანატკა“.

„ვეხმაურები მარიშკას. ძალიან მინდა, შენი გაცნობა. ჩემს ნომერს მარი მოგცემს. ფლინტ“.

„ძალიან მინდა „სტიქიის“ გაცნობა. ასე არასდროს არავინ გამიცნია. თუ თვითონაც გაუჩნდება სურვილი, შემეხმიანოს. თამო“.

„ალბათ, განსხვავებულს ვერაფერს მოგწერთ, მაგრამ გთხოვთ, დამიბეჭდეთ ჩემი მესიჯი. ცოლიანი კაცი მიყვარს ძალიან და არ ვიცი, რა ვქნა. ძალიან გთხოვთ, მანუგეშეთ...“

„გზის“ წინა ნომერში, სადაც თემად გქონდათ — „თუ იღბალი გაქვს“, ერთი გოგო თავის უიღბლობად 45 ზომის ფეხს და 184 სმ სიმაღლეს მიიჩნევდა. თუ შეგიძლიათ, დამაკავშირეთ იმ გოგონას, იქნებ, უიღბლო სულაც არ არის? როგორც ჩანს, კარგად ვერ მოძებნა, თორემ იპოვიდა თავის „სარგო“ მამაკაცს. არც მე ვარ პატარა, ფეხის ზომა 49 მაქვს, სიმაღლე კი — 198 სმ. წინასწარ გიხდით მადლობას“.

„მარი, ვიცი, გვიანაა, მაგრამ ვერ ვიძინებ და გადავწყვიტე, მოგწერო. პირველ რიგში, კეთილი იყოს ჩემი ფეხი „გზავნილებში“. მეც მარი ვარ და მივესალმები „სტიქიას“. მას დიდი სიამოვნებით გავიცნობდი. „კინდ ენჯელ“.

„დარდმა აჰყარა ღრუბლები,/ თვალმა დაიწყო წვიმა,/ მე უთქვენოდ, გოგონებო,/ გული ძალზე მტკივა./ მე ლომი ვარ, და მეფე ვარ,/ და არც კიდევ, ლაზიერი,/ შემოგევლეთ, გოგონებო,/ თქვენი მუკო-ბაზიერი“.

შეგახსენებთ ტელეფონის ნომერს, რომელზეც შეგიძლიათ დაამესიჯოთ: 8(77) 45.68.61. თუ თქვენ მიერ გამოგზვნილი მესიჯი იქნება სტანდარტული, მაგალითად, ასეთი: „ვეხმაურები ნინოს (მაგდას, გიორგის და ა.შ.). ჩემს ნომერს მარი მოგცემს“, ის არ გამოქვეყნდება, მხოლოდ ტელეფონის ნომერს გადავცემთ ადრესატს. თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზის“ ახალ რუბრიკაში იხილოთ, იყავით უფრო ორიგინალურები. ნახვამდის. ■

დასაწყისი იხ. გვ. 14

ჩატარების შემდეგ, ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ ის შერაცხადი იყო და დანაშაულის ჩადენის მომენტში სავსებით შეეძლო საკუთარი ქმედება და ამ ქმედების მოსალოდნელი შედეგი გაეცნობიერებინა. გარდა იმისა, რომ განსასჯელი სასამართლოს ჩადენილი, მკვლელობის დეტალებს დაწვრილებით მოუყვა, სასიკვდილო განაჩენის გამოტანამდე, მას საშუალება მისცეს საბოლოო სიტყვაც ეთქვა — დამნაშავემ პატიება ითხოვა: *„გულწრფელად ვაღიარებ ჩადენილ დანაშაულს და ვინანიებ მას. გთხოვთ, ისიც გაითვალისწინოთ, რომ ყველაფერი გაუცნობიერებლად, სრულიად კონტროლდაკარგულმა გავაკეთე. ექსპერტიზის დასკვნას არ ვეთანხმები და სასამართლოს ვთხოვ, განაჩენის გამოტანისას ეს გაითვალისწინოს. მაშინ მე არ შემეძლო საკუთარი ქმედებებისთვის მეხელმძღვანელა. მეტს ვერაფერს ვიტყვი...“*

მოსამართლეს არც ექსპერტიზის დასკვნაში შეუტანია ეჭვი და არც განსასჯელის სიტყვებს აუჩუყებია მისთვის გული. მანამდე, პროცესის მსვლელობისას, როგორც სასამართლო ოქმიდან ირკვევა, დაზარალებულმა თავის სიტყვაში აღნიშნა: *„მისმა ვერაგობამ სამი, სიცოცხლით სავსე ადამიანი შეიწირა. საკუთარ ცოლს და ორ პატარა, უმწეო შვილს თავისი ხელებით უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე და თანაც, სადისტურად... ამის შემდეგ არავინ იცის, მისი ბოროტება რამდენად შორს წავა. თუ დანაშაული გიუმა ჩაიდინა, როგორც თავად ამბობს, მაშინ, ახლა, მით უმეტეს, არ უნდა იყოს სრულ ჭკუაზე. ის სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებს. სხვა განაჩენი უსამართლო იქნება და ალბათ, შემდეგ, ამის გამო ვერც მოსამართლე შეძლებს მშვიდად ძილს...“* ■

სამ არასრულწლოვანს ძარცვასა და ძურწობაში ედება ბრალი

„თუ არ დაისჯებიან, მომავალში მძიმე დამნაშავეებად ჩამოყალიბდებიან...“

სამი არასრულწლოვანი (იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი ბრალდებები დაუდასტურდებათ) შესაძლოა, მკაცრად დაისაჯოს. არაერთგზის ჩადენილი დანაშაული, რაშიც 14 და 15 წლის მოზარდებს სამართალდამცველები სდებენ ბრალს, პირველი ინსტანციის სასამართლომ უკვე დაადასტურა. მსჯავრდებულები გამამტყუნებელ განაჩენს არ ეთანხმებიან და მას ადვოკატების დახმარებით ასაჩივრებენ. ისინი ამბობენ, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ და ციხეში წლობით ეკამეწყვლევას უსამართლოდ უპირებენ.

მეგი ცანავა

ჯაბა ჭელიძე (გვარები შეცვლილია), გიორგი მარგველაშვილი და ვოვა მუსაევი უბნელები და თანასკოლელები არიან. ჯაბა და გიორგი პარალელურ კლასებში სწავლობდნენ, ვოვა მუსაევი კი, მათზე ერთი წლით უმცროსი — 14 წლის გახლავთ.

განაჩენის მიხედვით, მოზარდები ჯგუფურად, წინასწარი შეთანხმების მიხედვით მოქმედებდნენ. სამართალდამცველების თქმით, მიზანი ერთი ჰქონდათ — ეშოვათ ფული, მხოლოდ ძარცვისა და ქურდობის გზით. საღამოს ან ღამის საათებში, ქუჩაში მარტოდ მიმავალ მოქალაქეებს ბნელ ადგილებში უსაფრდებოდნენ, ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე, სამივენი ერთად, მოულოდნელად ესხმოდნენ მათ თავს და ძარცვავდნენ. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მოზარდები დანაშაულის ჩადენის დროს, ხშირად იყენებდნენ დანასაც. იარაღით ისინი დაზარალებულებს ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდნენ. საბედნიეროდ (როგორც დაზარალებულებისთვის, ასევე, თავად მსჯავრდებულებისთვის), ფიზიკური დაზიანების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

პირველი ეპიზოდი, რაც საბრალდებო დასკვნასა და განაჩენშია დაფიქსირებული, თბილისში, ქუთაისის ქუჩაზე მომხდარ ფაქტს ეხება. საღამოს, დაახლოებით 11 საათისთვის, ჭელიძე, მარგველაშვილი და მუსაევი ფეხით მიმავალ 30 წლის ალექსანდრე ბეროძეს დაესხნენ თავს და 260 ლარად ღირებული ტყავის ქურთუკი და საფულე, რომელშიც 45 ლარი ედო, წაართვეს. დაზარალებული წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მოზარდებმა მას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს.

რამდენიმე დღეში, განაჩენის თანახმად, არასრულწლოვანმა ბოროტმოქმედებმა თბილისში, ისნის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი სავაჭრო ობიექტი გაძარცვეს. დანაშაული მათ ღამის 2-ის ნახევრისთვის ჩაიდინეს. სადღეღამისო მინიმარკეტიდან მოზარდებმა 400 ლარზე მეტი ღირებულების პროდუქტი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები გაზიდეს. ნაძარცვი საქონელი მარგველაშვილის ბებიის საცხოვრებელ ბინაში მიიტანეს და იქ გადამალეს. ბებიის მოტყუება მარგველაშვილს არ გასჭირვებია. მას უთხრა, რომ კორპუსთან ახლოს, ქუჩაში, შემთხვევით მუსაევის მშობლები შეხვდნენ, რომლებმაც რამდენიმე საათით ტვირთის თავის სახლში შენახვა სთხოვეს.

მომდევნო დღეებში, მოზარდებმა ნაძ-

არცვის რეალიზაცია დაიწყეს. მაღაზიიდან გატაცებული პროდუქტები და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები ნაცნობს იაფად მიჰყიდეს, აღებული თანხა კი გაინაწილეს...

2005 წლის ზაფხულში, მარგველაშვილმა თბილისელი ბაჩანა სართანია გაიცნო და მას მალე დაუმეგობრდა კიდეც. სართანიამ, რომელიც დიღმის მასივში, მამიდის კუთვნილ ბინაში მამიდაშვილთან ერთად მარტო ცხოვრობდა, თავის მხრივ, ახალშეძენილი მეგობარი თავის ნათესავსაც გააცნო. სართანიას მამიდაშვილი — ბესიკ კენკიშვილი მარგველაშვილზე უფროსი იყო, მაგრამ ახალგაცნობილთან საერთო ენა მაინც გამონახა და იმ საღამოს, შინ მიიპატიჟა. მარგველაშვილმა, მას შემდეგ, რაც სიტუაციას გაეცნო, ბინის გაძარცვა გადაწყვიტა და თანამზრახველები — ჭელიძე და მუსაევი საქმის კურსში ჩააყენა.

კენკიშვილის ბინაში ქეიფიდან სამი დღის შემდეგ, მარგველაშვილი სართანიას თავისი ინიციატივით შეხვდა, მერე კი მოსაწევად და ლუდის დასალევად კენკიშვილის ბინაში ასვლა შესთავაზა. სართანიამ უარი არ უთხრა. მარგველაშვილმა წინასწარ იცოდა, რომ იმ დროს, კენკიშვილი შინ არ იქნებოდა, რადგან ამ უკანასკნელს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი. ბინაში მისვლიდან რამდენიმე წუთში, იქ ჭელიძე და მუსაევიც მივიდნენ. მარგველაშვილმა სართანიას უთხრა, რომ ლუდი აღარ დარჩა და სასმლის საყიდლად მაღაზიაში ჩასვლა სთხოვა. მან კი ქვევით ჩასვლა არ დაიზარა. ამასობაში, მარგველაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა ბინაში ნივთების ძებნა დაიწყეს. იმის გამო, რომ სართანიას დაბრუნებამდე ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოახერხეს, მარგველაშვილმა მოქმედების გეგმა შეცვალა. სართანიას უთხრა, რომ მის მეგობრებს სასწრაფოდ ფული სჭირდებოდათ და ვინაიდან, ასე მოკლე დროში საჭირო თანხას ვერაფრით შეაგროვებდნენ, კენკიშვილის ბინიდან რაღაც ნივთები უნდა წაეღოთ და გაეყიდათ. სართანიამ მარგველაშვილს აუხსნა, რომ თავად ფული არ ჰქონდა, ის ნივთები კი, რაც ბინაში იდო, მას არ ეკუთვნოდა და ამიტომაც, ვერაფერს გაატანდა. ამ მიზეზით, ისინი შელაპარაკდნენ. ჩხუბში ჭელიძე და მუსაევიც ჩაერთვნენ. საბოლოოდ, მათ სრულიად უსაფუძვლოდ სცემეს სართანია, რომელმაც სამი ბიჭისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. ის წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აფიქსირებს, რომ მოზარდები ფიზიკური განადგურებითაც დაემუქრნენ. მისი ჩვენების ეს ნაწილი მოგვიანებით გამართულ სასამართლო პროცესზე განსასჯელების ადვოკატებმა გააპროტესტეს. მათი თქმით, დაზარალებულს რომელიმე მოზარდის ხელში დანა ან სხვა რაიმე იარაღი არ დაუნახავს და რეალურად, მათი მხრიდან არც მუქარას ჰქონია ადგილი.

იმ დღეს, კენკიშვილის ბინიდან მოზარდებმა „სამსუნგის" ფირმის ტელევიზორი, ფოტოაპარატი, ყავის სერვიზი და ხალიჩა წაიღეს. ნაძარცვი ნივთები მარგველაშვილმა კვლავ ბებიამისის სახლში მიიტანა. ამჯერად, მას უთხრა, რომ ყველაფერი ბაზრობაზე, შემთხვევით, ძალიან იაფად ჩაუვარდა ხელში და შეიძინა...

ძარცვის გარდა, მარგველაშვილს, რომელიც საქმის მასალების თანახმად ჯგუფს ლიდერობდა, ხულიგნობის მუხლიც წაუყენეს. ბრალდების მხარე აღნიშნავს, რომ მარგველაშვილმა ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩხუბი საკუთარ მამას აუტეხა. მამაზე განაწყენებული გახლდათ იმის გამო, რომ მისგან დაპირებული თანხა ვერ მიიღო. როგორც საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში წერია, დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მან ე.წ. „საკოლმეურნეო" ბაზრისკენ გასწია. იქ ერთ-ერთ ნაცნობს დასაკეცი დანა გამოართვა და ამის შემდეგ, მამის სახელოსნოსკენ გაემართა, რომელიც საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მდებარე ავტოფარეხის შენობაში გახლდათ განთავსებული. იმ ადგილს მიუახლოვდა თუ არა, დანა მოიმარჯვა და შიგნით შევიდა. მამას ჯერ აგინა, შემდეგ დანაც მოუქნია. შეშინებული ბეჟან მარგველაშვილი (განსასჯელის მამა) სახელოსნოს მეორე კუთხისკენ გაიქცა, მაგრამ მას შეირაღებული შვილი ადვილად დაეწია. როგორღაც მისგან თავის დაღწევა ბეჟან მარგველაშვილმა მაინც შეძლო და ავტოფარეხიდან გარეთ გავარდა. ხმაურზე ხალხიც შეიკრიბა. მომხდარის შესახებ პოლიციამაც შეიტყო, მაგრამ შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ სამართალდამცველებს გიორგი მარგველაშვილი იქ აღარ დახვდათ. ამის შემდეგ, ის ჯერ ბებიის, ხოლო შემდეგ, ნაცნობის მიერ დაქირავებულ ბინას აფარებდა თავს...

ამ კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით, მარგველაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი თავისი საჩივრით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ითხოვს. ადვოკატი საჩივარში აღნიშნავს, რომ მარგველაშვილს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა და სრულიად უკანონოდ გამოიტანა (როგორც ამ, ისევე სხვა ეპიზოდებთან მიმართებაში) გამამტყუნებელი განაჩენი. ადვოკატის თქმით, მამა-შვილს შორის მომხდარი კონფლიქტი საყოფაცხოვრებო ხასიათისაა და კანონით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას არ წარმოადგენს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ეს კონფლიქტი არასწორად შეფასდა.

„დანაშაული არ ჩამიდენია. მამასთან დაძაბული ურთიერთობა მქონდა, მაგრამ მისთვის ფიზიკური დაზიანების მიყენება აზრადაც არ მომსვლია", — განაცხადა დაკითხვისას მარგველაშვილმა.

2005 წლის 12 აგვისტოს, მარგველაშვილი და მუსაევი ნაცნობის სანახავად მის ბინაში მივიდნენ. ის შინ ეგულებოდათ, მაგრამ როცა კარზე ზარი რამდენჯერმე ზედიზედ დარეკეს, მათ არავინ გამოეხმაურა. მუსაევი კარს მიაწვა. კარი ადვილად გაიღო და ისინიც, ბინაში უყოყმანოდ შევიდნენ. იქ არავინ დახვდათ. მოზარდებმა, რომელთაც იმ დროისთვის უკვე რამდენიმე ძარცვა და ქურდობა ჰქონდათ ჩადენილი, ბინიდან სხვისი კუთვნილი ნივთების წაღება ამჯერადაც გადაწყვიტეს. მუსაევმა ვიდეომაგნიტოფონი და ტელეფონის აპარატი აიღო, მარგველაშვილმა კი მოოქრული დანა-ჩანგლის კომპლექტი და ბინიდან, შემდეგ კი, კორპუსიდან შეუმჩნევლად გავიდნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იმ მომენტისთვის, ბინის პატრონი მეზობელთან სულ რამდენიმე წუთით იყო გასული...

ამ დანაშაულიდან მეორე დღეს, მარგველაშვილმა, ჭელიძემ და მუსაევმა მათივე უბანში მცხოვრები შონიების ბინის გაქურდვა გადაწყვიტეს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კორპუსთან ახლოს ჩასაფრდნენ და შესაფერის მომენტს დაელოდნენ. მათი ვარაუდით, საღამოს 8 საათისთვის ბინაში არავინ უნდა ყოფილიყო. როცა მიიჩნიეს, რომ ხელსაყრელი დროც დადგა, ბინაში შეაღწიეს და ნივთების ძებნა დაიწყეს. იმ დღეს, ბინიდან მათ 420 ლარის ღირებულების ნივთები წაიღეს.

მოზარდებმა შემთხვევის ადგილიდან მეზობლებისთვის შეუმჩნევლად მიმალვაც მოახერხეს. თუმცა, პოლიცია დამნაშავეების კვალს მეორე დღესვე დაადგა. მარგველაშვილი და მუსაევი სამართალდამცველებმა ერთად დააკავეს — მუსაევის საცხოვრებელ სახლში. ამის შემდეგ, პოლიციამ ბინაში ჭელიძესაც მიაკითხა. ჩხრეკის დროს, სამართალდამცველებმა მოზარდებისგან ნაქურდალი ნივთებიც ამოიღეს.

ჭელიძის ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სრულიად უდანაშაულოა და მხოლოდ გაუგებრობის მსხვერპლი გახდა. მისი აზრით, სასამართლომ მის მიმართ, მთელი რიგი შემამსუბუქებელი გარემოებები არ გაითვალისწინა და არასრულწლოვანს, რომელიც ქრონიკული C-ჰეპატიტითაა დაავადებული (პათოლოგიური პროცესის მაღალაქტივობით), 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ადვოკატი ჭელიძისთვის შეფარდებული სასჯელის, პირობითი სასჯელით შეცვლას მოითხოვს. რაც შეეხება დანარჩენებს, მათ პირველი ინსტანციის სასამართლომ 3 წლითა და 6 თვით (მარგველაშვილს) და 3 წლით (მუსაევს) თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მსჯავრდებულები წარდგენილ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ და განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, გამართლებას ელიან. ბრალდების მხარე კი პირიქით, განაჩენს საკმაოდ ლოიალურად მიიჩნევს და ირწმუნება, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ფონზე, ამ არასრულწლოვნების გამართლება ყოვლად წარმოუდგენელი და დაუშვებელია. *„საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მათ დანაშაული არაერთგზის ჩაიდინეს და დაზარალებულებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს. სათანადოდ, დაუსჯელობის შემთხვევაში დიდია შანსი იმისა, რომ მომავალში ისინი გაცილებით მძიმე დამნაშავეებად ჩამოყალიბდნენ"*, — აღნიშნულია ბრალდების მხარის საჩივარში. ■

ნიკა არაბიძე: „თბილისში რომ ჩამოვედი, დედაქალაქი არ მომეწონა"...

„ღამის შოუს", „შაბათის შოუს" და „იუმორისტულ კლუბს" ერთი ახალი ვარსკვლავი ჰყავს — ნიკა არაბიძე. ის აღნიშნულ შოუებს თავისებურ პეწს სძენს და ახალისებს. ნიკა ერთი ქერა, ოდნავ მსუქანი, ენაკვიმატი ყმაწვილია. წარმოშობით თერჯოლიდან გახლავთ, იქ დაბადებულ-გაზრდილი. შესაბამისად, იმერული კილოკავითა და ზრდილობით გამორჩეული. უცნაურია, მაგრამ დედაქალაქისკენ გეზი სულ რაღაც ორი წლის წინ აიღო.

— „მხიარულთა და საზრიანთა კლუბმა" ანუ „კავეენმა" ჩამითრია. ქუთაისის „გეპეიში" „კავეენის" თამაშით სერიოზულად ვიყავი გატაცებული. მერე, თბილისსაც „მოვუჩოჩდით" და დედაქალაქშიც ვითამაშეთ. ორი წლის წინ კი, საფუძვლიანად ავიკარი გუდა-ნაბადი — თბილისისკენ.

— სადაც თვალსა და ხელს შუა პოპულარული გახდი, არა?

— აბა. კარგია, ცუდი არ არის, მაგრამ პოპულარობა ცოტათი მზღუდავს. რავარც მინდა, ისე ვერ გამივლია ქუჩაში.

— თერჯოლელები რას გეუბნებიან, იქ რომ ჩადიხარ?

— ყველა თავისიანად მიმიჩნევს. თურმე, ჩემს აღზრდაში მონაწილეობა ყველას მიუღია და ამას ახლა ვიგებ. მერე, ყველა ჩემი ნათესავია. ამდენი ნათესავი თუ მყავდა, არც ეს ვიცოდი.



— დედამ როგორ დაგარიგა, თბილისში რომ მოდიოდი?

— გული დასწყდა, მაგრამ სულ მის გვერდით ხომ ვერ ვიქნებოდი! დედაჩემმა იცის, რომ ცუდს არაფერს გავაკეთებ. თუმცა, ყოველთვის ეშმაკი, ცელქი ვიყავი და ახლაც ასეთი ვარ.

— დედაქალაქში პირველად რომ ჩამოხვედი, როგორი შთაბეჭდილება შეგექმნა?

— ქალაქი არ მომეწონა. ისე, რატომ მომეწონებოდა, „კავეენი" ვითამაშეთ და წავაგეთ.

— ვისთან?

— „სასოფლოსთან".

— თბილისმა მიგიღო?

— კი, ჩემი ჩამოსვლა არ გაუპროტესტებია (*იცინის*). აქ ბევრი კარგი მეგობარი მყავს. თან, ქალაქს ხომ ნებისმიერ სიტუაციაში ადამიანები და ურთიერთობები გაყვარებენ. ეტყობა, მე ვინც შემხვდა, ყველა კარგი იყო.

— თავიდან სად ცხოვრობდი?

— სულ პირველად რომ ჩამოვედით, მთელი გუნდი კერძო სასტუმროში ვცხოვრობდით. სასტუმროს მეპატრონეს გოდერძი ერქვა, ამიტომ იქაურობას „გოდერძი პალასი" შეარქვით... ჩამოსვლისთანავე დიდუბის ავტოსადგურში მოვხვდით. მეტროც იქვეა, შიგ შევედით და მთელი დღე „ვიკატავეთ". ამის გამო, „კავეენზე" მისვლაც დავაგვიანეთ.

— ისე, როგორია თბილისი?

— გრძელია, მაგრამ მაინც არა უშავს.

— ყველა უბანში ხარ ნამყოფი?

— თითქმის. ძველი უბნები მოვლილი მაქვს. ახლა, მაინცდამაინც სამგორში არ ვათენებ ღამეებს და...

— გლდანში თუ ხარ ნამყოფი?

— კი, რავა არა. გლდანზე ერთი კაი გამონათქვამია: გლდანში ღარიბი სომხები, უპატრონო ქართველები და მდიდარი ქურთები ცხოვრობენო...

— თვითონ სად ცხოვრობ?

— საბურთალოელი ვარ, ტო. აბა, რავა?!. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ საყვარელ და მხიარულ ხალხთან ერთად ვცხოვრობ.

— თერჯოლიდან რა ჩამოიტანე?

— ჩემი თავი და იუმორი ჩამოვიტანე.

— ერთი შენებური ანეკდოტიც მითხარი.

— ქუთაისში ქორწილია გაქანებული და მთვრალი მიდის მუსიკოსებთან, 10 ლარს უდებს და უკან ბრუნდება. რა დაგიკრათო — ეკითხებიან. არაფერი, მაი 10 ლარი აიღე და რაცხა ცხიმიანი ჭამე, ეგება, მოსუქდეო... (*იცინის*).

— ისე, შენც თბილისის ჰავამ გაგასუქა?

— კი, კი, კარგი ჰაერია დედაქალაქში.

— თბილისში რომელი ადგილი გახსენებს თერჯოლას?

— ვაგზალი, ბატონო! მთელი დასავლეთ საქართველო იქ არის... ■

ნატო მეტონიძის დებიუტი ღამის კლუბში

მომღერალი ნატო მეტონიძე, რომელიც ქართული კლასიკური ესტრადის ღირსეული წარმომადგენელია, შემოქმედებით კომპრომისებზე არასდროს მიდის — მსმენელს კომერციულ მუსიკას არ სთავაზობს და არც კომერციულ კონცერტებში იღებს მონაწილეობას. თუმცა, ცოტა ხნის წინ, მან გამონაკლისი დაუშვა და „სითი ქლაბის" არტ-მენეჯერს — ნინა ანდრონიკაშვილს აღნიშნულ კლუბში გამოსვლაზე და მომღერალ დათო გომართელთან ერთად კონცერტის გამართვაზე დათანხმდა. ნატოსგან განსხვავებით, დათო გომართელი „სითი ქლაბში" თავს უკვე შინაურად გრძნობს... ნატოს ღამის კლუბში გამოსვლის დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. მან არაერთი ცნობილი სიმღერა შეასრულა და მას სცენაზე დათო ენაცვლებოდა ხოლმე. მათ რამდენჯერმე დუეტშიც იმღერეს. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ექსპერიმენტი შედგა, ჯერჯერობით მაინც უცნობია, აქცევს თუ არა ტრადიციად ღამის კლუბში გამოსვლას. ამჟამად კი, ის „ჯეოსტარის" ჟიურის აქტიური წევრია და ამ პროექტის გამარჯვებულის გამოვლენის საქმითაა დაკავებული.

ნეკა, აჩიკო, ქრისტინე — კიევში, იუბილეზე მიდიან

ნეკა სებისკვერაძე, აჩიკო ნიჟარაძე და ქრისტინე იმედაძე კიევში (22-27 ნოემბერს) გასტროლებს გეგმავენ. მომღერლები ქართული კულტურის საგანმანათლებლო ცენტრის საიუბილეო კონცერტზე მიიწვიეს (ცენტრი 10 წლისაა). ისინი კონსერვატორიის დიდ დარბაზში იმღერებენ და ამიტომ, უკვე შესაბამის რეპერტუარსაც არჩევენ. მათთან ერთად სცენაზე, როგორც კიევში ქართველთა კულტურის ცენტრის პრეზიდენტმა — ბესიკ შამუგიამ მათ აცნობა, მონაწილეობას ცენტრის მოცეკვავეებიც მიიღებენ. კონცერტს დაესწრებიან უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები და ქართველი პარლამენტარებიც. კიევში კონცერტის აფიშები უკვე დამზადდა და ქალაქის ქუჩებში გაიკრა კიდეც... ■

ჭრელი კითხვები

ია ჩანტლაძე: „ვაკელი ვარ, მაგრამ ქუჩაში ყავის ჭიქით არ დავდივარ"...

— ია, რა ხდება შენკენ ახალი?

— სულ ახალი ინფორმაციაა მაქვს — (ინტერვიუ ჩაწერილია 12 ნოემბერს, პრეზენტაცია კი 13 ნოემბერს შედგა), მარჯანიშვილის თეატრში მიშა მდინარაძის ახალი დისკის პრეზენტაციაზე გამოვდივარ და ვმღერი ფალიაშვილის „სამაიას" — მიშასეული ინტერპრეტაციით. ამასთან, ჩემი ტურისტული კომპანიისთვის, რომლის დამფუძნებელიც გახლავართ, საიტს ვქმნი...

— ქართული ბომონდის წევრი ხარ?

— თუ ადამიანზე ბევრს ჭორაობენ, ყურადღების ცენტრშია, ეტყობა, ის რაღაცად მიაჩნიათ. თუ საკითხს ასე მივუდგებით, მაშინ ჩემზეც ლაპარაკობენ და ამიტომ შეიძლება, ქართული ბომონდის წევრიც ვიყო.

— რა ფერისაა ქართული ბომონდი?

— ჭრელი.

— ბომონდურ შეკრებებზე ხშირად დადიხარ?

— ნაკლებად, რადგან იქ ბევრი რამ არ მომწონს. შეიძლება, პროგრესულია ის, რაც ასეთ შეკრებებზე ხდება, მაგრამ ატმოსფეროში, სადაც გაურკვეველი „სასტავები" ბატონობენ, დისკომფორტის შეგრძნება მეუფლება ხოლმე. ძირითადად, დავდივარ იქ, სადაც მისვლა და ყოფნა მსიამოვნებს.

— გულახდილად მითხარი: მომლერალი ხარ თუ ბიზნესლედი?

— ამჟამად, ბიზნესსაქმიანობით ისე ვარ დაკავებული, რომ სიმღერისთვის დრო თითქმის აღარ მრჩება.

— დღეს ბიზნესმენს რა სჭირდება?

— უნდა იყო თავშეკავებული, თავაზიანი, დიპლომატი, მომთმენი, უნდა შეგეძლოს ლავირება, „რქები" არ უნდა დაიდგა. ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ამ თვისებებს ვერ ვამჟღავნებ, საქმეში — კი.

— რას შვრება შენი ავტომანქანა — „ხოჭო", რომელიც გაჩუქეს?

— ჩემი „ხოჭო" დარბის, დასრიალებს, საქმეების მოგვარებაში მეხმარება.

— ხშირად რეცხავ?

— ყოველდღე ვერ ვრეცხავ. ისე, დაკვირვებული ვარ, რამდენჯერაც გავრეცხე, იმდენჯერ ამინდი გაფუჭდა, წვიმა წამოვიდა.

— როგორ ფიქრობ, ჭეშმარიტი ვაკელი ხარ?

— ახლა, ქუჩაში ყავის ჭიქით არ დავდივარ:.. როგორც თბილისის ბევრი უბანი, ვაკეც შეიცვალა, ისეთი აღარ არის, როგორიც ადრე იყო. აქ ბევრი უცხო ადამიანი გამოჩნდა. ვხუმრობ და ვწუწუნებ ხოლმე: ვაკე „გაბანძდა"-მეთქი. ამასთან, საშინელი მოძრაობა და საცობებია. მოკლედ, ბომონდივით აჭრელდა ვაკეც (*იცინის*).

— შენ რომ კეთილი ფერია იყო, რას იზამდი?

— კეთილი ფერია რომ ვიყო, სიღარიბე აღარ იქნებოდა; ყველა უდედმამო ბავშვს მშობელი ეყოლებოდა; ნიჭიერი ადამიანები მიზანს მიაღწევდნენ... ისე, ეს საკითხები მართლა მაწუხებს.

— ვისზე იტყვიან, არა შეეჯდა მწყერი ხესაო...

— არა იყო გვარი მისიო, არა? ამას ისეთ ადამიანზე იტყვიან, ვინც თავის საქმეს არ აკეთებს და „თეთრი ყვავის" პოზა აქვს მიღებული...

— ახლა ერთი ანდაზა შენ მითხარი.

— რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო...

— „შენი თავით" ბევრი რამე მოგსვლია?

— ალბათ, რაც მომდის — კარგიც და ცუდიც, ჩემით მომდის...

— შენი სავიზიტო ბარათი?

— გაწონასწორებულობა...

— რამდენია 9X8?

— აუ! 72?.. ეს ის საკითხია, რაშიც სისხარტე მაკლია.

— შემოდგომა თუ გაზაფხული?

— შემოდგომა, რადგან ახლაც შემოდგომაა და ეს პერიოდი ძალიან მიყვარს.

— ახლა რომელ ლექსს წაიკითხავდი?

— „საქართველოში იბადებოდნენ და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე, ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს, ჩვენი ბავშვობა და სილამაზე"...

— შენი გულის დაპყრობა ადვილია?

— არც ისე. მთავარია, გასაღები სწორად მოძებნონ.

— მოძებნიან?

— სცადონ! (*იღიმება*).

— რას ეტყოდი შენს თაყვანისმცემელ მამაკაცებს?

— ჭკუით იყავით!

■

ნატო გელაშვილმა სცენაზე ორი ქალი „აიტაცა"

„სითი ქლაბი" ღამის კლუბებში დღესდღეობით ერთადერთია, სადაც შემსრულებლებს ყურადღებით არჩევენ. იქ მღერიან: მერაბ სეფაშვილი, დათო გომართელი, გიო ხუციშვილი, ნატო გელაშვილი. აღნიშნულ დარბაზში სოლო კონცერტის გამართვას (23 ნოემბერს) ლელა წურწუმიაც აპირებს... რამდენიმე დღის წინ, იქ ქალაქური სიმღერის საღამო მოეწყო, რომელშიც ნატო გელაშვილი და გიო ხუციშვილი მონაწილეობდნენ. რა თქმა უნდა, გაისმა მათი ცნობილი ჰიტები: „ჩემო ცისფერთვალებავ", „აყვავდება როცა ნუში", „დეკემბერი"... რატომღაც ისე ხდება, რომ ნატოსა და გიოს სიმღერები მსმენელს არასდროს ჰბეზრდება და როცა ისინი მათ ისმენენ, ყოველთვის აჰყვებიან ხოლმე. ამ მხრივ, არც ის დღე გახლდათ გამონაკლისი... კონცერტის დასასრულს, ნატო გელაშვილმა კლუბის ხელმძღვანელს, თაკო დოლაბერიძეს და მის მეგობარ ნანა ხომერიკს ხელი ჩაავლო და სცენაზე „აიტაცა". მერე სამივემ ერთად იმღერა — „დეკემბერი დადგაო და, ცამ იცვალა ფერი". ისეთი მონდომებით მღეროდნენ, რომ მართლა დეკემბერი მეგონა და ამ ყველაფერს, მხოლოდ ციდან ფანტელების ცვენაღა აკლდა...

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎ 822 006 005
822 006 099
822-425-544
SMS 1474
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(16 – 22 ნოემბერი)

ვერძი 21.03-20.04
თანდათანობით ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებით და მუშაობას ახალ პროექტებზე დაიწყებთ. თუმცა, შეიძლება, ამ ყველაფერში ხელი ძველმა ვალებმა ან დროულად შეუსრულებელმა ვალდებულებებმა შეგიშალოთ. სულიერი სიმშვიდის მოპოვებას მხოლოდ ოჯახურ გარემოში შეძლებთ.

კურო 21.04-20.05
კარგი განწყობილება ძალზე გულღია და მგრძნობიარე ადამიანად გაქცევთ, შემოქმედებითი საქმიანობისკენ გიბიძგებთ. ოჯახური კეთილდღეობა და ახლობლებთან ურთიერთობა სიხარულს მოგანიჭებთ, რაც თქვენი შთაგონების წყარო გახდება.

ტყუპი 21.05-21.06
სასიცოცხლო ძალების მატებას იგრძნობთ და გაუმკლავდებით თქვენს შინაგან დისკომფორტსა და უკმაყოფილებას. ეს პერიოდი ხელსაყრელია სხვადასხვა სახის ფინანსური ოპერაციების ჩასატარებლად.

კიბო 22.06-22.07
ამ დღეებში ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდება და თქვენშიც გაღვივდება ინტერესი სულიერების, ხელოვნებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართ. თქვენ ძალებს არ დაიშურებთ სამსახურში დასაწინაურებლად და მიზანსაც მიაღწევთ.

ლომი 23.07-23.08
ამ კვირას გარშემო მყოფებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგგვრით. თქვენ ირგვლივ ჰარმონიულ, შემოქმედებით ატმოსფეროს შექმნით, რითაც დააჩქარებთ სასიკეთო ცვლილებებს თქვენს კარიერასა და პირად ცხოვრებაში.

ქალწული 24.08-23.09
ამ პერიოდში თქვენ ძალზე კომუნიკაბელური იქნებით. სხვა ადამიანების ჩანაფიქრის ცოდნა კი მოგცემთ საშუალებას, ხელსაყრელად წარმართოთ თქვენი საქმიანობა.

სასწორი 24.09-23.10
ნოემბრის მეორე დეკადაში თქვენი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება, ურთიერთობებს მოაგვარებთ ახლობელ ადამიანებთან და თქვენს ოჯახში კვლავ მშვიდობა დაისადგურებს.

მორიელი 24.10-22.11
ამ დღეებში თავს დააღწევთ ძველ უსიამოვნებებს. თქვენ ადვილად იპოვით თანამოაზრეებს და მათ თქვენს იდეებსა და ჩანაფიქრს გაუზიარებთ. საჭიროა კონკრეტული მიზნები დასახოთ და შეეცადოთ, წამოწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ.

მშვილდოსანი 23.11-21.12
ამ დღეებში თავი შეძლებისდაგვარად უნდა აარიდოთ ყოველგვარ დატვირთვას, რადგან ეს თქვენში დაღლილობისა და უკმაყოფილების შეგრძნებას გამოიწვევს. სასურველია, შვებულება აიღოთ, დაისვენოთ და დრო სასიამოვნოდ გაატაროთ.

თხის რქა 22.12-20.01
ამ პოზიტიურ პერიოდში თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, თავი გამოიჩინოთ როგორც ლიდერმა და განამტკიცოთ მეგობრული ურთიერთობები. თქვენ შეიძლება, რომელიმე ორგანიზაციაში გაწევრდეთ და მაღალი იდეალების სამსახურში ჩადგეთ.

მერწყული 21.01-19.02
ამ კვირას თქვენ აუცილებლად უნდა მოაგვაროთ პირადი საქმეები, საწინააღმდეგო შემთხვევაში, თქვენი მოუწესრიგებლობა სავალალოდ აისახება თქვენსავე მატერიალურ მდგომარეობაზე და ახლობლებთან ურთიერთობასაც გაგირთულებთ.

თევზები 20.02-20.03
ამ პერიოდში ენერგეტიკული პოტენციალის ზრდასთან ერთად, თქვენში ავანტიურისტი გაიღვიძებს. არაერთ წარმატებას მიაღწევთ შემოქმედებით სფეროში. კულტურული და სულიერი ღირებულებებისადმი ინტერესი შორეული მოგზაურობისკენ გიბიძგებთ.



ახალი Volkswagen ჩინეთის ბაზრისათვის

კომპანია Volkswagen-მა პეკინის ავტოშოუსთვის მოულოდნელი კონცეპტუალური მოდელი — VW Neeza შექმნა. ეს ავტომობილი მოდელ Audi Q7-ის ბაზაზეა აწყობილი, თუმცა Volkswagen-ის სხვა მოდელების სტილში შესრულებული, ძარას წინა და უკანა ნაწილით სრულიად განსხვავდება. იგივე შეიძლება ითქვას გადაკეთებულ ინტერიერზეც.

მაგალითად, კონცეპტს ძარას ცენტრალური დგარი არ გააჩნია, ხოლო მისი უკანა კარი მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით იღება. VW Neeza-ს უკანა სავარძელს ასიმეტრიული ფორმა აქვს, ხოლო წინა სავარძლები თავ-თავიანთი ღერძების გარშემო ბრუნავს. დაბოლოს, ექსპერიმენტულ ავტომობილს პანორამული მინის სახურავი აქვს.

კონცეპტის სხვა მახასიათებლებზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. გამორიცხული არ არის, რომ მომავალში ასეთი მანქანა სერიულად ჩინეთის ბაზრისთვის გამოვიდეს. ■

GM-ის ახალი მოდელი

ამერიკულმა კონცერნმა GM-მა პეკინის ავტოსალონზე ახალი მოდელი — Cadillac SLS წარმოადგინა. ახალი ავტომობილი სედან STS-საგან 100 მილიმეტრით დაგრძელებული ძარათი განსხვავდება. ბაზის სიგრძეში გაზრდამ კონსტრუქტორებს უკანა სავარძლებზე მსხდომი მგზავრებისთვის განკუთვნილი სივრცის გაზრდის შესაძლებლობა მისცა. GM-ში მიიჩნევენ, რომ ჩინეთში, ძვირად ღირებული ავტომობილების მფლობელები უპირატესობას მძღოლის დაქირავებას მიანიჭებენ და ამიტომ, იქ გრძელბაზიანი სედანი პოპულარობას მოიპოვებს. ახალი მანქანის სალონის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

Cadillac SLS -ის წარმოება GM-ს შანხაიში აქვს დაგეგმილი. ავტომობილი ბენზინის სამი ძრავათი იქნება აღჭურვილი: 2,8 და 3,6 ლ მოცულობის V6 ტიპის და აგრეთვე, Northstar-ის ოჯახის 8-ცილინდრიანი აგრეგატით.

უფრო ადრე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანია BMW-მ სპეციალურად ჩინეთის ბაზრისთვის Sedan 5-Series-ის დაგრძელებული ვარიანტი შეიმუშავა. ■

ახალი Mitsubishi Lancer ჩრდილო ამერიკისთვის

Mitsubishi Lancer-ის სრულიად ახალი თაობის ავტომობილის დებიუტი 2007 წლის იანვარში, დეტროიტის ავტოშოუზე შედგება. ამის შესახებ კომპანიის ჩრდილოამერიკული დანაყოფის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს. გაცნობებთ, რომ ახალი Lancer „მიცუბიშის“ იმ პლატფორმის ბაზაზე აიგება, რომელიც ამჟამად უკვე გამოიყენება Mitsubishi Outlander-ზე და კონცერნ DaimlerChruisler-ის ზოგიერთ სხვა მოდელზე (Jeep Compass, Dodge Caliber და სხვები). ახალი მანქანა წინამორბედზე ოდნავ უფრო მოზრდილი იქნება, თანაც — Concept-X-ის სტილში შესრულებული ძარას სრულიად ახალი დიზაინით. მომავალი მოდელის ფორმის საკვანძო ელემენტად ძარას აგრესიული წინა ნაწილი და ბორბლის განიერი თაღი იქცევა.

ახალი Mitsubishi Lancer-ის გაყიდვა ჩრდილო ამერიკაში 2007 წლის გაზაფხულიდან დაიწყება. მოგვიანებით, სედანის ბაზაზე Lancer Evolution-ის ახალი თაობის გამოშვება იგეგმება, რომელიც ტრადიციის მიხედვით, მძლავრი ტურბოძრავათი იქნება აღჭურვილი. მისი გამოშვების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არ გამოუცხადებიათ. ■

BMW მეექვსე სერიის განახლებაზე მუშაობს

ნიურბურგრინგში გამართულ ტესტირებაზე BMW-ს მეექვსე სერიის განახლებული კაბრიოლეტი აღბეჭდეს ფოტოზე. როგორც საიტი Left Lane News იუწყება, ახალი მანქანა თავისი წინამორბედისაგან შეცვლილი წინა და უკანა ბამპერებით, რადიატორის ცხაურითა და უკანა მაშუქებით განსხვავდება. საერთო ჯამში, ცვლილება არცთუ ისე თვალში საცემია, ამიტომ მანქანის იერი დიდად არ შეცვლილა.

მეექვსე სერიის განახლების გარდა, BMW მეოთხე სერიის სრულიად ახალი ავტომობილის შექმნაზე მუშაობს. სერიული მოდელის დებიუტი 2009 წლის შემოდგომისთვის იგეგმება. გამორიცხული არ არის, რომ მოდელს სახელი შეუცვალონ და მას Z6 დაარქვან. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილიმ

ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ, ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲚᲘᲞᲨᲘ ᲗᲣ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲘᲡ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲪᲘᲠᲔᲓᲘ ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲒᲐ. ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ �წᲘᲜ, ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲐᲜᲠᲘ ᲯᲯᲝᲮᲐᲫᲔᲛ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲞᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲙᲐᲓᲠᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲕᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲑᲔᲓᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ, ᲛᲘᲨᲐ ᲡᲣᲚᲣᲮᲘᲐᲛ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠ ᲖᲐᲖᲐ ᲡᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲞᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲙᲐᲓᲠᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲯᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲘᲨᲐ ᲡᲣᲚᲣᲮᲘᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲖᲐ ᲡᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲔᲜ.

„ᲓᲐᲑᲚᲝᲙᲘᲚ“ ᲙᲚᲘᲞᲨᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲝᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲣᲠᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ „202“-ᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲥᲠᲘᲛᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ“

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲥᲘᲕᲘᲫᲔ

— ᲛᲘᲨᲐ, ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲨᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲔ.

— ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲕᲛᲦᲔᲠᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ „ᲜᲣᲪᲐᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ“ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲓᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲖᲐᲠᲓᲔ. ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲘ, ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲚᲝᲠᲐᲕᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲐ, ᲛᲣᲡᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲐ. ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲪ ᲓᲔᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲕᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲖᲔ ᲕᲣᲙᲠᲐᲕ. ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲟᲐᲜᲠᲡ ᲕᲛᲦᲔᲠᲝᲓ, ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ, „ᲜᲣᲪᲐᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ“ ᲡᲐᲔᲡᲢᲠᲐᲓᲝ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ. ᲔᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲗᲕᲚᲘᲗ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲡ ᲕᲘᲖᲐᲛᲗ. „ᲜᲣᲪᲐᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲛ“ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲘᲬᲧᲝ: ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲒᲐᲛᲘᲪᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ ᲛᲘᲛᲘᲬᲕᲘᲔᲡ. ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ, „ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲓ“ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲠᲒᲝᲚᲘ ᲘᲥᲪᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ.

ᲖᲐᲖᲐ:

— ᲘᲛ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲨᲐᲡ ᲙᲚᲘᲞᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲔ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲐ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲘᲨᲐᲡ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲕᲗᲐᲕᲐᲖᲔ. ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲯᲯᲔᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲡ.

ᲛᲘᲨᲐ:

— ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲝᲚᲝ ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ 10 ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲘᲥᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ. ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲖᲐᲖᲐᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲦᲝᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲣᲔᲢᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲔᲙᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲩᲐᲕᲬᲔᲠ. ᲔᲙᲐ ᲯᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ „ᲜᲣᲪᲐᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ“ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲕᲘᲪᲐᲜ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ ᲓᲐ ᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲐ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲣᲔᲢᲖᲔ ᲙᲚᲘᲨᲡᲐᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲦᲔᲗ. ᲔᲡ ᲓᲣᲔᲢᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲐᲚᲑᲝᲛᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲘᲥᲜᲑᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ, ᲐᲮᲚᲐ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ ᲡᲝᲚᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲔ ᲕᲣᲙᲠᲐᲕ 7 ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲗᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲗᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲗᲔ ᲓᲐᲕᲣᲙᲠᲐᲕ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲟᲐᲜᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲛᲐᲥᲕᲡ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲐᲛᲓᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲡ ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲩᲔᲛ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲪ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲔᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ, ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ.

— ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲐᲮᲚᲐ ᲘᲛ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲖᲔ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲡ „ᲓᲐᲑᲚᲝᲙᲕᲘᲗ“ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲘᲐᲜ. ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ?

— ᲔᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ, ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲐᲜᲠᲘ ᲯᲯᲝᲮᲐᲫᲔᲛ ᲛᲐᲩᲣᲥᲐ. ᲛᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲙᲐᲠ�გᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲕᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ, Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ ᲔᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔ ᲓᲐ ᲖᲐᲖᲐᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ, ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲒᲒᲘᲦᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲦᲔᲗ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ...

ᲖᲐᲖᲐ:

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲡᲜ, ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲣᲯᲓᲔᲑᲐ. ᲐᲜᲠᲘᲛ ᲛᲘᲨᲐᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲬᲐᲣᲧᲔᲜᲐ: ᲗᲣ ᲛᲐ�გ ᲙᲚᲘᲞᲡ ᲖᲐᲖᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲑᲡ, ᲙᲚᲘᲞᲡ „ᲓᲐᲕᲑᲚᲝᲙᲐᲕᲗ“. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ �წᲘᲜ, ᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲜᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲒᲕᲥᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲔ, ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲗᲥᲕᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ �წᲘᲜ ᲓᲐᲕᲣᲠᲣᲙᲔ ᲓᲐ ᲕᲗᲮᲝᲕᲔ, ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲝᲕᲐᲒᲐᲒᲠᲐᲠᲝᲗ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ. ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ: ᲐᲠᲐ, ᲔᲒ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲪ ᲛᲔ ᲛᲐᲥᲕᲡ; ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲣᲠᲡᲔᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲜᲘᲭᲝ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲛᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲝᲡ ᲔᲒ ᲙᲚᲘᲞᲘ, ᲮᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲕᲘᲦᲔᲑ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲝᲗ... ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ �წᲚᲘᲡ �წᲘᲜ, „202“-ᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜ ᲮᲜᲘᲡ �გᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲐᲠᲐᲜᲐᲜᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲘᲭᲘᲔᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲕᲪᲔᲛ. ᲛᲐᲡᲐᲪ „ᲑᲚᲝᲙᲐᲕᲓᲔᲜᲔ“ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲪᲣᲓ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲒᲓᲔᲑᲓᲜᲔ. ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲣ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲣᲤᲛᲜᲘᲓᲜᲔ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲛᲦᲔᲠᲔᲑᲓᲜᲔ, ᲛᲘᲨᲐᲡ ᲐᲡᲝ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ. ᲐᲜᲠᲘᲡᲘᲡᲐᲘᲠᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ.

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲔᲠᲝᲢᲘᲙᲣᲚ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲡ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ. ᲐᲜᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲙᲚᲘᲞᲛᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲑᲝᲚᲝ ᲙᲐᲓᲠᲨᲘ ᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲘᲚᲘᲐ...

— ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ, ᲐᲜᲠᲘ ᲙᲚᲘᲞᲡ ᲗᲣ ᲘᲦᲔᲑᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲚᲘᲞᲘᲡ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘᲗ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲘᲜᲢᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲐ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲰᲔᲛᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲕᲘᲢᲧᲝᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲔᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ.

— ᲛᲘᲨᲐ, ᲒᲘᲦᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲐᲓ ᲖᲐᲖᲐ ᲡᲕᲐᲜᲐᲫᲔ?

— ᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲤᲘᲥᲠᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲐᲖᲐᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲘᲦᲐᲪᲐᲡ ᲓᲐᲕᲙᲐᲠ�გᲐᲕᲓᲘ. ᲐᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲐᲜᲠᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚᲘ ᲛᲧᲐᲕᲡ.

ᲖᲐᲖᲐ:

— ᲗᲣ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲠ „ᲓᲐᲒᲕᲑᲚᲝᲙᲐᲕᲔᲜ“, ᲙᲚᲘᲞᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲬᲕᲔᲕᲡ ᲐᲜᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲪᲛᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲘᲨᲡᲐ ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲓᲔᲡ. ᲩᲔᲛᲖᲔ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ. ᲛᲝᲕᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ, ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲡᲘ �გᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ. ᲐᲛ ᲙᲚᲘᲞᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘ ᲛᲐ�გᲐᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲝᲡ, ᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲖᲔ ᲙᲚᲘᲞᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲦᲔᲑ.

— ᲛᲘᲨᲐ, ᲐᲛ ᲙᲚᲘᲞᲨᲘ ᲨᲔᲜᲪ ᲨᲘᲨᲕᲚᲓᲔᲑᲘ?

— ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲙᲘ. ᲘᲥ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲪᲔᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲝᲠᲒᲘᲐᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ — ᲔᲠᲗ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲬᲝᲚᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲬᲕᲐᲜᲐᲜ. ᲛᲐᲗ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲕᲛᲦᲔᲠᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ �გᲐᲮᲓᲐ ᲛᲐᲜᲘᲪ ᲛᲘᲬᲕᲔᲑ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲔᲡ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲥ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ. ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲔᲑᲘ ᲐᲪᲕᲘᲐᲗ.

— ᲗᲣ ᲝᲠᲒᲘᲐᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲔᲑᲘ ᲠᲐᲚᲐᲨᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ?

— ᲰᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲐᲘᲮᲓᲘᲐᲜ, ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲪᲕᲘᲐᲗ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲮᲓᲘᲐᲜ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ...

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲒᲕᲡᲣᲠᲓᲐ, ᲐᲜᲠᲘ ᲯᲯᲝᲮᲐᲫᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲪ ᲛᲝᲒᲕᲔᲡᲛᲘᲜᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲠᲐᲪ ᲒᲕᲐᲘᲜᲢᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ, ᲣᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ — ᲔᲒ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲛᲐᲘᲜᲢᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐ�გᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲡᲣᲠᲡᲝ... ■

68 №46 16.11.2006 ᲒᲖᲐ

ირაკლი ლომაია: აურის დაბინძურება ნებისმიერ ორგანოს აზიანებს

17 წლის ასაკში ირაკლი ლომაია, რომელსაც სხეულზე ჯვრები გამოესახა და მირონი გადმოედინა, მთელმა საქართველომ გაიცნო. მისი ფენომენით უცხოელებიც დაინტერესდნენ და საგანგებოდ მიიწვიეს ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, იტალიაში, გერმანიასა და ავსტრიაში. მკურნალს, შემლოცველსა და ექსტრასენს უამრავი ადამიანი ემადლიერება, ამბობენ, ნამდვილ სასწაულებს ახდენსო. ირაკლი ლოგინს მიჯაჭვულ, მძიმე ავადმყოფებს კურნავს. მასთან დახმარების სათხოვნელად ხალხი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდის. სხვათა შორის, მაღალჩინოსნებიც ხშირად აკითხავენ. იგი ხედავს მაგიური ზემოქმედების შედეგად დაბინძურებულ აურას და უარყოფითი მუხტისგან ასუფთავებს.

— ბატონო ირაკლი, დიაგნოზსაც სვამთ?

— დიახ, ჯერ დიაგნოზს ვსვამ... ამისთვის მჭირდება ახალგადაღებული ფერადი ფოტო (3X4). სამდღიანი გამოკვლევის მერე, ავადმყოფს პასუხს ვეუბნები, ექვემდებარება თუ არა მისი ორგანიზმი ენერგეტიკული მეთოდით მკურნალობას. თუ აღმოჩნდა, რომ ექვემდებარება, წინასწარ ვარკვევ, რა სახის მკურნალობა უნდა ჩაუტარდეს — ექსტრასენსული სეანსები უფრო ეფექტური იქნება, ინდივიდუალური რეცეპტებით ბალახებზე დამზადებული წამლები თუ ორივე ერთად.

— წამლებსაც თქვენ ამზადებთ?

— დიახ... სიზმრისეული ხილვით სხვადასხვა დაავადების სამკურნალო რეცეპტი ვისწავლე და ბალახებისგან თავად ვამზადებ წამლებს, მალამოებს... რაც არ უნდა მძიმე ავადმყოფი მომიყვანონ, თუ მისი ორგანიზმი მკურნალობას ექვემდებარება, ანუ „სიკვდილის ფორმულაში“ არ ჯდება, უთუოდ განიკურნება... შარშან მომიყვანეს პაციენტი, რომელსაც ძვლის სარკომა აღმოაჩნდა. ონკოლოგებმა საავადმყოფოდან გაწერეს, აღარაფერი გეშველება, ერთი კვირის სიცოცხლეღა დაგრჩაო. გამიკვირდა, მაგრამ პაციენტის ორგანიზმი მეტ-ნაკლებად ექვემდებარებოდა მკურნალობას. მდგომარეობა ავუხსენი და ვუთხარი, შანსი გაქვთ — 50X50, შემიძლია სიცოცხლე გაგიხანგრძლივოთ-მეთქი. მენდო და გავიმარჯვეთ. ქალმა, რომელიც ერთ კვირაში უნდა მომკვდარიყო, 4 წელი იცოცხლა...

აურის დაბინძურება ნებისმიერ ორგანოს აზიანებს. გარდა ამისა, მძიმე კარმა, ან წინა ცხოვრების ცოდვები და ბიოველში ხელოვნურად შეყვანილი ნეგატიური პროგრამა ანუ ჯადო, უამრავ დაავადებას იწვევს. ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე, წინაპართა ცოდვები, გათვალვა, საგვარეულო წყევლა და ხატზე გადაცემა.

— როგორ ასუფთავებთ დაბინძურებულ აურას?

— ლოცვით და სანთლებით... თუ კაცს აურა დაბინძურებული აქვს, წარმატებას ვერ მიაღწევს და უამრავ გაუთვალისწინებელ სირთულეს წააწყდება. ჩემთან ხშირად მოდიან დახმარების სათხოვნელად ბიზნესმენები და თანამდებობის პირები, რათა ადვილად გაართვან თავი დაკისრებულ საქმეს და კარიერა დაუბრკოლებლად გაიკეთონ. ასეთ ადამიანებს ენერგეტიკული დაცვა განსაკუთრებით სჭირდებათ, თავიანთი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. საერთოდ, გამოლოცვა აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, მნიშვნელობა არა აქვს, ჩემთან სამკურნალოდ მოვა თუ ჯადოს ასახსნელად. როცა სუფთავდება აურა, ჩაკრები, კარმა, მკურნალობის შედეგი გაცილებით ეფექტიანია.

— ირაკლი, რა დავაადებებს კურნავთ?

— ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თუ პაციენტის ორგანიზმი მკურნალობას დაექვემდებარება, სიმსივნეც კი მარცხდება.

ირაკლი ლომაიას პაციენტები

გვანცა ძინძიბაძე: — ხუთი შვილის დედა ქმარმა მიმატოვა, სხვა ქალთან წავიდა. ძალიან განვიცადე, სიცოცხლე აღარ მინდოდა, ღრმა დეპრესიაში ჩავვარდი, ბავშვებს საჭმელსაც კი აღარ ვუკეთებდი, ჩემს შვილებს მეზობლები ჰპატრონობდნენ.

— ვისთან გიღალატათ მეუღლემ?

— ასაკით უფროს, განათხოვარ, მახინჯ ქალთან წავიდა. ყველანი ამბობდნენ, ალბათ, ჯადო გაუკეთა, თორემ ასეთ ოჯახს როგორ მიატოვებდაო?!

ბატონმა ირაკლიმ ჩემს შვილებს მამა დაუბრუნა. ჯადოს ზემოქმედება გაანეიტრალა და გონს მოიყვანა, სამი თვისთავზე, შინ თავისი ფეხით მოვიდა. მე კი მისი დახმარებით, ღრმა დეპრესიას თავი დავაღწიე, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი.

მამუკა გაგოშიძე: — ჩემი ბიზნესი მქონდა, საქმე კარგად მიდიოდა, კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ მოულოდნელად ისეთმა ადამიანმა გადამაგდო, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ მიღალატებდა.

— ვინ გაგიმეტათ?

— საკუთარმა ძმამ და ბიზნესპარტნიორმა... დიდი თანხა მიითვისა და საზღვარგარეთ გაიქცა. კინაღამ შოკში ჩავვარდი, ნევროზი დამემართა, მთელი დღე მხოლოდ ყავას ვსვამდი და სამ კოლოფ სიგარეტს ვეწეოდი. ერთ თვეში 15 კილოგრამი დავიკელი წონაში, ლანდივით დავდიოდი, კაცს აღარ ვგავდი.

— რით დაგეხმარათ ბატონი ირაკლი?

— ჩემმა მეუღლემ მირჩია, ირაკლი ლომაიასთან წავიდეთ, ძალიან აქებენ, დარწმუნებული ვარ, ამ მძიმე მდგომარეობიდან უთუოდ გამოგიყვანსო. ბატონი ირაკლის წყალობით დავწყნარდი, დამშვიდდი, რეალობას თვალი გავუსწორე და ყველაფერი თავიდან დავიწყე. აურის გასუფთავებამ წარმატება მომიტანა, ისეთი საქმიანი წინადადებები შემომთავაზეს, ვერც კი ვიოცნებებდი. ბედმა გამიღიმა და ისევ ფეხზე დავდექი, რწმენაში გავძლიერდი. ბატონ ირაკლის რჩევით ეკლესიური ცხოვრება დავიწყე, რისთვისაც მისი უზომოდ მადლიერი ვარ.

ვალიდა კვაშალი: — მკერდის სიმსივნე აღმომაჩნდა. ექიმებმა ოპერაცია შემომთავაზეს, მაგრამ დედამთილმა მითხრა, ჯერ ირაკლი ლომაიასთან მივიდეთ, ჩემს ბიძაშვილს მან უმკურნალა საკუთარ რეცეპტზე დამზადებული წამლითო. მკერდის მოკვეთა არც ერთ ქალს არ სურს. წამლით თუ მოვრჩებოდი, რატომ უნდა გამეკეთებინა ოპერაცია?! სამი დღე ველოდი პასუხს, ძალიან განვიცდიდი, უარი არ მითხრას-მეთქი.

— ტყუილუბრალოდ ინერვიულეთ?

— ასე გამოვიდა!.. ბატონმა ირაკლიმ მითხრა, პასუხი დადებითია, შეგვიძლია მკურნალობა დავიწყოთო. ოღონდ გამაფრთხილა: თუ გინდა, რომ გამოჯანმრთელდე, უნდა მენდო და რასაც გეტყვი, შეასრულო; საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობის კურსი უნდა გავიმეოროთო. შედეგით კმაყოფილი ვარ, სიმსივნე რომელიც ხელით მესინჯება, საგრძნობლად დაპატარავდა, ტკივილები გამიქრა, იმედი მაქვს, მალე გამოვჯანმრთელდები.

მანანა ფაჩულია: — ოჯახი სიყვარულით შევქმენით. ვაჟა წლების განმავლობაში აჩრდილივით დამდევდა, ცოლად გამომყევიო, — მეხვეწებოდა. ყველაფერი კარგად იყო, ბედს არ ვემდურეოდით, მაგრამ შვილი არ გვეყოლა.

— იმკურნალეთ?

— დავიტანჯე, 8 წლის განმავლობაში უამრავი მეთოდი ვცადე, მაგრამ მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. ჩემსას მაინც არ ვიშლიდი, არანორმალურად მინდოდა დედობა. ნათესავებმა მირჩიეს, ბავშვი აიყვანეო... უარი ვთქვი.

— ბატონ ირაკლისთან მისვლა ვინ გირჩიათ?

— დედაჩემმა... გაზეთებში წაუკითხავს მის შესახებ... ირაკლის წყალობით დღეს მეც დედა ვარ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი.

P.S. დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! მიღების დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირა, 12-დან 17 საათამდე. მისამართი: კარგარეთელის ქ №8 (პლეხანოვი), საკონტაქტო ტელეფონებია: 20.50.51; 899.50.15.78. მონაცემები შეტანილია ინტერნეტში: Web-site.www.ikaextrasens.com. e-mail:ika@ikaextrasens.com.

ოჯახის მამა და მისი აღმზრდელობითი პოზიცია

ჩვეულებრივ, ბავშვის აღზრდას ქალის საქმედ მიიჩნევენ, მაგრამ ფსიქოლოგები გვაფრთხილებენ: მამის როლის არასათანადოდ შეფასებას, შესაძლოა, ბავშვის ფსიქიკის დამახინჯება მოჰყვეს — რაც მის არასწორ პიროვნულ განვითარებას გამოიწვევს. მამის ზეგავლენას შვილებზე, თავისთავად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რამდენად ეფექტურია ეს ზეგავლენა, ხელს უწყობს თუ არა ის ბავშვის სრულყოფილ განვითარებას და ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობის დამკვიდრებას — ყოველივე ეს, ძირითადად, დამოკიდებულია იმ აღმზრდელობით პოზიციაზე, რომელიც ოჯახის უფროსს უჭირავს. გთავაზობთ, მამებისთვის განკუთვნილ ტესტს, რომელიც შედგება მოსაზრებებისგან, რომლის მიმართაც თქვენ საკუთარი დამოკიდებულება უნდა გამოხატოთ: ვეთანხმები (2 ქულა); მხოლოდ ნაწილობრივ ვეთანხმები (1 ქულა); არ ვეთანხმები (0 ქულა).

1. მამა უკეთ უმკლავდება წამოზრდილ შვილებს, ვიდრე პატარებს.

2. მშობლების გაყრის შემთხვევაში, შვილები დედასთან უნდა დარჩნენ.

3. კარგი მეუღლე, ჩვეულებრივ, კარგი მამაცაა.

4. მამაკაცს არ შეჰფერის თავისი გრძნობების გულახდილად გამომჟღავნება.

5. აღმზრდელობით საკითხებში მამის აზრი — გადამწყვეტია.

6. ჩვეულებრივ, ბავშვის დაბადების შემდეგ, ცოლი შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქმარს.

7. უმჯობესია, ბავშვები უმამოდ იზრდებოდნენ, ვიდრე ცუდი მამის ატანა უხდებოდეთ.

8. ვინაიდან მიჩნეულია, რომ ქალი — უკეთესი აღმზრდელია, ვიდრე მამაკაცი, უმჯობესი იქნება, თუ შვილების აღზრდას სწორედ დედა მოჰკიდებს ხელს.

9. თუკი ბავშვი რაღაცის გაკეთებას ვერ ახერხებს, მან დასახმარებლად ყოველთვის დედას უნდა მიმართოს.

10. რაც უფრო ძლიერია მშობლის შვილისადმი სიყვარული, მით უფრო იოლია მისი აღზრდა.

11. მამა მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს შვილის აღზრდაში, როცა ცოლი მიმართავს.

12. მშობლების გაყრის შედეგად დედასთან დარჩენილი ბავშვი არ განიცდის უმამობას.

13. ჩვეულებისამებრ, დედები ძალზე ანებივრებენ შვილებს.

14. სასურველია, რომ ოჯახის უფროსმა შვებულება საკუთარ ოჯახთან გაატაროს.

15. პატარაობიდანვე ბიჭს სხვანაირი აღზრდა სჭირდება, ვიდრე გოგონას.

16. ზოგიერთ ბავშვს ურჩევნია დრო მამასთან გაატაროს, ვიდრე დედასთან.

17. ხშირად გეუფლებათ ისეთი შეგრძნება, რომ თითქოსდა ცოლისათვის შვილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენ.

18. აღზრდასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სფეროში თქვენ სულ თავისუფლად შეგიძლია ცოლის შეცვლა.

19. შვილი უფრო დიდ პატივს უნდა სცემდეს მამას, ვიდრე დედას.

20. თქვენი და თქვენი შვილების ურთიერთობაში ცოლი ყოველთვის ერევა.

21. თუკი ამის სურვილი გაუჩნდება, მამას შეუძლია ისევე კარგად მოუაროს ჩვილ ბავშვს, როგორც დედას.

22. მამის ზეგავლენა უფრო მნიშვნელოვანია ვაჟიშვილისათვის, ვიდრე ქალიშვილისათვის.

23. ცოლი სრულიად ვერ აღგიქვამთ თქვენ სერიოზულ აღმზრდელად.

24. ბევრად უფრო იოლია ბავშვის აღზრდა, როცა ოჯახში ბებიაც ცხოვრობს.

დაანგარიშეთ ქულები: ტესტში გამოყოფილია პასუხების 3 ჯგუფი. I ჯგუფში შედის პასუხები: 1, 4, 5, 12, 13, 15, 19, 22; II ჯგუფში — 2, 6, 8, 9, 11, 17, 20, 23; III ჯგუფში — 3, 7, 10, 14, 16, 18, 21, 24. ყოველი ჯგუფი შეესაბამება თითოეულ ტიპს. რომელ ჯგუფშიც თქვენ ყველაზე მეტი ქულა დაგროვეთ, სწორედ იმ ტიპს განეკუთვნებით.

ტესტის შედეგები:

I — ტრადიციული ტიპი

მამა — ოჯახის თავია, რომელსაც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ნებისმიერ საკითხში — მათ შორის, აღმზრდელობით საკითხშიც. ის საკმაოდ მკაცრია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინას და შვილებისგანაც მთელი რიგი მოვალეობების შესრულებას მოითხოვს. მაგრამ პრინციპში, ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ მამასა და შვილებს შორის არ სუფევს გულიანადი, გულწრფელი ურთიერთობები. შვილები თავშეკავებით იქცევიან მამასთან, რადგან გრძნობენ, რომ მათი სურვილებისა და ინტერესების მას არ ესმის.

II — თანამედროვე ტიპი

მისთვის შვილებთან ურთიერთობა და მათზე ზრუნვა, სრულიად ნორმალური და ბუნებრივი რამაა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს ბევრი თავისუფალი დრო, ის შვილებს მაინც საკმარის დროს უთმობს. ასეთი მამა შვილებთან საკუთარი გრძნობების გამომჟღავნებას არ ერიდება. სხვათა შორის, ურთიერთგაგება არა მარტო წამოზრდილ შვილებსა და მას შორის მყარდება, არამედ ის პატარებზედაც სათანადოდ ახერხებს ზრუნვას. შვილები აღმერთებენ მას.

III — ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფით შეპყრობილი ტიპი

ამ ტიპის მამაკაცს, მთელი აქცენტი ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე გადააქვს და შვილების აღზრდის საკითხში სრულ თავისუფლებას აძლევს ცოლს. ვინაიდან მიიჩნევს, რომ ის ამ ასპარეზზე ცოლის შეცვლას მაინც ვერ მოახერხებს. მით უმეტეს, რომ ის, გამუდმებით ძალზე დაკავებულია საქმეებით. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, შვილს მამისადმი გაუცხოების გრძნობა ეუფლება. ასეთ შემთხვევაში, ბევრი რამ დამოკიდებულია ცოლზე, რომელიც უფრო ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობების დამყარებას შეძლებს, თუკი ქმარს აღმზრდელობით საკითხებში ნდობას გამოუცხადებს.

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან



ᲒᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. აპისი; 2. ფიზიკა; 3. სენატი; 4. მალი; 5. ხანუმა; 6. ნამგალი; 7. მამული; 8. რაინი; 9. კარამელი; 10. რიხი; 11. რიტორი; 12. ანოდი; 13. ტალავერი; 14. გავა; 15. ლადა; 16. კეხურა; 17. ოტელო; 18. აუდი; 19. ჩვარი; 20. ვაქცინა; 21. ნერბი; 22. ბისკვიტი; 23. ის; 24. კიურე; 25. მიამიტი; 26. ელვის; 27. ევროპა; 28. კარაბადინი; 29. ალიმენტი; 30. ტრატორია; 31. პაიკი; 32. ბანკი; 33. ერიკ; 34. დელი; 35. ტრალი; 36. ტუნიკა; 37. რეტი; 38. მედია; 39. რემა; 40. ტაბურეტი; 41. პლატონი; 42. გრიგი; 43. ტიკი; 44. კილიტა.

სურათზე: ადრიანო ჩელენტანო; ორნელა მუტი.

M K

თეოლოგიური პოლემიკა კაიროს უნივერსიტეტში „ყურანი" სუპერმარკეტს შეადარეს

კაიროს უნივერსიტეტის პროფესორმა, ჰასან ნანაფიმ ადგილობრივ მაჰმადიანთა რისხვა დაიმსახურა. აზრის თავისუფლებისადმი მიძღვნილ სემინარზე წარმოთქმულ მოხსენებაში, პროფესორმა „ყურანი" იმ სუპერმარკეტს შეადარა, სადაც მყიდველი იმას იღებს, რაც მას სჭირდება, დანარჩენს კი ადგილზე ტოვებს. ესოდენ მოულოდნელ შედარებას მაჰმადიანთა მხრიდან მკაცრი საპასუხო რეაქცია მოჰყვა. კოლეგის გამოსვლას კაიროს უნივერსიტეტის შარიათის (ისლამის კანონი) მასწავლებელი, აბდულ საბურ შაჰინი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა: „მისი უღირსი გამონათქვამები განკიცხვას იმსახურებს. მან საკუთარი სიტყვები დაუყოვნებლივ უკან უნდა წაიღოს". შაჰინმა კოლეგას მარქსისტი უწოდა და დასძინა: „მსგავსი ნაბოდვარის გამო ნანაფი ისლამისგან განკვეთას იმსახურებს. ყოფილი მაჰმადიანი, რწმენის ღალატის გამო სასჯელს იმსახურებს, მაგრამ ნანაფის მხოლოდ სამედიცინო დახმარება ესაჭიროება. მიმაჩნია, რომ მას ფსიქიკური პრობლემები აქვს". ნანაფის გამოსვლა შედარებით ნაკლებად მტრულად შეაფასა რადიკალური ისლამური ორგანიზაციის — „მაჰმადიანთა საძმოს" დამაარსებლის უმცროსმა ძმამ, ჰამალ ალ-ბანამ (აღსანიშნავია, რომ წარსულში ნანაფი ამ ორგანიზაციასთან აქტიურად თანამშრომლობდა), რომელმაც განაცხადა, რომ „ყურანის" სუპერმარკეტთან შედარება დიდი სიბრძნით არ გამოირჩევა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ეს სიტყვები სიმართლის მარცვალს მაინც შეიცავს. თავად ჰასან ნანაფი ოპონენტებთან დისკუსიაში ჩაბმას არ აპირებს, რადგან მოწინააღმდეგეთა გამოხდომები ნაკლებად აღელვებს, მსგავსი თემების განხილვა კი სწორედ უნივერსიტეტის კედლებში უნდა მიმდინარეობდეს. ■

მიირთვით შემწვარი... „კოკა-კოლა"!

36 წლის დალასელმა (აშშ) პროგრამისტმა, აბელ გონსალესმა „კოკა-კოლის" მირთმევის ახალი ხერხი გამოიგონა. ამიერიდან შესაძლებელი იქნება, რომ ეს სასმელი შემწვარი მივირთვათ... შემწვარი „კოკა-კოლის" რეცეპტი ასეთია: შემწვარ მარწყვის მურაბას ცოტაოდენ „კოკა-კოლაში" მოვზელთ, მიღებულ ცომს მარწყვის ნაყოფს ვუმატებთ და მდუღარე ზეთში ვბრაწავთ. მაგიდის ჩოგბურთის ბურთის ზომის ფუნჩულებს ტკბილი სანელებლებით სავსე ჭიქაში ვაგდებთ და ზემოდან ცოტადენ „კოკა-კოლას", ათქვეფილ ნაღებს, დარიჩინიან შაქარსა და ალუბალს ვუმატებთ...

აბელ გონსალესმა ეს ნუგბარი ტეხასის შტატის მიღწევათა გამოფენაზე წარადგინა. გამოფენის მუშაობის 24 დღის განმავლობაში მან 35.000 შემწვარი „კოკა-კოლა" გაყიდა და თითოეულ იჯრაში 4,5 დოლარი აიღო. დამსახურებულმა ჯილდომაც არ დააყოვნა — ნუგბარი მყიდველებმაც და ჟიურიმაც ღირსეულად შეაფასეს და აბელ გონსალესმა საკვები პროდუქტების სფეროში ყველაზე შემოქმედებითი ინოვაციისათვის პრიზიც მიიღო. ავტორი შემწვარი „კოკა-კოლის" კალორიულობის შესახებ არაფერს ამბობს და გამოგონების დაპატენტებას არ აპირებს. ■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ" ნიშნავს ციფრს, „დოკუ" — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

3	5	1	9	2	6	4	7	8
7	6	8	5	3	4	1	9	2
9	2	4	7	8	1	3	6	5
2	4	9	6	5	3	8	1	7
1	8	3	4	9	7	2	5	6
5	7	6	2	1	8	9	4	3
4	9	2	8	7	5	6	3	1
8	1	5	3	6	9	7	2	4
6	3	7	1	4	2	5	8	9

8	7	6	3	4	9	5	1	2
1	5	3	2	8	6	9	4	7
2	9	4	5	1	7	8	3	6
3	2	7	9	5	1	6	8	4
9	4	5	6	3	8	7	2	1
6	1	8	7	2	4	3	5	9
4	6	1	8	7	3	2	9	5
5	8	9	4	6	2	1	7	3
7	3	2	1	9	5	4	6	8

6	2	7	1	3	4	8	9	5
4	9	5	6	8	7	3	2	1
3	8	1	2	5	9	6	4	7
5	4	9	3	7	1	2	8	6
8	1	6	4	2	5	9	7	3
7	3	2	9	6	8	5	1	4
1	5	8	7	9	6	4	3	2
9	7	3	5	4	2	1	6	8
2	6	4	8	1	3	7	5	9

* მარტივი

		9	5			3	6	
	3	5	7	6				9
	4				8	2		
		1		2		7		4
		8	1		9	5		
7		2	4			9		
		7	2				9	
6				3	7	8	2	
	2	3			4	6		

** საშუალო

	4			3		6		
9					7		2	8
7				6		9		
8				5	9			4
	6				8		9	
3				2				5
		4		1				7
1	2		7					9
		7		9			1	

*** რთული

	3			8				4
		1		2				
	7					9		
6						3		
	1				2		9	
		3			9			5
		5					1	
				4		6		
8				6			7	

ფოტოკუთხეები




Premier by Dead Sea Premier
ნილაბი ღამის ფეხრა
L.T.D. I.L. PREMIER
Premier
by Dead Sea Premier
MASK MIRACLE
ALL SKIN TYPES
by Dead Sea
ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ
ᲰᲝᲑᲝᲩᲘᲡ ᲡᲐᲣᲯᲔᲗᲔᲡᲝ
ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ
ᲢᲔᲚ: (+995 32) 38 44 54
ᲛᲝᲑ: (+995 99) 54 66 66
Ш.Ъ.Ь. И.Ц. ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ
www.il-premier.ge

b 119/42